

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ადმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

მაია ტალახაძე

ფემინისტური დისკურსი თანამედროვე ირანელი მწერალი ქალების პროზაში

ფილოლოგიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი მზია ბურჯანაძე

თბილისი

2024

შინაარსი

აბსტრაქტი	IV
შესავალი	1
თავი 1. გენდერული საკითხის ზოგადი მიმოხილვა.....	17
თავი 2. ფემინიზმის ჩამოყალიბება და განვითარება დასავლეთის ქვეყნებში	21
თავი 3. ქალის უფლებები XX-XXI საუკუნეების ირანში	44
3.1. ირანელი ქალების პირველი ნაბიჯები საკუთარი უფლებების დასაცავად მე-19 საუკუნის ბოლოს	44
3.2. ირანელ ქალთა ფემინისტური მოძრაობა რეზა-შაჰ ფაჰლავის მმართველობის პერიოდში	45
3.3. ქალთა მოძრაობა მოჰამად-რეზა შაჰ ფაჰლავის მმართველობის დასაწყისში.....	53
3.4. ირანელ ქალთა ფემინისტური მოძრაობა 1953-79 წლებში	56
3.5. ქალთა მდგომარეობა 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ	59
თავი 4. ქალთა საკითხის კვლევის ცენტრები ირანში.....	71
თავი 5. თანამედროვე სპარსული პროზის განვითარება	75
5.1. პროზაული ჟანრების ჩამოყალიბება ირანში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში	75
5.2. ქალის საკითხი მამაკაცი მწერლების ნაწარმოებებში	77
5.3. ქალთა ლიტერატურის ჩამოყალიბება ირანში	79
თავი 6. პერსონაჟი ქალის უფლებებიდან ემანსიპაციისკენ	88
6.1. ქალის ტრადიციული როლი - უფლებაყრდილი ქალები.....	88
6.2. ქალთა თვითგამორკვევის პროცესი	97

6.3. ქალის ტაბუდადებული პირადი ცხოვრება.....	114
6.3.1. საკუთარი სხეულის ძიებაში.....	115
6.3.2. საკუთარი თავის ადამიანად აღქმის პროცესი.....	121
6.4. ორ სამყაროს შორის	126
6.5. სტერეოტიპული აზროვნებიდან ცვლილებებისკენ.....	138
6.6. ემანსიპაცია და ქალის პასუხისმგებლობა.....	156
თავი 7. ქალის სახის მითოპოეტური გააზრება.....	164
დასკვნა	169
გამოყენებული ლიტერატურა	175

აბსტრაქტი

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში განხილულია თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანი და აქტუალური თემა - ფემინისტური დისკურსი, ქალის საკითხის რეპრეზენტაცია თანამედროვე ირანელი მწერალი ქალების პროზაში.

კვლევა ასახავს მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეების სხვადასხვა თაობის ირანელი მწერალი ქალების შემოქმედებაში, ფემინისტური თეორიის განვითარების კვალდაკვალ, ოჯახსა და საზოგადოებაში ქალის მიერ საკუთარი ადგილის, როლისა და დანიშნულების ძიების პროცესს. კვლევის მიზანს მე-20 საუკუნის ირანში, მომძლავრებული სოციალურ-პოლიტიკური ძვრებისა და ფემინისტური მოძრაობის გააქტიურების პარალელურად, ქალის უფლებრივ მდგომარეობაზე დაკვირვება წარმოადგენს. საინტერესოა თვალის მიდევნება, რა ევოლუცია განიცადა გამოხატვის ფორმებისა და შინაარსობრივი აქცენტების დასმის კუთხით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის პრობლემის განხილვამ და როგორ აისახა ის ლიტერატურაში.

კვლევა მოიცავს მე-20 საუკუნის ირანში ქალთა მოძრაობის გააქტიურებისა და ფემინისტური ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ არსებულ საინტერესო მასალას; ინფორმაციას თანამედროვე სპარსული პროზის, კონკრეტულად კი, ქალთა ლიტერატურის ფორმირების ხელშემწყობ ფაქტორებსა და გარემოებებზე; სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი სამი ირანელი მწერალი ქალის (სიმინ დანეშვარი, შაჰრნუმ ფარსიფური, ზოია ფირზადი) ნაწარმოებების განხილვა-გაანალიზების საფუძველზე გაკეთებულ შესაბამის დასკვნებს.

საინტერესოა დაკვირვება, ქვეყანაში არსებული ცენზურის პირობებში, როგორ და რა ფორმით გადმოსცემენ ირანში მოღვაწე ქალი ავტორები საკუთარ სათქმელს და როგორ იცვლება მათ ნაწარმოებებში პერსონაჟებად ქცეული რეალური ქალების ფუნქცია, მნიშვნელობა და მენტალობა ოჯახსა და საზოგადოებაში ფემინისტური მოძრაობის დასაწყისიდან ემანსიპაციისთვის ბრძოლის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ქალთა ლიტერატურა, ფემინისტური დისკურსი, თანამედროვე
სპარსული პროზა, ქალთა უფლებები

Abstract

The PhD thesis focuses on the issue that is topical and important in the contemporary world. Namely, the thesis analyzes feminist discourse, representation of the woman's issue in the prose of contemporary female Iranian writers.

The research reflects the search of a woman's role, place and function in the family and society, which is a topic discussed in the works of female Iranian writers of different generations in the 20th and 21st centuries, in line with the development of the feminist theory. The aim of the research was to observe women's rights in the 20th century Iran, on the background of the social-political reforms and activation of the feminist movement. It is interesting to observe the evolution of the discussion of feminine problems and their reflection in the literature with regard to the forms of expression and thematic focus.

The research embraces interesting material related to the activation of the feminist movement in the 20th century Iran. The thesis analyzes contemporary Persian prose from the viewpoint of the factors and circumstances leading to the development of female literature. Conclusions are drawn based on the works of three female Iranian writers representing different generations (Simin Daneshvar, Shahrnush Parsipur and Zoya Pirzad).

It was interesting to observe how, in conditions of the strict censorship in Iran, the female authors tell their stories and express their ideas, how the function, significance and mentality of the female characters of their books (taken from real life) change with regard to family and society from the beginning of the feminist movement until the struggle for emancipation.

Key words: Female literature, feminist discourse, contemporary Persian prose, Women's Rights.

შესავალი

დღესდღეობით მთელ მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის უფლებების დაცვას. ამ თვალსაზრისით, წამყვან პრობლემად სწორედ ქალის საკითხია გამოკვეთილი და ეს არ ითქმის მხოლოდ აღმოსავლეთის ქვეყნებზე. პრობლემა ასევე მტკივნეულად დგას დასავლეთში. თანამედროვე მსოფლიოში ქალის ადგილის, როლისა და დანიშნულების ამაღლება საზოგადოებაში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება და ლიტერატურის სფეროშიც ფართო ინტერესისა და კვლევის საგანს წარმოადგენს.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მე-20 საუკუნე, ფემინისტური თეორიების გავრცელებისა და ქალთა მოძრაობის გააქტიურების ფონზე, მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. ქალთა უფლებების შესახებ არსებული მრავალი კვლევა მე-20 საუკუნის დასაწყისს „გამოფხიზლების“ პერიოდად მიიჩნევს. საკითხმა მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა არა მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ ხელოვნების სფეროშიც გადაინაცვლა და მრავალი შემოქმედის ყურადღების ცენტრშიც მოექცა. მიუხედავად ამისა, ქალის პრობლემები არ ამოწურულა და არც ლიტერატურაში თქმულა მათ დასაცავად უკანასკნელი სიტყვა. ამ თვალსაზრისით არც სპარსული ლიტერატურაა გამონაკლისი.

ლიტერატურა ისევე, როგორც ხელოვნების ნებისმიერი დარგი, გამოხატვის საკუთარი საშუალებებით საზოგადოების შიგნით არსებულ მოვლენებს ასახავს. ამდენად, მისი შესწავლა მხოლოდ ლიტერატურული პროცესის ანალიზს კი არ გულისხმობს, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დაკვირვებას და სოციალური და პიროვნული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასაც ნიშნავს.

ირანში ქალის როლი, ტრადიციულად, დაკნინებული იყო. სამწუხაროდ, ამ კუთხით არც მეოცე საუკუნეს მოუტანია მნიშვნელოვანი სასიკეთო ძვრა. ბუნებრივია, ეს უსამართლო ვითარება მხატვრული ნაწარმოებების ერთ-ერთ მთავარ თემადაც იქცა.

ქალების პრობლემებს ფართოდ ასახავდა ლიტერატურა, თუმცა საწყის ეტაპზე ქალის ხსნისა და მისი გასაჭირის შესახებ მამაკაცი მწერლები წერდნენ. ამასაც თავისი ბუნებრივი და მარტივი მიზეზი განაპირობებდა. იმხანად არ არსებობდნენ (ან თითქმის არ არსებობდნენ) მწერალი და პოეტი ქალები.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სპარსულ ლიტერატურაში საგრძნობლად იმატა ქალი მწერლების რაოდენობამ. თანდათან ქალი ლიტერატურის ობიექტის როლიდან, როგორც მას მამაკაცი მწერლების შემოქმედებაში ენიჭებოდა, გამოვიდა და მწერლობის სუბიექტად იქცა. მწერალმა ქალებმა, თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარებით და რეალური ადამიანების პერსონაჟებად ქცევით, მოახერხეს მე-20 საუკუნის ირანის პატრიარქალური საზოგადოების ცნობიერებაში ქალის მიმართ დამკვიდრებული შეხედულებებისა და სტერეოტიპების მკითხველ საზოგადოებამდე მიტანა და მათ წინაშე მდგარი სირთულეების დაძლევის გზების ძიება დაიწყო. ქალი მწერლების გამოჩენამ კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა და ინდივიდუალობა შესძინა საკითხს, რადგან მათი თვალთ დანახული და აღქმული ქალთა სამყარო განსხვავდება მამაკაცი მწერლების მიერ ასახული სინამდვილისაგან.

ირანელი მწერალი ქალების ნაწარმოებები ფემინიზმისადმი მიმართების, ქალის უფლებებისა და ოჯახსა და საზოგადოებაში ქალის ადგილისა და დანიშნულების განსაზღვრის კუთხით მრავალფეროვან და საინტერესო მასალას იძლევა.

სწორედ ამიტომ, საკითხის მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის საკვლევ თემატიკად შევარჩიეთ XX-XXI საუკუნეების სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე სამი ირანელი მწერალი ქალის შემოქმედება.

ჩვენი არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. დღესდღეობით ბევრი ირანელი მწერალი ცხოვრობს და მოღვაწეობს საზღვარგარეთის ქვეყნებში. ბუნებრივია, მათი შემოქმედება თავისუფალია ისლამური ცენზურის ჩარჩოებისგან და მათ შეუძლიათ, შეუზღუდავად გამოხატონ სათქმელი. ირანში მოღვაწე ხელოვანისა და მისი ნაწარმოებების ბედი ბევრად უფრო რთულია, რადგან ირანის რეალობაში მართლის

თქმა დიდ გამბედაობას და სათქმელისთვის შესაბამისი ფორმის ძიებას მოითხოვს. სწორედ ეს ფაქტორი ანიჭებს მათი შემოქმედების კვლევას მეტ მნიშვნელობასა და ღირებულებას.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის სამივე ობიექტი მწერლის ნაწარმოებები ირანში დაიწერა და ამის გამო იქცა ჩვენი კვლევის საგნად. თუმცა ერთ-ერთი მათგანი, შაჰრუნუ ფარსიფური, ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, მაგრამ მას ქვეყნის დატოვება სწორედ იმ წიგნის ირანში გამოქვეყნების შემდეგ მოუწია, რომელიც ფემინისტურ თემას მიუძღვნა.

კვლევის მიზანია, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში, ფემინისტური თეორიებისა და ფემინისტური მოძრაობის მომძლავრების ფონზე, გამოვიკვლიოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებთან და თეორიულ პარადიგმებთან ლიტერატურული პროცესის კავშირი; განვიხილოთ მწერალი ქალების შემოქმედებითი მიზნები - ქალის საკითხის განვითარების ეტაპები; ქალის მიერ საკუთარი იდენტობის ძიება და ემანსიპაციისკენ მიმავალი გზები. ასევე, რა ევოლუცია განიცადა გამოხატვის ფორმებისა და შინაარსობრივი აქცენტების დასმის კუთხით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის პრობლემის განხილვამ და როგორ აისახა ის ლიტერატურაში. ჩვენი მიზანია, თვალი მივადევნოთ ირანში ქალის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს ქალთა ფემინისტური მოძრაობის საწყისი ეტაპიდან პოსტ-ისლამური რევოლუციის ეპოქამდე და განვსაზღვროთ:

1. რა როლი აქვს საზოგადოებას ზოგადად ადამიანის, კონკრეტულად კი - ქალის ბედის განსაზღვრაში?! რამდენად დიდია ტრადიციული შეხედულებებისა და სტერეოტიპული აზროვნების ტყვეობაში მყოფი სოციუმის გავლენა ადამიანის ყოფასა და სულზე?!

2. რა ცვლილებები მოიტანა ფემინისტური მოძრაობის გაძლიერებამ და რამდენად რეალურად აისახა საკუთარი უფლებების აღიარებისა და მოპოვებისთვის ქალების დაუღალავი ბრძოლა მათ ადგილსა და როლზე საზოგადოებაში?!

3.რამდენად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ირანის კონსტიტუციური რევოლუციისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ მოპოვებულმა საზოგადოებრივ-კულტურულმა ცვლილებებმა ქალის უფლებრივი მდგომარეობისა და ადგილის განსაზღვრაში და რა შეიცვალა ამ კუთხით ისლამური რევოლუციის შემდეგ?!

4. რა მოიტანა ემანსიპაციისკენ სწრაფვამ, მიაღწია თუ არა თანამედროვე ქალმა დასახულ მიზანს და მიიღო თუ არა საბოლოოდ ის, რისთვისაც იბრძოდა?!

5. როგორ აისახება მწერალ ქალთა თხზულებებში აღნიშნული მოვლენები და რა გზებით ცდილობენ ისინი ირანის სინამდვილეში ამ საკითხებზე საუბარს.

საკვლევი საკითხები: წარმოდგენილი სადისერტაციო თემა ქალის საკითხის რეპრეზენტაციას გულისხმობს თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში, კერძოდ, მწერალი ქალების პროზაში ფემინისტური მოძრაობის საწყისი ეტაპიდან - ემანსიპაციამდე. სამივე ავტორის ნაწარმოებებში ქალების უფლებებისთვის ბრძოლას წამყვანი ადგილი უჭირავს. საინტერესოა დაკვირვება, მე-20 საუკუნის განმავლობაში ირანში გატარებული რეფორმებისა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალური ძვრების პარალელურად როგორ იცვლებოდა ქალის მდგომარეობა და როლი ოჯახსა და საზოგადოებაში, რა გზებით ეძიებდნენ და ეძიებენ თავად ქალები საკუთარ იდენტობას და პიროვნულ მისწრაფებებს, როგორ განიხილავენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი ქალი მწერლები საზოგადოდ ფემინიზმის საკითხს და რა გზებით ახერხებენ თავიანთი ქალი პერსონაჟების პრობლემების გამოხატვასა და გადაწყვეტას.

ზოგიერთ შემთხვევაში ქალი მწერლები, სიუჟეტის მითოლოგიზაციის გზითა და რეალობის სიმბოლურ-მითოპოეტური გააზრებით ცდილობენ აჩვენონ მკითხველს ირანელი ქალის ცნობიერების სრული გარდაქმნა იდენტობის ძიების გზაზე. მათი ნაწარმოებები თვალსაჩინოს ხდის არა მხოლოდ ირანის საზოგადოებაში ქალთა მიმართ დამოკიდებულებას, არამედ თავად ქალების მიმართებას საკუთარი ადგილის, დანიშნულების, სოციალური როლის, უფლებებისა და თავისუფლებისადმი.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი თემა განხილულია ფემინისტური თეორიის ფონზე და მოიცავს შემდეგ საკვლევ საკითხებს:

1. პატრიარქალური საზოგადოებრივი აზრის, ტრადიციული შეხედულებებისა და სტერეოტიპების გავლენა ქალთა განვითარებაზე; ტრადიციული შეხედულებების გავლენის ქვეშ მყოფი თაობების დამოკიდებულება ქალის საკითხისადმი;
2. განათლების როლი ქალის ფიზიკური გადარჩენის, საკუთარი თავის აღმოჩენისა და ემანსიპაციისთვის ბრძოლაში; ქალთა აქტიური ჩართულობა მათი უფლებების აღიარების, რეალური თავისუფლებისა და თანასწორობისთვის ბრძოლაში;
3. ემანსიპირებული ქალის მიერ საკუთარი ახალი იდენტობის აღმოჩენის პროცესი.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს:

1. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან თანამედროვეობამდე ირანში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის კუთხით არსებული რეალობის გაანალიზება და სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი ირანელი პროზაიკოსი ქალების შემოქმედებაში ქალის საკითხის განვითარების შესწავლა;
2. ქალთა ლიტერატურაში ფემინისტური დისკურსის განსხვავებული რეპრეზენტაციის წარმოჩენა და ავტორების კონცეფტუალური თავისებურებების გამოკვეთა.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას განაპირობებს ის, რომ წინამდებარე დისერტაციას გარკვეული წვლილი შეაქვს მე-20 და 21-ე საუკუნეების ირანში ფემინისტური თეორიისა და მოძრაობის შესწავლაში და ამ თეორიის ფონზე ქალი ავტორების შემოქმედებითი კონცეფციის წინ წამოწევისა და გაანალიზების საქმეში.

ქალის საკითხის რეპრეზენტაცია და დეტალური შესწავლა საშუალებას იძლევა გააზრებულ იქნეს ქალის ადგილი, როლი და მნიშვნელობა როგორც ოჯახში, ასევე, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პრაქტიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით, კვლევის მიმართულება და მიღებული დასკვნები საინტერესო იქნება თანამედროვე სპარსული ლიტერატურით, ქალთა კვლევებით, ქალთა ლიტერატურითა და ირანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის. ასევე, მათთვის, ვისაც სურს, უკეთ გაეცნოს მე-20 და 21-ე საუკუნეებში მსოფლიოში მიმდინარე საზოგადოებრივ-კულტურული პროცესების გავლენით ირანში ფემინისტური ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. მოძიებული და დამუშავებული წყაროები საინტერესო მასალას იძლევა ქალთა უფლებების თემატიკით დაინტერესებული მკვლევრებისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი თემის მახასიათებლებიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ ტექსტური წყაროების ანალიზი. განვიხილეთ ევროპული გავლენით ირანში ქალთა ფემინისტური მოძრაობისა და ფემინისტური ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები. ამ მიმართულებით საკითხის დეტალური ანალიზისთვის შევისწავლეთ XX-XXI საუკუნეების ირანის ისტორიის სამი სხვადასხვა პერიოდი:

ა) ყაჯართა მმართველობის ხანა (1800-1925);

ბ) ფაჰლავების მმართველობის პერიოდი (1925-1979);

გ) ირანის ისლამური რევოლუციის შემდგომი პერიოდი - თანამედროვეობამდე (1979-2023).

კვლევისას გამოვიყენეთ ანალიზისა და კომპარტივისტული მეთოდები. ისტორიული პერიოდების შესწავლამ, მიღებული ინფორმაციის სიღრმისეულმა ანალიზმა და შედარებამ მოგვცა საშუალება, გაგვეანალიზებინა სხვადასხვა პერიოდში არსებული მდგომარეობის მსგავსება-განსხვავებების მიზეზები და საფუძვლები. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას მიმოვიხილეთ თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ფაქტორები და გარემოებები. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდგომი პერიოდის მოვლენებზე, რომლებმაც დიდი გავლენა იქონია ქალთა ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას მივმართეთ კვლევის სინთეზურ მეთოდს. თანამედროვე ირანელი მწერალი ქალების ნაწარმოებების შესწავლისას აშკარა გახდა მათ მიერ ევროპული აზროვნებით დაინტერესება და თანამედროვე ლიტერატურული მიმდინარეობების ტექნიკური მიღწევების ფლობის უნარი. ამასთანავე, ურღვევი და მჭიდრო კავშირი აღმოსავლურ ლიტერატურულ ტრადიციებთან. მათ მიერ შექმნილი მხატვრული ტექსტების კვლევის პროცესში, აღმოსავლური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი იდეური ქვეტექსტების ამოცნობისათვის, უმთავრესი იყო ავტორთა ოსტატობით შექმნილი სახე-სიმბოლოების ანალიზი, რაც სპარსული ფოლკლორისა და მითოლოგიის და დასავლური ფილოსოფიური თუ ლიტერატურული მიმდინარეობების სინთეზს წარმოადგენს. შესაბამისად, თანამედროვე ირანელი მწერალი ქალების შემოქმედების განზოგადებისა და ურთიერთკავშირის დადგენისთვის მნიშვნელოვანი იყო სინთეზური მეთოდის გამოყენება.

ტექსტებზე მუშაობისას, მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოების განმარტებისთვის, საკვანძო იყო ჰერმენევტიკის, ტექსტის სწორად გაგებისთვის აუცილებელი მეთოდის გამოყენება. აღნიშნული მეთოდის გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა ქალ ავტორთა გინოკრიტიკული შესწავლა და მათ მიერ შექმნილი პერსონაჟების ქმედებებში ჰუმანისტური მსოფლმხედველობისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების დანახვა.

ქალ მწერალთა ნაწარმოებების პერსონაჟებზე დაკვირვებისას ცხადი ხდება, რომ ქალი პროზაიკოსები ადამიანთა ყოფიერების აღწერისას, ეგზისტენციალური მეთოდების გამოყენებით, მუდმივად ხაზს უსვამენ ადამიანის, ხშირ შემთხვევაში კი, კონკრეტულად ქალის უსასრულო შესაძლებლობებს, მის განსაკუთრებულობას, რომელიც ვლინდება მისსავე არჩევის თავისუფლებაში, თვითშემეცნებაში, საკუთარი თავისადმი რწმენასა და მოქმედებაში.

გამოყენებულ კვლევის მეთოდებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა შეგვეგროვებინა, გავცნობოდით, ახლებურად წაგვეკითხა და გაგვეანალიზებინა თანამედროვე ირანელი მწერალი ქალების ლიტერატურის შესახებ სხვადასხვა ენაზე არსებული არაერთი სამეცნიერო გამოკვლევა და პუბლიკაცია.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეყრდნობა არაერთ სამეცნიერო კვლევას, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საკვლევი თემატიკის საფუძვლიან შესწავლაში. მიუხედავად საკითხისადმი დიდი ინტერესისა, თანამედროვე სპარსული ლიტერატურის შესახებ, მით უფრო, ქალთა ლიტერატურასთან დაკავშირებული საფუძვლიანი გამოკვლევა არცთუ ბევრია. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული სპარსულ, ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურის დიდი ნაწილი 1979 წლის ირანის ისლამური

რევოლუციისა და მის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. ხშირ შემთხვევაში, არსებული ნაშრომები ემიგრაციაში მცხოვრებ ირანელ მწერლებს ეხება, რადგან დიდია პოლიტიკური მიზეზით უცხო ქვეყნებში მოღვაწე ქალ ავტორთა შემოქმედების მიმართ მკვლევრების ინტერესი.

ჩვენი სადისერტაციო თემის მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღებით გავეცანით სხვადასხვა ენაზე შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც სოციალურ-პოლიტიკური გარემოს, კულტურული და საზოგადოებრივი ურთიერთობების ცვლილებების გათვალისწინებით აღწერს თანამედროვე ირანში ქალთა ლიტერატურის ფორმირებისა და განვითარების საკითხებს, მწერალ ქალთა შემოქმედებაში ქალის საკითხის რეპრეზენტაციას.

სპარსულ ენაზე არსებულ გამოკვლევებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მწერლისა და კრიტიკოსის, ჰასან მირაბედიანის, ოთხტომეული „ირანული მხატვრული პროზის ასი წელი“ („صد سال داستان نویسی ایران“, 1998-2004). გამოკვლევა, როგორც სათაური მიგვანიშნებს, მთელ საუკუნეს მოიცავს და თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს აღწერს მე-19 საუკუნის ბოლოდან მე-20 საუკუნის მიწურულამდე. მირაბედიანი გამოკვლეული პერიოდების სოციალურ-კულტურული მახასიათებლების გათვალისწინებით ახდენს თანამედროვე სპარსული პროზის კლასიფიკაციას და განიხილავს იმ ფაქტორებს, რომელთაც გავლენა იქონიეს ეროვნული ლიტერატურული პროცესის ფორმირებაზე.

ნაშრომში ავტორი საუბრობს საუკუნის განმავლობაში (კონსტიტუციური რევოლუციის წინა პერიოდიდან მოყოლებული - პოსტ-ისლამური რევოლუციის შემდგომი ეპოქის ჩათვლით) სპარსულ ლიტერატურაში არსებულ ტენდენციებსა და განვითარების ეტაპებზე. იგი ირანის ისლამური რევოლუციის შემდგომ ქვეყანაში არსებული სოციალური, პოლიტიკური და კულტურული გარემოს გათვალისწინებით ცდილობს თანამედროვე სპარსული ლიტერატურის, მათ შორის

ქალთა ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზეზების ჩვენებას. მირაბედინი ქალი მწერლების სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლას ისტორიული იზოლაციის წინააღმდეგ სვლას ადარებს და რევოლუციურ მოვლენებში მათ როლსა და მნიშვნელობაზე საუბრობს. ავტორს ისლამური რეჟიმის პირობებში ქალების მიერ საკუთარი იდენტობის, პიროვნების, ადგილისა და დანიშნულების ძიების პროცესის გამოსაკვეთად შაჰრუნუმ ფარსიფურის სიტყვები მოჰყავს: „მე ვწერ, რადგან აზროვნება დავიწყე, ჩემი ბრალი არ არის, რომ ასე მოხდა, თითქოს ერთბაშად მხრებიდან მდედრის ტყავი ჩამომგლიჯეს. ვწერ, რადგან ადამიანი ვხდები. მინდა ვიცოდე, ვინ ვარ?“ (Mirabedini, 1998, გვ. 1110).

სპარსულ ენაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურიდან, ასევე, აუცილებლად მიგვაჩნია გამოვყოთ ლიტერატურის კრიტიკოსის ჰოსეინ ფაიანდეს სამტომეული „ნოველა ირანში“ ("داستان کوتاه در ایران", 2010-2011). მკვლევარი თითოეულ ტომში თანმიმდევრულად საუბრობს რეალისტური, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ლიტერატურის მახასიათებლებზე, ყოველი მიმდინარეობის შიგნით არსებულ სხვადასხვა ლიტერატურულ სკოლაზე და ნიმუშებად მოჰყავს თანამედროვე ირანელი მწერლების შესაბამისი ნოველები. გარდა ამისა, ყველა ნოველას ერთვის ვრცელი და დეტალური ანალიზი, რაც კიდევ მეტ ღირებულებას ანიჭებს აღნიშნულ წიგნს. გარდა იმისა, რომ ეს სამტომეული ფასეულია ლიტერატურის მკვლევართათვის, მას, სტრუქტურიდან გამომდინარე, თამამად შეუძლია სახელმძღვანელოს ფუნქციის შეთავსება ლიტერატურის შემსწავლელი სტუდენტებისთვის ან, უბრალოდ, ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისთვის.

პირველი ტომის შესავალში ავტორი აღნიშნავს: „წინამდებარე წიგნის შექმნის მიზანია, მკითხველს ლიტერატურული კრიტიკისა და თეორიების ფონზე გააცნოს ირანული ნოველის განვითარების პროცესში გამოყენებული სხვადასხვა თემატიკა, სამწერლო ტექნიკა და სტილი“ (Payandeh, 2010, გვ. 9).

ჩვენი საკვლევი თემის კუთხით განსაკუთრებით საინტერესო იყო ორი წიგნი, რომელთა ავტორები ქალები არიან და ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენთვის. ერთი გახლავთ კაროლინა რაკოვიცკა-ასგარისა და ასგარ ასგარი ჰასანქლოს „ეპოქის ხმა, პერსონაჟი ქალის სოციოლოგია რევოლუციის შემდგომ რომანში“ (" صدای زمانه، شخصیت زن در رمان بعد از انقلاب ", 2016). წიგნში ჩვენი საკვლევი პრობლემატიკის არაერთი საკითხია განხილული ირანელი მწერალი ქალების შემოქმედების საფუძველზე და საკმაოდ საყურადღებო თვალსაზრისიცაა გამოხატული (Rakovitska-Asgari, K., Hasanklo A., 2016).

ასევე ინტერესითა და ყურადღებით გავეცანით ნარგის ბაყერის გამოკვლევას „ქალები მხატვრულ ლიტერატურაში: ქალი პერსონაჟები ირანელი მწერალი ქალების პროზაში“ (" زنان در داستان: قهرمانان زن در داستان های زنان داستان نویس ایران ", 2009). ავტორი რამდენიმე ირანელი მწერალი ქალის შემოქმედებას სხვადასხვა კუთხით განიხილავს და ვრცლად საუბრობს მათ მრავალფეროვან სამწერლო სტილზე, თემატურ მრავალფეროვნებაზე და, რაც მთავარია, ამ ლიტერატურის ფემინისტურ რაკურსზეც ამახვილებს ყურადღებას (Baqeri, 2009).

ჩვენ მიერ გამოყენებული ქართველი მეცნიერების ნაშრომებიდან უნდა აღვნიშნოთ თანამედროვე სპარსული ლიტერატურის მკვლევრის, მზია ბურჯანაძის მიერ, 2016 წელს გამოცემული სამეცნიერო გამოკვლევა „ახალი და უახლესი სპარსული ლიტერატურის ისტორია“. ავტორი ნაშრომში სისტემურად შეისწავლის და მიმოიხილავს მეოცე საუკუნის ირანში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს და ყურადღებას ამახვილებს არაერთ საინტერესო პრობლემასა და საკვანძო საკითხზე, მათ შორის, თანამედროვე სპარსული მხატვრული პროზის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეროვნულ ფაქტორებზე, მიზეზებსა და გავლენებზე, ირანში ქალთა ლიტერატურის ფორმირების პროცესზე, ირანელ ქალ მწერალთა ნაწარმოებებში წამოჭრილ აქტუალურ თემებზე.

მკვლევარი, ქალთა ლიტერატურის სტრუქტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით ქალ ავტორთა ნაწარმოებებზე მსჯელობისას ისეთ თემებს ეხება, როგორებიცაა გენდერული საკითხი მწერალ ქალთა შემოქმედებაში, ქალის ადგილისა და დანიშნულების ძიება ოჯახსა და საზოგადოებაში, ტრადიციული პატრიარქალური გარემოსა და საზოგადოებრივი აზრის გავლენა ადამიანის ყოფასა და სულზე, განათლების როლი ქალთა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში და სხვ. გამოკვლევაში ავტორი საუბრობს ქალთა ლიტერატურის მნიშვნელობაზე, ხაზს უსვამს პროზაიკოს ქალთა შემოქმედებაში ქალის საკითხის აქტუალობას და აღნიშნავს: „...ქალის თემამ სპარსულ ლიტერატურაში საუკუნის მანძილზე, საზოგადოებრივი ურთიერთობების ცვლილებების შესაბამისად, დიდი მეტამორფოზა განიცადა. თუ საუკუნის დასაწყისისა და 30-40-იანი წლების პროზა, პრაქტიკულად, ქალში ადამიანის ცნობას და მის ფიზიკურ გადარჩენას გულისხმობდა, საუკუნის დასასრულისკენ ქალის ადგილისა და დანიშნულების ძიებას სხვადასხვა საინტერესო პრობლემის დასმამდე და მათი გადაჭრის მრავალფეროვან გზებამდე მივყავართ“ (ბურჯანაძე, 2016, გვ. 253).

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გავეცანით ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანში ქალთა მდგომარეობაზე არსებულ ინგლისურენოვან არაერთ გამოკვლევას. მათ შორის, საინტერესოა ირანული წარმოშობის, დღესდღეობით ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე მეცნიერის, პოეტისა და მთარგმნელის, ქალთა ლიტერატურის მკვლევრის ფარზანე მილანის წიგნი „თავსაბურავები და სიტყვები: ირანელი მწერალი ქალების ამოხეთქილი ხმები“ (Veils and Words: The Emerging Voices of Iranian Women Writers, 1992). უკვე წლების განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ემიგრაციაში მცხოვრები ფარზანე მილანი, სამეცნიერო კვლევაში, ირანელი ქალი მწერლების მიერ შექმნილი მხატვრული ლიტერატურისა და მათი ავტობიოგრაფიული ცნობების შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის. ნაშრომში იგი აღნიშნავს, რომ საუკუნეების განმავლობაში ითრგუნებოდა ყოველგვარი აზრი ირანში ქალთა ლიტერატურული ტრადიციის

არსებობის შესახებ და დაუფარავად საუბრობს იმ ცენზურაზე, რომელიც დაწესებულია მწერალი ქალების ნაწარმოებებზე მის სამშობლოში. იგი ხაზს უსვამს ქალთა ლიტერატურის განსაკუთრებულობას და მის უნარს, სიტყვების დახმარებით აღმოაჩინოს და მიჩქმლოს, გააერთიანოს და დაქსაქსოს, გამოკვეთოს და გააქარწყლოს პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალთა მიმართ გამოთქმული სტერეოტიპული მოსაზრებები და მსჯელობები.

1992 წელს გამოცემულ ნაშრომში მილანი ირანულ საზოგადოებაში ქალთა საკითხის კვლევისას მთავარ დაბრკოლებად ჰეჯაბს მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ჰეჯაბი ფარავს არა მხოლოდ ირანელი ქალების სხეულებს, არამედ მათ ხმასაც. იგი თვლის, რომ ქალის სხეულებრივი თვითგამოხატვა შეზღუდულია ჰეჯაბით, მის ვერბალურ თავისუფლებას კი დუმილი ზღუდავს (Milani, 1992). წიგნში ავტორი იკვლევს გზებს, შინაგან და გარეგან სიძნელეებს, რომლითაც ირანელმა ქალმა მწერლებმა შეძლეს გადაელახათ საკუთარი სხეულებისა და შინაგანი ხმების მიჯნა და დაეძლიათ ქვეყანაში არსებული კულტურული ცენზურის, მათი ფიზიკური და სიტყვიერი გარიყულობის საზღვრები.

ფარზანე მილანი ამ სამეცნიერო კვლევის გამოქვეყნებიდან ოცი წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ირანულ საზოგადოებაში ქალთა ინტეგრაციის საკითხს და ახალ, საინტერესო გამოკვლევაში, „სიტყვები, არა ხმლები: ირანელი მწერალი ქალები და მოძრაობის თავისუფლება“ („Words, Not Swords: Iranian Women Writers and the Freedom of Movement“, 2011), საკითხის სხვაგვარად გააზრების საშუალებას იძლევა. იგი აღნიშნავს: „წლები დამჭირდა იმის გასააზრებლად, რომ ფიზიკური იზოლაცია - და არა ჰეჯაბი - იყო ქალის დაქვემდებარების საფუძველი ირანულ საზოგადოებაში და ქალთა ლიტერატურის მოჩვენებითი-უხილავობის წყარო. მეჩვენებოდა, რომ საჭირო იყო ჰეჯაბის საზღვრებს მიღმა გასვლა, რომ სამართლიანად შემეფასებინა ქალების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტეგრაცია საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ასპარეზზე“ (Milani, 2012). ნაშრომის მთავარი სათქმელი მარტივია

- ქალს განვითარებისა და დამოუკიდებლობისთვის არა მხოლოდ საკუთარი სივრცე სჭირდება, არამედ ამ სივრცეში მოძრაობის თავისუფლება. სხვა შემთხვევაში, იგი წარმოსახვით გალიაში გამომწყვდეული ან სულაც შინაპატიმრობის ტყვე ხდება.

მილანი აღნიშნავს: „ირანი პარადოქსების ქვეყანაა. მას ცვალებადი პოლიტიკური კლიმატი აქვს და გლობალური კულტურული გარდაქმნებისა და ღრმა ინტელექტუალური დუდილის შუაგულშია... ირანელ ქალებს შეუძლიათ ხმის მიცემა და ქვეყანაში, ზოგიერთ უმაღლეს თანამდებობაზე, არჩევნებში მონაწილეობის მიღება, მაგრამ უნდა დაიცვან ჩაცმულობის სავალდებულო წესები. მათ შეუძლიათ მართონ პირადი ავტომობილები, ტაქსები, სატვირთო და სახანძრო მანქანები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ველოსიპედის ტარება. მათ იძულებით აცალკევებენ მამაკაცებისგან ავტობუსის უკანა ნაწილში, თუმცა შეიძლება გაიჭყლიტონ გადაჭედილ ტაქსებში სრულიად უცნობ ადამიანებს შორის. ისინი მსოფლიო ასპარეზზე გავიდნენ, როგორც ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატები, უფლებადამცველები, ბესტსელერების ავტორები, პრემირებული კინორეჟისორები და ოსკარზე წარდგენილი კანდიდატები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ სამთავრობო დაწესებულებებში იმავე კარიდან შესვლა, საიდანაც მამაკაცები შედიან. ეს არის წინსვლისა და წარუმატებლობის, პროტესტისა და შეგუების, წინააღმდეგობისა და მორჩილების, ინოვაციისა და ტრადიციის რთული ნაზავი, რაც ყველაზე ზუსტად ასახავს ქალთა ცხოვრებას დღევანდელ ირანში“ (Milani, 2011, გვ. 7).

ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურიდან მნიშვნელოვანია, ასევე, თანამედროვე სპარსული ლიტერატურის მკვლევრის ქამრან თალათოფის წიგნი „წერის პოლიტიკა ირანში: თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ისტორია“ („Politics of Writing in Iran: A History of Modern Persian Literature“, 2000). ნაშრომში მკვლევარი პოლიტიკურ პროცესებთან კავშირში განიხილავს მთელ რიგ საკითხებს. ავტორი თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მე-19

საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში სპარსულმა ლიტერატურამ წარსულის ხელახალი გააზრებით შეიძინა საკუთარი, თანამედროვე ხელწერა. თალათოფი ხაზს უსვამს, რომ დასავლურ იდეებზე დაყრდნობით, თანამედროვე სპარსულმა ლიტერატურამ უპასუხა ქვეყანაში არსებულ ცვალებად სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და შეინარჩუნა ინდივიდუალური სტილი. ავტორი თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ისეთ თეორიებთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებს, როგორებიცაა მოდერნიზმი, მარქსიზმი, ფემინიზმი და სხვ. და დასძენს, რომ მათ დიდი გავლენა იქონიეს თანამედროვე ლიტერატურული ტექსტების ფორმაზე, ხასიათსა და ენობრივ სტილზე (Talattof, 2000).

ნაშრომში თალათოფი აღნიშნავს, რომ 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანელი ქალი მწერლების მიერ შექმნილი მაღალი ხარისხითა და განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებით გამორჩეული ნაწარმოებების მთავარ თემას ქალთა საკითხები და გენდერული ურთიერთობები წარმოადგენს. ამ ნამუშევრებში ქალების კერძო, პირადი გამოცდილება საჯარო ხდება და ასახავს მათ ბრძოლას იდენტობისთვის. ქალების მიერ ქალების შესახებ შექმნილი ლიტერატურა მეტაფორული, მხატვრული ენით აღწერს გენდერული იერარქიისა და ქალთა ჩაგვრის პრობლემებს.

1997 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, „ირანელ ქალთა ლიტერატურა: რევოლუციამდელი სოციალური დისკურსიდან პოსტ-რევოლუციურ ფემინიზმამდე“ („Iranian Women's Literature: From Pre-Revolutionary Social Discours to Post-Revolutionary Feminism“), თალათოფი წერს: „რევოლუციამდელმა ნაწარმოებებმა, დომინანტური ლიტერატურული დისკურსის გავლენის ქვეშ, ვერ წარმოშვა ფემინისტური ლიტერატურული მოძრაობა, რადგან ისინი სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე მეტად ამახვილებდნენ ყურადღებას, ვიდრე გენდერულ პრობლემატიკაზე... ქალთა მხატვრული ნაწარმოებები რევოლუციამდე და მის შემდეგ განსხვავებულ ლიტერატურულ დისკურსებს წარმოადგენენ. ირანის 1979

წლის რევიზიცი, როგორც ჩანს, მთავარი ისტორიული მოვლენაა, რომელიც ამ ორ დისკურსს ყოფს და შესაძლოა პასუხისმგებელი იყოს ცვლილებაზე“ (Talattof, 1997).

სპარსული ლიტერატურის ისტორიის შესახებ არსებული რუსულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურიდან ყურადღება გავამახვილეთ აღმოსავლეთმცოდნისა და დიპლომატის დანიელ კომისაროვის გამოკვლევაზე „XIX-XX საუკუნეების სპარსული ლიტერატურის ისტორია“ („История персидской литературы XIX-XX веков“, 1999). ავტორი ნაშრომში აჯამებს და იკვლევს XIX-XX საუკუნეების სპარსულ ლიტერატურაში პროზაული ჟანრების ჩამოყალიბების, თანამედროვე სპარსული რომანის დაბადებისა და ლიტერატურული მოძრაობის გააქტიურების გარდამავალ პერიოდს, შეისწავლის თანამედროვე სპარსული მხატვრული პროზის განვითარების მიზეზებსა და ხელშემწყობ ფაქტორებს (Комиссаров, 1999).

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული საკითხების შესწავლისას, გავეცანით არაერთ სტატიას ფემინისტური მოძრაობისა და თეორიების ჩამოყალიბებისა და გავრცელების შესახებ. სამეცნიერო სტატიებში ყურადღება გამახვილებულია იმ იდეოლოგიებსა და სოციალურ მოძრაობებზე, რომელთა მიზანი ქალთა მდგომარეობისა და გამოცდილებების აღწერა-ანალიზი, ქალის ავტორიტეტის წინ წამოწევა და მამაკაცის თანასწორი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული უფლებების მოპოვებაა. სტატიებში გაანალიზებულია საზოგადოებრივი და პოლიტიკური წინააღმდეგობის ის მრავალფეროვანი მექანიზმები, რომელთა დაძლევა წარმოადგენს ქალთა თანაბარი უფლებებისთვის ბრძოლის მთავარ ამოცანას.

თავი 1. გენდერული საკითხის ზოგადი მიმოხილვა

მე-20 საუკუნემ, რომელმაც ახლებურად გაიაზრა საზოგადოებრივ-კულტურული ცნებები და ტრადიციული ღირებულებები, დღის წესრიგში ბევრი ახალი მიდგომა დააყენა. მათ შორისაა სქესის ახლებური ინტერპრეტაცია კულტუროლოგიურ ჭრილში. რამდენადაც გენდერის თეორია მჭიდროდ უკავშირდება ფემინისტურ საკითხებზე ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის კვლევას, შესაბამისად, საჭიროდ მივიჩნიეთ გენდერული საკითხის თაობაზე მოკლე მიმოხილვა წარმოგვედგინა.

1968 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტის ფსიქოანალიტიკოსმა რობერტ სტოლერმა მეცნიერებაში შემოიტანა ტერმინი „გენდერი“¹, როგორც „სოციალური სქესის“ აღმნიშვნელი სიტყვა. ეს ტერმინი გულისხმობს განსხვავებას ქალსა და კაცს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობითა და კულტურული სტერეოტიპებით. რობერტ სტოლერის კონცეფცია სწორედ „ბიოლოგიური“ და „კულტურული“ სქესის გამიჯვნას გულისხმობდა. მისმა კვლევებმა ბიძგი მისცა თანამედროვე ჰუმანიტარულ ცოდნაში განსაკუთრებულ მიმართულებას - გენდერული კვლევების ჩამოყალიბებას (Stoller, 1968).

ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებით, გენდერი სოციოკულტურული ფენომენია, რომელიც ასახავს ქალად და კაცად ყოფნის თავისებურებებს საზოგადოებაში. „ჩვეულებრივ, კულტურები და საზოგადოებები განსაზღვრავენ ნორმატიულ როლურ ქცევას და აადვილებენ ინდივიდთა ურთიერთკავშირს“ (Lindsey, 2015, გვ.

¹ გენდერი (Gender - სქესი, გვარი) - სოციალური სქესი, განსხვავება კაცსა და ქალს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით. გენდერი სოციოკულტურულ ფენომენს წარმოადგენს და მოიცავს ქალად და კაცად ყოფნის სოციალურ, ფსიქოლოგიურ, კულტურულ ან სხვა გენდერული იდენტობისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს ამა თუ იმ საზოგადოებაში. ტერმინი გამოიყენება ადამიანის სქესობრივი კუთვნილების სოციო-კულტურული ასპექტის აღსანიშნავად. გენდერი შეიძლება მოიცავდეს სქესზე დაფუძნებულ სოციალურ სტრუქტურებს ანუ გენდერულ როლებს, რასაც, თავის მხრივ, საზოგადოება ქმნის, მისთვის დამახასიათებელი კულტურული ნორმებითა და ფასეულობებით.

54). საზოგადოებებისთვის დამახასიათებელ კულტურულ ნორმებსა და ფასეულობებზე დაყრდნობით იქმნება ქალისა და კაცის სოციალური ანუ გენდერული როლები. საზოგადოებასა და ოჯახში ფუნქციების გადანაწილება სწორედ ასეთ წინასწარ ჩამოყალიბებულ გენდერულ როლებს ეფუძნება.

გენდერული როლებისა და სტერეოტიპების განვითარება შემთხვევითი არაა და იგი სხვადასხვა სოციოკულტურულ ფაქტორს ეყრდნობა, როგორებიცაა ტრადიცია, რელიგია, ტაბუ, ყოფითი სამართალი და სხვ. მათ შორის უპირველესია ოჯახი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებაში. ბავშვობაში მიღებული ინფორმაცია, ჩამოყალიბებული სტერეოტიპები და ცრურწმენები ღრმად არის გამჯდარი თითოეული ადამიანის გონებასა და ქცევაში და მათი გავლენა ინდივიდზე ზრდასრულ ასაკშიც გრძელდება.

ამკარაა, რომ სოციოკულტურული ნორმები და საზოგადოებაში დამკვიდრებული წესები, ცხოვრების ყველა ეტაპზე, განსხვავებულ უფლებებს, როლებსა და პასუხისმგებლობებს აკისრებს ქალებს და მამაკაცებს. გენდერული როლები და სტერეოტიპები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იფიქრონ, ისაუბრონ, ჩაიცვან და იურთიერთონ საზოგადოებასთან მამაკაცებმა და ქალებმა. „უფრო კონკრეტულად, გენდერული სტერეოტიპი არის მამრობითი და მდედრობითი სქესის მახასიათებლების ღრმად ფესვგადგმული აღქმა, რომელიც მხარს უჭერს კონკრეტული გენდერული როლების მუდმივობას“ (Suter, 2006).

მამაკაცისა და ქალის სოციალური როლები ეფუძნება საზოგადოების კულტურულ ნორმებს, რაც იწვევს გენდერული სისტემის შექმნას, მოიცავს სქესთა გამოჯვანას და მამაკაცური ნორმების უპირატესობას. სწორედ გენდერული ნორმები განაპირობებს ადამიანთა ქცევის წესებს დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ასეთი ნორმების ჩამოყალიბებას კი განსაზღვრავს ოჯახი, აღზრდის სისტემა, განათლება, კულტურა, რელიგია. გენდერული როლები ხშირად განსაზღვრავს ადამიანის ქცევის ფართო

სპექტრს და გავლენას ახდენს მის გადაწყვეტილებებზეც კი - როგორი ტანსაცმელი ჩაიცვას, რომელი პროფესია აირჩიოს და ა.შ.

ყველა საზოგადოება, ეთნიკური ჯგუფი და კულტურა გენდერს გარკვეულ როლს ანიჭებს და მისი შესაბამისი მოლოდინი აქვს. ტრადიციულად, მიიჩნევა, რომ გოგონები და ქალები უნდა იყვნენ თავაზიანები, კეთილგანწყობილები, თავშეკავებულები, მგრძნობიარეები, მორჩილები და პასიურები. მამაკაცები კი - დამოუკიდებლები, თავდაჯერებულები, ძლიერები, შემტევები და გაბედულები. ქალები უნდა ზრუნავდნენ ბავშვებსა და ოჯახზე, უნდა ამზადებდნენ სადილს და ასუფთავებდნენ სახლს, მათი მთავარი ფუნქცია დაოჯახება და შვილების გაჩენაა, მათ ოჯახის კეთილდღეობა საკუთარ ინტერესებზე წინ უნდა დააყენონ. ოჯახის შექმნის შემდეგ ისინი ვერ იღებენ სრულფასოვან განათლებას, რადგან უამრავ წინააღმდეგობას აწყდებიან. ესენია: ადრეული და იძულებითი ქორწინება, ადრეული ორსულობა, პატრიარქალურ საზოგადოებაში გენდერულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული ცრურწმენები და ა. შ. განათლების არქონა კი მკვეთრად ზღუდავს მათ განვითარებას. დაოჯახებასთან ერთად ქალისთვის სრულდება ყველაზე მთავარი - განვითარების პერსპექტივა, რისი უქონლობაც, თავისთავად, განათლებისა და შემოსავლის არქონას, ე.ი. ფინანსურ დამოკიდებულებას გულისხმობს და დიდწილად განაპირობებს ქალის დაქვემდებარებასა და უფლებრივ ჩაგვრას. მამაკაცების საზრუნავი კი კარიერა, ფინანსები და ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფაა.

შრომისა და სოციალური როლების დაყოფის თვალსაზრისით, საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების მიხედვით, მათი პროფესიებიც კი განსხვავებულია. ითვლება, რომ მასწავლებლები, აღმზრდელები, ძიძები და ექთნები ქალები არიან, ხოლო მფრინავები, ექიმები, ინჟინრები, სამხედრო პირები და სამართალდამცავები - კაცები. თუმცა ეს დამოკიდებულება და, შესაბამისად,

მოლოდინი, შესაძლოა, სხვადასხვა განვითარების საზოგადოებაში მეტნაკლებად განსხვავდებოდეს და, დროსთან ერთად, შეიცვალოს კიდევ.

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების განვითარებამ და ფემინისტური მოძრაობის გააქტიურებამ დღის წესრიგში დააყენა სტერეოტიპული, გაქვავებული, მყარი აზროვნებისა და შეხედულებების ახლებურად გააზრების აუცილებლობა და ექვის ქვეშ დადგა ტრადიციული პატრიარქალური მიდგომა. ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ სტერეოტიპული აზროვნება საზიანოა ადამიანისთვის. მას შეუძლია ჩაახშოს ადამიანის ინდივიდუალობა, შეაფერხოს პიროვნული და პროფესიული ზრდა. გადაჭარბებული გენდერული სტერეოტიპები ართულებს ადამიანებს შორის ურთიერთობას, რადგან ასეთი შეხედულებები არ აძლევს მათ საშუალებას, სრულად გამოხატონ საკუთარი თავი და მისწრაფებები. ასეთი ტიპის დაყოფა ხელს უწყობს პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალის ჩაგვრას და მის მეორეხარისხოვან ადამიანად წარმოჩენას, რადგან გენდერული როლებისთვის დამახასიათებელია იერარქიულობა, რაც ხელს უშლის ინდივიდებს შორის თანასწორობას. თანამედროვე საზოგადოება კი ცდილობს, შექმნას თანასწორი გარემო სოციუმსა და ოჯახში.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წესდებაზე დაყრდნობით, „გენდერული თანასწორობა ნიშნავს იმას, რომ ქალები და კაცები, გოგონები და ბიჭები სარგებლობენ ერთი და იმავე უფლებებით, რესურსებით, შესაძლებლობებითა და დაცვით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გოგონები და ბიჭები, ან ქალები და კაცები ერთნაირები არიან და მათ ერთნაირად უნდა მოექცნენ“ (UNICEF, 2011). გენდერული თანასწორობა, უპირველეს ყოვლისა, არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება, თუმცა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გოგონებს ეს უფლება სხვადასხვა მიზეზით ეზღუდებათ.

თავი 2. ფემინიზმის ჩამოყალიბება და განვითარება დასავლეთის ქვეყნებში

ჯერ კიდევ პირველყოფილი გვაროვნული წყობილების ადრეულ ეტაპზე, როდესაც გვაროვნული ჯგუფები ქალის ხაზით ნათესაობის საფუძველზე იქმნებოდა, ქალის ავტორიტეტმა ძალიან მოიმატა. მან შეძლო ეკონომიკური დამოუკიდებლობის, ძალაუფლებისა და ტომში გადაწყვეტილებების მიღების უფლების მოპოვება². თუმცა მოგვიანებით, საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ, არაერთი უძველესი კულტურა საზოგადოებრივი წყობის პატრიარქალურ მოდელს ემყარებოდა და ქალების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა. მსგავსი ტიპის დამოკიდებულება ათასწლეულების წინ, სოციალური განვითარების ადრეულ საფეხურზე, მამაკაცსა და ქალს შორის შრომის პირველადმა დანაწილებამ განსაზღვრა და დაადგინა მათი არსებობის სრულიად განსხვავებული პირობები. შრომის დანაწილებამ ქალი არათანაბარ, მამაკაცზე დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩააყენა. თითქოს პირიქით უნდა მომხდარიყო, რადგან ქალი წარმოადგენდა ნაყოფიერების მთავარ საწყისს და ფლობდა ყველაზე ძვირფას თვისებას - სიცოცხლის გამრავლების უნარს. სწორედ ამ უნარმა განსაზღვრა ქალსა და მამაკაცს შორის როლების არათანაბარი განაწილება. კაცს სამყაროს შესწავლის, მასზე ბატონობისა და, შესაბამისად, ისტორიის განვითარებაში სუბიექტის როლი ერგო, ქალს კი - შვილების გაჩენისა და გაზრდის, სახლზე და ყოფით საქმეებზე ზრუნვის,

² „არსებობს მოსაზრება, რომ მატრიარქატი სოციალური წყობის ჰიპოთეზური ფორმაა და არ არსებობს მეცნიერულად ზუსტად დადასტურებული მონაცემები ქალთა წყობის არსებობის შესახებ. თუმცა ისეთი არგუმენტები, როგორიცაა მითებში ქალ-ღმერთებისა და ამორძალების არსებობა, ანთროპოლოგებს აფიქრებინებს ისტორიამდელ წყობაში ქალების აბსოლუტური ძალაუფლების არსებობას“ (მერკვილამე, 2003).

„საკითხთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მორგანის თვალსაზრისით, კლასიკურმა პირველყოფილმა საზოგადოებამ არ იცის სქესთა უთანასწორობა. ენგელსი მიიჩნევდა, რომ პირველყოფილი მატრიარქალური კლანი საზოგადოებრივი წყობის ერთ-ერთი ადრინდელი ფორმაა და ზოგიერთ ხალხში წინ უსწრებს პატრიარქატს, მაგრამ დედის უფლებებზე დამყარებული სამართლებრივი სისტემის დამხობამ დააფუძნა პატრიარქალური ოჯახი, რასაც მოჰყვა მამაკაცის უპირატესობაზე დამყარებული მონოგამიური ოჯახური ერთეულის წარმოქმნა. ამ დებატებმა სათავე დაუდო ფემინისტურ ანთროპოლოგიასა და ფემინისტურ სოციოლოგიას. რადიკალური ფემინიზმისგან განსხვავებით, თანამედროვე ფემინისტურ აზროვნებას მატრიარქატი ესმის, როგორც ქალით ორიენტირებული ან მასზე გულისყურმიპყრობილი საზოგადოებები და კულტურები“ (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004, გვ. 160-161).

მამაკაცზე დამოკიდებულის როლი. იმ შეხედულების გასამყარებლად, რამაც მამაკაცსა და ქალს შორის იერარქიული დაქვემდებარებულობა გამოიწვია, წარმოიშვა ე.წ. მითები თითოეული სქესის „ბუნებრივ დანიშნულებაზე“, განსაკუთრებით კი, „მამრობითი“ და „მდედრობითი“ ხასიათის შესახებ. თუმცა ეს მითები არაფერს ამბობდა სქესთა „ბუნებრივი დანიშნულებისა“ და „მამრობითი“ და „მდედრობითი“ სქესის მახასიათებლებზე. მითები მხოლოდ სქესთა შორის ურთიერთობაში მკაცრ დაქვემდებარებას უსვამდა ხაზს: მამაკაცი მმართველი და ბატონია არა მარტო სახელმწიფოში, არამედ ოჯახშიც და გვარშიც, ქალი კი - ქმრის ცოლი და მისი ძალაუფლების ობიექტი. ამ პრინციპის მიხედვით, მამრობითი და მდედრობითი სქესი არა ორი ურთიერთდაკავშირებული, არამედ საპირისპირო საწყისია: პირველი - ძირეული, დადებითი, აქტიური; მეორე - წარმოებული, უარყოფითი, პასიური.

მართალია, ანტიკური სამყარო (ძვ.წ. V-IV საუკუნეები) დემოკრატიულ პრინციპებს ემყარებოდა, ქალების მდგომარეობა მაინც დაქვემდებარებული რჩებოდა. ისინი არ წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ პიროვნებებსა და მოქალაქეებს და მთელი სიცოცხლის მანძილზე ოჯახის მამაკაცი წევრების ზედამხედველობის ქვეშ რჩებოდნენ. სახელმწიფოში ქალები, ყველა სფეროში, მამაკაცებთან შედარებით უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ და საზოგადოება ამას გონებრივი და ფიზიკური სისუსტეებით ხსნიდა. ასეთი წესრიგის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი ანტიკური სამყაროს ცნობილი ფილოსოფოსების შრომებმაც შეიტანა. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პითაგორა (ძვ.წ. 580-ძვ.წ. 500) დარწმუნებით ამბობდა, რომ „არსებობს დადებითი პრინციპი, რომელმაც შექმნა წესრიგი, სინათლე, მამაკაცი და უარყოფითი პრინციპი, რომელმაც შექმნა ქაოსი, ბინდი და ქალი“. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე (ძვ.წ. 384 - ძვ.წ. 322) კი, ნაშრომში „ცხოველების წარმოშობის შესახებ“ ამტკიცებდა რომ, „ქალი - მდედრია გარკვეული თვისებების ნაკლებობის გამო... იგი იტანჯება ბუნებრივი არასრულფასოვნებით. ქალი მხოლოდ მასალაა, მოძრაობის

პრინციპს კი სხვა, მამაკაცური, საუკეთესო, ღვთაებრივი უზრუნველყოფს“ (Айвазова, 1998).

მიუხედავად ამისა, იყვნენ ისეთი ფილოსოფოსებიც, რომლებიც განსხვავებულად ფიქრობდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ ქალების შესაძლებლობებში. პლატონი (ძვ.წ. 427 - ძვ.წ. 347) თავის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ნაშრომში, „სახელმწიფო“, ქალებთან მიმართებით თანასწორობის პრინციპს სრულად იცავდა. იგი თვლიდა, რომ ქალებს აქვთ მამაკაცის ტოლფასი „ბუნებრივი შესაძლებლობები“ ძველი საბერძნეთის დასაცავად და სამართავად. ნაშრომში პლატონი ამბობს: „სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში არ არსებობს საკუთრივ ქალისათვის და საკუთრივ მამაკაცისათვის განკუთვნილი საქმე; არა; ბუნებამ ერთი და იგივე უნარი უწილადა ერთსაც და მეორესაც, ასე რომ, თავისი ბუნებით, ქალსაც და მამაკაცსაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ერთსა და იმავე საქმეში“ (მეტრეველი, 2005, გვ. 15).

რა თქმა უნდა, პლატონს ყველა არ ეთანხმებოდა. როდესაც ძვ. წ. III საუკუნეში, კაპიტოლიუმის ბორცვზე, რომაელმა ქალებმა მასიური პროტესტი მოაწყვეს ოპიონის კანონის გამო (ძვ.წ. 215), რომელიც, სახელმწიფო ხაზინაში ფულის დაზოგვის მიზნით, ზღუდავდა ქალების ოქროზე და სხვა ძვირადღირებულ საქონელზე წვდომას, რომის კონსული, მარკუს პორციუს კატონი (უფროსი) (ძვ.წ. 234 - ძვ.წ.149), აღნიშნავდა: „ახლა თუ გაიმარჯვეს, რას ეცდებიან? როგორც კი თანასწორობას მიაღწევენ, ზემდგომეზად იქცევიან“. მიუხედავად კატონის წინააღმდეგობისა, ქალთა პროტესტმა შედეგი გამოიღო და კანონი გაუქმდა (Onion A., Sullivan M., Mullen M., Zapata Ch., 2019).

ეს აჯანყება განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოჩნდა, რადგან ისტორიული ჩანაწერების უმეტეს ნაწილში მხოლოდ ცალკეული, ერთეული ადამიანები საუბრობდნენ ქალების არასრულფასოვანი სტატუსის შესახებ. საუკუნეების შემდეგ, აღორძინების ხანაში, მე-14 საუკუნის ბოლოს და მე-15 საუკუნის დასაწყისში, საფრანგეთში, წარმოშობით ვენეციელი პოეტი და პირველი ფემინისტი

ფილოსოფოსი, ქრისტინ დე პიზანი (1364-1430), ქალთა განათლების მხარდამჭერი მოწოდებებით ღიად დაუპირისპირდა ქალების მიმართ გაბატონებულ შეხედულებებს. ის იყო პირველი ფემინისტი ქალი ავტორი, რომელიც თავის შრომებში ღიად საუბრობდა ქალთა განათლების აუცილებლობის შესახებ. მის პროზაულ ნაწარმოებებს შორისაა „ქალთა ქალაქი“ (1405), სადაც საუბარია ქალთა მიმართ საზოგადოების უსამართლო დამოკიდებულებაზე და გმირობითა და სათნოებით ცნობილი ქალების შესახებ გვიამბობს (Britannica, 2000). იგი აღწერს ქალთა ქალაქს, როგორც იდეალურ თავშესაფარს ყველა ღირსეული ქალისთვის, რომელიც განიცდის ჩაგვრას და უსამართლობას გარშემომყოფი მამაკაცებისა და საზოგადოების მხრიდან.

ე.წ. „კამათი ქალების შესახებ“ ინგლისში მე-16 საუკუნის ბოლოს დაიწყო, როდესაც პამფლეტისტები შეუერთდნენ ბრძოლას ქალის ნამდვილ ბუნებასთან დაკავშირებით. ადრეული ფემინისტური პროტესტის ყველაზე თვალშისაცემი გამოვლინებები მოიცავს მე-17 საუკუნის პამფლეტისტი ქალების აფრი ბენინისა (1640-1689) და მერი ესტელის (1666-1731) შემოქმედებას. ისინი იცავდნენ ქალთა უფლებებს და მიიჩნევდნენ, რომ ქალი ისეთივე თავისუფალი და სრულფასოვანია, როგორც მამაკაცი. ქალისა და მამაკაცის თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ მოსაზრებას მე-17 საუკუნის მამაკაცი ავტორებიც იზიარებდნენ. მათ შორისაა ფრანსუა პულენ დე ლა ბარი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ქალთა დისკრიმინაციას და მხარს უჭერდა ქალებსა და მამაკაცებს შორის სოციალურ თანასწორობას. მან 1673-1675 წლებში გამოაქვეყნა სამნაწილიანი ნაშრომი (1. „ორივე სქესის თანასწორობის შესახებ: ფიზიკური და მორალური დისკურსი“; 2. „ქალების განათლება: გონების წარმართვა მეცნიერებასა და მორალში“; 3. „კაცთა ბრწყინვალეობა: სქესთა თანასწორობის წინააღმდეგ“) ქალთა მდგომარეობის შესახებ. ნაშრომში „ორივე სქესის თანასწორობის შესახებ: ფიზიკური და მორალური დისკურსი“, ავტორმა უარყო მოსაზრება მამაკაცისა და ქალის გონებრივი განსხვავებულობის თაობაზე და აღნიშნა, რომ „გონებას სქესი არ აქვს“ (Barre F. P., 2002). ქალთა თანასწორობის მომხრე

ფრანსუა პულენ დე ლა ბარი საუბრობს რელიგიურ და საგანმანათლებლო სასწავლებლებში ქალთა მიმართ არათანაბარი გარემოსა და მოპყრობის შესახებ, რასაც კულტურულ ცრურწმენებს მიაწერს. მისი აზრით, „ქალთა უთანასწორობა არის მამაკაცური უხეში ძალის მიერ მათი დაქვემდებარების შედეგი და არა „ბუნებით განპირობებული“ (Пушкарева). იგი მხარს უჭერს ქალებისთვის ნამდვილი და ხარისხიანი განათლების მიღების აუცილებლობას. ამტკიცებს, რომ ყველა სფერო, მათ შორის, სამეცნიერო, ღია უნდა იყოს მათთვის (Barre F. P., 2002). ნაშრომებში - „ქალების განათლება: გონების წარმართვა მეცნიერებასა და მორალში“ და „კაცთა ბრწყინვალეობა: სქესთა თანასწორობის წინააღმდეგ“ - ავტორი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქალთა განათლების აუცილებლობას და უარყოფს მათ მოსაზრებებს, ვინც ეწინააღმდეგება სქესთა შორის თანასწორობას.

ფრანგი მწერლის ამ მოსაზრებას იზიარებდნენ განმანათლებლობის პერიოდის მოღვაწეები. ფილოსოფოსების ერთი ნაწილი - ფრანსუა მარი არჟე ვოლტერი (1694-1778), დენი დიდრო (1713-1784), კლოდ ადრიან ჰელვეციუსი (1715-1771) - თვლიდნენ, რომ ქალებს შეუძლიათ და უნდა მიიღონ კიდევ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ მათი ღირსების შემლახავი მდგომარეობა მათივე აღზრდის ხარვეზების, სამოქალაქო განათლების ნაკლებობისა და დამამცირებელი სამოქალაქო წესებისა და კანონების არსებობის შედეგია. ისინი ყურადღებას გენდერის ნიშნით უთანასწორობაზე ამახვილებდნენ. თუმცა ფილოსოფოსთა მეორე ნაწილი - ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) და შარლ ლუი დე მონტესკიე (1689-1755) - ქალებს მამაკაცის დაქვემდებარებაში მყოფ არსებებად წარმოიდგენდნენ, რომელთა მთავარი ფუნქცია და დანიშნულება შვილების გაჩენა და ერის გამრავლებაა. მათი აზრით, რთულია ერთდროულად იყო კარგი მოქალაქე და კარგი მეოჯახე, ამიტომ ისინი ამ ორი სფეროს გამიჯვნას, ქალების სამოქალაქო საზოგადოებიდან გამორიცხვასა და მათ კერძო და საოჯახო სფეროში დამკვიდრებას გვთავაზობენ. იმდროინდელ აღზრდის სისტემას ვაჟები სახელმწიფო მოღვაწეებად და მოქალაქეებად უნდა მოემზადებინა, გოგონები კი - დედაბად და ცოლებად. ამას ისიც მოწმობს, რომ ჟან-

ჟაკ რუსოსა და შარლ ლუი დე მონტესკიეს შეხედულებებზე დაყრდნობით შექმნილ, საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის მთავარ დოკუმენტში, „ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია“, არაფერი იყო ნათქვამი ქალის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით. დოკუმენტი ქალების მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე მიიღეს, რომლის მიხედვითაც მხოლოდ მამაკაცები გამოცხადდნენ თავისუფალ და თანასწორ მოქალაქეებად.

ფრანგი ქალები არ უპირისპირებდნენ თავს ძლიერი სქესის წარმომადგენლებს, თუმცა ყურადღებას ამახვილებდნენ თავიანთი უფლებების ნაკლებობაზე და რევოლუციისგან ელოდნენ, რომ „თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის“ პრინციპი შეცვლიდა მათ ცხოვრებას უკეთესობისკენ და მათი სამოქალაქო უფლებების აღიარებას მოიტანდა. მიუხედავად ამისა, 1791 წლის საფრანგეთის კონსტიტუციამ ქალები საზოგადოების „პასიურ“ წევრებად მოიხსენია და მათ ხმის მიცემისა და არჩევანის უფლება არ მისცა. არაერთი მცდელობის მიუხედავად, ქალებმა ვერ მოიპოვეს „თავისუფალი“ და „თანასწორი“ მოქალაქეების სტატუსი. სწორედ ამან გამოიწვია მე-18 საუკუნის ბოლოს, საფრანგეთში, ქალთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის მოძრაობის - ფემინიზმის³ გაჩენა. მოძრაობის მთავარი მიზანი იყო ქალთა უფლებების აღიარება და გათანაბრება ყველა სფეროში. ქალები კარგად იაზრებდნენ საკუთარ ადგილს საზოგადოებაში და, იმავდროულად, იბრძოდნენ მათი ჩაგვრისა და შევიწროების განმაპირობებელი კულტურული ნორმების შესაცვლელად. ამ პერიოდიდან ქალთა უფლებების საკითხები საზოგადოებრივი განხილვის საგანი გახდა (Пушкарева).

³ ფემინიზმი (Femina - ქალი) – თეორიების, იდეოლოგიებისა და სოციალური მოძრაობების ერთობა, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა მდგომარეობისა თუ გამოცდილების აღწერასა და ანალიზს, სქესთა პოლიტიკური, ეკონომიკური, პირადი და სოციალური თანასწორობის განსაზღვრასა და დამკვიდრებას. სიტყვა ფემინიზმი მე-18 საუკუნის ბოლოს დაამკვიდრა ფრანგული უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელმა შარლ ფურიემ (1772-1837), რომელიც თვლიდა, რომ ქალის სოციალური მდგომარეობა საზოგადოების პროგრესის საზომია. მან ქალთა თანასწორობის მომხრეებს ფემინისტები უწოდა.

საფრანგეთში ქალთა მოძრაობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ფრანგი მწერალი და ჟურნალისტი ოლიმპია დე გუჟი (1748-1793). ფემინიზმის, ამ ახალი სოციალური ფენომენის, პირველი დოკუმენტი უდავოდ იყო 1791 წელს ოლიმპია დე გუჟის მიერ გამოქვეყნებული „ქალისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია“, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის მთავარი დოკუმენტზე, „ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია“, პასუხს წარმოადგენდა. დოკუმენტი ქალთა პოლიტიკური უფლებების, მათთვის ხმის მიცემის, საჯარო თანამდებობების დაკავების, გოგონებისთვის სასკოლო განათლების ხელმისაწვდომობის, ორივე სქესისთვის თანაბარი უფლებების მინიჭების შესახებ არაერთ მოთხოვნას შეიცავდა.

დე გუჟი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც იცავდა ქალების, ობლების, ღარიბების, უმუშევრების, მოხუცებისა და უკანონოდ გაჩენილი ბავშვების უფლებებს. იგი ითხოვდა ქალთა გენერალური ასამბლეის დაარსებას, რომელიც წამოჭრიდა ქალთა საკითხებსა და პრობლემებს და ითანამშრომლებდა მამაკაცების გენერალურ ასამბლეასთან ამ პრობლემების გადასაჭრელად. დე გუჟი ასევე ითხოვდა სიტყვის სრულ თავისუფლებას ქალებისათვის. ასამბლეაში გამოსვლისას მან განაცხადა: „თუ ქალს ემაფოტზე ასვლის უფლება აქვს, მას ტრიბუნაზე ასვლის უფლებაც უნდა ჰქონდეს“ (საბედაშვილი, 2006, გვ. 20). 1791 წელს მან ასევე შექმნა „რევოლუციონერ რესპუბლიკელ ქალთა საზოგადოება“, რომელიც ცდილობდა საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუციით მიღებული დებულებების გასაჩივრებას. ახლად შექმნილი საზოგადოების ზეწოლით, 1793 წლის 9 ნოემბერს, ისტორიაში პირველად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობის შესახებ. თუმცა საზოგადოების საქმიანობა 1793 წელს კონვენციით აიკრძალა, ხოლო დეკლარაციის ავტორი გილიოტინაზე დასაჯეს. 1795 წელს ფრანგ ქალებს აკრძალათ საჯარო ადგილებში ჯგუფურად შეკრება და პოლიტიკურ შეხვედრებზე გამოჩენა. 1804 წლიდან კი, იმპერატორ ნაპოლეონის მიერ გამოცემული სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქალებს არ ჰქონდათ სამოქალაქო უფლებები და მამის ან ქმრის მეურვეობის ქვეშ

იმყოფებოდნენ (Woolfrey). ნაპოლეონის მიერ გამოცემული სამოქალაქო კოდექსი, ფაქტობრივად, ამტკიცებდა, რომ ქალი ქმრის გარეშე არაფერია, მას არც შემოსავლის მართვა შეუძლია და არც კანონის წინაშე პასუხის გაცემა.

იმავე პერიოდში, 1792 წელს, ინგლისელმა მწერალმა და ფილოსოფოსმა მერი უოლსტონკრაფტმა (1759-1797) გამოსცა წიგნი „ქალის უფლებების დაცვა“, რომელიც ფემინისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი პირველი ნაშრომია. თავის ტრაქტატში იგი უპირისპირდება ქალის ბუნების, უნარების, აზროვნების, ადგილისა და დანიშნულების შესახებ მანამდე არსებულ მოძველებულ შეხედულებებს და ყურადღებას ამახვილებს აღზრდის სისტემაზე, ქალის განათლების აუცილებლობაზე, პიროვნულ განვითარებაზე და მიუთითებს, რომ რაციონალური აზროვნების უნარი სულაც არაა დამოკიდებული სქესზე. იგი მიიჩნევს, რომ გონება არის ადამიანის უმაღლესი უნარი, რომლის განვითარება და გამოყენება როგორც ქალების, ასევე მამაკაცების დანიშნულებაა (ბრეგვაძე ბაჩანა, ცხადაძე თამარ, ნოდია გია და სხვ., 2019). აქედან გამომდინარე, მწერლის მოთხოვნათა შორის იყო: მიეცათ ქალებისთვის განათლების უფლება, მიენიჭებინათ მათთვის ეკონომიკური თავისუფლება და, მამაკაცების მსგავსად, მათაც ჰქონოდათ იურიდიული და სამოქალაქო უფლებები.

თუმცა მე-18 საუკუნის მოღვაწეები და თეორეტიკოსები ორ ნაწილად იყოფიან თავიანთი შეხედულებების მიხედვით (რომელთა შორის ქალის უფლებების დამცველებიც ბევრი იყვნენ), შემდგომმა მოვლენებმა ქალის მდგომარეობა და სტატუსი უფრო მეტად დაამძიმა. ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთა შორის იყვნენ, კონსერვატორი ლუი დე ბონალდი (1754-1840), სოციალური იერარქიისა და მონარქიის მხარდამჭერი ჟოზეფ დე მესტრი (1753-1821), იზიარებდნენ მოსაზრებას ქალის წარუმატებლობის შესახებ და ეთანხმებოდნენ ტრადიციულ შეხედულებას „სქესის ბუნებრივ დანიშნულებასა“ და „ქალების გონებრივ შეზღუდულობაზე“. მათ მიაჩნდათ, რომ ქალს ძალიან ამძიმებს დედობა.

მისი საქციელი ხშირად უკონტროლო, ნერვიული და ისტერიკისკენ მიდრეკილია. გარდა ამისა, მას არ აქვს საკმარისი განათლება და, შესაბამისად, კოლექტიური ფსიქოზის საფრთხე სწორედ მისგან მომდინარეობს (Айвазова, 1998).

განმანათლებლობის პერიოდი, ერთგვარად, პოლიტიკური დუდილის ეპოქად გადაიქცა და საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის 1848 წლის რევოლუციებით დაგვირგვინდა. ქალთა პროტესტს და წინააღმდეგობას მხარს უჭერდნენ მამაკაცი ავტორებიც. ქალთა უფლებების დამცველ მამაკაც მოღვაწეთა შორის საინტერესოა ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ სტიუარტ მილის (1806-1873) მოღვაწეობა. ამ ეპოქაში იგი იყო ერთ-ერთი პირველი მამაკაცი ავტორი ქალთა უფლებების დაცვის კუთხით. 1869 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, „ქალთა დაქვემდებარებულობა“, ის საუბრობს ქალის როლზე ქორწინებაში და ამტკიცებს, რომ ქალების ჩაგვრა არის უძველესი დროიდან შემორჩენილი ერთ-ერთი „რელიკვია“, ცრურწმენების ერთობლიობა, რომელიც ძლიერ აფერხებს კაცობრიობის პროგრესს. ჯონ სტიუარტ მილი ქალის დაქვემდებარების საფუძველს მამაკაცზე ეკონომიკურად დამოკიდებულებაში ხედავს და მიიჩნევს, რომ საქმიანობის სფეროსა და ინტერესების თავისუფლად არჩევის გარეშე, ქალი რეალურ თავისუფლებას ვერასდროს მოიპოვებს. იგი თავის ნაშრომში წერს: „გათხოვებისას ქალი უკვე ირჩევს საქმიანობის სფეროს ისევე, როგორც მამაკაცი პროფესიის არჩევისას. შეიძლება ითქვას, რომ იგი საკუთარ სიცოცხლეს მეურნეობის გაძლოლასა და ბავშვების აღზრდას უძღვნის იმდენი წლის მანძილზე, რამდენიც ამ საქმეს სჭირდება. ამასობაში, ქალი უარს ამბობს არა ყველა სხვა საქმეზე, არამედ მხოლოდ ისეთზე, რომელიც მის მიერ არჩეულ საქმიანობაში დააბრკოლებს. სახლის გარეთ მუდმივი მოღვაწეობა დაოჯახებული ქალების გეგმაში არ შედის, თუკი საამისო საჭიროება სხვებს არ გაუჩნდათ“ (Mill, 2005, გვ. 23).

თანამედროვე დასავლური ფემინისტური მოძრაობის ისტორია, პირობითად, რამდენიმე ტალღადაა დაყოფილი. მე-19 საუკუნე ქალისთვის არის მისი

სოციალური იდენტობის ძიების პროცესი. საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ უტოპიური სოციალისტები, რომელთაც სოციალური და ფილოსოფიური კონცეფციების განვითარებით ხელი შეუწყვეს ფემინისტური თეორიების ჩამოყალიბებას. ქალის წარუმატებლობის შესახებ დამკვიდრებულ მოსაზრებას თავისი შრომებით არ ეთანხმებოდა ფრანგული უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელი ფრანსუა მარი შარლ ფურიე (1772-1837). იგი 1808 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში „ოთხი მოძრაობის თეორია“ აღნიშნავდა: „ზოგადად, პროგრესი და ისტორიული პერიოდების ცვლილება თავისუფლების გზაზე ქალთა მოძრაობის შედეგების მიხედვით ხორციელდება, ხოლო სოციალური წესრიგის რეგრესი ნიშნავს ქალის თავისუფლების შემცირებას. ქალთა უფლებების გაფართოება არის სოციალური პროგრესის ზოგადი პრინციპი“ (Айвазова, 1998). ამ მოსაზრებას იზიარებდა ფრანგი სოციალისტი თეორიტიკოსი ჰენრი დე სენ-სიმონი (1760-1825). იგი ფურიესთან ერთად მიიჩნევდა, რომ მხოლოდ განათლებასა და განმანათლებლობას შეუძლია დაასრულოს სქესთა შორის უთანასწორობა. ისინი თვლიდნენ, რომ „კაცი და ქალი სოციალური ინდივიდია“, რომელთაც თანაბარი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები უნდა ჰქონდეთ, ოჯახზე ზრუნვიდან დაწყებული, სასიყვარულო პარტნიორული ურთიერთობებით დამთავრებული (Пушкарева). მათი შეხედულებები მიზნად ისახავდა კაცობრიობის ცხოვრების მშვიდობიან რეორგანიზაციას, უხეში ძალის ავტორიტეტის შეცვლას ცოდნისა და ხელოვნების ავტორიტეტით, ქორწინებაში მეუღლეთა თანასწორობას, დაქვემდებარებული პოზიციების შესუსტებას და თანდათან გაქრობას, რითიც, საბოლოოდ, მამაკაცის ქალზე ბატონობა და მეურვეობა დასრულდებოდა. უტოპისტები, ამ ორი ფრაზით, ფაქტობრივად, გასცდნენ ქალის „ბუნებრივი მიზნის“ განსჯას, ყოველგვარი ხელყოფის გარეშე, და გენდერული ურთიერთობების არსის შესახებ საზოგადოებრივ აზრს და იდეებს ახლებური ხედვა შესძინეს. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა იმის თქმა, რომ ქალს, გარდა რეპროდუქციული ფუნქციისა, შეიძლება სოციალური და სამოქალაქო ფუნქციაც ჰქონდეს და რომ ეს ორი ფუნქცია

არათუ არ ეწინააღმდეგება, არამედ პირიქით, ავსებს ერთმანეთს. ამ მიდგომებისა და ამოცანების პრაქტიკაში განხორციელება არცთუ ისე მარტივი და წარმატებული იყო. უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლების მოსაზრებებმა გამოხმაურება და გავრცელება მხოლოდ ფრანგული და ინგლისური საზოგადოების განათლებულ ნაწილში ჰპოვა, თუმცა, იმავდროულად, ხელი შეუწყო ფემინისტური იდეოლოგიის გაძლიერებას.

მე-19 საუკუნის შუა ხანებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფემინისტური მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა და საზოგადოებრივი კამპანიებისა და აქციების სახე მიიღო. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ქალთა ორგანიზებული მოძრაობა, რაც მასობრივ დემონსტრაციებს, გაზეთების გამოცემას, ორგანიზებულ დებატებსა და, ისტორიაში პირველად, ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციების⁴ დაარსებას მოიცავდა. ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალთა განათლების საკითხი გამოსვლების მთავარ თემად იქცა, რასაც ქალთა საარჩევნო ხმის უფლებისთვის მოთხოვნები მოჰყვა. გარდა ამისა, აქციების მონაწილეები ითხოვდნენ ქალთა თანაბარუფლებიანი საქორწინო კონტრაქტის, განქორწინების, შვილების აღზრდისა და საკუთრების უფლების აღიარებას. ქალთა თანაბარი სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლა ისტორიაში „სუფრაჟიზმის“⁵ ანუ „საარჩევნო მოძრაობის“ სახელით შევიდა. ქალთა ბურჟუაზიული მოძრაობის მონაწილეებმა კარგად იცოდნენ, რომ სამართლებრივი, ეკონომიკური თუ საგანმანათლებლო უფლებებისთვის ბრძოლა, პოლიტიკური უფლებების მოპოვების გარეშე, შეუძლებელი იყო. მათ მართლაც მიაღწიეს წარმატებებს სამართლებრივ,

⁴ 1888 წელს ამერიკელი ფემინისტებისა და ქალთა უფლებადამცველების, ელისაბედ კედი სტენტონისა და სიუზენ ენტონის, ინიციატივით დაარსდა „ქალთა საერთაშორისო საბჭო“. მათივე მუშაობის წყალობით მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-19 შესწორება, რომელიც ქალთა ხმის მიცემის უფლების სახელითაა ცნობილი და რომელმაც მიაწია კიდევ ქალებს ეს უფლება. აღნიშნული მე-19 შესწორება რატიფიცირებულ იქნა 1920 წლის 18 აგვისტოს, რითაც დასრულდა სუფრაჟისტთა თითქმის საუკუნოვანი პროტესტი.

⁵ სუფრაჟიზმი (Suffrage - საარჩევნო უფლება, ხმის მიცემის უფლება) ეწოდა ქალთა მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავდა ქალებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლებისა და თანაბარი სამოქალაქო უფლებების მინიჭებას.

ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში. 1920-იანი წლებისთვის ქალებმა მოიპოვეს ხმის მიცემის უფლება ევროპის უმეტეს ქვეყნებში და ჩრდილოეთ ამერიკაში. მათ პირველად მე-20 საუკუნის დასაწყისში მიეცათ უნივერსიტეტში სწავლის უფლება (Feminism and Women's Rights Movements, n.d.). „სუფრაჟიზმის წარმატებამ დროებით შეაჩერა ქალთა პოლიტიკური მოძრაობის საერთო განვითარება და მომდევნო თითქმის 40 წლის განმავლობაში იგი ძილქუმის მდგომარეობაში იყო.

გამოღვიძება ანუ „ქალთა აღორძინება“ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ემანსიპაციისთვის ბრძოლის ახალი ტალღა განპირობებული იყო ღრმა სტრუქტურული ცვლილებებით სოციალურში, უპირველეს ყოვლისა კი - საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა შრომის წილის ზრდით“ (ბუსკივაძე, 2013, გვ. 13). მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ქალებმა ხელახლა დაიწყეს შეკრებების ორგანიზება და მალევე მოიპოვეს თანაბარი პოლიტიკური უფლებები ევროპის უმეტეს ქვეყნებში. 1960-იანი წლების ბოლოს ქალთა მოძრაობამ საფუძველი ჩაუყარა სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლას და ყველა ასაკის ქალი, გარემოებების მიუხედავად, აქტიურად ჩაერთო გენდერის, დისკრიმინაციისა და თანასწორობის შესახებ კამათში. ქალთა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში 1970-იანი წლებიდან აღორძინება დაიწყო. ფემინიზმის „მეორე ტალღა“ ქალთა სამართლებრივი და სოციალური თანასწორობის კამპანიას ეწეოდა და „ქალთა ემანსიპაციას“ ანუ „ქალთა განთავისუფლებას“ ისახავდა მიზნად, თუმცა სხვადასხვა ჯგუფს ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდა. საბოლოოდ, სამი მიმართულება ჩამოყალიბდა: ლიბერალ ფემინისტებს სურდათ უკეთესი თანასწორობის კანონები და ისეთი ინსტიტუტების რეფორმა, როგორებიცაა სკოლა, ეკლესია და მედია. რადიკალი ფემინისტები ამტკიცებდნენ, რომ ქალთა უთანასწორო მდგომარეობის ძირითადი მიზეზი პატრიარქატია, ყურადღებას ამახვილებდნენ მამაკაცთა მხრიდან ქალთა მიმართ ჩაგვრას, ოჯახში ძალადობასა და სექსუალურ შევიწროებაზე. სოციალისტი ფემინისტები კი ამტკიცებდნენ, რომ

ქალთა ჩაგვრის გამომწვევი მიზეზი პატრიარქატისა და კაპიტალიზმის ერთობლიობაა. მე-20 საუკუნის ფემინისტურმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა⁶ და ქალთა უფლებების შესახებ საერთაშორისო დოკუმენტების შემუშავებაში⁷ (Feminism and Women's Rights Movements, თ. გ.).

ლიბერალური ანუ რეფორმატორული ფემინიზმი მე-19 საუკუნის პირველი ტალღის ფემინიზმიდან წარმოიშვა. ლიბერალური ფემინიზმის მიმდევრებს, ძირითადად,

⁶ პირველი ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციები მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში შეიქმნა. მათ შორისაა: ქალთა საერთაშორისო საბჭო (International Council of Women, 1888), ქალთა საერთაშორისო ალიანსი (International Alliance of Women, 1902), საერთაშორისო თანამშრომლობის ქალთა გილდია (International Cooperative Women's Guild, 1883), უნივერსიტეტის ქალთა საერთაშორისო ფედერაცია (International Federation of University Women, 1918), საქმიან და პროფესიონალ ქალთა საერთაშორისო ფედერაცია (International Federation of Business and Professional Women, 1930), მსოფლიოს ახალგაზრდა ქალთა ქრისტიანული ასოციაცია (World Young Women's Christian Association, 1894), ქალთა საერთაშორისო ლიგა მშვიდობისა და თავისუფლებისთვის (Women's International League for Peace and Freedom, 1915).

⁷ 1945 წლის 26 ივნისს, სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე მიღებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations Organization, UNO) წესდების 55-ე მუხლში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს შეუწყობს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემას და დაცვას საყოველთაოდ, განურჩევლად რასის, სქესის, ენისა და რელიგიისა“. 1948 წელს შემუშავდა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ (The Universal Declaration of Human Rights, 1948), 1966 წელს კი - „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო კონვენცია“ (The International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, 1966) და „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი“ (The International Covenant on Civil and Political Rights, 1966). გარდა ამისა, სხვადასხვა დროს, ქალთა უფლებების დაცვის მიზნით შემუშავდა: „ქორწინებაზე თანხმობის, ქორწინების მინიმალური ასაკისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ კონვენცია“ (The Convention on Consent to Marriage, Minimum Age for Marriage and Registration of Marriages, 1962), „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია“ (Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women, CEDAW, 1979წ.), „ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია“ (The American Convention on Human Rights „Pact of San Jose, Costa Rica“, 1969), „ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების ამერიკული დეკლარაცია“ (The American Declaration of the Rights and Duties of Man, 1948), „ქორწინებაში მყოფ ქალთა მოქალაქეობის შესახებ კონვენცია“ (The Convention on the Nationality of Married Women, 1957), ქალებისათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭების შესახებ ინტერამერიკული კონვენცია“ (The Inter-American Convention on the Granting of Political Rights to Women, 1948), „ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ კონვენცია“ (The Convention on the Political Rights of Women, 1952) და სხვ. აღნიშნულ სამართლებრივ აქტებში ქალი, ისევე, როგორც მამაკაცი, ისტორიის სრულფასოვან სუბიექტადაა აღიარებული (OECDiLibrary, 2023).

მაღალი და საშუალო კლასის განათლებული და ინტელექტუალი ადამიანები წარმოადგენდნენ, რომლებსაც სჯეროდათ, რომ ახალი კანონმდებლობის შექმნით ნებისმიერი სოციალური ფენისა და წოდების ქალის პრობლემა მოგვარდებოდა. ისინი ყურადღებას ინსტიტუციურ და სამთავრობო დონეზე კონკრეტულ და პრაგმატულ ცვლილებებზე ამახვილებდნენ. მათი მიზანი იყო ორივე სქესის თვითრეალიზაციისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა, ქალების ინტეგრირება ძალოვან სტრუქტურებში და მათთვის თანაბარი წვდომა იმ თანამდებობებზე, რომლებსაც ტრადიციულად მამაკაცები იკავებდნენ. ლიბერალური ფემინიზმი ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებდა ქალთა საარჩევნო ხმის უფლებასა და განათლების ხელმისაწვდომობაზე⁸. ტერმინი ლიბერალური ფემინიზმი მოიცავს ბევრ, ხშირად განსხვავებულ შტოს და მრავალფეროვან ფემინისტურ და პოლიტიკურ მიმდინარეობას, მათ შორისაა: სოციალისტური ფემინიზმი, თანასწორობის ფემინიზმი, ლიბერტარიანული ფემინიზმი და სხვ.

ლიბერალური ფემინიზმისგან განსხვავებით, სოციალისტური ფემინიზმი ქალების დისკრიმინაციას და სქესთა შორის წინააღმდეგობებს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საზოგადოების ინტერესთა კონფლიქტს მიაწერდა. სოციალ-ფემინისტები გენდერული უთანასწორობის მიზეზს, პატრიარქატთან და კულტურულ ჩაგვრასთან ერთად, კლასობრივ ჩაგვრაშიც ხედავდნენ. ამიტომ თვლიდნენ, რომ ქალთა ჩაგვრას ეკონომიკური და კულტურული საფუძველი ჰქონდა და, შესაბამისად, იბრძოდნენ პატრიარქატისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ ქალთა პრობლემების გამოყოფას

⁸ ლიბერალურ-რეფორმისტულ მიდგომებს იზიარებდა ამერიკელი ფემინისტი მწერალი, ქალთა უფლებადამცველი, აქტივისტი, ქალთა ეროვნული ორგანიზაციის (NOW; 1966) დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი, ბეტი ფრიდანი (1921-2006), რომელიც თავის ნაშრომში „ქალური მისტიკა“ (1963) აღნიშნავდა, რომ ქალები, სახლის მოვლისა და ბავშვზე ზრუნვის გამო, ვერ ახერხებენ წინსვლასა და განვითარებას. მას სურდა ქალებს მეტი როლი ჰქონოდათ პოლიტიკურ პროცესში. სწორედ ამიტომ მან სხვა ფემინისტებთან ერთად ხელი შეუწყო 1971 წელს ქალთა ეროვნული პოლიტიკური ჯგუფის შექმნას.

კლასობრივი და ზოგადი სოციალური პრობლემებისგან და მიიჩნევდნენ, რომ ოჯახში, სამსახურსა და ცხოვრების სხვა სფეროებში ქალების ჩაგრული მდგომარეობის სააშკარაოზე გამოტანა ქალთა ემანსიპაციას და მათ თანაბარ პირობებში ჩაყენებას მოითხოვდა.

1879 წელს გამოქვეყნდა გერმანელი სოციალისტი პოლიტიკოსის, მწერლისა და ორატორის ავგუსტ ბებელის (1840-1913) ნაშრომი „ქალი და სოციალიზმი“, რომელიც ქალების პრობლემებს ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ჭრილში განიხილავდა. ბებელი განმარტავს, რომ ქალები ორმაგად დაუცველები არიან კაპიტალისტურ საზოგადოებაში. აღნიშნავს, რომ ისინი როგორც სოციალურად, ისე ეკონომიკურად დამოკიდებულები არიან მამაკაცებზე. ამ მდგომარეობიდან გამოსავალს კი კაპიტალისტური ეკონომიკური და სოციალური სისტემის განადგურებაში, იურიდიულ და პოლიტიკურ თანასწორობაში ხედავს. თავისი ნაშრომით ავტორმა მხარი დაუჭირა ფემინისტურ მოთხოვნებს ქალებისთვის საარჩევნო ხმის მიცემის, განათლების მიღების, უნივერსიტეტებში ჩარიცხვის, პროფესიის არჩევის, საკუთარი ქონების ფლობისა და განქორწინების პროცესის დაწყების თაობაზე და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ „არ არსებობს კაცობრიობის განთავისუფლება სოციალური დამოუკიდებლობისა და გენდერული თანასწორობის გარეშე“ (Bebel, 1910). მან სქესთა შორის თანასწორობა საზოგადოების განვითარების ერთადერთ სწორ გზად მიიჩნია.

სოციალისტურმა მოძრაობამ შეძლო მარქსისტული და ფემინისტური შეხედულებების სინთეზირება და ქალების დისკრიმინაციის ძირითად მიზეზად კერძო საკუთრება და საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა დაასახელა. მე-19 საუკუნეში, კარლ მარქსისა (1818-1883) და ფრიდრიხ ენგელსის (1820-1895) შეხედულებებმა საფუძველი ჩაუყარა ფემინიზმის სოციალისტურ ტენდენციებს, რომლებიც მოგვიანებით განვითარდა. სოციალისტური ფემინიზმის ყურადღების ცენტრში ქალების შრომის თემა მოექცა. მათ ყურადღება გაამახვილეს ეკონომიკური

ფაქტორის მნიშვნელობაზე, როგორც დამოუკიდებლობისა და თანასწორობის საფუძველზე. ფრიდრიხ ენგელსის ნაშრომი „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ (1884) სამი სახის ანალიზს გვთავაზობს: წარსულის რეკონსტრუქცია, ქალის ჩაგვრა კაპიტალიზმის დროს და ქალის ემანსიპაცია სოციალიზმის დროს. ნაშრომში ენგელსმა არ დაუშვა პროლეტარული მოძრაობისგან განცალკევებული ქალთა მოძრაობის არსებობა და იძულების პრობლემა განიხილა, არა როგორც ცალმხრივი, არამედ როგორც ურთიერთქმედების პროცესი, რომელშიც ჩაგრულებიც მონაწილეობენ. შესაბამისად, ტრადიციული ოჯახის ნებისმიერი ფორმა დომინანტურ/დაქვემდებარებულ ურთიერთობას ასახავს. მარქსიზმის ფუძემდებლების აზრით, მამაკაცსა და ქალს შორის თანაბარი ურთიერთობა ექსპლუატაციისა და ჩაგვრისგან თავისუფალ საზოგადოებაშია შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, ქალის განთავისუფლების ანუ ემანსიპაციის თემა სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის კუთხით განიხილებოდა (Айвазова, 1998). ენგელსმა ქალის ემანსიპაციის წინაპირობად კერძო საკუთრების გაუქმება დაასახელა.

ლიბერალური ფემინიზმის პრაგმატული მიდგომისგან განსხვავებით, რადიკალური ფემინიზმი მეორე ტალღის ფემინიზმის რადიკალური ფრთიდან წარმოიშვა და მიზნად ისახავდა საზოგადოების ხელახლა ჩამოყალიბებას და მისი ინსტიტუტების რესტრუქტურირებას. რადიკალი ფემინისტები ქალებს დისკრიმინირებულ, ექსპლუატირებულ, ჩაგრულ ბიოლოგიურ კლასად წარმოადგენდნენ და თვლიდნენ, რომ პატრიარქატი ავტონომიური სოციალური და ისტორიული ძალაა. ისინი ცდილობდნენ ეჩვენებინათ, თუ როგორ ხდება ქალის სხეულისა და სექსუალობის ჩახშობა პატრიარქატის პირობებში და საჯაროდ განიხილავდნენ ტაბუდადებულ თემებს - სექსუალური შევიწროება, ოჯახში ძალადობა, ქალთა რეპროდუქციული უფლებები და სხვ. რადიკალი ფემინისტები იღვწოდნენ, რომ ჩაენაცვლებინათ ტრადიციულ ძალაუფლებაზე დაფუძნებული იერარქიული ურთიერთობები, რომელიც იმთავითვე მიკერძოებული იყო და ცდილობდნენ განევიტარებინათ არაიერარქიული და ანტიავტორიტარული მიდგომები პოლიტიკაში.

ევროპელი მეცნიერების ნაშრომებში, ფემინისტური საკითხებისადმი მიდგომების საკმაოდ მნიშვნელოვანი მსგავსების პარალელურად, საინტერესოა განსხვავებული მრავალფეროვანი იდეების განვითარება, რასაც შედეგად მე-20 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან თეორიული ფემინიზმის განვითარება მოჰყვა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ინტელექტუალთა ყურადღება ყოველდღიურმა, რეალურმა ცხოვრებამ მიიპყრო. ქალთა უფლებებისთვის ბრძოლამ უფლებრივი თანასწორობის თეორიული მოთხოვნიდან ყოველდღიურ ცხოვრებაში გადაინაცვლა და თანამედროვე საზოგადოებაში ქალთა და მამაკაცთა რეალური თანასწორობისთვის ბრძოლის სახე მიიღო (Водопьянова, 2000).

ფემინიზმის თეორიულ საკითხებზე პირველი ნაშრომი 1949 წელს გამოქვეყნდა. ფრანგი მწერალი და ინტელექტუალი, ფემინისტი და თეორიტიკოსი სიმონ დე ბოვუარი (1908-1986), თავის ყველაზე გახმაურებულ ნაშრომში „მეორე სქესი“⁹, რომელიც ქალთა შევიწროების დეტალურ ანალიზს წარმოადგენს, ქალთა ჩაგვრის შესახებ დაუფარავად წერდა. ქალის ჩაგრული მდგომარეობის აღწერამ და ქალის ყოფის მისეულმა ანალიზმა, რომელიც მითების, რელიგიებისა და ტრადიციების საფუძველზე კეთდებოდა, ბევრი აღაფრთოვანა, ბევრში კი აღშფოთება გამოიწვია. ნაშრომში ავტორი გამოკვეთს ფემინიზმის ძირითად იდეას და აღნიშნავს, რომ პატრიარქატის სოციალური, ეკონომიკური და იდეოლოგიური დომინანტური მდგომარეობა არ აძლევს ქალებს საზოგადოების მატერიალურ და ინტელექტუალურ რესურსებზე წვდომის საშუალებას. პატრიარქატი აიძულებს მათ მუდმივად ითამაშონ მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლი (Водопьянова, 2000). ნაშრომში სიმონ დე ბოვუარის ყურადღების ცენტრშია არა „ქალი მასები“, არამედ ქალი პიროვნება თავისი ფიზიოლოგიური, ანატომიური, სოციალური ნორმებითა და წესებით. იგი არ

⁹ „მეორე სქესი“ („Le Deuxième Sexe“) - ფრანგი ეგზისტენციალისტის სიმონ დე ბოვუარის, 1949 წელს გამოცემული წიგნი, რომელშიც დეტალურადაა გაანალიზებული ისტორიის მანძილზე ქალის მიმართ დამოკიდებულება. ბოვუარი წიგნს 14 თვის მანძილზე წერდა. ნაშრომი ორ ნაწილად გამოქვეყნდა, ესენია: „ფაქტები და მითები“ და „ცხოვრებისეული გამოცდილება“. „მეორე სქესი“ ფემინიზმის მეორე ტალღის საწყის წერტილად მიიჩნევა. მას „ფემინიზმის ბიბლია“ უწოდეს.

უარყოფს ქალსა და მამაკაცს შორის ბიოლოგიურ სხვაობას, თუმცა აღნიშნავს, რომ ბიოლოგიური განსხვავება არ გულისხმობს მათ ეგზისტენციალურ და სოციალურ განსხვავებას. ბოვუარი დასძენს, რომ მამაკაცისა და ქალის როლები წინასწარ არ არის განსაზღვრული, არამედ განპირობებულია სოციალურ-ისტორიული გარემოებებით, რაც ისტორიის გარიჟრაჟზე, არათანაბარი შრომისა და რეპროდუქციული ფუნქციის დანაწილების პროცესში მიენიჭათ. ამ მიდგომით, მამაკაცი არის შემქმნელი, შემოქმედი, სუბიექტი და მფლობელი, ხოლო ქალი, როგორც ბუნებრივი ძალების ნაწილი - მამაკაცის ძალაუფლების ობიექტი. ბოვუარი აღნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში, სწორედ ამ მიდგომის გაზიარებით წარმოიშვა სოციალური ცნობიერების სტერეოტიპები და ამ ყველაფრის საწინააღმდეგოდ გვთავაზობს თეზისს „ქალად არ იბადებიან, ქალი ხდებიან“ (Beauvoir, 2010, გვ. 283). ამით იგი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ქალს თავისუფლებისა და თვითგანვითარებისთვის ისეთივე უნარი და პოტენციალი აქვს როგორც მამაკაცს, თუმცა მისი დათრგუნვა არღვევს ქალის პიროვნებას და არ აძლევს მას დამოუკიდებელ ადამიანად ჩამოყალიბების საშუალებას.

ბოვუარი ადამიანის ინდივიდუალიზაციის ზოგად პროცესს უკავშირებს პატრიარქალური წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების ტვირთისგან მისი გათავისუფლების პროცესს და აღნიშნავს, რომ ემანსიპაცია - ეს არის სუბიექტის ავტონომიური მოქმედება, მიმართული მოქმედება, რომელიც ქმნის საკუთარ თავისუფლებას. სწორედ ამ პროცესმა გამოიწვია დასავლეთ ევროპის საზოგადოებაში „თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის“ დემოკრატიული იდეალის მომწიფება.

სიმონ დე ბოვუარის წიგნმა „მეორე სქესი“ ისეთი დავა და კამათი გამოიწვია, რომ ვატიკანმა ის აკრძალული წიგნების ნუსხაში შეიტანა. კვლევის სიფართოვისა და სიღრმის გამო „მეორე სქესი“ დღემდე რჩება ფემინისტური ფილოსოფიისა და ქალთა კვლევების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ტექსტად. „მთელი ისტორიის განმავლობაში

პატრიარქალური კულტურა ქალს მეორეხარისხოვან არსებად წამოაჩენს კაცთან მიმართებით. ქალი არის „სხვა“, ნორმისგან, უნივერსალური სუბიექტისგან განსხვავებული, კაცის ცნობიერების ობიექტი და მას წართმეული აქვს ავტონომიური არსებობის უფლება“ - აცხადებს ბოვუარი (ასათიანი, 2021).

„სიმონ დე ბოვუარი ეგზისტენციალური მეთოდოლოგიის გამოყენებით შეეცადა ფილოსოფიური თეორიის დონეზე აეხსნა გენდერული უთანასწორობის ფენომენი და კულტურასა და საზოგადოებაში სექსიზმის წარმოშობის მიზეზები. სიმონ დე ბოვუარის ფილოსოფიური და მხატვრული შემოქმედება არის კულტურაში ქალის ფენომენის, აზროვნების, ენის, წერის მანერის, ლიტერატურის, სუბიექტობის და გამოცდილების სტრუქტურის არტიკულირების პირველი თეორიული და ფილოსოფიური მცდელობა. ამ მიმართულებებს ფილოსოფიაში მოგვიანებით ფემინიზმის ფილოსოფია ან ფემინიზმის თეორია ეწოდა“ (ბუსკივაძე, 2013, გვ. 17).

„მეორე სექსის“ გამოქვეყნების შემდეგ სიმონ დე ბოვუარის მიმდევრებმა ახლებურად, თავისუფალი ადამიანის სტანდარტებით, დაიწყეს საკუთარი თავისა და ცხოვრების შეფასება. ახალი ფემინისტური იდეოლოგიის, ნეოფემინიზმის, მთავარი მიღწევა ქალის სოციალური თვითშეგნების გაღვიძება გახდა. ნეოფემინისტების აზრით, ქალს უნდა შეეძლოს საკუთარი თავის რეალიზება სამსახურსა და შემოქმედებაში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სამყაროს მთელი ისტორია და კულტურა მამრობითი ხედვის შესაბამისად, მამაკაცური გემოვნებით იყო აგებული, ამიტომ ქალმა მამაკაცურ სტანდარტებსა და სტერეოტიპებს საკუთარი, ქალური შეხედულებები უნდა დაუპირისპიროს. ამ იდეოლოგიის მიმდევრები თვლიდნენ, რომ ქალისთვის დედობა მოვალეობა კი არა, არჩევანი უნდა იყოს, სწორედ ამიტომ იბრძოდნენ ოჯახის დაგეგმარებისა და შეგნებული დედობის ცნებების დასამკვიდრებლად. ნეოფემინისტური სლოგანი „ჩემი სხეული მე მეკუთვნის!“ „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

კონვენციაში“ შემდეგი სახით აისახა - „შვილების ყოლა ქალის უფლებაა და არა მოვალეობა“.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლების რადიკალებმა და ინტელექტუალებმა შექმნეს სოციოკულტურული მიდგომა საზოგადოებაში ქალების დისკრიმინაციისა და ჩაგვრის მიზეზების მიმართ და ქალის პრობლემების განხილვიდან ტრადიციული პატრიარქალური კულტურის ანალიზზე გადავიდნენ. ამერიკელი ფემინისტი მწერალი კეიტ მილეთი¹⁰, რომელიც აგრძელებდა და ავითარებდა სიმონ დე ბოვუარის აზრებს, კულტურაში ქალურის ჩახშობას მოიაზრებდა, როგორც პატრიარქატის სოციალური პოლიტიკის საფუძველს. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „პატრიარქატი“ დიდი ხნით ადრე გამოიყენებოდა მამაკაცთა ბატონობისა და ქალების დამორჩილებული მდგომარეობის აღსაწერად, კეიტ მილეთმა იგი კულტურული ანალიზის ძირითად კონცეფციად აქცია. მისი გაგებით, პატრიარქატი არის მამაკაცური ძალა, ოჯახური, სოციალური, იდეოლოგიური, პოლიტიკური სისტემა, რომელშიც ქალური ყოველთვის ექვემდებარება მამაკაცურს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქალების ჩაგვრა მომდინარეობს არა მათი მამაკაცებისაგან ბიოლოგიური განსხვავებებიდან, არამედ ქალურობის, როგორც მეორეხარისხოვნის, სოციალური კონტექსტიდან (Библиофонд, 2009). მისი სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც ლიტერატურულ ანალიზს სოციოლოგიასა და ანთროპოლოგიასთან აერთიანებდა, 1970 წელს გამოიცა სახელწოდებით „სექსუალური პოლიტიკა“. სწორედ კეიტ მილეთის ამ ნაშრომმა, რომელიც დასავლურ საზოგადოებასა და

¹⁰ კეტრინ მურეი მილეთი (1934-2017) - ამერიკელი ფემინისტი მწერალი, ხელოვანი, ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენიანი ფიგურა. მისი მოღვაწეობის მთავარი საფუძველი ფემინიზმი, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო უფლებები და ანტიფსიქიატრიული მოძრაობები იყო. მილეთის წიგნები, ძირითადად, ქალების უფლებებს და ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმას ეხება. კეიტ მილეთი არის ავტორი წიგნისა - „სექსუალური პოლიტიკა“ („Sexual Politics“, 1970), რომელმაც მას საზოგადოებრივი აღიარება მოუტანა. მას ეკუთვნის ავტობიოგრაფიული წიგნები სახელწოდებით: „ფრენა“ („Flying“, 1974), „სიტა“ („Sita“, 1977), „ახ.წ.: მოგონება“ („A.D.: A memoir“, 1995). კეიტ მილეთის წიგნი, „ირანში წასვლა“ („Going to Iran“, 1982) აიათოლა რუჰოლა ხომეინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ირანში პოლიტიკურ ჩაგვრას ეხება. ის არის ავტორი წიგნებისა: „მოგზაურობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში“ („The Loony Bin Trip“, 1990), „სისასტიკის პოლიტიკა“ („The Politics of Cruelty“, 1994) და „დედა მილეთი“ („Mother Millett“, 2001).

ლიტერატურაში პატრიარქატის დაუფარავ კრიტიკას წარმოადგენდა, განსაზღვრა თანამედროვე ფემინისტური მოძრაობის თეორია, მიზნები და სტრატეგიები. ნაშრომში მიღებული ეჭვქვეშ დააყენა პატრიარქატის წარმოშობის საფუძველი და ამტკიცებდა, რომ სქესზე დაფუძნებულ ჩაგვრას როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული მახასიათებლები აქვს.

ამავე პერიოდში დაიწყო საჯარო საუბრები თანამედროვე საზოგადოებაში მამაკაცებსა და ქალებს შორის ურთიერთობებში თავისუფლებისა და თანასწორობის დემოკრატიული პრონციპების დანერგვის შესახებ, რაც საფუძველს აცლიდა შრომის დამკვიდრებულ დაყოფასა და ძალაუფლების გადანაწილების ტრადიციულ გაგებას. სქესთა შორის პარტნიორული ურთიერთობები და მონაწილეობითი დემოკრატია ქალებს კონსტიტუციური თანასწორობის გარანტიებს აძლევდა და ასწავლიდა სამოქალაქო უფლებების ფლობის უნარს. ქალი უკვე აღარ იკავებდა დაქვემდებარებულ პოზიციას. სწორედ ამიტომ 80-იან წლებში ქალები აქტიურად ეუფლებოდნენ ეკონომიკურ, ფინანსურ და ბიზნეს სფეროებს, რომლებიც, ტრადიციულად, მამაკაცების ინტერესისა და საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა. დასავლეთში, ეტაპობრივად, ქალები ერთვებიან ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში, იკავებენ მუნიციპალური მრჩეველების, პარლამენტის წევრების, მთავრობის მეთაურებისა და პრეზიდენტების საპასუხისმგებლო პოზიციებსაც კი და ინიციატივას იჩენენ, შეცვალონ არსებული წესები. ქალის ცნობიერებაში მომხდარი რევოლუციური შინაარსის, ინტელექტუალური და მორალური ცვლილებები პატრიარქატის ეპოქის დასასრულს ნიშნავდა (Айвазова, 1998)

ფემინიზმის მესამე ტალღა, ძირითადად, 1990-იანი წლების ამერიკულ მოძრაობას ეხება და კონსერვატიული მედიისა და პოლიტიკოსების მიერ ფემინიზმის დასასრულისა ან „პოსტ-ფემინიზმის“ შესახებ მათი განცხადებების საპასუხო რეაქციას წარმოადგენს (Feminism and Women's Rights Movements, თ. გ.). ტერმინი „მესამე ტალღის ფემინიზმი“ რებეკა უოლკერმა 1992 წელს გამოქვეყნებული

ნაშრომით „მესამე ტალღის დასაწყისი“ დაამკვიდრა და მოიცავს გენდერული, რასობრივი, სექსუალური შევიწროების, ოჯახური ძალადობის, მამაკაცებსა და ქალებს შორის თანაბარი ანაზღაურების, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების, ეკონომიკური და სოციალური სამართლიანობის მხარდაჭერას. მესამე ტალღის ფემინიზმი პოსტსტრუქტურალისტურ, პოსტმოდერნისტულ, პოსტკოლონიალურ თეორიულ ჩარჩოს ეყრდნობა და, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებს ფემინიზმის მეორე ტალღის მიღწევების მნიშვნელობას, აკრიტიკებს კიდევ მას დასავლეთზე კონცენტრირებულობის, თეთრკანიანთა თვალსაზრისის დომინირებისა და ჰეტერონორმატიულობის გამო (რეხვიაშვილი, 2016).

მე-20 საუკუნის მიწურულს ფემინიზმის მეოთხე ტალღა „კიბერფემინიზმი“ წარმოიშვა. ტერმინი იმ ფემინისტების მუშაობის აღსაწერად გამოიყენება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ინტერნეტის, კიბერსივრცის და ახალი მედია ტექნოლოგიების თეორიით, კრიტიკითა და გამოყენებით. ტერმინი ბრიტანელმა ფილოსოფოსმა, კიბერნეტიკული კულტურის კვლევის განყოფილების დირექტორმა სადი პლანტმა 1994 წელს დაამკვიდრა, ფემინისტური მოძრაობა კი მესამე ტალღის ფემინიზმიდან მომდინარეობს. მეოთხე ტალღის ფემინისტები ამტკიცებენ, რომ ტექნოლოგია და ახალი ტექნოლოგიების შემუშავება მხოლოდ მამაკაცების საქმიანობა სულაც არაა. ქალებს შეუძლიათ იყვნენ ტექნოლოგიური სისტემების არა უბრალოდ მომხმარებლები, არამედ პოლიტიკურად ინფორმირებული მომხმარებლები. პლანტი ამტკიცებდა, რომ კომპიუტერი და ინტერნეტი არის ადგილი, სადაც ქალები გათავისუფლდებიან ტრადიციული შეზღუდვებისგან და მოიძიებენ ახალ გზებს საკუთარი შესაძლებლობების გამოყენების, წინსვლის, ძალაუფლებისა და ავტორიტეტის მოპოვებისთვის (Consalvo, 2012). მეოთხე ტალღის ფემინისტური მოძრაობის პირობებში, ქალებმა დღის წესრიგში დააყენეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა გაუპატიურება კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე და სექსუალური შევიწროება (Femea, 2022).

ფემინისტური მოძრაობის განვითარების კვალდაკვალ, მე-20 საუკუნის ბოლოს დასავლეთის უნივერსიტეტებში გაჩნდა „ქალთა“ და „ფემინისტური“ კვლევების ცენტრები სპეციალური პროგრამებით, რომელთა ჩამოყალიბებაზე გავლენა სიმონ დე ბოვუარის წიგნმა „მეორე სქესი“ იქონია. კვლევა სოციალური და ჰუმანიტარული დისციპლინების ფარგლებში ხდებოდა, ანალიზის ცენტრში კი ცნება „გენდერი“ იყო. ეს კი სოციოკულტურულ ნორმებს გულისხმობს, რაც ქალისა და მამაკაცის ქცევას, საქმიანობას, პროფესიასა და ფსიქოლოგიურ თვისებებს განსაზღვრავს. თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში „ქალთა თემის“ მიმართ ინტერესი თანდათან გაიზარდა, რასაც ლიბერალური იდეების (ემანსიპაცია, თანასწორობა, ავტონომია, პროგრესი) გავრცელებამ შეუწყო ხელი. საჭირო გახდა გენდერული ურთიერთობების თეორიული ანალიზი, რადგან ფემინისტების შეცვლილი მიზნები ქალთა უფლებების თანასწორობისთვის ბრძოლიდან ქალთა თანაბარი შესაძლებლობებისთვის ბრძოლაზე გადავიდა, რაც ქალების სოციალური გამოცდილების განსაკუთრებულობის აღიარებას გულისხმობდა. შედეგად, „ქალთა კვლევებმა“ ბევრი ქალი ფემინისტი მეცნიერი დააინტერესა. მათ საკუთარი პირადი და მეცნიერული გამოცდილება პროფესიულ საქმედ და, მოგვიანებით, პოლიტიკურ საკითხად აქციეს.

თავი 3. ქალის უფლებები XX-XXI საუკუნეების ირანში

3.1. ირანელი ქალების პირველი ნაბიჯები საკუთარი უფლებების დასაცავად მე-19 საუკუნის ბოლოს

თანდათან ფემინისტურმა მოძრაობამ, დასავლური გავლენით, რაც დაკავშირებული იყო საზღვრების გახსნასთან, განმანათლებლური იდეების გავრცელებასთან, საზოგადოებრივ დაკვეთასთან, აღმოსავლეთშიც, მათ შორის, ირანშიც შეაღწია.

ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ თვალსაზრისით პირველი ნაბიჯები მე-19 საუკუნეში, ყაჯართა მმართველობის ხანაში (1848-1925) გადაიდგა. ყაჯარ შაჰებსა და არისტოკრატებს ღრმად სწამდათ ევროპული ცივილიზაციის უპირატესობის, შესაბამისად, დიდი იყო მათი ინტერესი ევროპული კულტურის, განათლებისა და ტექნოლოგიების მიმართ. მათ დაიწყეს ირანში ევროპელი მასწავლებლების დაქირავება, ვაჟთათვის ევროპული სტილის სკოლების გახსნა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, წიგნების თარგმნა და განათლების მისაღებად ნიჭიერი სტუდენტების ევროპაში გაგზავნა. გოგონები კი, მაღალი და საშუალო ფენის ოჯახებში, დაქირავებული მასწავლებლების დახმარებით, სახლში იღებდნენ განათლებას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ირანელი ქალები საგრძნობლად გააქტიურდნენ და სახელმწიფოსგან მოითხოვეს არასამეფო წარმომავლობის გოგონებისთვის ქალთა საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქალებმა მოითხოვეს სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და განათლების საკითხებში მამაკაცთა თანასწორი უფლებები. თუმცა ამ ინიციატივას ისლამური სამღვდელოების მხრიდან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, 1865 წელს ერთ-ერთი ცნობილი სასულიერო პირის, შეიხ მოჰამად ქაზემ იაზდის მეუღლის, საფიე იაზდის მხარდაჭერით, თეირანში მაინც მოხერხდა გოგონებისთვის პირველი სასწავლებლის გახსნა. ის სკოლაში თავად უკითხავდა ლექციებს ქალთა უფლებების შესახებ 66 ახალგაზრდა ქალს,

რომელთაგან მომავალში ზოგიერთი სკოლის მასწავლებელი გახდა (Modares, 2007). ამავე პერიოდში, თეირანში, დაარსდა ჟანა დარკის სახელობის ქალთა ფრანგულენოვანი სკოლა (1865, "مدرسه دخترانه ژاندارك"), რომელიც ირანელ გოგონებს საშუალებას აძლევდა, მიეღოთ დაწყებითი და საშუალო განათლება (Foundation For Iranian Studies, n.d.). ქალთა სკოლების დაარსება, მით უფრო, სასულიერო ფენის მკვეთრი წინააღმდეგობის ფონზე, ქალების „გამოღვიძების“ მნიშვნელოვანი მექანიზმი იყო.

ქალების განათლების საკითხი იყო პირველი, რაც დაისვა ქალის გათავისუფლებისა და თანასწორობის გზაზე. მოგვიანებით, უკვე მე-20 საუკუნის დამდეგიდან, მისი უფლებებისთვის ბრძოლა ირანში გააქტიურდა და ფემინისტურმა მოძრაობამაც ფეხი მოიკიდა (Afary, 1996, გვ. 438).

3.2. ირანელ ქალთა ფემინისტური მოძრაობა რეზა-შაჰ ფაჰლავის მმართველობის პერიოდში

გარდა საგანმანათლებლო სასწავლებლებისა, 1910-1941 წლებში ირანში არაღებულად ფუნქციონირებდა ქალთა ფარული ორგანიზაციები, რომლებიც ქალის უფლებების გაუმჯობესებას ცდილობდნენ. ცოტა უფრო ადრე, 1907 წელს შეიქმნა „ქალთა თავისუფლების საზოგადოება“ ("انجمن آزادی زنان"), რომლის შეკრებებიც თეირანის გარეუბანში ფარულად ტარდებოდა. ორგანიზაციის მიზანს კი დაქვემდებარებული მდგომარეობის შესახებ ქალთა ინფორმირება და საზოგადოებაში ქცევის ეტიკეტის შესწავლა წარმოადგენდა. ქალთა საქმიანობა და ფარული შეკრებები, დიდწილად, ფემინისტური გავლენით ხორციელდებოდა.¹¹

¹¹ საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებული სიახლეები ლიტერატურაშიც აისახა. ფემინისტურ მოძრაობას და ქალთა ფარული ორგანიზაციების თემას ეხება მოჰამად დიდევარის რომანი „სიცრუე და ჯადოქრობა“, რომელიც ქართულად ზურაბ შარაშენიძემ თარგმნა და 1986 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა (დიდევარი, 1986).

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა და ქალთა უფლებების გაუმჯობესების თვალსაზრისით საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეულმა ცვლილებებმა ბიძგი მისცა ირანში ფემინისტური საქმიანობის გააქტიურებას.

ქალთა მოძრაობა თანდათან უფრო შესამჩნევი გახდა. ქალები, რომელთაც საზოგადოებაში ნებისმიერი მოქალაქეობრივი უფლება შეზღუდული ჰქონდათ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გენდერული თანასწორობის მისაღწევად გზა ქალების განათლებაზე გადიოდა. ამიტომ ქალთა ასოციაციები ყველაზე მნიშვნელოვან მიზნად ქალებისა და გოგონების განათლებას მიიჩნევდნენ. 1910-1941 წლებში დაარსდა არაერთი გამომცემლობა, რომელიც ქალთა უფლებების დაცვის თემაზე აქტიურად მუშაობდა და სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს ქალთა უფლებების გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ. ამ პერიოდში დაარსებულ გამომცემლობებს შორის შეიძლება დავასახელოთ „ცოდნა“ ("دانش"), „კვირტი“ ("شکوفه"), „ქალების ენა“ ("زبان زنان"), „ქალბატონების წერილი“ ("نامه بانوان"), „ქალების სამყარო“ ("عالم نساوان"), „ქალთა სამყარო“ ("جهان زنان"), „პატრიოტი ქალები“ ("نسوان وطنخواه"), „ირანის ასულები“ ("دختران ایران") და სხვ. კონსტიტუციური რევოლუციისა და პირველი მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ჩამოყალიბდა ქალთა უფლებების დამცველი დამოუკიდებელი ფემინისტური ასოციაციები. ეს ორგანიზაციები ქალთა უფლებადამცველმა აქტივისტებმა დააარსეს, რომლებიც ირანის დიდი ქალაქების საშუალო ფენიდან იყვნენ და იმ დროის განათლებულ ადამიანებად ითვლებოდნენ (Sanasarian, 2005, გვ. 68).

ამ პერიოდში დაარსებული ქალთა ასოციაციებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „პატრიოტ ქალთა ასოციაცია“ ("جمعیت نسوان وطنخواه"), რომელიც ერთ-ერთი ცნობილი და აქტიური ქალთა ორგანიზაცია იყო თეირანში. ასოციაცია 1922 წელს

შეიქმნა ირანელი ინტელექტუალი ქალების ძალისხმევით, ქალბატონ მოჰთარამ ესქანდარის¹² პატრონაჟის ქვეშ.

ქალთა ქარტიის თერთმეტი მუხლიდან ოთხი ქალების განათლებისა და სკოლის გახსნის აუცილებლობას ეხებოდა. ასოციაციის მიზანი იყო გოგონების განათლებისა და ზნეობრივი აღზრდის ხელშეწყობა; წიგნიერების გავრცელება ზრდასრულ ქალებში; ობოლი გოგონების მხარდაჭერა; ქალთა უფლებების დაცვა და ჰეჯაბის გაუქმება. მათი პირველი ნაბიჯი იყო მოზრდილთათვის დაწყებითი სკოლის დაარსება (Sanasarian, 2005, გვ. 43).

დაარსებისთანავე ასოციაციამ გამოსცა ქალთა ჟურნალი „პატრიოტი ქალები“ (نسوان ووطنخواه), რომელიც საზოგადოების ოფიციალური ორგანო იყო და ყურადღებას ქალის უფლებებსა და მის პრობლემებზე ამახვილებდა. სამი წლის განმავლობაში (1923-1926) ჟურნალის თერთმეტი ნომერი გამოიცა და ქალების ყურადღება მიიპყრო. ჟურნალში გამოქვეყნდა არაერთი სტატია გოგონების ადრეული ქორწინების საშიშროებაზე, ქალთა განათლებასა და სოციალური რეფორმების აუცილებლობაზე.

1932 წელს, თეირანში, „პატრიოტ ქალთა ასოციაციამ“ ორგანიზება გაუწია და უმასპინძლა „აღმოსავლელ ქალთა მეორე კონგრესს“. კონფერენცია მოეწყო სამეფო მხარდაჭერით და მასში მონაწილეობას იღებდნენ თურქეთის, სირიის, ლიბანის, საბერძნეთის, ეგვიპტის, იაპონიის, ჩინეთის, ავსტრალიის ქალი წარმომადგენლები. კონგრესის მთავარი მიზანი იყო განათლებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხაზგასმა, ქალებისათვის ხმისა და დასაქმების უფლების მინიჭება და მსგავსი სამუშაოსთვის მამაკაცებისა და ქალებისთვის თანაბარი ანაზღაურება, აღმოსავლეთის ქვეყნებში საბავშვო ბაღების გახსნა, ადრეულ ასაკში ქორწინების

¹² მოჰთარამ ესქანდარი - პოეტი, ქალთა უფლებადამცველი, „პატრიოტ ქალთა ასოციაციის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი თავმჯდომარე. ამ ასოციაციის წევრები იყვნენ: ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი მოლუქ ესქანდარი, პირველი მდივანი ნურ ოლ-ჰოდა მანგანე, ფახრ აფაყ ფარსა, ნოსრათ მოშირი, საფიე ესქანდარი, ესმათ ილ-მოლუქ შარიფი, მეჰრანგიზ ესქანდარი, ბანუ ჩენანი, ჰაიდე აფშარი, აბასე ფაივარი, ყოდსიე მოშირი, ქობრა ჩენანი და სხვანი. 1926 წლის მონაცემებით, სულ 74 წევრი.

პრევენციის კულტურის შექმნა, პროსტიტუციის აკრძალვა და მასთან ბრძოლა (Sanasarian, 2005, გვ. 105).

„პატრიოტ ქალთა ასოციაციის“ სახელს უკავშირდება ირანში ქალთა უფლებების თემაზე შექმნილი ქალთა პირველი თეატრალური სპექტაკლის - „ადამი და ევა“ - დადგმა (Nahid, 1981, გვ. 116). პიესა ჯგუფის წევრებმა ირანელ დრამატურგთან მირზადე ემეისთან თანამშრომლობით შექმნეს და 1924 წლის მაისში, თეირანში, ათაბაქის პარკში წარმოადგინეს. წარმოდგენამ ქალების დიდი ინტერესი გამოიწვია. ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხა მოზრდილთა დაწყებით სკოლაში ქალთა სწავლის დაფინანსებას ხმარდებოდა, თუმცა, სასულიერო პირების ძლიერი წინააღმდეგობის გამო, სპექტაკლი აკრძალა (Sanasarian, 2005, გვ. 63-64).

„პატრიოტ ქალთა ასოციაციამ“ 1933 წლამდე იარსება. ამ პერიოდისთვის რეზა შაჰმა დახურა და აკრძალა დამოუკიდებელი მემარცხენე გამოცემები და ასოციაციები, გაზარდა მთავრობის კონტროლი პრესაზე. დაიხურა არაერთი ჟურნალი და გაზეთი. მათ შორის, „ქალბატონების წერილი“, „ქალთა სამყარო“ და სხვ. გამონაკლისი არც „პატრიოტ ქალთა ასოციაცია“ და მისი ოფიციალური ჟურნალი იყო (Paidar, 1997, გვ. 87).

ირანში ქალთა ფემინისტურ ჯგუფებს მკაცრად აკონტროლებდა ხელისუფლება. ასოციაციის წევრები, მოგვიანებით, მთავრობის მიერ დაფინანსებულ „ბანოვანთა ცენტრს“ ("بانوان گاه") შეუერთდნენ, რომელიც 1935 წლის 22 მაისს რეზა შაჰის უფროსი ქალიშვილის, შამს ფაჰლავის, თავმჯდომარეობითა და განათლების მინისტრის, ალი ასყარ ჰეჰმათის, მხარდაჭერითა და პატრონაჟით შეიქმნა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ქალთა ორგანიზაცია, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მთავრობასთან. შესაბამისად, მათი მოქმედების არეალი შეიზღუდა და გეგმებიც უფრო ნეიტრალური გახდა. ცენტრს ორმოცდაათზე მეტი ფილიალი ჰქონდა ირანის ტერიტორიაზე და თავს იკავებდა ქვეყნის პოლიტიკურ და რელიგიურ საკითხებში ჩარევისაგან. „ბანოვანთა ცენტრს“ ხელმძღვანელობდა ჰაჯარ

თარბიათი,¹³ ვიცე-პრეზიდენტი კი სადიყე დოულათაბადი¹⁴ იყო, რომელმაც ქალების საქმიანობა საჯარო ლექციების გამართვით, ბიბლიოთეკებისა და სპორტული კლუბების შექმნით განავითარა. ცენტრის ინტერესის სფეროს ლიტერატურა, საქველმოქმედო საქმეები და ფიზიკური აღზრდა წარმოადგენდა. „ქალთა ცენტრის“ მთავარი მიზანი კი დაარსების დღიდან ჰეჯაბის გაუქმება იყო. ასოციაციის წევრები, რომლებიც სკოლების დირექტორები და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები იყვნენ, ცდილობდნენ, გოგონათა სასწავლებლებში ჰეჯაბის გაუქმებისთვის მიეღწიათ.

„ბანოვანთა ცენტრი“, როგორც პოლიტიკური, სოციალური და კულტურული დაწესებულება, 1936 წლის 7 იანვრამდე, ჰეჯაბის ტარების აკრძალვამდე, ფუნქციონირებდა. 1937 წლიდან კულტურის სამინისტრომ ცენტრი, სადიყე დოულათაბადის მმართველობის დროს, ზრდასრულთა და ახალგაზრდა ქალთა საგანმანათლებლო და კეთილდღეობის ცენტრად გადააქცია, რომლის ინტერესის სფეროს გოგონებისა და ქალებისთვის დაწყებითი სკოლის, ქალთა სამკერვალო და ხელსაქმის სახელოვნებო სასწავლებლის, ღარიბი პაციენტებისთვის უფასო კლინიკის დაარსება წარმოადგენდა. ცენტრის ინიციატივითვე შეიქმნა „დედის განათლების“ ერთწლიანი კურსი, სადაც ქალებს ოჯახური ურთიერთობების, სოციალური ეტიკეტის, ოჯახის ჯანმრთელობის, მცირეწლოვან ბავშვებთან და მეუღლეებთან მოქცევის, ჰიგიენის, კულინარიის, სახლის მოწყობის შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ. თუმცა, ქალთა უმაღლესი საბჭოს დამლის, ირანში არსებული რთული პოლიტიკურ-სოციალური ვითარების, „ბანოვანთა ცენტრის“ ფინანსური პრობლემებისა და მოჰამად-რეზა ფაჰლავის მმართველობის პირობებში

¹³ ჰაჯარ თარბიათი – ირანის ქალთა პარტიის დამაარსებელი და წევრი, ამ პარტიის წესდების ერთ-ერთი ავტორი. 1940 წლიდან დედათა და ჩვილთა მხარდამჭერი კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი. ერთ-ერთი პირველი ქალი, რომელიც აირჩიეს თეირანის მოსახლეობის წარმომადგენლად ეროვნულ საბჭოში.

¹⁴ სადიყე დოულათაბადი – ქალთა უფლებების ერთ-ერთი პირველი აქტივისტი ირანში. 1926 წელს იგი ირანელ ქალთა სახელით მონაწილეობას იღებდა პარიზში, სორბონაში გამართულ ქალ სუფრაჟისტთა ალიანსის მეათე საერთაშორისო კონფერენციაში.

ქალთა საკითხების სფეროში ახალი პოლიტიკის გატარების გამო, ასოციაციამ არსებობა შეწყვიტა (Ranjbar Amrani, 2021).

რეზა შაჰმა ჰეჯაბის ტარების აკრძალვის შესახებ თავისი პოლიტიკა ეტაპობრივად განახორციელა. მან 1929 წელს გამოსცა კანონი, რომელიც ირანელებს დასავლური სამოსის ტარებას ავალდებულებდა, რასაც 1935 წელს გამოცემული კანონი მოჰყვა ევროპული ქუდეების ტარების შესახებ. საბოლოოდ, 1936 წლის 7 იანვარს შაჰმა, თეირანის მასწავლებელთა კოლეჯში, საჯაროდ განაცხადა ჰეჯაბის ტარების საყოველთაო აკრძალვის შესახებ.

მოჰამად-რეზა ფაჰლავი (1919-1980) თავის წიგნში „თვითნასწავლი კაცები“ (مردان "خودساخته") დადებითად აფასებს მამის გადაწყვეტილებას და აღნიშნავს: „ამ საკითხს მხოლოდ მამაჩემმა მიაქცია ყურადღება გარკვეული უსიამოვნებებისგან თავის დაღწევის შემდეგ და ცდილობდა, რომ ირანელი ქალები, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის ნაწილად არ ითვლებოდნენ, სიბნელის საფარიდან გამოეყვანა და ამ ეროვნული ოცნების განხორციელებით მოსახლეობა გაეორმაგებინა“ (Pahlavi, 1956, გვ. 33).

რეზა შაჰი თავისი გეგმის განხორციელებას სიფრთხილით ეკიდებოდა და საამისოდ საზოგადოების შემზადებას ფიქრობდა, თუმცა მის რეფორმას მოსახლეობაში მაინც აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. მეორე დღიდან ქვეყნის ოფიციალური გაზეთები და ჟურნალები შაჰის ამ ქმედებას განიხილვდნენ, როგორც ქალების საზოგადოებაში შესვლისა და ირანის განვითარებისათვის წინ გადადგმულ ნაბიჯს. განათლებული ელიტა და საშუალო კლასის უამრავი ქალი მიესალმა ჰეჯაბის ტარების აკრძალვის გადაწყვეტილებას, თუმცა ფართო მასებში შაჰის ამ ნაბიჯმა უკმაყოფილება გამოიწვია (Bamdad, 1968, გვ. 88-91). ამის მიზეზად კი სახელმწიფოს მხრიდან, კანონის აღსრულებისას, ძალისა და იძულების ზომების მიღება სახელდებოდა. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას ხანდაზმული ქალები გამოთქვამდნენ, რადგან მათთვის წარმოუდგენელი იყო საჯარო სივრცეში ჩადრის გარეშე გამოჩენა. ჩადრის

მოხსნა მათთვის სიშიშვლის ტოლფასი იყო, ამიტომ ისინი ოჯახის წევრებზე დამოკიდებულები გახდნენ და ბევრი ქალი სახლში იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა (Girgis, 1996).¹⁵

„მეორე მსოფლიო ომის დროს ირანის სამხედრო ოკუპაციამ და მამაჩემის ემიგრაციამ, ბუნებრივია, შეაჩერა იმ დიდი გეგმების განხორციელება, რომლებიც მას ირანელი ქალების წინსვლისა და განვითარებისთვის ჰქონდა ჩაფიქრებული. გარდა ამისა, თანდათან შეიცვალა პროგრესულად მოაზროვნეთა ფიქრები და აზრები. რეფორმებს, რომლებიც რეზა შაჰმა ირანელი ქალების სოციალური სტატუსის შესაცვლელად განახორციელა, იძულებითი სახე მიეცა და გონივრული იყო, ამის შემდეგ რეფორმები დემოკრატიის პრინციპების დაცვით გატარებულიყო, რათა ქვეყანას უკეთესი შედეგი მიეღო. ჰეჯაზის საკითხი იმ რეფორმების ერთ-ერთი ნაწილი იყო და, როგორც კი მამაჩემმა ირანი დატოვა ომის დროს შექმნილი ვითარების გამო, ზოგიერთმა ქალმა დადგენილ რეგულაციას თავი აარიდა და პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა. [მაგრამ] მე და ჩემმა მთავრობამ ვამჯობინეთ, ამ დარღვევაზე ყურადღება არ გაგვემახვილებინა, საკითხი თავის ნებაზე მიგვეშვა და რეფორმის აღსასრულებლად ძალა არ გამოგვეყენებინა“ (Pahlavi, 1968, გვ. 467-468) - დასძენს მოჰამად-რეზა ფაჰლავი.

როგორც ვხედავთ, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, ფაჰლავების დინასტიის მმართველობის დროს (1925-1979), ქალთა უფლებების გაუმჯობესებისთვის საკმაოდ ქმედითი რეფორმები გატარდა. 1928 წელს, შაჰ რეზა ფაჰლავის მმართველობის დროს (1925-1941), გარდა ზემოთ აღნიშნული ჰეჯაზის რეფორმისა, ამ გზაზე სხვა ნაბიჯებიც გადაიდგა. ქალებმა პირველად მიიღეს სახელმწიფო დაფინანსება საზღვარგარეთ განათლების მისაღებად. „ირანელი ქალების სტატუსის

¹⁵ ირანში მუსლიმური ჩაცმულობის აკრძალვის საკითხი ლიტერატურაშიც აისახა. ცნობილმა ირანელმა მწერალმა ჯალალ ალ-ე აჰმადმა დაწერა მოთხრობა “მხიარული დღესასწაული” (“جشن فرخنده”) (მთარგმნ. თამარ ლეკვეიშვილი), რომელშიც ირანული საზოგადოების ცხოვრების სწორედ ეს პერიოდია აღწერილი (აჰმადი, 2016).

ასამაღლებლად გაიხსნა ქალთა სკოლები, ქალების განათლებისთვის სკოლებში სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილი კონფერენციები ტარდებოდა; 1937 წლიდან ქალებს უფლება მიეცათ, უნივერსიტეტებშიც ესწავლათ; გაზეთები ქალის პრობლემებს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი გააქტიურების საკითხს დიდ ადგილს უთმობდნენ“ (სანიკიძე და სხვ., 2011). 1944 წლიდან ქალებისთვის დაწყებითი განათლების მიღება სავალდებულო გახდა.

მართალია, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (1914-1918) გაიხსნა სკოლები გოგონებისთვის, განათლება არ იყო თანაბრად ხელმისაწვდომი სოფლისა და ქალაქის მოსახლეობისთვის. ამასთანავე, ქალებისთვის განათლების მიღება, ძირითადად, დაწყებით საფეხურზე იყო შესაძლებელი. უმაღლეს განათლებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა მათ ხელს უშლიდა განვითარებასა და თავის დამკვიდრებაში. იმდროინდელმა განათლების სისტემამ ბევრი ვერაფერი შეცვალა საზოგადოების მხრივ ქალისადმი დამოკიდებულებაში. ისევე, როგორც ქალის მიერ საკუთარი სოციალური როლის გაცნობიერებაში. სასწავლო პროგრამები მხარს უჭერდა გოგონების ჩამოყალიბებას აღმზრდელებად და დამხმარეებად. ამდენად, ისინი დამოკიდებულნი რჩებოდნენ მამაკაცებზე (Girgis, 1996).

რეზა შაჰის პოლიტიკა, გარეგნული მახასიათებლების მიუხედავად, სულაც არ იყო განმათავისუფლებელი არსის მატარებელი. ამოქმედებული კანონების უმეტესობა ზედაპირული იყო. ამის გამო, შაჰის მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა ვერ მოიპოვა ქალთა უმრავლესობის მხარდაჭერა. მისი სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები ხელს უშლიდა ქალთა დამოუკიდებელი მოძრაობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. „ზედმეტად“ დამოუკიდებელ ქალთა ორგანიზაციებს შაჰის რეჟიმი მყისვე შლიდა და ხურავდა.

შაჰის ინტერესის სფეროს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და მისი თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენდა. ქალთა ხმის უფლება კი ის საკითხი იყო, რომლის წყალობითაც მას გარესამყაროსთვის შეეძლო

ირანის პროგრესი ეჩვენებინა. მიუხედავად ამისა, იმ პერიოდის ირანის საარჩევნო კანონი, არასრულწლოვნებთან, სულით ავადმყოფებთან და მსჯავრდებულებთან ერთად, ცალსახად გამორიცხავდა ქალების საარჩევნო უფლებას. მათი განათლება კი ფეხმძიმობის, მშობიარობის, სახლის მოვლისა და ოჯახზე ზრუნვის საკითხებს არ სცდებოდა. ბევრი რეფორმა, რომელიც რეზა შაჰმა თავისი მმართველობის პერიოდში განახორციელა, მხოლოდ ფურცელზე დაწერილ რეფორმად დარჩა. სახელმწიფო უპირატესობას საგარეო პოლიტიკას ანიჭებდა, შესაბამისად, ნაკლებად ზრუნავდა გაუნათლებელი ქალებისთვის ქალთა უფლებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე (Girgis, 1996).

3.3. ქალთა მოძრაობა მოჰამად-რეზა შაჰ ფაჰლავის მმართველობის დასაწყისში

ჯერ კიდევ რეზა შაჰის მმართველობის დროს, როგორც აღვნიშნეთ, ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციები დაიხურა და მთავრობასთან და პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული ორგანიზაციები ჩამოყალიბდა. ცენტრალიზებული ორგანიზაციების შექმნა მთავრობის მხრიდან მიზანმიმართული გადაწყვეტილება იყო, რამაც ქალთა მოძრაობის დამოუკიდებელი ორგანიზაციები გაანადგურა.

მართალია, რეზა შაჰის ემიგრაციაში წასვლისა და გარდაცვალების შემდეგ, 1941-52 წლებში, მოჰამად-რეზა შაჰ ფაჰლავის მთავრობის ლოიალობა შედარებით მეტ თავისუფლებას აძლევდა ქალთა ორგანიზაციებს, მაგრამ ისინი არსებობას მაინც ქალთა უფლებადამცველ სხვა ჯგუფებთან და პოლიტიკურ პარტიებთან ალიანსში განაგრძობდნენ.

1941 წელს რეზა შაჰის გადადგომის შემდეგ, ქალთა უფლებები, კონკრეტულად კი ქალის გარეგნული სახე და სამოსი, კონსერვატიულ და მოდერნისტულ ძალებს შორის დაპირისპირების მთავარი მიზეზი გახდა. ქალთა უფლებების შეზღუდვის თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიურობდა კონსერვატიული სასულიერო ელიტა და ახლად ჩამოყალიბებული ფუნდამენტალისტური ორგანიზაცია

„ისლამისტების თავდადებულების საზოგადოება“ („جمعیت فدائیان اسلام“)¹⁶. ისინი საჯარო სივრცეებში ჰეჯაბის აღდგენასა და ქალთა საარჩევნო უფლების ბლოკირებას ცდილობდნენ. ქალთა განათლებისა და წიგნიერების, სამართლებრივი უთანასწორობისა და საარჩევნო უფლების შესახებ თავისი პოზიცია გამოხატა „ირანელ ქალთა პარტიამ“ („جذب زنان ایران“), რომელიც 1942 წელს დაარსდა ოთხი ქალის - ჰაჯარ თარბიათის, სადიყე დოულათაბადის, ფათემე საიაჰისა და საფიე ფირუზის თაოსნობით. პარტიის მიზანს ქალთა განათლება, მათი ცოდნის დონის ამაღლება, სოციალური და პოლიტიკური უფლებების მოპოვება წარმოადგენდა (Encyclopaedia Iranica, 2012). „ირანელ ქალთა პარტია“ იყო თავის დროზე ერთადერთი ჯგუფი, რომელსაც უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და „ქალთა საერთაშორისო კავშირის“ წევრი იყო. პარტიის წევრები, ფათემე საიაჰი და საფიე ფირუზი, სიტყვით გამოვიდნენ 1944 წელს პარიზში გამართულ „ქალთა და მშვიდობის კონგრესზე“ (Qahramani Ziba , khadari Zade Ali Akbar, Goljan Mehdi, 2021, გვ. 3). იმავე წელს ირანის პარლამენტში საარჩევნო რეფორმის საკითხის განხილვისას, პარტია ქალთა საარჩევნო ხმის უფლებას უჭერდა მხარს.

1953 წლის 28 აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალებისა და ირანის პრემიერ-მინისტრის, მოჰამად მოსადეყის, გადაყენების შემდეგ, პოლიტიკური პარტიები და თავისუფალი პრესა დაიშალა და შეკრებების გამართვის უფლებაც გაუქმდა.

¹⁶ „ისლამისტების თავდადებულების საზოგადოება“ – თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტის, მეტსახელად ნავაზ საფავის მიერ ისლამური ხელისუფლების დამყარების მიზნით, 1946 წელს დაარსებული შიიტური ფუნდამენტალისტური (ისლამისტური) საზოგადოება. საზოგადოების სახელს უკავშირდება ირანის ორი პრემიერ-მინისტრის, აბდოლჰოსეინ ჰაჟირისა და ჰაჯალი რაზმარას, ასევე, ირანის განათლების მინისტრის აბდულ ჰამიდ ზანგანესა და ცნობილი ისტორიკოსის, მოსამართლისა და ადვოკატის აჰმად ქასრავის მკვლელობები. გარდა ამისა, ირანის კიდევ ერთი პრემიერ-მინისტრის ჰოსეინ ალასა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჰოსეინ ფათემის მკვლელობის მცდელობები. 1955 წელს ნავაზ საფავის სიკვდილით დასჯა მიესაჯა. მის მიერ დაარსებულმა ორგანიზაციამ, როგორც აიათოლა რუჰოლა ხომეინისა და ირანის ისლამური რევოლუციის მხარდამჭერმა, ფარული შეკრებების სახით არსებობა განაგრძო. 1989 წლის 2 ივლისს ორგანიზაცია ოფიციალურად პოლიტიკურ პარტიად („جمعیت فدائیان اسلام“) დარეგისტრირდა (Pars Times, 2000).

„ირანელ ქალთა პარტიამ“ თანდათანობით უარი თქვა თავის საქმიანობაზე და, პარტიული კუთვნილების არარსებობის გამო, „ქალთა საბჭოდ“ გადაკეთდა.

ქალების სათქმელის საჯაროდ გაცხადების მიზნით, ეს ორგანიზაცია გაერთიანდა სხვა ქალთა ასოციაციებთან, როგორებიც იყო - „ქალაქელ ქალთა დახმარების ასოციაცია“ („انجمن معاونت زنان شهر“), „კულტურის მუშაკ ქალთა ასოციაცია“ („انجمن بانوان“), „კანონ-ბანოან პრეზენტი“ („کانون بانوان پزشک“), რომელთა მიერ ერთობლივად გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ: „თანამედროვე განათლებული და პროგრესული ირანელი ქალები ვერ განიხილავენ საკუთარ თავს დანარჩენი საზოგადოებისაგან იზოლირებულად. ქალები უნდა წავიდნენ წინ და იბრძოლონ საკუთარი უფლებებისთვის“ (Bamdad, 1968, გვ. 103-105).

იმავე პერიოდში (1943) მარიამ ფირუზის ხელმძღვანელობით დაარსდა მემარცხენე ფემინისტური ორგანიზაცია - „ირანელ ქალთა დემოკრატიული ორგანიზაცია“ („تشکیلات دموکراتیک زنان ایران“), რომელიც, იმავდროულად, მემარცხენეთა პარტიის („თუდე“) ქალთა ფილიალი იყო. სამოქმედო პროგრამის მიხედვით, ორგანიზაცია მოითხოვდა ქალთა უფლებების თვალსაზრისით ცვლილებების განხორციელებას ოჯახში, სამუშაო ადგილებსა და ქალთა უფლებების მარეგულირებელ კანონებში. ამ საკითხებთან დაკავშირებით ისინი დაუფარავად საუბრობდნენ მათ მიერვე დაარსებულ რადიკალურ ჟურნალში „ჩვენი ღვიძილი“ („بیباری ما“), სადაც ხაზგასმით აღნიშნავდნენ: „ამ სახლში ჩვენც გვაქვს უფლება“ (Sanasarian, 2005, გვ. 74). 1944 წელს ორგანიზაციამ მოახერხა და ირანის მეჯლისში განსახილველად წარადგინა კანონპროექტი ქალთა საარჩევნო უფლების შესახებ. სასულიერო პირების წინააღმდეგობის გამო, რომლებიც ქალის ადგილად - სახლს, დანიშნულებად კი - შვილების გაჩენასა და მათ მოვლა-პატრონობას მიიჩნევდნენ, კანონპროექტი ჩავარდა.

3.4. ირანელ ქალთა ფემინისტური მოძრაობა 1953-79 წლებში

კონსტიტუციური რევოლუციიდან ისლამურ რევოლუციამდე, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ირანელმა ქალებმა თანდათან მოიპოვეს უფლებები და თავისუფლება განათლების, შემდეგ კი პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში. ეს ხელს უწყობდა და უზრუნველყოფდა მათ გონებრივ, კულტურულ და სოციალურ განვითარებას სრული თანასწორობის მისაღწევად.

1953 წლის სახელმწიფო გადატრიალებიდან 1963 წლის თეთრ რევოლუციამდე¹⁷ პერიოდში, ქალთა რამდენიმე დამოუკიდებელი ორგანიზაცია, პროფესიული ასოციაცია და ჟურნალი ჯერ კიდევ აგრძელებდა არსებობას. მათ შორის იყო „ახალი გზის საზოგადოება“ ("جامعه راه نو")¹⁸, რომლის სახელსაც უკავშირდება 1967 წელს მიღებულ „ოჯახის დაცვის კანონის“ შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა. 1956 წელს საზოგადოებამ „იურისტ ქალთა ასოციაციას“ ("انجمن زنان حقوقدان") და „ადამიანის უფლებათა მხარდამჭერ ქალთა ლიგასთან“ ("جمعیت زنان طرفدار حقوق بشر") ერთად ქალთა საარჩევნო უფლების კამპანია წამოიწყო (Paidar, 1997, გვ. 136-137).

1950-იანი წლებისთვის ქალთა მოძრაობა უფრო ცენტრალიზებული, მათი საქმიანობა კი მეტად თავსებადი გახდა მთავრობის დღის წესრიგთან. მოჰამად-რეზა შაჰს, მამის მსგავსად, სურდა სახელმწიფო კონტროლი დაემყარებინა ქალთა ორგანიზაციებზე. 1959 წელს მან დააარსა ირანელ „ქალთა უმაღლესი საბჭო“ ("شورای عالی زنان), რომელიც, თავის მხრივ, ქალთა ჩვიდმეტ ასოციაციას აერთიანებდა.

¹⁷ თეთრი რევოლუცია - შაჰისა და ხალხის რევოლუციის სახელით ცნობილი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების პაკეტის სახელწოდება, რომელსაც რეფერენდუმზე საზოგადოების უმეტესობამ მხარი დაუჭირა. შაჰმა რეფორმებს, მშვიდობიანი მიზნების გამო, თეთრი რევოლუცია უწოდა. თუმცა აღნიშნული ცვლილებათა პაკეტი აიათოლა რუჰოლა ხომეინის მხრიდან მწვავე წინააღმდეგობისა და მოჰამად-რეზა შაჰ ფაჰლავის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყისი გახდა.

¹⁸ მეჰრანგიზ დოულათშაჰი - „ახალი გზის საზოგადოების“ დამფუძნებელი, 1973-78 წლებში ქალთა საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი, 1963-75 წლებში ირანის ეროვნული საბჭოს (ირანის პარლამენტი) სამგზის მოწვევის წევრი. მან დიდი როლი ითამაშა ოჯახის დაცვის კანონის შემუშავებაში (1967) და მისი შესწორებების მიღებაში (1975). მეჰრანგიზ დოულათშაჰი იყო პირველი ირანელი ქალი ელზი დანიაში 1975-78 წლებში.

ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტად შაჰის და, აშრაფ ფაჰლავი, დაინიშნა. 1966 წლის 19 ნოემბერს, თეირანში, ორგანიზაციას „ირანელ ქალთა ორგანიზაცია“ (WOI) ("سازمان زنان ایران") ეწოდა, დამტკიცდა მისი წესდებაც. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია დამოუკიდებელი იყო, მისდამი სამეფო მფარველობა ქალთა უფლებების დაცვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მოძრაობის დასაწყისზე მიანიშნებდა. 1979 წლის ირანის ისლამურ რევოლუციამდე WOI იყო ერთადერთი ქალთა ჯგუფი, რომელიც ახორციელებდა კამპანიას სამართლებრივი რეფორმებისთვის.

ირანის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს. ამიტომ, საერთაშორისო კავშირების გასაპოვნებლად, ორგანიზაცია მუდმივად თანამშრომლობდა საფრანგეთის, ერაყის, პაკისტანის, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ქალთა ორგანიზაციებთან. ირანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1975 წელს მეხიკოში გამართულ გაეროს ქალთა პირველ მსოფლიო კონფერენციაზე და მსოფლიო სამოქმედო გეგმის ძირითადი კონცეფციებიც ჩამოაყალიბა (Mahnaz, 2004, გვ. 124). მიუხედავად ამისა, WOI არ იყო ფემინისტური ორგანიზაცია. იმ პერიოდში ასეთი ტიპის ქალთა ორგანიზაციის არსებობა, ფაქტობრივად, სახელმწიფოს მხრიდან ქალთა ფემინისტური მოძრაობის თავიდან ასაცილებლად იყო გამიზნული და მონარქიის გადარჩენის მცდელობას წარმოადგენდა (Girgis, 1996). მთავრობის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციის კომიტეტებს სამეფო კართან დაკავშირებული უმაღლესი სოციალური ფენის წარმომადგენელი ქალები ხელმძღვანელობდნენ. მათი საქმიანობის სფეროს შედარებით ნეიტრალური და „უწყინარი“ საკითხები განსაზღვრავდა: ჯანდაცვა, განათლება, სოციალური უზრუნველყოფა, საერთაშორისო საკითხები.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხელისუფლების მხრიდან შეზღუდვების მიუხედავად, ქალთა ორგანიზაციას აქტიური მცდელობების ფონზე გარკვეული გამარჯვებებიც ჰქონდა: ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი გამარჯვება 1975 წელს

მიღებულ „ოჯახის დაცვის კანონის“ შესწორებულ ვარიანტს უკავშირდება, რომელიც ქალებს, ქორწინებისას და განქორწინებისას, თანაბარ უფლებებს ანიჭებდა. გარდა ამისა, კანონი აძლიერებდა ქალთა უფლებებს ბავშვზე მეურვეობის თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ, 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, მოჰამად-რეზა შაჰ ფაჰლავის მმართველობის დროს (1941-1979) გატარებულმა რეფორმებმა ქალთა მდგომარეობა შედარებით გააუმჯობესა. მათ მიეცათ საშუალება, ჩართულიყვნენ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, 1963 წელს ქალებმა მოიპოვეს არჩევნებში ხმის მიცემისა და თანამდებობაზე კენჭისყრის უფლება. 1963 წელსვე, პირველად ირანის ისტორიაში, ექვსი ქალი აირჩიეს მეჯლისის დეპუტატად, გაჩნდნენ ქალი მინისტრები და მოსამართლეები. 1967 წელს ძალაში შევიდა „ოჯახის დაცვის“ კანონი, რომელიც ძალადობისაგან იცავდა ბავშვებისა და დაოჯახებული და განქორწინებული ქალების უფლებებს, ქალებს მიეცათ მუშაობის უფლება, გაიზარდა ქალთა ქორწინების მინიმალური ასაკი 13-დან 18-წლამდე (Girgis, 1996). 1978 წლისთვის უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი მესამედი ქალი იყო. პარლამენტში 22 ქალი იყო დეპუტატად წარმოდგენილი, არჩეულ ადგილობრივ საბჭოებში კი 333 ქალი მუშაობდა. ამავე პერიოდში 2 მილიონზე მეტი ქალი სამუშაო ძალას წარმოადგენდა, აქედან 146 000-ზე მეტი საჯარო სამსახურში მუშაობდა (Esfandiari, 2015).

მიუხედავად იმისა, რომ მოჰამად-რეზა შაჰ ფაჰლავის მმართველობის პერიოდი მონარქიიდან დიქტატურად იქცა და შაჰი აკონტროლებდა ყველა სამთავრობო დაწესებულებას სენატის, ოჯახის წევრებისა და ირანის დაზვერვისა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის (სავაქი) მეშვეობით, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ირანში ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ პოლიტიკაში, დიპლომატიასა და სასამართლო სისტემაში. იმ დროის ყველაზე გავლენიან ქალთა შორის შეიძლება

დავასახელოთ ფაროხრუ ფარსა¹⁹, ერთ-ერთი პირველი ქალი, რომელიც კენჭს იყრიდა ეროვნულ ასამბლეაში და პირველი ირანელი ქალი, რომელმაც დაიკავა ირანის განათლების მინისტრის თანამდებობა (1968-1975).

3.5. ქალთა მდგომარეობა 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ

1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ რეფორმები განხორციელდა ყველა სფეროში, ფუნდამენტურად შეიცვალა ქალის სტატუსი. აიათოლა რუჰოლა ხომეინის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გაუქმდა „ოჯახის დაცვის კანონი“, რომელიც ქალებს და მათ შვილებს ძალადობისაგან იცავდა. დროთა განმავლობაში ყველა ის უფლება, რომელიც ქალებმა ფაჰლავების დინასტიის მმართველობის პერიოდში მოიპოვეს, ახლად შემუშავებულ კანონებზე დაყრდნობით, ნელ-ნელა შეიცვალა. ქალთა პროტესტის მიუხედავად, კვლავ სავალდებულო გახდა ჰეჯაბის ტარება.

ირანის პირველი ქალი მინისტრი ფაროხრუ ფარსა ისლამური რევოლუციის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. ირანელი ქალებისა და მათი ინტერესების დამცველი სიცოცხლის ბოლო ღამეს დაწერილ მოკლე ანდერძში წერდა: „სასამართლო ქალებს და კაცებს ძალიან განასხვავებს და იმედი მაქვს, რომ მომავალი ირანელი ქალებისთვის ამაზე უკეთესი იქნება“ (TAVAANA, 2016).

აიათოლა რუჰოლა ხომეინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში რეფორმების განხორციელებამ კვლავ უარესობისკენ შეცვალა ქალების მდგომარეობა. ქალები გაათავისუფლეს დაკავებული სახელმწიფო თანამდებობებიდან. „ოჯახის დაცვის კანონის“ გაუქმებამ

¹⁹ ფაროხრუ ფარსა სახაზინო ქონების გაფლანგვის, განათლების სამინისტროში კორუფციის არსებობის, სავაჭრით თანამშრომლობისა და სამინისტროდან რევოლუციონერი მოღვაწეების გათავისუფლების ბრალდებით გაასამართლეს. იგი, როგორც „უზნეობა დედამიწაზე“, სასამართლომ დამნაშავედ სცნო და 1980 წლის 8 მაისს, 57 წლის ასაკში, თეირანში, ევინის ციხეში სიკვდილით დასაჯეს.

მათ წაართვა ყველა ის უფლება, რაც ამ კანონით მანამდე ეძლეოდათ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა ქალმა, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრებმა ქალებმა, არაფერი იცოდნენ ამ კანონის არსებობის შესახებ და, შესაბამისად, არც სარგებლობდნენ ამ უფლებებით (Esfandiari, 2015).

„ოჯახის დაცვის კანონის“ გაუქმებით მამაკაცებს მიეცათ მეტი თავისუფლება; მათ მიეცათ შვილებთან დაკავშირებით ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღებისა და მეურვეობის უფლება. ქალებს აღარ შეეძლოთ განქორწინება, თუკი ამას საქორწინო ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა. მათ დაკარგეს შვილებზე მეურვეობის უფლებაც. გარდა ამისა, „ოჯახის დაცვის კანონის“ გაუქმებით, მამაკაცებს მოეხსნათ მრავალცოლიანობაზე შეზღუდვები, გოგონების ქორწინების ასაკი კი სქესობრივ მომწიფებამდე შემცირდა, რაც, ისლამური კანონის მიხედვით, 9 წელს გულისხმობს (Esfandiari, 2015). ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია უკრძალავდა ქალებს უმაღლესი თანამდებობების, მათ შორის, პრეზიდენტისა და კაბინეტის წევრების თანამდებობების დაკავებას. მიუხედავად ქალთა არაერთი მცდელობისა, მონაწილეობა მიეღოთ საპრეზიდენტო არჩევნებში, მათი კანდიდატურები ჩავარდა.

საკანონმდებლო სისტემის ცვლილებამ ირანში ქალები მამაკაცებთან მიმართებით კვლავ არათანაბარ პირობებში ჩააყენა. დასაქმებულ ქალებს უწევდათ სამსახურსა და საოჯახო საქმეებზე ერთდროულად ზრუნვა, რაც მეტად ამძიმებდა მათ ყოველდღიურობას. 1985 წელს რევოლუციურმა ხელისუფლებამ ზერელედ და მოვალეობის მოხდის მიზნით თითქოს სცადა მათთვის ტვირთის შემსუბუქება და მეძუძურ დედებს გარკვეული შეღავათები დაუწესა: მათ მიეცათ ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლება, დაწესდა სამთვიანი ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება და მეძუძური დედებისთვის ორსაათნახევრიანი შესვენება ჩვილების გამოსაკვებად (Ramazani, 1993, გვ. 413), თუმცა ეს ცვლილებები საკმარისი არ იყო ქალთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისლამური

რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ კანონების გარკვეული ნაწილი უცვლელი დარჩა, რადგან მათი უმეტესობა შარიათის კანონებს ეფუძნებოდა. საქმე ეხება ქმრებისგან ქალებისთვის ეკონომიკური დახმარების, მემკვიდრეობის უფლების, საქორწინო კონტრაქტის დადების უფლებისა და საკუთრების ფლობის კანონებს.

ისლამური რევოლუციის შედეგად კანონმდებლობაში შეტანილი ბევრი შესწორების მიუხედავად, რომლებიც ცალსახად უარყოფითად აისახა ქალის უფლებრივ მდგომარეობასა და საზოგადოებრივ სტატუსზე, ცალკე უნდა აღინიშნოს განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის თაობაზე. ისლამური რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებული გარკვეული ცვლილებების (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთსქესიან დაწესებულებებად გადაკეთება, შეცვლილი სასწავლო სახელმძღვანელოები, გაუქმებული კერძო სკოლები და სკოლებში კვლავ ისლამური ჩაცმულობის შემოღება) მიუხედავად, ქალებისთვის საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომა არ შეზღუდულა. ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია ავალდებულებდა მთავრობას, უზრუნველყო უფასო საშუალო განათლება როგორც ბიჭებისთვის, ასევე გოგონებისთვის. გოგონები იღებდნენ როგორც საშუალო, ისე უმაღლეს განათლებას, თუმცა შეიცვალა სასწავლო სახელმძღვანელოების შინაარსი და სტრუქტურა, რაც შესანიშნავად წარმოაჩენს ისლამური რესპუბლიკის იდეოლოგიას. „ამჟამინდელი რეჟიმის პატრიარქალური ორიენტაცია, რა თქმა უნდა, ჩართულია ელემენტარულ ტექსტებში. ამდენად, ის ემსახურება საზოგადოებაში ქალის როლის შესახებ ტრადიციული ღირებულებების განმტკიცებას, რასაც იზიარებს მოსახლეობის უმეტესობა“ (Touba, 1987).

ირან-ერაყის ომის შემდეგ (1980-1988) ირანის მეოთხე პრეზიდენტის, ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანის (1989-1997) მიერ სოციალური კონტროლის თანდათან შემსუბუქებამ, ქალთა საკითხებისადმი მისმა პრაგმატულმა დამოკიდებულებამ, ოჯახის დაგეგმვის პროგრამის შემუშავებამ და კანონმდებლობაში შეტანილმა

მცირედმა ცვლილებებმა, ქალებს საშუალება მისცა, ჩართულიყვნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

1992 წელს პრეზიდენტის ქალიშვილმა ფაეზე ჰაშემიმ²⁰ დააარსა ისლამური ქვეყნების ქალთა სპორტის სოლიდარობის საბჭო, რომელმაც 1992 და 1997 წლებში, თეირანში, უმასპინძლა ქალთა სპორტულ თამაშებს, სადაც მონაწილეობას ირანელი ქალებიც იღებდნენ. იმავე პერიოდში ქალთა რაოდენობა გაიზარდა სკოლებსა და უნივერსიტეტებში.

1994 წელს ადამიანის უფლებათა დამცველის შირინ ებადის²¹ ინიციატივითა და გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) თანამშრომლობით, დაარსდა „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“, რომელიც დაინტერესებული იყო ირანში ბავშვთა ისეთი უფლებების აღიარებით, როგორებიცაა: განათლების, კვების, ჯანმრთელობის დაცვისა და თავშესაფრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ასევე, ყოველგვარი ზიანის, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური

²⁰ ფაეზე ჰაშემი ბაჰრამანი რაფსანჯანი, პრეზიდენტ რაფსანჯანის ქალიშვილი, რეფორმატორი პოლიტიკოსი, რომელიც 1990-იან წლებში ირანში ქალთა როლის გაფართოების სიმბოლოდ იქცა. ფაეზე ჰაშემი იყო მეხუთე მოწვევის პარლამენტის წევრი. მისი ინტერესის სფეროს საზოგადოებისთვის აქტუალური პოლიტიკური გარემოებები, ქალთა უფლებები და სპორტთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენდა. იგი ხელმძღვანელობდა ქალთა სპორტის ისლამურ ფედერაციას 1990 წლიდან და 1992 წელს დააფუძნა ისლამური ქვეყნების ქალთა სპორტის სოლიდარობის საბჭო. მან 1998 წელს დააარსა ქალთა ყოველდღიური გაზეთი „ქალი“ („نساء“), რომელიც ფემინიზმის მხარდაჭერის, ისლამური ჰეგზების კრიტიკისა და პოლიტიკური ამბების გაშუქების გამო 1999 წელს აიკრძალა. 2011 წელს ფაეზე ჰაშემის რეჟიმის წინააღმდეგ პროპაგანდისტული საქმიანობისთვის მიესაჯა ექვსი თვით პატიმრობა და ხუთი წლით აეკრძალა პოლიტიკური, კულტურული და ჟურნალისტური საქმიანობა. 2016 წელს იგი მეორედ დააპატიმრეს სასამართლო ხელისუფლებისადმი სიცრუის ტირაჟირებისა და რეჟიმის შანტაჟის ბრალდებით.

²¹ შირინ ებადი - იურისტი, მწერალი, ადამიანის უფლებათა დამცველი, ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში (2003), პირველი ირანელი, რომელსაც ასეთი პრემია ხვდა წილად. თეირანის საქალაქო სასამართლოს პირველი ქალი თავმჯდომარე (1975) და ერთ-ერთი პირველი ქალი მოსამართლე ირანში (1967). ორი არასამთავრობო ორგანიზაციის („ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ (SPRC, 1994) და „ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი“ (DHRC, 2001) დამფუძნებელი, არაერთი სტატიისა და წიგნის ავტორი, ქალთა ლიტერატურის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელი. მისი გახმაურებული წიგნი „ოქროს გალია“, რომელშიც ისლამური რევოლუციის მიმღე შედეგებზე წერს, ქართულ ენაზეცაა ნათარგმნი (ებადი, 2023). შირინ ებადი, პრაქტიკულად, დევნილი სამშობლოდან, 2009 წლიდან ემიგრაციაშია ლონდონში.

ძალადობისგან დაცვისა და ბიჭებისა და გოგონებისთვის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა. საზოგადოების მიზანი იყო ბავშვების მიმართ სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის დამშვები კანონების შეჩერება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა „ბავშვის უფლებათა კონვენციას“ (CRC). „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ სახელს უკავშირდება 9 წლის გოგონებისთვის ქორწინების კანონის გაუქმება (Iranian Children's Rights Society, 2019).

ქალთა უფლებების კუთხით ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა მოჰამად ხათამის პრეზიდენტობის დროს (1997-2005). მოჰამად ხათამი ირანის პირველ რეფორმატორ პრეზიდენტადაა მიჩნეული, რადგან მისი მოღვაწეობა ქვეყანაში რეფორმებსა და ირანელი ხალხის პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას უკავშირდება. მისი მმართველობის დროს რამდენიმე ქალი დაინიშნა უმაღლეს თანამდებობებზე^{22 23} და 2004 წელს პარლამენტში 13 ქალი აირჩიეს დეპუტატად. გარდა ამისა, ქალების ზეწოლამ აიძულა მთავრობა, ხელახლა განეხილა შეჩერებული „ოჯახის დაცვის კანონის“ შეცვლილი ნაწილები. ამასთან ერთად, მოსამართლე ქალები გახდნენ სპეციალური საოჯახო სასამართლოების თავმჯდომარე სასულიერო პირების მრჩეველები. 2002 წელს პარლამენტმა გოგონების ქორწინების ასაკი 9 წლიდან 13 წლამდე გაზარდა. გაუქმდა აკრძალვა თანმხლები პირის გარეშე სახელმწიფოს მიერ ქალების საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსებაზე. მოჰამად ხათამის პრეზიდენტობისას დაარსდა არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ირანში ქალთა საკითხებით იყო დაინტერესებული. მათ შორის იყო „ადამიანის

²² მასუმე ებთექარი - ირანის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე; ირანის ისლამური რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი 1997-2005 წლებში; გარემოს დაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ვიცე-პრეზიდენტი 2013-2017 წლებში; 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანის კაბინეტის პირველი ქალი წევრი; 1979 წლის ნოემბერში, თეირანში, აშშ-ის საელჩოს პერსონალის მძევლად აყვანისას, დიპლომატიური შენობის მოიერიშე სტუდენტური ჯგუფის ინგლისურენოვანი სპიკერი; ავტორი წიგნისა „გადატრიალება თეირანში: 1979 წელს აშშ-ს საელჩოს დაკავების შიდა ამბავი“ (2000).

²³ ზაჰრა რაჰნავარდი - პრეზიდენტ მოჰამად ხათამის პოლიტიკური მრჩეველი და თეირანის ალჰაჰრას უნივერსიტეტის კანცლერი 1998-2006 წლებში. 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ პირველი ირანელი ქალი, რომელიც დაინიშნა უნივერსიტეტის კანცლერად.

უფლებადამცველთა ცენტრი“ ("كانون مدافعان حقوق بشر"), რომელიც შირინ ებადისა და მისი მეგობრების ინიციატივით დაფუძნდა. ცენტრი ხელს უწყობდა ირანში ადამიანის უფლებების, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების კანონიერი პროცესის წარმართვას. მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა პოლიტიკურ დანაშაულში ბრალდებულთა ან სინდისის პატიმრების დაცვის უზრუნველყოფა, პოლიტპატიმართა და სინდისის პატიმართა ოჯახების მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების განვითარება და სხვ. (Defenders of Human Rights Center, n.d.). თუმცა 2008 წლის დეკემბერში პოლიციამ დაარბია და დახურა უფლებადამცველი ჯგუფის ოფისი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის დღის 60 წლის იუბილეს აღნიშნავდა (Voice of America, 2008).

პრეზიდენტებისა და მთავრობების ცვლილებებიდან გამომდინარე, იცვლებოდა ქალთა მდგომარეობა ირანში.

მაჰმუდ აჰმადინეჟადი (2005-2013), წინამორბედისგან განსხვავებით, ცდილობდა ჩარჩოებში მოექცია ქალთა მუდმივი სწრაფვა თანასწორობისკენ. მისმა გადაწყვეტილებებმა კვლავ შეაჩერა რეფორმები, რომლებიც ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად და რომლებიც მოჰამად ხათამის პრეზიდენტობის დროს წარმატებით ხორციელდებოდა. აჰმადინეჟადის მმართველობის დროს, საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ბრალდებით, დაიხურა წამყვანი ფემინისტური ჟურნალი „ქალები“ ("زن"), რომელიც 1991 წლიდან 2007 წლამდე ყოველთვიურად გამოდიოდა და, იმ პერიოდის სხვა გამოცემებთან ერთად, ირანის ინტელექტუალურ ბეჭდვით ორგანოდ მიიჩნეოდა.

ჟურნალი „ქალები“ იყო ყველაზე ადრე დაარსებული ირანული არასამთავრობო გამოცემა, რომელიც კონკრეტულად ქალთა საკითხებს შეისწავლიდა ირანულ საზოგადოებაში. იმის გათვალისწინებით, რომ ქალთა ფემინისტური მოძრაობა ირანში მისაღები სულაც არ იყო, ჟურნალი „ქალები“ ირანის ერთადერთ

ფემინისტურ ყოველთვიურ ბეჭდვით ორგანოს წარმოადგენდა. ის იყო რეფორმისტულ ჯგუფებთან დაახლოებული ერთადერთი გამოცემა, რომელიც 2000 წელს გადაურჩა აკრძალვის ტალღას და, მიუხედავად ყველაფრისა, შეძლო არსებობის გაგრძელება კიდევ 7 წლით (BBC Persian, 2008). აღნიშნულთან დაკავშირებით New York Times-ი 2008 წლის 7 თებერვალს წერდა: „პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი და მისი მოკავშირეები ადანაშაულებენ შეერთებულ შტატებსა და სხვა უცხოელ მტრებს, მაგრამ, რისიც მათ ნამდვილად ეშინიათ, საკუთარი მოქალაქეები არიან... მხდალი გამოსავალი დარჩენიათ: ხალხის ხმის გამომხატველი კონკურენტების ჩამოშორება და მათი გაჩუმება, ვინც ირანელი ხალხის ხმას წარმოადგენს - როგორიცაა „ქალები“- გამორჩეული ჟურნალი ირანელი ქალებისთვის და შაჰლა შერქათი, ამ ჟურნალის მამაცი მთავარი რედაქტორი“ (The New York Times, 2008).

მაჰმუდ აჰმადინეჟადის პოლიტიკის გაგრძელება იყო ის, რომ 2007 წელს ადგილობრივ საკრებულოებში ათიათასობით მანდატიდან მხოლოდ 43 ქალი აირჩიეს წარმომადგენლად. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კი - მხოლოდ 2 ქალი დეპუტატი. ქალის უფლებების შეზღუდვა მხოლოდ მათი საზოგადოებრივი სტატუსის შეზღუდვაში არ გამოხატულა: პოლიცია ქალებს ჰეჯაბის დაუცველობის გამო ქუჩებში ფიზიკურად უსწორდებოდა; არჩევნების შემდეგ დემონსტრანტების მიმართ ჩადენილი სისასტიკის გამო აჰმადინეჟადმა კონსერვატორი ქალების დიდი ნაწილის მხარდაჭერაც დაკარგა; მისი მმართველობისას, განათლების სამინისტროს წაქეზებით, პოლიცია ქალებს ჩაცმულობის გამო უსწორდებოდა (Esfandiari, 2015). განათლების სამინისტროს წაქეზებით, რამდენიმე უნივერსიტეტი ცდილობდა აეკრძალა ქალი სტუდენტების სწავლა ზოგიერთი მიმართულებით, თუმცა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ამ გეგმის განხორციელება.

2013 წლიდან, ჰასან როუჰანის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (2013-2021), ქალების საზოგადოებრივი სტატუსი თითქოს კვლავ უკეთესობისკენ შეიცვალა,

ყოველ შემთხვევაში, „ერთი შეხედვით“ და ზედაპირულად. ოთხი ქალი დაინიშნა ვიცე-პრეზიდენტად: მასუმე ებთეჟარი, ელჰამ ამინზადე, შაჰინდოხთ მოულავერდი და მარზიე აფხამი. როუჰანის მმართველობის დროს ზნეობის პოლიცია თავშეკავებულად იქცეოდა და ქალებიც შედარებით თავისუფლად გრძნობდნენ თავს. მათი სამოსი ფერადი და მოდური გახდა. ეწყობოდა ქალი დიზაინერების კერძო ჩვენებებიც. მეწარმე ქალები კვლავ მართავდნენ კომპანიებსა და სტარტაპებს. პრეზიდენტობის პირველივე თვეებში ჰასან როუჰანიმ პატიმრობიდან გაათავისუფლა ადამიანის უფლებათა დამცველი ადვოკატი ნასრინ სოთუდე და შვიდი ქალი აქტივისტი. თუმცა, იმავდროულად, აპატიმრებდნენ ხელისუფლების კრიტიკოსებს, მათ შორის, ქალ აქტივისტებს. ჰასან როუჰანის მმართველობის დროს (2015) დაიხურა ქალთა ჟურნალი „ქალები დღეს“ („زنان امروز“), რომელიც, სინამდვილეში, ისლამური რევოლუციის შემდეგ გამოცემული და 2007 წელს აკრძალული ყველაზე პროგრესული ფემინისტური ჟურნალის, „ქალები“, განახლებულ ვარიანტს წარმოადგენდა. ჟურნალს უფლებამოსილება სტადიონებზე ქალების ყოფნისა და თეთრი ქორწინების ²⁴ საკითხების წამოწევის გამო შეუჩერეს (BBC Persian, 2015).

ქალთა უფლებების თვალსაზრისით, ვითარება არ შეცვლილა არც მომდევნო პრეზიდენტის სეიედ ებრაჰიმ რაისის მმართველობისას (2021-2024). აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ რაისის ჯერ კიდევ თეირანის მთავარი პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე მოღვაწეობის პერიოდს უკავშირდება ირანში სასამართლო სისტემაში ადამიანის უფლებათა დარღვევისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები, მათ შორის, 1988 წელს ათასობით პოლიტპატიმრის მასობრივი სიკვდილით დასჯა (Golkar, 2019), უკანონო დაკავებები და წამება (AMNESTY INTERNATIONAL, 2013). ბუნებრივია, როდესაც ქვეყანაში მასობრივად ირღვევა ადამიანის უფლებები,

²⁴ თეთრი ქორწინება („ازدواج سفید“) - ქორწინების ტიპი, რომელიც, როგორც წესი, არ არის ნამდვილი. ეს კეთდება ქორწინების ერთ-ერთი მხარის დასახმარებლად; მისი სასჯელისგან, დევნიდან, წამებისგან ან ზიანის მიყენებისგან დაცვის გამო; ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი სარგებლის ან სავიზო შეღავათების მიღების გამო, ასევე, ასექსუალობის ან ჰომოსექსუალობის შესანიღბად.

საკუთრივ ქალის უფლებების დაცვაზე მწელია საუბარი. ასეთ დროს და ასეთ პირობებში ქალის უფლებები განსაკუთრებით ირღვევა.

ებრაჰიმ რაისის საპრეზიდენტო მმართველობისას ყველაზე გახმაურებული საქმე 2022 წლის 13 სექტემბერს „ზნეობის პოლიციის“ მიერ ისლამური ჩაცმულობის ეტიკეტის დარღვევის ფაქტზე 20 წლის ახალგაზრდა, ქურთული წარმოშობის ქალის, მაჰსა ამინის დაკავებასა და წამებით სიკვდილს (16 სექტემბერი) უკავშირდება. ფაქტმა ხელისუფლების მიმართ დიდი აღშფოთება გამოიწვია და ფართომასშტაბიანი საპროტესტო მოძრაობის მიზეზი გახდა, მოძრაობის ლოზუნგი კი „ქალი, სიცოცხლე, თავისუფლება“²⁵ იყო. ირანის ქალაქებში ქალებმა პროტესტის ნიშნად ჰეჯაბები მოიხსნეს, აქციები მალე მთელ ირანს მოედო. მაჰსა ამინის სიკვდილით გამოწვეული პროტესტი ისლამური რევოლუციის შემდგომი პერიოდის ირანში არეულობების ყველაზე დიდი ტალღა იყო. დემონსტრაციებს ქალებთან ერთად მამაკაცებიც შეუერთდნენ, დააკავეს და მოკლეს აქციების არაერთი მონაწილე (Britannica, 2023).

მაჰსა ამინის სიკვდილს გამოხმაურება მოჰყვა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მხრიდან, როგორებიცაა Amnesty International, Human Rights Watch, Humanists International და სხვ. მისი უკანონო დაკავებისა და მკვლელობის შესახებ იტყობინებოდნენ მსოფლიოს წამყვანი სამაუწყებლო კომპანიები და გამოცემები CNN, BBC, The New York Times, The Guardian, Al Jazeera, VOA, Forbes, Reuters და ა.შ. „ადამიანის უფლებათა დაცვის

²⁵ „ქალი, სიცოცხლე, თავისუფლება“ („زن، زندگی، آزادی“) - ქურთი მემარცხენე პოლიტიკოსი, პოლიტპატიმარი, ქურთისტანის მუშათა პარტიისა და ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი აბდულა ოჯალანი თვლიდა, რომ ქალებს ჩაგრავს პატრიარქალური სისტემა, კაპიტალიზმი და სახელმწიფო. ის ქალებს უწოდებს „პირველ დამონებულ ერს ისტორიაში“ და აღნიშნავს, „ქალი ტყვეობაში მყოფი მიწაა, რომელიც უნდა გათავისუფლდეს“. 90-იანი წლების ბოლოს აბდულა ოჯალანმა შემოგვთავაზა „თავისუფალი ქალის იდეა“ – სანამ ქალები არ გათავისუფლდებიან, საზოგადოება არ გათავისუფლდება. ის წერს: „ქალი, სიცოცხლე, თავისუფლება“ ნიშნავს თავისუფალ ქალს, თავისუფალ ქვეყანას და თავისუფალ კაცსაც კი“ („زن، زندگی، آزادی یعنی زن آزاد، سرزمین آزاد و حتی مرد“ («آزاد») (Qorbani, 2022). აბდულა ოჯალანის ეს სიტყვები ქურთისტანში მეზრმოლი ქალების მიერ გამოყენებული პოლიტიკური და სოციალური ლოზუნგი გახდა, რომელიც ირანში მაჰსა ამინის მკვლელობის შემდეგ საპროტესტო აქციების მთავარ სლოგანად იქცა.

ცენტრი ირანში“ მაჰსა ამინის „ქალთა წინააღმდეგ ისლამური რეჟიმის მიერ წარმოებული ომის კიდევ ერთ მსხვერპლს“ უწოდებს (Center for Human Rights in Iran, 2022). აღნიშნული ფაქტი და ქალთა მიმართ ძალადობა დაგმეს მსოფლიოში ცნობილმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ: „ჩვენ შეძრულები ვართ და ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ქალბატონი ამინის გარდაცვალების გამო. ის არის ირანის ხანგრძლივი რეპრესიების, ქალთა მიმართ სისტემატური დისკრიმინაციისა და დაწესებული განსხვავებული ჩაცმულობის - რომელიც ქალებს ართმევს საკუთარ სხეულზე ავტონომიას და აზრის, გამოხატვისა და რწმენის თავისუფლებას - კიდევ ერთი მსხვერპლი“ (United Nations, 2022).

მიუხედავად, ირანში გამართული მრავალათასიანი დემონსტრაციებისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების გამოხმაურებებისა, მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე თვეში ირანის მთავრობამ შეძლო პროტესტის ჩახშობა (Britannica, 2023). ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დაქორწინებულ ქალებს ჯერ კიდევ სჭირდებათ ქმრების ნებართვა სამოგზაუროდ წასასვლელად, მარტოხელა ქალებს პასპორტის ასაღებად კი - მამების თანხმობა. მათ ჯერ კიდევ ფიზიკურად უსწორდებიან ისლამური ჩაცმულობის ეტიკეტის დარღვევის გამო. ხშირია ქალებზე ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები.

„ქალები დღეს ასწავლიან და სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში, იკრიბებიან ოფისებში, მეჩეთებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, კონფერენციებზე და სასწავლო ჯგუფებში; ისინი ჩნდებიან კამერების წინ ან აწარმოებენ ფილმებს; ურთიერთობენ წიგნებისა და სტატიების, ნახატებისა და სპექტაკლების საშუალებით, ინარჩუნებენ კავშირს ბლოგების, ონლაინ ფორუმებისა და საინფორმაციო ქსელების მეშვეობით. ისინი დაწინაურდნენ სამთავრობო

საფეხურზე ხმათა უპრეცედენტო რაოდენობით, უფრო აქტიურები არიან, ვიდრე ოდესმე და უარს ამბობენ თავიანთი ახლად მოპოვებული ადგილის დათმობაზე. ირანის ისტორიის განმავლობაში, ქალები თავიანთი კულტურის მიერ წინასწარ დაწესებულ ჩარჩოებს, მოქმედებისა და წარმოსახვის ტრადიციულ სფეროებს მიღმა ისე შორს არასდროს წასულან, როგორც დღეს. არასოდეს ყოფილან საჯარო სფეროში და არ ჩართულან საჯარო დისკუსიებში ისე, როგორც დღეს. მოძრაობის თავბრუდამხვევი, თვალისმომჭრელი გრძნობით გამოცოცხლებულები, ძლიერ სამოქალაქო ძალად ჩამოყალიბდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი აღმოჩნდნენ უსისხლო, არამალადობრივი რევოლუციის ცენტრში, რომელმაც შეარყია ირანული საზოგადოების საფუძვლები. მიუხედავად, იმისა, რომ ეს რევოლუცია არ შეესაბამება რევოლუციის ტრადიციულ განმარტებას, მან მაინც ძირეულად შეცვალა ქვეყნის სოციალური სტრუქტურები, ხელახლა განსაზღვრა მამრობითი და მდედრობითი, შეცვალა საჯარო და კერძო ძალაუფლების ბალანსი. ეს იყო შემობრუნება, ავტორიტეტისა და რესურსების ხელახალი გადანაწილება. ქალები გაუძღვნენ გზას არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ გენდერული თავისუფლებისკენ“ (Milani, 2011, გვ. 367).

ქალის უფლებებთან დაკავშირებული აქტივობებისა და ფემინისტური მოძრაობის გარკვეული გამარჯვებების მიუხედავად, სხვადასხვა ეტაპზე, ისლამური რევოლუციის შემდეგ მიღებულმა კანონებმა მიღწეული პროგრესი უკან დახია და ბევრი მცდელობა წარუმატებლობისთვის გაწირა. ყველაფრის მიუხედავად, 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ ქალები გამუდმებით იბრძვიან დაკარგული უფლებების აღდგენისთვის, ქალთა საკითხებისადმი ისლამური რეჟიმის დამოკიდებულების მიუხედავად, მუდმივად ცდილობენ ქვეყანაში, საზოგადოებასა და ოჯახში კუთვნილი ადგილისა და როლის მოპოვებასა და დამკვიდრებას. დღესაც, მნიშვნელოვანი გამოწვევების მიუხედავად, ქალები აქტიურად ერთვებიან ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ინარჩუნებენ ხმის მიცემისა და საჯარო სამსახურებში დასაქმების უფლებას,

იკავებენ საპასუხიმგებლო თანამდებობებს პარლამენტში, მინისტრათა კაბინეტსა და სხვა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, იღებენ უმაღლეს განათლებას ირანსა და უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში, სიცოცხლის ფასად იბრძვიან ირანში ქალთა ემანსიპაციისა და თანასწორობისთვის.

თავი 4. ქალთა საკითხის კვლევის ცენტრები ირანში

ქალთა კვლევების, როგორც აკადემიური დისციპლინის ჩამოყალიბებას საფუძველი 1960-70-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაეყარა, როდესაც ქალთა მოძრაობის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ ტრადიციული კვლევა ნებისმიერი მიმართულებით არ ცნობდა გენდერს, როგორც ანალიზის ობიექტს. ფემინისტებმა ყურადღება გაამახვილეს ქალებზე, როგორც სოციალურ ჯგუფზე, რომელიც გამორიცხული იყო ტრადიციული ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებიდან. აღმოჩნდა, რომ პრაქტიკულად ყველა ტრადიციული დისციპლინა ასახავდა მხოლოდ მამაკაცის შესახებ ინფორმაციას და არ ითვალისწინებდა ქალთა გამოცდილებას.

ქალთა კვლევების პირველი აკრედიტებული კურსი 1969 წელს კორნელის უნივერსიტეტში შეიქმნა, პირველი სასწავლო პროგრამა კი 1970 წელს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა. ქალთა კვლევები შეისწავლის გენდერულ როლებს წარსულში და თანამედროვე საზოგადოებებში. დისციპლინა იკვლევს, თუ როგორ აყალიბებს ისტორიული და თანამედროვე ეპოქა ქალებისა და მამაკაცების ცხოვრებას და რა გავლენა აქვს მასზე გლობალიზაციას, ეკონომიკურ და სამართლებრივ სისტემებს.

1980-იანი წლების დასაწყისში მკვლევრების ყურადღების ცენტრში ადამიანის სხეული, ძალადობა, სქესთა შორის უთანასწორობა და საზოგადოების პატრიარქალური ბუნება მოექცა. მეცნიერებმა ყურადღება ისეთ საკითხებზე გაამახვილეს, როგორიცაა: ქალთა დისკრიმინაცია საჯარო და პირად ცხოვრებაში, უთანასწორობა შრომით ბაზარზე, ქალთა შეზღუდული ხელმისაწვდომობა განათლებასა და პროფესიულ განვითარებაზე. დაიწყო კვლევა ქალის როლისა ისტორიაში, მეცნიერებაში, საზოგადოებასა და ოჯახში. ინფორმაციის დაგროვების კვალდაკვალ გაიზარდა ინტერესი ქალთა კვლევების სასწავლო კურსების მიმართაც, წამყვან უნივერსიტეტებში შეიქმნა ქალთა კვლევების სამაგისტრო პროგრამები.

1990-იანი წლებიდან მთელ მსოფლიოში გაიზარდა ქალთა საკითხების მიმართ ინტერესი, შეიქმნა არაერთი საგანმანათლებლო პროგრამა და კვლევითი პროექტი. ქალთა საკითხებზე კვლევები დაიწყო დასავლეთ ევროპაში, აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში. ქალთა ორგანიზაციების მხარდაჭერით ჩატარდა არაერთი საერთაშორისო კონფერენცია და კონგრესი, რომელიც მხარს უჭერდა ქალთა კვლევების შესახებ ინფორმაციისა და გამოცდილების გავრცელებას და გაზიარებას.

1995 წელს პეკინში გამართულ ქალთა მსოფლიო კონგრესის მუშაობაში ირანის ისლამურმა რესპუბლიკამაც მიიღო მონაწილეობა. კონგრესზე წამოჭრილი საკითხების გაანალიზების შედეგად ირანის ქალთა კვლევებისა და შესწავლის საზოგადოებამ (مؤسسه مطالعات و تحقیقات زنان) გადაწყვეტილება მიიღო, ქალთა კვლევები სასწავლო დისციპლინად ჩამოეყალიბებინა. 1999 წელს კულტურისა და უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესმა დაგეგმარების საბჭომ დაამტკიცა ქალთა კვლევების სამაგისტრო პროგრამა, რომელიც 2001-2002 წლებში ირანის უნივერსიტეტებში განხორციელდა.

სამაგისტრო პროგრამა თავდაპირველად ალამე თაბათაბაის უნივერსიტეტში (دانشگاه علامه طباطبائی²⁶, თარბიათე მოდარესის პედაგოგიურ უნივერსიტეტსა (دانشگاه تربیت مدرس²⁷ და ალზაჰრას უნივერსიტეტში (دانشگاه الزهرا)²⁸ განხორციელდა. 2003 წელს ამ უნივერსიტეტებს თეირანის უნივერსიტეტი (دانشگاه تهران)²⁹ და ისლამური თავისუფალი უნივერსიტეტის რუდეჰენის ფილიალიც შეუერთდა (دانشگاه آزاد اسلامی).³⁰ 2004 წლიდან აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა შირაზის

²⁶ <https://ssd.atu.ac.ir/fa>

²⁷ <https://www.modares.ac.ir/hum/departments/women-studies>

²⁸ <https://wrc.alzahra.ac.ir/page-wrc/fa/15/form/pld16119>

²⁹ <https://cws.ut.ac.ir/introduction>

³⁰ <https://roudehen.iau.ir/fa>

უნივერსიტეტმაც (دانشگاه شیراز)³¹ განახორციელა, 2005 წელს კი პროგრამის განხორციელებაში ისპაჰანის უნივერსიტეტი (دانشگاه اصفهان)³² ჩაერთო.

ქალთა კვლევების სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიმართულებები „ქალის უფლებები ისლამში“, „ქალი და ოჯახი“, „ქალი და ისტორია“ იყო. 2010 წელს მეცნიერების სამინისტროს გავრცელების სამსახურის გენერალურმა დირექტორმა, აბუალფაზელ ჰოსეინიმ, განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი არ შეესაბამებოდა რელიგიურ პრინციპებს, მათი საფუძველი დასავლური სკოლების ბაზას ეყრდნობოდა და, შესაბამისად, აუცილებელი იყო სასწავლო კურსების შინაარსისა და სახელმძღვანელოების შესწორება ადგილობრივი და რელიგიური იდეოლოგიის საფუძვლების მიხედვით. ამის შემდეგ ქალთა კვლევების სამაგისტრო პროგრამას „ოჯახის კვლევები და ქალის უფლებები ისლამში“ ეწოდა (Danesgah-e Tarbiat-e Modares, n.d.).

თანამედროვე ეტაპზე სამაგისტრო პროგრამა, „ოჯახის კვლევები და ქალის უფლებები ისლამში“, ირანის არაერთ უნივერსიტეტში გაიხსნა. სამაგისტრო პროგრამის მთავარ მიზანს და ძირითად ფუნქციებს, ოფიციალური დებულებით, წარმოადგენს:

1. მეცნიერული, აკადემიური და კვლევებით გამყარებული სწორი და მიუკერძოებელი შეხედულების ჩამოყალიბება ქალის ადგილის შესახებ თანამედროვე სამყაროში;
2. ქალთა გაძლიერება; სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება; მეცნიერული და პროფესიული დონის ამაღლება; ოჯახის ფუნდამენტის განმტკიცება; სამუშაო გარემოს გაჯანსაღება და სხვ.

³¹ <https://shirazu.ac.ir/>

³² <https://www.ui.ac.ir/>

3. ქალთა საკითხებში განათლებისა და კვლევის კუთხით სპეციალიზებული კადრების მომზადება; კულტურის სფეროსა და სოციალურ საკითხებში ქალის პრობლემების მიმართ მეცნიერული ხედვის გაძლიერება;
4. ქალთა კვლევების ორგანიზება, მათი პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ პასუხისმგებელი პირებისთვის აღსრულების სტრატეგიების მიწოდება და სხვ.

თავი 5. თანამედროვე სპარსული პროზის განვითარება

5.1. პროზაული ჟანრების ჩამოყალიბება ირანში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში

საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს კულტურული საზოგადოებისთვის ირანი პოეზიის ქვეყნად მიიჩნეოდა. ირანის ლიტერატურული ცხოვრების წიაღში არსებული პროზაული ძეგლები უმდიდრესი პოეტური მემკვიდრეობის ფონზე თითქმის შეუმჩნეველი რჩებოდა. მაგრამ გავიდა ხანი, შეიცვალა რეალობა და საზოგადოებრივი მოთხოვნის, ქვეყანაში განხორციელებული დემოკრატიული ცვლილებების, სოციალურ-პოლიტიკური დაკვეთისა და ევროპის გავლენის შედეგად, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აქტიურად და სწრაფად დაიწყო განვითარება პროზაულმა ჟანრებმა.

არსებულმა რეალობამ, სოციალურ-პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა გარდაქმნებმა გავლენა იქონია ლიტერატურულ პროცესებზე და დღის წესრიგში დააყენა გამოსახვის ისეთი საშუალებებისა და მეთოდების შექმნის საჭიროება, რაც უფრო სწრაფად შეძლებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული პრობლემების ანალიზსა და გამოსავალი გზების ძიებას. მწერლებმა გადმოცემის შესაფერის ფორმად პროზაული ჟანრები იგულისხმეს. პროზას ცხოვრების მასშტაბურად ასახვის, ადამიანის სულიერი სიღრმეების ჩვენების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოჭრილი ახალი ეპოქის გამომხატველი პროგრესული აზრებისა და იდეების ხორცშესხმის დიდი შესაძლებლობები აქვს. „ლექსს, თავისი ენობრივი სტრუქტურის გამო, ძალა არ შესწევს აღწეროს ღრმა და ფართო სოციალური მღელვარებანი, რომელნიც ისტორიის კვალდაკვალ საზოგადოებაში მოხდა... ამრიგად, მწერლები სხვა ლიტერატურულ ძალას (რომანს) მიმართავენ“ (Barahani, 1991, გვ. 26).

თანამედროვე, ახალი და უახლესი სპარსული ლიტერატურის დასაწყისად, პირობითად, მე-19 საუკუნის დამდეგი ითვლება. ევროპიდან შემოსული უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მოვლენის - განმანათლებლობის პარალელურად, მოგზაურობის წიგნების, სოციალურ-პოლიტიკური ტრაქტატების,

დიალოგური ფორმის თხზულებებისა და ახალი ტიპის პიესების გავრცელებამ ხელი შეუწყო ირანში ევროპული ტიპის პროზაული ჟანრის ნაწარმოებების განვითარებას. ახალი ფორმის ნაწარმოებების დამკვიდრების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი წვლილი დასავლეთ ევროპისა და რუსული ლიტერატურის ნიმუშების სპარსულმა თარგმანებმაც შეიტანა. პროზაული ჟანრების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი იყო ბეჰდური პრესის გავლენა, რამაც ხელი შეუწყო სადა, ცოცხალი, გასაგები პროზაული ენის დამკვიდრებასა და სათქმელის მასებამდე მარტივად მიტანას. მე-20 საუკუნის ათიანი წლებიდან განვითარდა პუბლიცისტური და მხატვრული რომანი და მოთხრობა. განსაკუთრებით პოპულარული გახდა ნოველა, რომელიც, მცირე ფორმატისა და მოქნილობის წყალობით, სწრაფად და ადვილად ესადაგებოდა მიმდინარე პროცესებს.

ირანში უკვე მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნიდან არსებული თანამედროვე, ევროპული ტიპის პროზა მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან სპარსულ ლიტერატურაში წამყვან როლს ასრულებს. პროზაული ჟანრების სტილი დაიხვეწა, ირანელმა მწერლებმა ნაწარმოებებს ინდივიდუალობა შესძინეს, სპარსულმა მინიატურამ, ნოველამ, მოთხრობამ და რომანმა აითვისა ყველა ის გამომსახველობითი საშუალება, რომელიც შეიმუშავა მსოფლიო მხატვრულმა პროზამ. თანდათან დაიხვეწა თხზულებების ფორმა და შინაარსი.

„ამ პერიოდიდან სპარსული პროზის კვლევის საგნად ადამიანი იქცა თავისი ყოფითი თუ სულიერი პრობლემებით. განვითარდა ფსიქოლოგიური პროზა, მწერლობამ ადამიანის შესწავლა დაიწყო. მწერლების ინტერესის სფეროში შემოვიდა ადამიანის ფიზიკური თუ სულიერი მოღვაწეობის არა რომელიმე ცალკეული მხარე, არამედ მისი სულიერი სამყარო ერთიანობაში“ (ბურჯანაძე, 2016, გვ. 81).

ამ პერიოდის ლიტერატურული ნაწარმოებების წამყვან თემატიკაში ქალის საკითხი უმნიშვნელოვანესი იყო. დემოკრატიული ლიტერატურა ხომ ადამიანის შელახული

უფლებების და ნებისმიერი დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოდის. ამ უფლებებში კი წამყვანი, სოციალურ საკითხთან ერთად, ქალის უფლებობის თემაა.

5.2. ქალის საკითხი მამაკაცი მწერლების ნაწარმოებებში

მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიო პოლიტიკურმა პროცესებმა, განსაკუთრებით კი ქალთა უფლებების თვალსაზრისით განხორციელებულმა სასიკეთო ცვლილებებმა ბიძგი მისცა ირანში ფემინისტური საქმიანობის გააქტიურებას. ამ გზაზე ერთ-ერთი პირველნი ლიტერატურის წარმომადგენლები გახდნენ. ქალთა ორგანიზაციების საქმიანობას მხარს უჭერდნენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწე მამაკაცები - საიდ ნაფისი, რეზაზადე შაფაყი, მირზადე ემყი, ებრაჰიმ ხაჯენური და სხვ. ამ პერიოდის სპარსულმა ლიტერატურამ აქტიური ნაბიჯები გადადგა პატრიარქალური ირანის კაბალაში მოქცეული ქალის გასათავისუფლებლად და მისი უკადრისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ საკითხზე წერდა ცნობილი პოეტი ირაჯ მირზა.

„ირაჯ მირზა თავის ეპოქაში უმნიშვნელოვანესი პოეტი იყო. განათლებული, დასავლური ენებისა და კულტურის მცოდნე და პატივისმცემელი, მთარგმნელი, ლირიკოსი, სატირიკოსი, სხვადასხვა ჟანრული ლექსის დიდოსტატი. და მაინც, ის, პირველ რიგში, ახალ სპარსულ პოეზიას შემორჩა, როგორც სიყვარულის მომღერალი.

ქალის ფენომენი, მისი უფლებების დაცვა და საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ქცევის პრობლემა ირაჯის პოეზიაში ვრცელ საკითხს წარმოადგენს. მისი ლექსები ჩადრსა და, საზოგადოდ, ჰეჯაბზე, როგორც მხოლოდ პირობით და უფუნქციო ატრიბუტზე, მოვლენად იქცა... ჩადრს ამოფარებული პატრიარქალური ყოფის სიღრმეში ქალის მიჩქმალვა, ერთი მხრივ, უაზრობაა, რადგან სიყალბეა - ნიღაბია, რომლის მიღმა ბევრი უკადრისი საქციელი იმალება. მეორე მხრივ კი, სირცხვილია, რადგან ქალი საზოგადოების სიცოცხლის ძალაა, სიცოცხლის საწყისია,

ნაყოფიერების გამოხატულება. ეს საკითხი ირაჯ მირზასთვის არა მარტო ნაციონალურ სირცხვილად, არამედ ძალიან რთულად გადასაჭრელ პრობლემადაც იქცა“ (ბურჯანაძე, 2019, გვ. 38-39).

პოეტის ფიქრის საგანს ქალის უფლებო და დამამცირებელი მდგომარეობა წარმოადგენდა ირანში. „ირაჯ მირზა წერდა კიდეც, რომ მისი თანამედროვე ქალის მდგომარეობა მას ბნელი საუკუნეების ვითარებას აგონებდა“ (ბურჯანაძე, 2016, გვ. 344).

მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა თანდათან გზას იკვლევდა და ძალებს იკრებდა. ეს პროცესი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ლიტერატურაში ჰპოვებდა ასახვას და, თავის მხრივ, უკუგავლენასაც ახდენდა ქვეყნის ცხოვრებაზე. ამ ლიტერატურულ პროცესში უამრავი მწერალი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ სადეყ ჰედაიათი, ბოზორგ ალავი, მაჰმუდ ბეჰაზინი, მოჰამად ჰეჯაზი, მორთეზა მოშფეყ ქაზემი და სხვ. იწერებოდა სხვადასხვა ჟანრის პროზაული თხზულება: რომანი, მოთხრობა, ნოველა, მინიატურა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მინიატურის ჟანრი, რომელიც ძალიან რთულია თავისი სტრუქტურული კომპაქტურობისა და შინაარსობრივი მრავლისმომცველობის გამო. ამ მხრივ საინტერესოა მაჰმუდ ეთემადზადეს (ბეჰაზინის) მინიატურები, რომლებიც ამ ჟანრის განვითარების საწყის ეტაპზევე ადასტურებენ ავტორის პროფესიონალიზმს. ბეჰაზინი შესანიშნავად ახერხებს, მწერლობის ეს ლირიკულ-პოეტური ჟანრი უმძიმეს ირანულ სოციალურ რეალობას მოარგოს და მხატვრულად სრულყოფილსა და გამორჩეულ სურათებს ქმნის. ის ეხება ჩვენთვის მნიშვნელოვან - ქალის საკითხსაც და პოეტურად საუბრობს ქალის არსსა და დანიშნულებაზე.

მაჰმუდ ბეჰაზინი რამდენიმესტრიქონიან მინიატურაში, რომელსაც „ქალი“ ჰქვია, წერს: „ფეხით წყლისა და სახით მზისაკენ, თეთრი ლოტოსი ცას შეჰღიმდილეს. მისი

ცვრით ნაბანი სახე ჭეშმარიტად მშვიდია და წმინდა, მაგრამ მწვანე წყლის სიღრმეში ფესვსა და ღეროს ათასი ღელვა ათრთოლებს მალვით.

და შენშიც, მშვენიერო არსებავ, აყვავებული და სახემცინარი ლოტოსის დარად, ათასი ღელვა დამინახავს, თრთოლვით მოსილი“ (ბურჯანაძე, 2016, გვ. 108).

5.3. ქალთა ლიტერატურის ჩამოყალიბება ირანში

თუკი ადრე, თანამედროვე პროზის განვითარების საწყის ეტაპზე, ქვეყნისთვის ყველა მნიშვნელოვან და მტკივნეულ პრობლემაზე, მათ შორის, ქალის პრობლემებზე და მის სულიერ სამყაროზე მხოლოდ მამაკაცები წერდნენ, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სპარსულ ლიტერატურაში მწერალი ქალებიც გამოჩნდნენ და თავადვე დაიწყეს საკუთარ პრობლემებსა და ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე საუბარი. თანდათან მამაკაც მწერლებს ქალებიც შეუერთდნენ და საკუთარი სათქმელი თქვეს. ქალი მწერლების სათქმელი და ფორმა კი უფრო მკაფიო და მრავალმხრივი იყო ამ მიმართულებით, ვიდრე მამაკაცი ავტორებისა. ამ თვალსაზრისით, მე-20 საუკუნის 40-იანი წლები მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევა თანამედროვე სპარსული პროზის განვითარებაში, რადგან ამ პერიოდში დაიწყო სამწერლობო საქმიანობა პირველმა პროზაიკოსმა ქალმა - სიმინ დანეშვარმა, რომელსაც თანდათან მწერალი ქალების მთელი თაობა მოჰყვა. საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული, თანამედროვე სპარსულ პროზას შეემატა მწერალი ქალების სახელები, რომლებმაც ახლებური ხედვა და ახალი ფორმები შესძინეს ლიტერატურას.

გარდა ენისა, კულტურისა, სოციუმისა, რომელშიც მწერლები ცხოვრობენ, სქესი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს მწერლის სათქმელის ფორმასა და ნააზრევზე. მწერალი ქალების ნაწარმოებთა მიმზიდველობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ქალური გამოცდილების ზუსტად, ზედმიწევნით გადმოცემით დამაჯერებლად აღწერენ ქალ პერსონაჟთა პრობლემებს, ფიქრებს და განცდებს. მათი ხელწერა ინდივიდუალური და მრავალფეროვანია. „ნაწარმოებებში

ხშირად მამაკაცთა თვალთახედვით ვუმზერთ ქალის საკითხს და, ამდენად, ქალის სახე ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს“ (Mirabedini, 1998, გვ. 1109). ქალი მწერლების მიერ შექმნილი ქალი პერსონაჟი და ამ პერსონაჟის პრობლემები განსხვავდება მამაკაცების მიერ დანახული ქალის სახისაგან. ალბათ, ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქალთა შემოქმედებაში ქალს სუბიექტის როლი ენიჭება და არა ობიექტის.

ლიტერატურაში ქალების ხვედრითი წილი განსაკუთრებით ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ გაიზარდა. „რევოლუციის შემდეგ ლიტერატურის სფეროში მწერალ ქალთა მომრავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ისლამური რესპუბლიკის მიერ ქალების კვლავ ტრადიციებისა და რელიგიის მოთხოვნების ჩარჩოებში დაბრუნების მცდელობაც შეიძლებოდა ქცეულიყო“ (ბურჯანაძე, 2016, გვ. 252). ამ პერიოდში სამწერლობო ასპარეზზე ქალთა რაოდენობის განსაკუთრებული ზრდა მათ მიერ შექმნილი ლიტერატურისადმი მკითხველი საზოგადოების დაინტერესებამ და მისმა მოთხოვნებმაც განაპირობა. „პოსტრევოლუციურ პერიოდში სპარსული ლიტერატურის არეალზე ძალიან იმატა მწერალ ქალთა ხვედრითმა წილმა... საუკუნის ბოლოსთვის კი მწერალი ქალები იმდენად მომრავლდნენ, რომ მათ ლიტერატურას სალიტერატურო კრიტიკის მიერ, პირობითად, ქალთა ლიტერატურა ეწოდა“ (ბურჯანაძე, 2016, გვ. 252). თანამედროვე ეტაპზე ქალთა ლიტერატურის ფენომენი იმდენად თვალსაჩინო, საინტერესო და მრავალფეროვანია, რომ მისი არშემჩნევა შეუძლებელია.

ტერმინი „ქალთა ლიტერატურა“, ჩვეულებრივ, გულისხმობს ქალი მწერლების მიერ შექმნილ ლიტერატურას, თუმცა ლიტერატურათმცოდნეთა წრეში ამ ტერმინის გააზრებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების ნაწილი ქალთა ლიტერატურას არა როგორც ქალ ავტორთა მიერ შექმნილ მწერლობას, არამედ როგორც ქალებისთვის შექმნილ ლიტერატურას განიხილავს. ეს საკითხი დროდადრო მწვავე კამათს იწვევს - ამ კულტურული ფენომენის უპირობო აღიარებიდან მის სრულ უარყოფამდე. ამ

უკანასკნელი თეზის დამცველთა არგუმენტი ასეთია: არსებობს მხოლოდ კარგი და ცუდი ლიტერატურა, რომელიც სქესის მიხედვით არ იყოფა, არც მამაკაცებისა და არც ქალების. ირანელი პროზაიკოსი ქალი გოლი თარაყი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ხელოვნების დონეზე კაცისა და ქალის... გაგება არ არსებობს. ხელოვნება ამგვარ დაყოფაზე მაღლა დგას“ (თარაყი, 2004, გვ. 217).

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინ „ქალთა ლიტერატურის“ გააზრების საკითხი დღემდე გარკვეულ შეკითხვებს ბადებს, ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ „ქალთა ლიტერატურა“ - ეს არის ქალი მწერლების მიერ შექმნილი, ქალის თვალთა დანახული მწერლობა. ჩვენს შრომაში სწორედ ამ გაგებით ვიყენებთ ამ ტერმინს.

ქალი მწერლების შემოქმედება, პირველ ეტაპზე, არასერიოზულად აღიქმებოდა კრიტიკოსთა მხრიდან, თუმცა ქალი ავტორები „ჯიუტად“ განაგრძობდნენ პროფესიულ საქმიანობას. „სალიტერატურო კრიტიკა არასერიოზულად ეკიდებოდა ქალთა შემოქმედებას. ბევრი თვლიდა, რომ ქალი არ უნდა დაკავდეს წერით, როგორც პროფესიული საქმიანობით, მამაკაც ლიტერატორთა მსგავსად“ (Мезенцева, 2015).

მოგვიანებით კრიტიკოსებმა მწერალ ქალთა შემოქმედების სერიოზულად აღქმა დაიწყეს. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით, ირანის ისლამური რევოლუციის შემდგომ ეტაპზე, თანამედროვე სპარსულ მწერლობაში ქალთა ლიტერატურის ჩამოყალიბებამ სახე უცვალა მანამდე არსებულ გამომსახველობით ფორმებს და მეტი ინდივიდუალობა შესძინა ნაწარმოებებს. საზოგადოებრივი პრობლემების, ყოფიერების არსის, აკრძალული სიყვარულისა და მარტოობის თემების გარდა, მწერალმა ქალებმა, დროის შესაბამისად, რევოლუციის, ემიგრაციის, ომების, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების განხილვა დაიწყეს. შაჰრუნუმ ფარსიფურის თქმით, „რევოლუციის გამოცდილება, ომი და ეკონომიკური მოვლენები ქალებს მოვლენათა ასპარეზზე ისვრის და ეს, თითქოს, ისტორიული მოთხოვნაა“ (Mirabedini, 1998, გვ. 1109).

თუმცა ნათელია, რომ ყველა იმ მწერალს, რომელიც ამ პერიოდში მოღვაწეობდა, პოლიტიკური თუ სოციალური მიზეზების გამო, არ გაუმართლა. მათ საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს, ირანში განვითარებული მოვლენების შედეგად, მოუწიათ ქვეყნის დატოვება ან სამშობლოში დარჩენის სანაცვლოდ - დუმილი. ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ (1979) სამშობლოდან ემიგრაციაში წასულ მწერალ ქალთა რაოდენობა საკმაოდ დიდია - მაჰმად ამირშაჰი, შაჰრნუმ ფარსიფური, გოლი თარაყი, მონირუ რავანიფური, მეჰრნუმ მაზარეი, შექუფე აზარი, შაჰლა შაფი, ფაჰიმე ფარსაი და სხვანი. მათ დუმილს გარკვეული თავისუფლება - ქვეყნიდან წასვლა ამჯობინეს, რადგან მათი აზრები და ლიტერატურა ეწინააღმდეგება ყოველგვარ კონფლიქტს, დევნას, მუქარას, ცენზურას, ადამიანთა სამშობლოდან გადასახლებას, ხოცვასა და ბიბლიოთეკების დაწვას. ისინი ირანს გარეთ ქმნიან თანამედროვე სპარსული ლიტერატურის მრავალფეროვან სურათს, რომელსაც ქალთა ლიტერატურის ემიგრანტული ნაწილი ჰქვია.

„ქალთა ბედმა, ჩვენი და ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილი საუკუნის განმავლობაში, მრავალი ვარდნა და აღმასვლა ნახა - უფრო მეტი, ვიდრე ჩვენი კაცების ბედმა. საუკუნის დასაწყისში ირანელ ქალებს საბურველი ემოსათ და უმეცრებაში ატარებდნენ დღეებს: მათ თანდათანობით მოიპოვეს თავისუფლება და ნელ-ნელა გააცნობიერეს საზოგადოებაში საკუთარი როლი, შესაძლებლობები და მნიშვნელობა; საუკუნის შუახანებიდან უამრავ სარბიელზე გაიბრწყინეს; თუმცა საუკუნის მიწურულს ისინი კვლავ დაატყვევეს, რათა სუდარაში გაეხვიათ და ნახევარ ადამიანებად მიეთვალიათ. უცნაური ბედია ეს ბედი - მართლაცდა!“ (Amirshahi, 2012).

ირანის ისლამური რესპუბლიკა მმართველობის პირველი დღეებიდანვე შეეცადა, გარკვეული რეგულაციები დაეწესებინა ლიტერატურასა და ბეჭდურ პრესაზე. სწორედ ამიტომ მრავალი კვარტალური თუ ყოველკვირეული ჟურნალის კონფისკაცია მოხდა, რამდენიმე კი სრულად დაიხურა. ხომეინიმ მწერლებს უთხრა:

„გადატეხეთ თქვენი კალმები. სანაცვლოდ, წადით, ყურანი და მისი კომენტარები წაიკითხეთ!“ (Amirshahi, 2001). აიკრძალა არაერთი მწერლის, მათ შორის, მწერალი ქალების წიგნები. დააპატიმრეს ან აიძულეს, ქვეყნიდან წასულიყო მწერალ ქალთა დიდი ნაწილი, მათ სრულად შეეზღუდათ წერის თავისუფლება. მათი სახელები სპარსული ლიტერატურის ისტორიის წიგნებიდან ამოიღეს. დააპატიმრეს და ციხეში გარდაიცვალა არაერთი ცნობილი მოღვაწე, კრიტიკოსი, მეცნიერი, პოეტი, მწერალი და მთარგმნელი. თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კულტურის მუშაკები რეჟიმს „უთანხმდებოდნენ“ და მათ საამებლად მუშაობდნენ, როგორც ეს იყო ნაცისტურ გერმანიაში, ფრანკოს ესპანეთში, სტალინის საბჭოეთში, ვიშის რეჟიმის დროს საფრანგეთის ნაცისტური ოკუპაციის პირობებში... (Amirshahi, 2001). ამ თვალსაზრისით, არც ირანი იყო გამონაკლისი.

გარდა ამისა, ისლამურმა რეჟიმმა ადამიანთა მარტივად სამართავად შექმნა ისლამური კულტურისა და დამოძღვრის სამინისტრო და მას ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებიც დაუქვემდებარა. მსოფლიოში ადგილის დამკვიდრებისა და საკუთარი თავისადმი კეთილგანწყობის შექმნის მიზნით სამინისტრო, ერთი მხრივ, რამდენიმე გამომცემლობასა და გაზეთს ოფიციალურ სტატუსს ანიჭებდა, მართავდა წიგნის გამოფენებს, გამოფენა-გაყიდვებს, ფესტივალებს და ევროპიდან იწვევდა სტუმრებს. ეს ყველაფერი, მათ შორის, „ქალთა უფლებების დაცვის“ სახელით კეთდებოდა და მსოფლიოში გააქტიურებული ქალთა მოძრაობისთვის თვალის ასახვევ ღონისძიებებს წარმოადგენდა.

მეორე მხრივ, ისლამური რეჟიმი ფარდის მიღმა აკონტროლებდა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს. ხელისუფლება და ცენზურის ინსტიტუტი ერთგულ გამომცემლობებსა და „მოღვაწეებს“ წაახალისებდა. ამის ნათელი მაგალითია პეკინის ქალთა უფლებადამცველ კონფერენციაში (1995) ირანელი ქალების მონაწილეობა. მათ კონფერენციაზე აღნიშნეს, რომ ირანში არათუ

არ ირღვევა ქალთა უფლებები და მათ არანაირი პრობლემა არ გააჩნიათ, არამედ ისინი მიზანმიმართულად უნდა იქცნენ მსოფლიოს სხვა ქვეყნების ქალებისთვის.

ბევრნაირი ბარიერის მიუხედავად, მწერალი ქალები, ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ, ახერხებდნენ იმ პრობლემების ჩვენებას, რისი გადმოცემაც, ხშირ შემთხვევაში, საფრთხეს უქმნიდა მწერლების შემდგომ მოღვაწეობას. მწერალმა ქალებმა თავის დამკვიდრებისთვის, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, დიდი მსხვერპლი გაიღეს. თუმცა ბოლო ათწლეულების განმავლობაში მათ შექმნეს ყველასაგან გამორჩეული, თვითმყოფადი ლიტერატურა, რომელიც განსაკუთრებულ კვალს ტოვებს არამარტო სპარსულ, არამედ, მე ვიტყვოდი, მსოფლიო მწერლობაში. მათ შორის არიან სიმინ დანეშვარი, გოლი თარაყი, შაჰრნუშ ფარსიფური, მონირუ რავანიფური, მაჰშიდ ამირშაჰი, ზოია ფირზადი, ფარიბა ვაფი, პროფესიით იურისტი და ადამიანის უფლებათა დამცველი შირინ ებადი და სხვანი (ტალახაძე, 2023).

მწერალ ქალთა ნაწარმოებები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამბები, რასაც მწერლები გადმოგვცემენ, ხშირ შემთხვევაში, ასახავს მტკივნეულ და ტრაგიკულ რეალობას. თავიანთ ნაწარმოებებში ისინი საუბრობენ ირანის პატრიარქალური საზოგადოებისთვის აქამდე ტაბუდადებულ თემებზე, რომლებიც ძალიან აქტუალური და პოპულარულია დღევანდელ მსოფლიოში. ეს საკითხებია: ოჯახური და გენდერული ურთიერთობები, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა, ქალთა უფლებები, დეპრესია, ნაადრევი ქორწინებები, ქალის სექსუალობის წინ წამოწევა და სხვ. ამიტომ დღითიდღე მატულობს მათი ნაწარმოებების მკითხველთა რაოდენობა.

ერთ-ერთ ინტერვიუში თანამედროვე ირანელი პროზაიკოსი ზოია ფირზადი წერს: „ბევრს ვწერ ქალებზე, რადგან ქალის საკითხი ამჟამად ჩემი ყურადღების ცენტრშია. იმაზე ფიქრი, რომ ქალები კაცებზე არიან დამოკიდებულნი, გულს მტკენს. ირანში, სომხეთში, ინდოეთსა და ბევრ არადასავლურ კულტურაში, გოგონა როცა იზადება, მამის გოგოა, მერე - ქმრის ცოლი, ბოლოს კი - ვაჟიშვილის დედა. ქალის ბედი და

სიცოცხლე ყოველთვის რომელიმე მამაკაცის ცხოვრებასთანაა მიბმული. ეს არის ის, რასაც მოელის საზოგადოება ქალისგან: სახლში შრომას, გათხოვებას და შემდეგ შვილების გაჩენას“ (Pirzad, 2009).

ქალთა ლიტერატურას ხშირად, მასში დასმული საკითხების გენდერულ პრობლემებთან კავშირის გამო, ერთიანად ფემინისტურ მწერლობად მოიხსენიებენ, თუმცა ეს არ არის ფემინიზმი ვიწრო გაგებით, როგორც მას ხშირად თანამედროვე რეალობა განიხილავს. მათ თხზულებებში ეს მოვლენა ბევრად უფრო მრავლისმომცველი და ფართოა, ვიდრე მხოლოდ ქალის უფლებები ან მისი საზოგადოებრივი დანიშნულების განსაზღვრა.

ემიგრაციაში მყოფი ირანელი ქალი მწერლები სულ უფრო ხშირად საუბრობენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების შესახებ, რისი საშუალებაც მათ ირანში მოღვაწეობისას არ ეძლეოდათ. მათ მიერ შექმნილი ლიტერატურა თავისუფალია შეზღუდვებისგან, სამთავრობო ცენზურისა და რთული საგამომცემლო პირობებისგან, რასაც ვერ ვიტყვით ირანში მცხოვრები მწერლების შემოქმედებაზე. ირანში მოღვაწე ავტორებს არ აქვთ საშუალება ისაუბრონ თამამად, გაბედულად და გახსნილად. ისინი თავიანთ სათქმელს ქვეტექსტებით, თვითცენზურისა და ოფიციალური ცენზურის წნეხის ქვეშ მეტაფორულად, შეფარვით, სტრიქონებს შორის დაფარული სათქმელით გამოხატავენ.

უცხოეთში მოღვაწე ირანელი ქალი მწერლების დანიშნულებაზე, ფუნქციასა და შესაძლებლობებზე საუბრისას ქალთა ლიტერატურის მკვლევარი ფარზანე მილანი მიუთითებს, რომ „ისინი უძრაობას და სიჩუმეს გაურბიან. განსხვავებულობას და მრავალფეროვნებას იგებენ, პატივს სცემენ და აფასებენ. ირანისა და მსოფლიოს მიჯნაზე დგანან და სპარსული ლიტერატურის ახალ სახეს გამოხატავენ საერთაშორისო ასპარეზზე. ამ ლიტერატურას შეიძლება მიჯნის ლიტერატურა ეწოდოს. ლიტერატურა, რომელიც ტრადიციული საზღვრებიდან გათავისუფლდა

და წერისა და ხედვის ახალ გზებს ეძიებს. იცის, რომ თავის ადგილს მოსწყდა და სხვადასხვა იდენტობასა და შეხედულებას გამოხატავს“ (Milani, 2021).

ემიგრაციაში მოღვაწე ქალმა მწერლებმა ისლამური რეჟიმის პირობებში არსებული შეზღუდვებისგან თავის დაღწევით, შინაგანი თავისუფლების მოპოვებითა და გულწრფელობით შეძლეს სათქმელის მკითხველ საზოგადოებამდე მიტანა. ფარხანე მილანი ქალ ავტორთა შესახებ ამბობს: „საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩენით, მწერალმა ქალებმა დაარღვიეს თავიანთი ლიტერატურული მოჩვენებითი-უხილავობა. მათ საკუთარი სხეულებისა და ხმების მოძრაობა თავიანთი მხატვრული სამყაროს ცენტრად აქციეს. შემაკავებელი მეტაფორები - კედლები, ჰეჯაბები, იძულებითი დუმილი, ბარიერები, გალიები, უსინათლო ფანჯრები, დახურული კარები და გისოსები - მათ ნამუშევრებში ფრთების გამოსხმის, ფრენის, გაქცევის, თავის დაღწევის, ცეკვის, სიმღერის, ამ დრომდე ართქმულის დადასტურების, უთქმელისა და აკრძალულის საზღვრების გადალახვის ძლიერი სურვილის გვერდით თანაარსებობენ“ (Milani, 2011, გვ. 8).

მილანი აღნიშნავს, ქალმა მწერლებმა ქალის ადგილისა და დანიშნულებისთვის ბრძოლის მთავარ იარაღად სიტყვები აქციეს, გადარჩენის ერთადერთ გზად კი - მოძრაობის თავისუფლება. მათ ნაწარმოებებში იდეურ ქვეტექსტებში გაბნეულმა, სიტყვების დახმარებით გადმოცემულმა, მთავარმა სათქმელმა ხმლები შეცვალა. მილანის აზრით, მწერალმა ქალებმა თავიანთი გამჭრიახობით ტრადიციულისგან განსხვავებული მნიშვნელობა შესძინეს ჰეჯაბს. ის ველარ გამოდგება სქესის მიხედვით ადამიანთა დაყოფის სიმბოლოდ. ჰეჯაბი, მართალია, ფარავს ქალების სხეულებს, მაგრამ არა მათ ხმებს.

მწერალი მეჰრნუმ მაზარეი კი აღნიშნავს, რომ ირანს გარეთ ცხოვრებამ, მიჩვეულ ტრადიციებს და, რაც მთავარია, ცენზურას დაშორებამ, მწერალი ქალების ნაწერებს უთუო კვალი დაატყო. „სხეულისადმი ყურადღება, გრძნობების აღწერა, როგორებიცაა შინაგანი მოთხოვნილებები, მამაკაცის სხეული, სქესობრივი

შეზღუდვები, თავისუფალი სქესობრივი კავშირები, სიყვარული, ღალატი და მისი გავლენა ცოლ-ქმრულ კავშირებზე, ეს ის საკითხებია, რომლებიც მწერალი ქალების ნაწარმოებებში საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ცენზურისა და დამკვიდრებული შეზღუდვებისგან შორს განიხილება“ (Zarin Panah, 2007).

ემიგრაციაში მოღვაწე ქალი ავტორები ცდილობენ, ხმა მიაწვდინონ დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროს, თავიანთი სიტყვითა და ქმედებით გარკვეული გავლენა მოახდინონ არსებულ რეალობაზე და შეცვალონ მოცემულობა. მიუხედავად დევნილობაში გატარებული ცხოვრებისა, რაც ხშირ შემთხვევაში აშრობს მწერლების შთაგონებას, ქალი მწერლები საკუთარი იდეალების ერთგულები რჩებიან. სამშობლოდან შორს, უცხო სამყაროში, მშობლიური ენის ერთგულებითა და დედაენაზე შექმნილი ნაწარმოებების საშუალებით ახერხებენ მუდმივი კავშირი ჰქონდეთ ირანთან და ამით მშობლიური კულტურის ნაწილად დარჩნენ. ეს გადაწყვეტილება მათ თვითგადარჩენაში ეხმარება, ახალ ადამიანებთან ურთიერთობით, გამოცდილების გაზიარებით, ახალი წეს-ჩვეულებების გაცნობით კი ცდილობენ, გაიფართოვონ ჰორიზონტი და შექმნან ხელოვნების ღირებული ნაწარმოებები.

თავი 6. პერსონაჟი ქალის უფლებობიდან ემანსიპაციისკენ

6.1. ქალის ტრადიციული როლი - უფლებაყრდილი ქალები

რაც არ უნდა საინტერესო და მნიშვნელოვანი იყოს ქალთა ლიტერატურის ემიგრანტული ფრთა, ჩვენი ინტერესის საგანს მაინც ირანში მოღვაწე მწერლების შემოქმედება და მათზე თვალის მიდევნება წარმოადგენს, რადგან მათი ნაწარმოებების გაცნობისას თვალსაჩინოა, რა ხდება ქვეყნის შიგნით, რა ცვლილებები მიმდინარეობს ლიტერატურაში, როგორი ვითარებაა ფემინისტური კუთხით, როგორ ხედავენ საკუთარ თავს, იდენტობას, ადგილს და ფუნქციას მწერალი ქალები და რა გზებს პოულობენ ქვეყნის ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში სათქმელის გამოსახატად.

თანამედროვე ირანელ მწერალ ქალთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიმინ დანეშვარს³³. ის იყო პირველი პროფესიონალი ირანელი ქალი პროზაიკოსი,

³³ სიმინ დანეშვარი დაიბადა 1921 (1300) წლის 28 მაისს, ირანის ქალაქ შირაზში, მოჰამადალი დანეშვარისა და ყამარ ას-სალთანე ჰეჰმათის ოჯახში. მისი დედა იყო გოგონათა სამხატვრო სასწავლებლის დირექტორი და მხატვარი, მამა კი - ექიმი.

სიმინმა დაწყებითი განათლება შირაზში, მეჰრანის ბრიტანულ მისიონერულ სკოლაში მიიღო. ის მცირე ხნის განმავლობაში თეირანის ამერიკულ პანსიონშიც ცხოვრობდა, სადაც ინგლისური ენის ცოდნას იღრმავებდა. სიმინი თავისუფლად ფლობდა ინგლისურ ენას, რამაც საშუალება მისცა, ადრეულ ასაკშივე გასცნობოდა მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს. მოგვიანებით მან სწავლა განაგრძო თეირანის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტზე სპარსული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით. 1949 წელს თეირანის უნივერსიტეტი სპარსული ლიტერატურის დოქტორის ხარისხით დაამთავრა.

1948 წელს სიმინ დანეშვარმა გაიცნო ირანელი მწერალი და ინტელექტუალი ჯალალ ალ-ე აჰმადი, რომელზეც 1950 წელს იქორწინა. მათი ქორწინება 20 წელიწადს გაგრძელდა, 1969 წელს ჯალალ ალ-ე აჰმადის გარდაცვალებამდე.

1952 წლის სექტემბერში დანეშვარი ამერიკაში, სტენფორდის უნივერსიტეტში, ფულბრაიტის სტიპენდიის დაფინანსებით გაემგზავრა და ესთეტიკის მიმართულებაზე სწავლობდა. ამერიკაში ცხოვრებისა და სწავლის პერიოდში მან დაწერა ორი ნოველა ინგლისურ ენაზე, რომელიც „ჩემი დამკვირვებლის“ ფსევდონიმით სტენფორდის უნივერსიტეტის ჟურნალში გამოქვეყნდა.

1955 წელს სიმინ დანეშვარი ირანში დაბრუნდა. იგი გოგონების და ბიჭების სამხატვრო სასწავლებელში ასწავლიდა. იმავედროულად, ხელმძღვანელობდა ჟურნალს „ორნამენტი“ („نقش و نگار“). სიმინ დანეშვარი ინტენსიურად მუშაობდა თარგმანზე. მან ინგლისური ენიდან თარგმნა არაერთი ნოველა, მოთხრობა და პიესა.

მის მიერ შესრულებულ თარგმანებს შორისაა: ჯორჯ ბერნარდ შოუს „მოკოლადის ჯარისკაცი“ („سرباز“), ანტონ ჩეხოვის „მტრები“ („دشمنان“, 1949), „ტიფი“ („تیفوس“, 1950), „ალუბლის ბაღი“ („باغ“), წიგნად გამოსცა „ჩეხოვის საუკეთესო მოთხრობები“ („بهترین داستانهای چخوف“, 1951), არტურ შნიცლერის „ბეატრიჩე“ („بیاتریس“, 1953), უილიამ საროიანის „ადამიანური კომედია“ („کمدی انسانی“).

რომელმაც გაბედა და თავის ნაწარმოებებში ასახა ის აქტუალური და მძიმე საკითხები, რომლებიც ტვირთად აწვა ირანელ ქალს და შექმნა პერსონაჟთა მრავალფეროვანი სახეები. გარდა იმისა, რომ მან გამორჩეული კვალი დატოვა თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში და დღემდე ირანელების უსაყვარლეს მწერლად რჩება, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ქალთა ლიტერატურის ჩამოყალიბებას.

სიმინ დანეშვარმა, როგორც მწერალმა, განვითარების საკმაოდ დიდი და საინტერესო გზა განვლო. მისი მოთხრობების პირველ კრებულებში ქალის უფლებებისთვის

1954), ჰაროლდ კურლანდერის „მზესთან ერთად“ („همراه آفتاب“, 1958), ნათანიელ ჰოთორნის „ალისფერი დამდა“ („داغ ننگ“, 1967), ალან პეიტონის „იტირე, სამშობლოვ“ („بنال وطن“, 1972), რიუნოსკე აკუტაგავას „მზიანი თაფლობის თვე“ („ماه عسل آفتابی“, 1983), დეილ კარნეგის „ცხოვრების წარმატების საიდუმლო“ („رمز موفق زیستن“,), ჯალალ ალ-ე აჰმადთან თანამშრომლობით თარგმნა და გამოსცა ჩინელი ავტორის ლინ იუთანგის მიერ შედგენილი ინდური იგავების კრებული სახელწოდებით „The Wisdom of India“ („ინდოეთის სიბრძნე“) და მას „ორმოცი თუთიყუში“ („چهل طوطی“, 1972) უწოდა.

1940-იანი წლების მიწურულს სიმინ დანეშვარმა წამოიწყო საკუთარი ლიტერატურული კარიერა, როგორც მოთხრობების მწერალმა. 1948 წელს გამოაქვეყნა პირველი კრებული სახელწოდებით „ჩამქრალი ცეცხლი“ („آتش خاموش“), რომელიც 16 მოთხრობას აერთიანებდა. ამას მოჰყვა კრებულები „სამოთხესავით ქალაქი“ („شهری چون بهشت“, 1961), „ვის მივესალმო?“ („به کی سلام کنم“, 1980), „გადამგრენ ფრინველებს ჰკითხე“ („از پرندۀ های مهاجر بپرس“, 1997), „არჩევანი“ („انتخاب“, 2007). ასევე, რომანები: „სიავეუმის დატირება“ („سووشون“, 1969) და ტრილოგია - „დაბნეულობის კუნძული“ („جزیره سرگردانی“, 1993), „დაბნეული მეხრე“ („ساریان سرگردان“, 2001), „დაბნეული მთა“ („کوه سرگردان“). ტრილოგიის მესამე წიგნი 2007 წლიდან დღემდე დაკარგულად ითვლება და ჯერ არ გამოქვეყნებულა (2010 წელს ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალში „ნაფე“ („نافه“) გამოქვეყნდა მწერლისა და ჟურნალისტის ალირეზა ყოლამის (علیرضا غلامی) წერილი სახელწოდებით „დაბნეული მთის ძიებაში“, სადაც პირველად გაცხადდა ინფორმაცია რომანის დაკარგვის შესახებ. ხარაზმის გამომცემლობა ორი წლის განმავლობაში ცდილობდა, რომანის გაუჩინარების შესახებ ინფორმაციას მედიაში არ გაეჟონა). დანეშვარის ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს არაერთ ენაზე.

სიმინ დანეშვარს ეკუთვნის წიგნი სახელწოდებით „ჯალალის დაისი“ („غروب جلال“, 1982), რომელიც თავის მეუღლეს, ჯალალ ალ-ე აჰმადს, მიუძღვნა. წიგნის პირველი ნაწილი, რომელიც 1962 წელს დაიწერა, ავტობიოგრაფიულია და ცნობილი ირანელი მწერლის ცხოვრების პირად, სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებს ეხება. მეორე ნაწილი კი, საიდანაც წიგნის სახელწოდება მომდინარეობს, ჯალალ ალ-ე აჰმადის სიცოცხლის ბოლო დღეს აღწერს.

მას, ასევე, ეკუთვნის რამდენიმე არამხატვრული ნაწარმოები: „ირანული გასაოცარი ხალიჩები“ („شاهکار های فرش ایران“), „ირანის ხელოსნობის გზამკვლევი“ („راهنمای صنایع ایران“), „მენ-ბუდიზმი“ („نن بویدیسم“), „ესთეტიკის საფუძვლები“ („مبانی استتیک“).

სიმინ დანეშვარი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 90 წლის ასაკში, თეირანში, 2011 წლის 9 მარტს გარდაიცვალა.

2013 წელს კინორეჟისორმა ჰასან სოლჟუმ სიმინ დანეშვარის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გადაიღო დოკუმენტური ფილმი სპარსული BBC Persian-სთვის სახელწოდებით „სიმინი, დაბნეულობის კუნძულის მკვიდრი“ („سیمین، ساکن جزیره سرگردانی“) (Solhju, 2013).

ბრძოლას, პატრიარქალური საზოგადოების, ტრადიციისა და ოჯახის მარწუხებიდან მის გათავისუფლებას წამყვანი ადგილი უჭირავს. ჩვენი კვლევის ობიექტი ქალი მწერლებიდან სიმინ დანეშვარი ერთადერთია, რომელიც ნაწარმოებებში ქალთა სრულ უუფლებობაზე ამახვილებს ყურადღებას და ქალის უფლებების შეზღუდვის კუთხით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. განვითარების ხანგრძლივი გზა, მის შემოქმედებაში, პრაქტიკულად, მთელი ფემინისტური მოძრაობის სინქრონულად ვითარდებოდა: სრული უუფლებობიდან - ემანსიპაციის ეტაპამდე.

მწერლის პირველი მოთხრობები, ძირითადად, პატრიარქალურ ოჯახსა და საზოგადოებაში ქალთა დაბეჩავებულ, ყოველდღიურ ყოფას ასახავს. მწერალი სინამდვილის უკეთ აღსაქმელად რეალიზმისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით, შეულამაზებლად, ინტერპრეტაციის გარეშე აღწერს ადამიანთა ბუნების სისასტიკეს, მოვლენათა მიმდინარეობას, სიტუაციებსა და პრობლემებს, რაც ნაწარმოებებს მეტ სიმძაფრესა და ემოციას სძენს. მისი მოთხრობების კრებულები სავსეა რეალისტური თემებითა და უფლებააყრილი, ბედსშეგუებული ქალი პერსონაჟებით, რომლებიც მე-20 საუკუნის შუახანების ირანის პატრიარქალური საზოგადოების ნამდვილ, ჭეშმარიტ სახეს ასახავენ. შეიძლება ითქვას, რომ სიმინ დანეშვარის სამწერლო მოღვაწეობის პირველი პერიოდი, ყოველ შემთხვევაში, მისი ამ პერიოდის მოთხრობები, მთლიანად რეალიზმის ჩარჩოში ზის, როგორც თემატური, ასევე, სამწერლო მეთოდის თვალსაზრისით.

სიმინ დანეშვარმა ლიტერატურული კარიერა მოთხრობების კრებულით „ჩამქრალი ცეცხლი“ („آتش خاموش“, 1948წ.) დაიწყო, რომელიც კრიტიკოსებმა დანეშვარის სუსტ ნამუშევრად მიიჩნიეს და გამოუცდელი მწერლის ნააზრევად ჩათვალეს. თანამედროვე ირანელი მწერალი ჰუმანგ გოლშირი კრებულს „შავ პირად“ მიიჩნევს. მის აზრს თავად დანეშვარიც იზიარებს. როგორც მწერალი აღნიშნავს, „იმ კრებულის მოთხრობები ნედლი, უმწიფარი და ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასა და სოციალურ ხედვას მოკლებული იყო, რადგან ამ საქმეში საკმარისი გამოცდილება არ

მქონდა“ (Daneshvar, 1982, გვ. 7). სტრუქტურისა და მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით სიმინ დანეშვარის პირველ კრებულებს აშკარად ეტყობა ავტორის ცხოვრებისეული და სამწერლო გამოცდილების ნაკლებობა. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ სამწერლო ოსტატობის თვალსაზრისით უინტერესო მოთხრობები ქალის საკითხის დასმის კუთხით უკვე საყურადღებო მოვლენა იყო.

სიმინ დანეშვარის მოღვაწეობის პირველი პერიოდის კრებულებიდან ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ მოთხრობების კრებულზე „სამოთხესავით ქალაქი“ („شهری چون بهشت“), რომელიც ამერიკიდან დაბრუნებულმა, ბევრად უფრო გამოცდილმა მწერალმა 1961 წელს გამოაქვეყნა. კრებული სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილ 10 მოთხრობას აერთიანებს და მასში ქალის უფლებებისთვის ბრძოლის თემატიკას წამყვანი ადგილი უჭირავს. მოთხრობათა კრებულში მწერალი მიმოიხილავს სხვადასხვა ქალის მრავალგვარ პრობლემას, რომელიც საყოველთაოა იმ სინამდვილისთვის, რომელსაც მე-20 საუკუნის შუახანების ირანი ჰქვია. დანეშვარი აღწერს პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალების მდგომარეობას და ისეთ თემებს ეხება, როგორებიცაა მამაკაცისა და ქალის უფლებები, ნადრევი და იძულებითი ქორწინება, ქალთა მიმართ ძალადობა, მორჩილება და სხვ. მოთხრობების მთავარი პერსონაჟი ქალები სრულიად უუფლებო, საზოგადოების ყველაზე დაუცველი ნაწილია. მწერალი ყოველდღიურობის ფონზე აღწერს საშინელ ამბებს ცოლქმრული ურთიერთობის, ქალთმომძულებობისა და ჩაგვრის შესახებ, დეტალურად აანალიზებს ქალის ცხოვრებასა და ფსიქიკაზე რეალურ სამყაროში მიმდინარე მოვლენების გავლენას.

„წინამდებარე წიგნი... არის ჩაგვრის ბნელი ეპოქის სახსოვარი და იმ საზოგადოების სახე, რომელშიც ვცხოვრობ და გამოცდილებას ვიძენ. მოთხრობების პერსონაჟების უმეტესობა რეალურია და მათ პირადად შევხვედრივარ“ (Daneshvar, 1982, გვ. 7).

ქალის ფინანსური დამოკიდებულებისა და, აქედან გამომდინარე, ყოველგვარი შეურაცხყოფის ატანისა და მორჩილების ამბავია გადმოცემული მოთხრობაში „ქუჩის

თავგადასავალი“ ("سرگذشت کوچه"). ეს არის დამცირებული, თავზარდაცემული, უარყოფილი, იმედგაცრუებული ქალის ისტორია. ეს არის მოთხრობა ქმრის ღალატზე, უიმედობაზე, მარტოდ დარჩენის შიშსა და უუნარობაზე, დამოუკიდებლად დაძლიოს პრობლემები.

ქალმა მთელი ცხოვრება ოჯახს, შვილებს და ქმარს ანაცვალა, ყველა ოჯახური სირთულე საკუთარი მხრებით ატარა და ცხოვრების ავ-კარგი ქმრის მხარდამხარ გამოსცადა. ქმრის წარმატებისთვის, მისი ექიმობისთვის, საკუთარი თავი დაივიწყა, ქმრის სამსახურში გაჭადრაგდა, სახე დაედარა და საბოლოოდ ქმარმა ახალგაზრდა, მოვლილ, ფუქსავატ ქალში გაცვალა.

ქმრის თვალში ქალმა მეუღლის სტატუსი დაკარგა და მოხუცი დამხმარის ფუნქციები შეიძინა. ქმრის საყვარელი ქალბატონად იქცა, ცოლი კი - სამზარეულოში მოახლედ. ქალს ქმრის რჩეულიც „მოხუც მოახლედ“ მოიხსენიებს.

„დიახ, ერთი მოხუცი ქალია, რომელიც დედაჩემს ეხმარება და სახლის საქმეებს აკეთებს, - როგორც კი ქალბატონმა მოხუცი ქალი ახსენა, ცეცხლი წამეკიდა. ვკითხე, მე მოხუცი ვარ?“ (Daneshvar, 1982, გვ. 55).

პატრიარქალური საზოგადოება ტრადიციისა და რელიგიის მოშველიებით მუდმივად ამართლებს მამაკაცის გადაწყვეტილებას. ქალი ამ საზოგადოების უუფლებო და ყველაზე დაუცველი წევრია, რომელსაც, მიუხედავად დიდი სურვილისა, ნება არ აქვს, საკუთარი აზრი და დამოკიდებულება გამოხატოს მისთვის მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით. იგი ვალდებულია, ქმრის მხრიდან, შეურაცხყოფასთან ერთად, მუქარაც აიტანოს. მას უკმაყოფილების უფლებაც კი წართმეული აქვს.

„მე მუსლიმი კაცი ვარ და შემძლია, ოთხი ცოლი შევიერთო. ტყუილად ნუ ინაზები. თუ არ მოგწონს, წადი ამ სახლიდან. მივქარავ, რომ არ გშორდები“ (Daneshvar, 1982, გვ. 55).

საზოგადოება ქალის დაცვის მაგიერ თითო კვლავ ქალისკენ იშვებს, მას ადანაშაულებს მომხდარში. პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალი მუდმივად დამნაშავეა. ასეთ დროს შვილებიც კი დედას სდებენ ბრალს, რადგან ისინიც იმ საზოგადოების საკადრისი წევრები არიან.

„ყველა ამბობს, შენი უნიათობის ბრალია, მამამ სახლიდან რომ გამოგვყარა“ (Daneshvar, 1982, გვ. 56).

თავზარდაცემულ, მიტოვებულ, შეშინებულ ქალს არ შეუძლია დამოუკიდებლად ცხოვრების გაგრძელება, შვილების გაზრდა, მათთვის საჭირო პირობების შექმნა, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვაც კი, რადგან არც ელემენტარული განათლება აქვს და ფინანსურადაც ქმრის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

ამიტომ ქალს, რომელსაც საკუთარი ღირსების დაცვა არ შეუძლია, რადგან იცის, რომ არავითარი სახსარი და შესაძლებლობა დამოუკიდებელი არსებობისა არ გააჩნია, ისღა დარჩენია, შეეგუოს არსებულ ვითარებას, ილოცოს, რომ ბავშვებს მამის მზრუნველობა არ მოაკლდეთ, ერთ ჭერქვეშ ქმრის მეორე ცოლი აიტანოს და ჩაებლაუქოს იმედს, რომ „თეთრბედობის და შავბედობის“ წამლებით ჯადოქრობა ქმარს დაუბრუნებს.

ნაადრევი, იძულებითი ქორწინებისა და შემდეგ ქმრისგან მიტოვების ამბავია აღწერილი მოთხრობაში „კაცი, რომელიც აღარ დაბრუნდა“ ("مردی که برنگشت"). ნოველაში მწერალი დეტალურად ყვება გოგონას ხელის თხოვნისა და გათხოვების ამბავს. გოგონა იმდენად პატარაა, რომ ვერც კი იაზრებს, რომ ათხოვებენ, ვერ მიმხვდარა სახლში უამრავი ადამიანის მისვლა-მოსვლის, ტკბილეულისა და კაბის ჩუქების მიზეზს. მას აზრს არავის ეკითხება, ის ხომ 12 წლის გოგონაა, ქალს კი ჭკუა ზრდასრულ ასაკშიც არ მოეკითხება. ამ საზოგადოებაში გოგონებს ასწავლიან და მათაც სჯერათ, რომ ქალი უჭკუოა და ღმერთს მისთვის მხოლოდ შვილების გაჩენის ფუნქცია მიუკუთვნებია. ამიტომაც გადაწყვეტილებებს მათ მაგიერ სხვები იღებენ.

მარტოდ დარჩენილ ქალებს არც საზოგადოების და არც სახელმწიფოს მხარდაჭერის იმედი აქვთ, რადგან მცირეწლოვანი შვილების პატრონებს არავინ მიიღებს სამსახურში. ასეთი ქალები ქვეყნისთვისაც ზედმეტი პრობლემა და ტვირთია.

„თქვენ მითხარით, მარტოდ დარჩენილ ქალს რა შეუძლია ამ ქვეყანაში?“ (Daneshvar, 1982, გვ. 155).

ავტორი სვამს რიტორიკულ შეკითხვას, როგორ გადაწყვიტოს უარყოფილი ქალისა და უმამოდ დარჩენილი ორი მცირეწლოვანი ბავშვის ბედი, დააბრუნოს თუ არა მოღალატე ქმარი ოჯახში?!³⁴ ეს შეკითხვა თავის თავშივე მოიცავს პასუხს, რადგან ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქალები ვერ ახერხებენ ოჯახის გადღოლას, ისინი ქმრების გარეშე გამოუვალ მდგომარეობაში არიან, მათ შვილებს კი შიმშილი ემუქრებათ. ამიტომ მწერალი სახლში აბრუნებს მთავარი პერსონაჟის მოღალატე ქმარს და ყველაფერი თავიდან იწყება: ლანძღვა, ყვირილი, ჩხუბი, საყვედურები... ქალი კი მდუმარედ ეგუება ბედს, მთავარია დაბრუნდა, მთავარია, შვილებს არ მოშივდებათ და მზადაა, აიტანოს ყველანაირი დამცირება.

„ხედავთ, ეს ქალი ქმრის გარეშე როგორი უმწეოა? და არცერთმა მისნაირმა ქალმა არ იცის, რა ჯანდაბა ქნას, თუ მისი ქმარი წავა“ (Daneshvar, 1982, გვ. 156). დანეშვარი, მსჯელობს რა თავისი პერსონაჟების უნუგემო მდგომარეობაზე, ცოტა იუმორისტული შეფერილობით, ერთგვარი მწერლური თამაშით, გარკვეული თვითირონიითაც კი უკავშირებს თავის მოთხრობის ეპიზოდებს ცნობილი მწერლების პერსონაჟების ცხოვრებას და ამბობს:

„როგორ უნდა ვქნა, რომ მოჰთარამი გავაცურო და ბავშვებს ვუღალატო? როგორ ვაიძულო, ავტობუსს შეუვარდეს ქვეშ?.. თვითონ კი მოისვენებს, მაგრამ ორი

³⁴ ეს ნოველა, ლიტერატურათმცოდნეების თვალსაზრისით, ზოგიერთი კომპონენტის გათვალისწინებით, სპარსული პოსტმოდერნისტული პროზის ერთ-ერთ პირველ ნიმუშადაც მიიჩნევა: მკითხველთან საუბარი, სიუჟეტური ელემენტების შემობრუნება და სხვადასხვა ფინალის შეთავაზება, ალუზიების შემოტანა. ეს ნოველა აშკარა ალუზიაა სადევ ჰედაიათის ნოველისა „ქალი, რომელმაც ქმარი დაკარგა“. კაცი ავტორები უფრო ადრე წერდნენ ამავე საკითხებზე და ჰედაიათი ერთ-ერთი მათგანი იყო, რომლის პროზაშიც ქალის თემას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა.

უსუსური ბავშვი ხომ მე შემრჩება ხელში. მე კი ის ადამიანი როდი ვარ, ბავშვები ღვთის ანაბარა მივატოვო და ჩემს გზაზე წავიდე. ის აჯობებს, მკითხველო, თქვენ მოიფიქროთ, რა ბედს ეწიონ მოჰთარამი და მისი შვილები“ (Payandeh, 2010, გვ. 497). საბოლოოდ, მწერალი მოჰთარამისა და მისი შვილების ინტერესების შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს: „ასე, რომ იბრაჰიმს ვაბრუნებ. ეს მის ინტერესებშიც შედის“ (Daneshvar, 1982, გვ. 156).

კრებულში შესული მოთხრობების მთავარი სათქმელი სოციალურ ფსიქოლოგიას ეხება. პერსონაჟების საშუალებით დანეშვარი ცდილობს გააანალიზოს, რამდენად დიდია საზოგადოებრივი აზრის, კერძოდ კი, პატრიარქალური საზოგადოების აზრის გავლენა ადამიანების ცხოვრებაზე, როგორია გარშემო მყოფთა დამოკიდებულება ცალკეული ინდივიდის ცხოვრების მიმართ და რა არის მათი ინტერესის ნამდვილი საგანი. მწერალი ამ საკითხებს პერსონაჟებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ფონზე განიხილავს და აღწერს ამ ურთიერთობის ზეგავლენას ინდივიდის ინტერესებზე, აზრებზე, გრძნობებზე, აღქმებზე, მოტივებსა და ქცევებზე.

ამ საკითხის განხილვას დიდი ადგილი უჭირავს მოთხრობაში „ქალი მამაკაცების გაგებით“ ("یک زن با مردها"). პატრიარქალური საზოგადოება დაუნდობელია ქალების მიმართ. შემაშფოთებელია სუფრასთან მჯდომი შეზარხოშებული მამაკაცების უკადრისი ჭორობა ქალებთან დაკავშირებით. „ძლიერი სქესის“ წარმომადგენლები უშურველად აკრავენ სხვადასხვა იარაღის ნაცნობ ქალებს, ზედმიწევნით აღწერენ მათთან ურთიერთობის დეტალებს, ახასიათებენ ქალებს როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად, აღწერენ მათი ცხოვრების წესს, ოჯახებისადმი უპატივცემულობას და საუბრობენ მათგან „რქებდადგმულ“, მათივე სიტყვებით, „ბრიყვ“ ქმრებზე.

„შირაზელი და ქერმანშაჰელი ქალები, რამდენადაც მე ვიცი, ცუდები არ არიან. შირაზელები შავგვრემანები არიან. მაგრამ კეკლუცები და მომხიბვლელები. ქერმანშაჰელი ქალები უემშაკოები არიან. როცა ვიღაც მიმართავს, უაზროდ იცინიან.

მაგრამ ქალი, რომელიც რაშთში ვნახე... ყველაფერი დავასრულეთ. რა თქმა უნდა... არც მარტივად ჩამვარდნია ხელში. პირველ რიგში, ქმარი ჰყავდა. შვილიც ჰყავდა. მაგრამ, რასაც ვამბობ, გაიგონეთ. ტუბეროზას ყვავილივით თეთრი იყო, სპილოსძვლისფერი, ტანმადალი და თხელი, როგორც ცვილის სანთელი. ღმერთო, რა თვალეები. მწვანე. ზურმუხტისფერი. და რა წამწამები და რა ტან-ფეხი. ვაი. ვაი... თხელი თითები ჰქონდა, ხმაც არ ჰქონდა ცუდი“ (Daneshvar, 1982, გვ. 116).

ვნებააშლილ და გონებაარეულ მამაკაცებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ ეს საუბარი თანამესუფრის, მათივე ბავშვობის მეგობრისა და მისი ცოლის ცხოვრებას უკავშირდება, ვერც კი ამჩნევენ, რომ მათმა მეგობარმა ამ მონათხრობში თავისი ცხოვრება ამოიცნო. საზოგადოების ამგვარი დამოკიდებულება კაცს აგრესიას უმძაფრებს და ცოლის მკვლელობისკენ უბიძგებს. მას ცოლი რეალობის გარკვევის გარეშე, ისე, რომ ქალს თავის მართლების საშუალებასაც არ აძლევს, ღია ზღვაში გაჰყავს და მის წყალში გადაგდებას აპირებს. ქმრის მიერ გამოტანილ განაჩენს ქალი უსიტყვოდ ემორჩილება, თუმცა ეჭვებით შეპყრობილი ქმარი, საბოლოოდ, მათივე ძველი სიყვარულის გამო, ცოლთან გაყრას ამჯობინებს.

ეს არის საზოგადოება, სადაც სიყვარული ყველასა და ყველაფრის მიმართ შიშთანაა დაკავშირებული, სადაც მშობლები შვილებს სიყვარულისთვის სჯიან, სადაც შვილები, სასჯელის შიშით თუ დანაშაულის შეგრძნების გამო, მშობლებს გულს ვერ უშლიან, სადაც ქალიშვილები საგულდაგულოდ მალავენ ფეხმძიმობის ამბავს. ეს არის საზოგადოება, სადაც დაბალი სოციალური ფენის ადამიანები ქალს „უკანონო“ ბავშვებს „კანონიერი“ საზოგადოებისგან შორს, ჩუმად და საიდუმლოდ აჩენინებენ.

კრებული „სამოთხესავით ქალაქი“ ქალთა ჩაგვრის, დამცირების, ნაადრევი ქორწინების, ქალთმომულეობის მტკივნეულ თემებს აერთიანებს. თვალშისაცემია, რომ მე-20 საუკუნის შუახანების ქალი უფლებააყრილი, დაბეჩავებული, შეურაცხყოფილი, ფინანსურად ქმარზე დამოკიდებულია. იგი თავს ოჯახისა და საზოგადოების მორჩილ, დაკაბალებულ, უუფლებო წევრად მიიჩნევს და, რაც

მთავარია, ეს გამოუვალი და, ამდენად, გარდაუვალი ვითარება ჰგონია. ქალი მუდამ საზოგადოებრივი აზრის გავლენის და წნეხის ქვეშაა. მას არ შესწევს ძალა, დამოუკიდებლად გაუმკლავდეს სირთულეებს და ცხოვრებისეული ლაბირინთიდან, სადაც, ხშირ შემთხვევაში, სხვების გადაწყვეტილებითა და საკუთარი გამოუცდელობით აღმოჩნდა, თავს ვერ აღწევს. იგი პატრიარქალური საზოგადოებისა და ტრადიციული შეხედულებების მსხვერპლია.

სიმინ დანეშვარმა, თავისი ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარებით და რეალური ადამიანების პერსონაჟებად ქცევით, მოახერხა მე-20 საუკუნის ირანის პატრიარქალური საზოგადოების ცნობიერებაში ქალის მიმართ დამკვიდრებული შეხედულებებისა და სტერეოტიპების მკითხველ საზოგადოებამდე მიტანა. ეს კი ლიტერატურის განვითარების ამ ეტაპზე, საკმაოდ მნიშვნელოვანი ამბავი იყო, რადგან, რამდენადაც ლიტერატურა უკუკავშირშიცაა საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, ამგვარი ნაწარმოებები დიდ როლს თამაშობდა რეალური ადამიანების ცნობიერებაში მიმდინარე პროცესებზე.

6.2. ქალთა თვითგამორკვევის პროცესი

საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისა და რეფორმების გავლენით, ასევე, ლიტერატურის საკმაოდ აქტიური ჩარევით, ქალის უფლებრივ მდგომარეობას ნელ-ნელა, მაგრამ მაინც დაეტყო გარკვეული პროგრესი და ქალის ცნობიერებაში დაისვა საკუთარი პიროვნების, იდენტობის, როლისა და უფლებების შეცნობისა და გარკვევის საკითხი. ბუნებრივია, რომ ეს პრობლემები მწერლებისა და, მით უფრო, ქალი მწერლების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა.

სიმინ დანეშვარი, ირანელი მკითხველის წარმოდგენაში, პირველ რიგში, დაკავშირებულია რომანთან „სიავუმის დატირება“ ("سووشون"). სათაური აღნიშნავს ლეგენდარული გმირის - სიავუმის - დატირების ცერემონიალს და სიმბოლურად რომანის მთავარი პერსონაჟის, იუსეფის, გმირულ აღსასრულსაც გამოხატავს.

რომანის სიუჟეტი მეორე მსოფლიო ომის ბოლო წლებში შირაზში ვითარდება და ასახავს 1941-1946 წლებში ირანში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ატმოსფეროს.

რომანი სტრუქტურის თვალსაზრით ორპლასტიანია. რომანის ზედა შრე ქვეყანაში არსებულ რეალურ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას აღწერს, ქვედა შრე კი მწერლისეული იდეის სიმბოლურ-მითოლოგიურ გააზრებას წარმოადგენს, სიუჟეტის მითოლოგიზაციის გამო შეიცავს მითოსური პერსონაჟების ამბებისა და წინასწარმეტყველური სიზმრების თხრობას. მიუხედავად რომანის მთავარი პერსონაჟის მკვლელობისა, ეროვნული ფასეულობები აგრძელებს სიცოცხლესა და აქტიურობას უკვე მომავალ თაობებში, რომლებიც, მწერლის ჩანაფიქრის თანახმად, უსათუოდ მიაღწევენ დასახულ მიზანს.

ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის რომანს ერთ-ერთ მთავარ ხაზად ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფემინისტური თემა მიჰყვება: კერძოდ, საზოგადოებრივი მოვლენების გავლენით, მთავარი პერსონაჟის, იუსეფის მეუღლის - ზარის - ცნობიერების სრული გარდაქმნა, მის მიერ საკუთარი დანიშნულების, როლისა და უფლება-მოვალეობების თაობაზე ახლებური შეხედულების ჩამოყალიბება.

თავად სიმინ დანემვარის თქმით, წიგნის ორიგინალური ფაბულა და მისი მრავალი პერსონაჟი ერთდროულად ჩამოყალიბდა მის გონებაში (Dehbashi, 2004, გვ. 915). ეს რომანი არაერთი ქალის სახეს გამოკვეთს, მათ როლს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცვლილებებში. რომანის მთავარი ქალი პერსონაჟი, ზარი, რომელიც ნაწარმოების პირველ ნაწილში პატრიარქალური საზოგადოებისა და ოჯახის ტრადიციული და ორგანული ნაწილია, რომანის ბოლოსკენ სოციალურად აქტიურ, საზოგადოებრივი ღირებულებებით მოაზროვნე ქალად იქცევა, რომელიც მზადაა, ქვეყნისა და ხალხის ბედნიერებისთვის გაიღოს ყველაზე ძვირფასი, თავისი და ახლობლების სიცოცხლე.

რომანის დასაწყისში, შეძლებული ოჯახის დიასახლისი ზარი აზროვნების წესით არაფრით განსხვავდება პატრიარქალურ საზოგადოებაში გაზრდილი ქალისგან,

რომლის მთავარი მიზანია იყოს მზრუნველი მეუღლე და კარგი დედა, რომელსაც, ქვეყანაში შექმნილი სირთულეების მიუხედავად, ერთადერთ ფასეულობად საკუთარი ოჯახის კეთილდღეობის შენარჩუნება მიაჩნია.

„რაც უნდათ, ის ქნან, მაგრამ ომს ჩემს ბუდეში ნუ შემოიტანენ. მე არ მეხება, თუ ქალაქი მკვდრების უბანს დაემსგავსა...“ (Daneshvar, 1990, გვ. 18).

ზარი თვლის, რომ შეძლებს მშვიდად ცხოვრებას, თუკი მხოლოდ მის სახლში იქნება მშვიდობა. ის ჯერ კიდევ იმ მცდარ და არაჰუმანურ აზრს იზიარებს, რომ შესაძლებელია სიმშვიდე და ბედნიერება, თუკი გარშემო ყველა უბედურია. მას ჯერ არ ესმის, რომ ის, რაც საყოველთაოა, საქვეყნოა, აუცილებლად გეხება შენც.

რომანის დასაწყისში ზარი არ ჰგავს თავის ქმარს, იუსეფს, რომელიც ის ადამიანია, ვინც თავისი გარშემომყოფებისა და თანამემამულეებისადმი ერთგულებითა და თავგანწირვით შეძლო ადამიანების გამოღვიძება და მათ აზროვნებაში ცვლილებების შეტანა. სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა იუსეფმა მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ქვეყნის და ადამიანების ბედზე ზრუნვას შეაღია.

„ზოგიერთი ადამიანი უცხო ყვავილს ჰგავს, სხვებს შურთ მისი. ფიქრობენ, რომ ეს იშვიათი ყვავილი დედამიწის მთელ ძალას ისრუტავს. მზის ბრწყინვალეობას და ჰაერის სიკამკამეს ის შთანთქავს და მათ ავიწროებს, მზეს და ჟანგბადს არ უტოვებს. შურთ მისი და სურთ, არ იყოს. ან ჩვენნაირი იყავი, ან სულ ნუ იქნები“ (Daneshvar, 1990, გვ. 14).

პიროვნულად ზარი მეტად გამბედავი და უშიშარია, ისეთივე როგორიც გათხოვებამდე იყო, როდესაც ცდილობდა შეწინააღმდეგებოდა მისივე ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს. თუმცა დაოჯახების შემდეგ იგი უნებურად ემორჩილება ოჯახის ტრადიციული გარემოს გავლენას. მისი ადგილი ისევე განისაზღვრება მხოლოდ ოჯახისა და სამხარეულოს სივრცეში, როგორც ნებისმიერი სოციალური ფენის ირანული ოჯახის დიასახლისისა. დაოჯახების შემდეგ ზარი

უფრო ფრთხილი და დაკვირვებული გახდა, ამ სიფრთხილეს დედის ინსტინქტიც განაპირობებს. იგი ხვდება, რომ მისი ზედმეტი სიფრთხილე ოჯახისა და შვილების კეთილდღეობასა და სიმშვიდეზე ზრუნვას უკავშირდება. მან ზუსტად იცის, რომ ახალგაზრდობაში სხვაგვარად მოიქცეოდა, ეყოფოდა გამბედაობა, წინ აღდგომოდა უსამართლობას. დროსთან ერთად მისი შეუპოვრობა თავშეკვებაში გადაიზარდა, თავშეკვება კი - ჩვეულებაში. ან იქნებ მშიშარა იყო და თავადაც არ იცოდა?

„სულ იმას ფიქრობდა, სინამდვილეში, მშიშარა იყო თუ მშიშარა გახდა?... იმ დასკვნამდე კი მივიდა, რომ არასწორია, ქალი იმდენად იყოს დამოკიდებული ქმარსა და რამდენიმე შვილზე, რომ არ შეეძლოს მშვიდად და თავისუფლად სუნთქვა“ (Daneshvar, 1990, გვ. 131).

ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ადამიანები იძულებულები არიან, ანგარიში გაუწიონ უცხო ქვეყნის ძალებს და მათი წარმომადგენლების ნება-სურვილებს. საზოგადოება, მათ შორის, საზოგადოების განათლებული ნაწილი, თვალს არიდებს ქვეყანაში არსებულ რეალობას. ისინი სიტუაციას ზედაპირულად, ფაქტობრივად კი, გულგრილად უყურებენ და მდგომარეობას არ უღრმავდებიან. ეს ზედაპირულობა, იქნებ გაუცნობიერებლადაც, მაგრამ პირადი კომფორტის დაკარგვის შიშს უკავშირდება. საბოლოო ჯამში, ადგილობრივი მოსახლეობა უცხოელთა თავგასულ საქციელს ღიმილით და ეტიკეტის სრული დაცვით პასუხობს და მოჩვენებით სიმშვიდეში, ნაბიჯ-ნაბიჯ, გაუაზრებლად კარგავს ყველაზე მთავარს - საკუთარ, ოჯახებისა და მთელი ქვეყნის თავისუფლებას.

ზარის გამოფხიზლების და მისი ცნობიერების შემობრუნების მომენტი სწორედ ასეთი ქმედება გახდა: მისი შვილის საყვარელი კვიცი საჭარი უცხოელებთან დაახლოებული მოსამართლის შვილს აჩუქეს. ცხენი, რომელიც მათი ოჯახისთვის განსაკუთრებით ფასეული იყო, მოსამართლის ქალიშვილის ახირების დასაკმაყოფილებლად წაიყვანეს. ზარი უსამართლო გადაწყვეტილებისადმი

საკუთარმა უსიტყვო მორჩილებამ და უუნარობამ გამოაფხიზლა. აღმოაჩინა, რომ ასეთი საქციელით ოჯახის ღირსებასა და თავისუფლებას საფრთხე შეუქმნა.

დროსთან და გარემოებების ცვლილებასთან ერთად ზარის შეხედულებები იცვლება. ის უკვე შეუმცდარად გრძნობს და ხედავს უსამართლობას, მაგრამ არ იცის, არის თუ არა მზად ამ ცვლილებებისთვის, შესწევს თუ არა ძალა და უნარი რამის შესაცვლელად. იგი იწყებს სიტუაციისა და თავისი შინაგანი მზაობის გაანალიზებას. იწყებს ფიქრს, არის კი მზად, იბრძოლოს ცვლილებებისთვის, რომლებიც უცილებლად მოიტანს ტკივილს, თუმცა შვილების თაობის მომავალს შეცვლის?! მან ზუსტად იცის, რომ ცვლილებები გარდაუვალია და აუცილებლად შეეხება მას და მის ოჯახს. ამ ცვლილებებში ის უკვე თავის, როგორც ქალის, ადგილს, როლს და დანიშნულებას ხედავს. ზარის ცნობიერებაში ქალი საზოგადოების არათუ პასიური ნაწილი აღარ არის, არამედ ის პასუხისმგებელია საზოგადოების მომავალ კეთილდღეობაზე (ტალახაძე, 2023, გვ. 133). და აქ სიმინ დანეშვარი თავისი პერსონაჟის პირით გამოხატავს საინტერესო აზრს, რომელშიც უკვე საკუთარი პასუხისმგებლობისა და ფუნქციის გააზრებულად მატარებელი ქალის დამოკიდებულება ჩანს სამყაროსადმი და ამ სამყაროში ქალის მნიშვნელოვანი როლის თაობაზე.

„ნეტავ, სამყარო ქალების ხელში იყოს, ქალების, რომლებიც შობენ ანუ ქმნიან და თავიანთი შექმნილის ფასი იციან. მოთმინების, ამტანობის, ჰარმონიულობისა და საკუთარი თავისთვის არაფრის კეთების ფასი... სამყარო ქალების ხელში რომ იყოს, სად იქნებოდა ომი?“ (Daneshvar, 1990, გვ. 193).

იუსეფის დაღუპვა ზარისთვის უმნიშვნელოვანეს და უკანასკნელ დარტყმად იქცა, რომელმაც ქალი პატრიარქალური ოჯახის ტრადიციული დიასახლისიდან საზოგადოებრივ უსამართლობასთან აქტიურ მეზრძოლად აქცია. თითქოს მისი ასეთი გარდასახვისთვის იუსეფის სიკვდილი აუცილებელი იყო. უცხო ქვეყნის ძალები იუსეფში არა მარტო ურჩ მემამულეს, არამედ უცხოური ექსპანსიის

წინააღმდეგ მებრძოლ სახალხო გმირს ხედავენ და, ამდენად, მის გზიდან ჩამოშორებას გარდაუვალობად მიიჩნევენ. იუსეფს, როგორც თავისუფლებისთვის მებრძოლ ადამიანს, სიკვდილიც გმირული ერგო, იგი ირანელთა მითოლოგიური გმირის, სიავუმის, ბედისწერას იმეორებს. თავისუფლებისთვის შეწირულ გმირს საზოგადოებისგან ფარულად, ღამით კრძალავენ, უსახელოდ და უძეგლოდ, რომ მისი ხსოვნა ადამიანთა გონებაში დავიწყებას მალე მიეცეს.

როგორც ხშირად ხდება, ამ ტრაგედიამ და უდიდესმა სულიერმა ტრავმამ ზარის ცნობიერებაში დიდი გარდატეხა მოახდინა. მან საკუთარ თავში უდიდეს შიშს - ცვლილებების წინაშე შიშს - სძლია. იგი მზადაა, დამოუკიდებლად წამოდგეს ფეხზე, იბრძოლოს სამართლიანობის აღდგენისთვის და ქმრის დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს. ზარი მზადაა, გაუძლოს ცხოვრებისეულ გამოწვევებს და გაიაზროს ქალების როლი ოჯახში, საზოგადოებასა და სამყაროში. ის ბედავს ფიქრს, იწყებს აზროვნებას, რასაც ჭეშმარიტებისკენ მიჰყავს (ტალახაძე, 2023, გვ. 133-134).

„რა საქმის გაკეთებაც გინდათ, დღესვე გააკეთეთ... თუ ახლა არ გააკეთებთ, სხვა შანსი არ გექნებათ... დღეს იმ დასკვნამდე მივდი, რომ ცხოვრებაში მამაცი უნდა იყო... მაგრამ სამწუხაროა, რომ ასე გვიან დავფიქრდი. ნება მომეცით, ამ უმეცრების საზღაურად გმირების სიკვდილი დავიტვირო“ (Daneshvar, 1990, გვ. 291).

სიმინ დანეშვარის დამოკიდებულება და სათქმელი ქალის როლის შესახებ ირანულ საზოგადოებაში მხოლოდ მთავარ პერსონაჟ ქალებში არ ვლინდება. რომანში „სიავუმის დატირება“ სიმინ დანეშვარი არაერთი ქალის საინტერესო სახეს ქმნის. ტრადიციულ შეხედულებებზე გაზრდილი ქალების მთავარი დანიშნულება ოჯახის ერთგული სამსახურია. ქალი ამ საზოგადოებაში მხოლოდ მზრუნველ ცოლად და კარგ დედად აღიქმება, მისი საქმე სუფრის გაშლა-ალაგება, სტუმრების მიღება და მომსახურებაა. „დაიდ“ და მნიშვნელოვან საქმეებს კი კაცები წყვეტენ, ქალის აზრისა და შეხედულების გაუთვალისწინებლად.

„დაო, თქვენ, ქალები, სათვალავში არ მიიღებით“ (Daneshvar, 1990, გვ. 249).

ხშირად ქალები, რომელთა შეხედულებები საზოგადოებისთვის მისაღებ და საყოველთაოდ დამკვიდრებულ მოსაზრებებს ეწინააღმდეგება, თავიანთი სოციუმისთვის მიუღებლები ხდებიან. ისეც ხდება, რომ მათ სამუდამოდ მოიკვეთენ და დასაღუპად სწირავენ. ასეთია მათი ცხოვრება. მართალია, ხედავენ უსამართლობას და იწყებენ გადარჩენისთვის ბრძოლას, მაგრამ სუსტად, მოკრძალებულად. ისინი თავიანთ დარდთან და ტკივილთან ერთად სწავლობენ მარტოობაში ცხოვრებას, იბრძვიან ფიზიკური გადარჩენისთვის, საზოგადოებისგან მიკერებული კლიშეებისგან გათავისუფლებისთვის, მთვლემარე საზოგადოების გამოფხიზლებისთვის, რეალური ცვლილებებისთვის, თუმცა ადამიანურობისგან დაცლილ სოციუმში მათი ხმა არავის ესმის. ადამიანთა გულგრილობას ისინი, ხშირ შემთხვევაში, სიგიჟის ზღვარზე მიჰყავს. მათდამი ღირსებისა და პატივის შემლახავი დამოკიდებულება კი საზოგადოების ავადობაზე მიანიშნებს.

„იმგვარი საზოგადოება უნდა შევექმნათ, რომ არავისი და არ გაგიჟდეს. ჩემი დის შემთხვევა საზოგადოების ავადმყოფობაზე მიანიშნებს“ (Daneshvar, 1990, გვ. 210) - ამბობს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამომწყვდეული ქალბატონი ფოთუჰის ძმა.

სიმინ დანეშვარი საინტერესოდ აღწერს ზარის სტუმრობას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც სხვადასხვა ხასიათისა და ცნობიერების ადამიანებს ერთად მოუყრიათ თავი, თავიანთი ფიზიკური თუ სულიერი ტკივილების „სამკურნალოდ“. ზოგიერთ მათგანს, პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანს, სწორედ ტრადიციულმა საზოგადოებრივმა აზრმა გამოუტანა განაჩენი და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნა მიუსაჯა.

ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა ქალბატონი ფოთუჰის პერსონაჟი, რომელიც საზოგადოებამ პროგრესული, ესე იგი, განსხვავებული შეხედულებების გამო გამოაცხადა შემთხვევითად. განათლებული ქალი, რომელიც ჟურნალ-გაზეთებში სტატიებს აქვეყნებდა ქალთა უფლებების დასაცავად, მამაკაცების მიერ ქალების ჩაგვრის წინააღმდეგ და ახალგაზრდა, ჯერ

კიდევ გამოუცდელი ქალების გამოღვიძებას ცდილობდა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამუდამოდ გამოკეტეს. პატრიარქალური საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა ისეთი ქალის მისაღებად, რომელიც ეწინააღმდეგებოდა არსებულ რეალობას, ხმას იმაღლებდა ქალების უფლებებისა და მათი თავისუფლებისთვის.

ქალბატონი ფოთუჰის სევდიან თავგადასავალში მკაფიოდ ჩანს მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ირანის საზოგადოებრივი ყოფა. არა მარტო მამაკაცებისა და მთელი საზოგადოების დამოკიდებულება ქალის ტრადიციული როლისადმი, არამედ თავად ქალების მიერ ამ სინამდვილის, საკუთარი უუფლებო მდგომარეობის ნორმალურ ვითარებად აღქმა და თავიანთი შესაძლებლობების სრული უცოდინრობა. საუკუნეების განმავლობაში ტრადიციული შეხედულებებისა და საზოგადოებრივი აზრის მსხვერპლი ქალები სულაც არ ცდილობენ რეალობის შეცვლას, ისინი ვერც კი აცნობიერებენ, სინამდვილეში, ვინ იყო და რამხელა საქმე გააკეთა ამ განსხვავებულმა ქალმა მათი უფლებების დასაცავად.

პატრიარქალურ საზოგადოებაში კაცები უფრო ხიან ასეთ ქალებს, ემანსიპაციის მომხრე ქალების მხრიდან სიმშვიდის დარღვევის ემინიათ. რაც შეეხებათ ქალებს, მათ ან არ ესმით საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლის მნიშვნელობა, და, თუ ესმით კიდევ, ხშირ შემთხვევაში, ტრადიციული ნორმების წინააღმდეგ სვლის სითამამე არ გააჩნიათ. ამიტომ მარტივი გამოსავალი ერთად მოძებნეს: საზოგადოების სახელით, ქალბატონი ფოთუჰი „დარღვეული ფსიქიკის სამკურნალოდ“ ფსიქიატრიულ კლინიკაში გამოკეტეს.

ამ უდავოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო პერსონაჟის ჩვენებით სიმინ დანეშვარი საზოგადოების სავალალო სურათს გამოკვეთს. ეს ის საზოგადოებაა, სადაც საუკეთესო აზრი და საუკეთესო საქმე სასჯელს იმსახურებს, რადგან ორივე ცვლილებას ითვალისწინებს, ჭაობად ქცეულ სიციუმში კი ცვლილების მუდამ ემინიათ. თუმცა ამ პერსონაჟით მწერალი იმასაც გვეუბნება, რომ ყინული დაიდრა.

რადგან ასეთი ადამიანები გაჩნდნენ, თანდათან საზოგადოებრივ ცნობიერებაში სასიკეთო ძვრებიც განხორციელდება.

სიბეცისა და უსამართლობის მარწუხებიდან პატრიარქალური საზოგადოების გამოყვანის ერთ-ერთ ქმედით საშუალებად მწერალს განათლება, კონკრეტულად, ქალების განათლება მიაჩნია. ეს განმანათლებლური მოსაზრება მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელდა. ამ მოძრაობის გამოხატულება წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლაც იყო, რომელიც რეფორმებშიც აისახა. ეს იდეა მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეების, პოეტების და პროზაიკოსების შემოქმედებაშიც გაჩნდა. მწერლის აზრს გამოხატავს ქალბატონი ფოთუჰი, რომელიც დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ბევრ განათლებულ ადამიანს ერთად შეუძლია რეალური ცვლილებების მოტანა, შესწევს ძალა, დაუბრუნოს ქალებს საკუთარი თავის რწმენა და მოაძებნინოს მათ საკუთარი ადგილი და დანიშნულება საზოგადოებაში...

სიმინ დანეშვარის რომანებში საზოგადოებაში ქალის ადგილის, როლისა და მისი დანიშნულების წარმოჩენას წამყვანი ადგილი უჭირავს. რომანი „სიავეუმის დატირება“, რომელიც მეოცე საუკუნის ორმოციან წლებს ეხება, თითქოს გარდამტეხი ეტაპია სპარსულ ლიტერატურაში. თუკი მანამდე მწერლები უუფლებო, ღირსებააყრილ, დამცირებულ ქალებზე წერდნენ, სიმინ დანეშვარმა ქალური გამოცდილების გათვალისწინებით მოახერხა ისეთ ქალებზე წერა, რომლებმაც საკუთარ თავში დაძლიეს შიში ყველასა და ყველაფრის მიმართ, გაბედეს ფიქრი და თვითგამორკვევის პროცესში თავს აზროვნების უფლება მისცეს. საზოგადოებრივი აზრისა და ტრადიციული შეხედულებების მიუხედავად, სიცოცხლის ფასად იბრძვიან ცვლილებებისთვის, საზოგადოების გამოღვიძებისთვის, ქალთა უფლებების გაუმჯობესებისთვის, სამართლიანობის აღდგენისთვის და, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების პარალელურად, საყოველთაო, საქვეყნო საქმეებში ერთვებიან. ისინი ოჯახის სიმშვიდის დამცველი ქალებიდან

ქვეყნის ინტერესების დამცველ ქალებად იქცნენ. მათ შეძლეს და ზუსტად გაიაზრეს ქალის ადგილი და დანიშნულება საზოგადოებაში.

ქალის ადგილის, როლისა და დანიშნულების მიერ პროცესს აღწერს შაჰრნუმ ფარსიფურის³⁵ შემოქმედება. მის ნაწარმოებებში წამოჭრილი ფემინისტური

³⁵ ირანელი მწერალი და მთარგმნელი შაჰრნუმ ფარსიფური დაიბადა 1946 წლის 17 თებერვალს ქალაქ თეირანში. მისი დედა დიასახლისი იყო, მამა კი - მოსამართლე. 1973 წელს შაჰრნუმმა დაამთავრა თეირანის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტი, 1976-1980 წლებში კი სწავლობდა სორბონის უნივერსიტეტში ჩინური ენისა და კულტურის განხრით.

შაჰრნუმ ფარსიფურმა ლიტერატურული კარიერა 16 წლის ასაკში დაიწყო. მისი მოთხრობები და ნოველები იბეჭდებოდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში. პირველი მოთხრობა „პატარა წითელი ბურთულა“ („توپک قرمز“) 1969 წელს გამოიცა, რასაც მწერლის არაერთი ნოველა და რომანი მოჰყვა.

1974 წელს შაჰრნუმ ფარსიფურმა გამოსცა რომანი „მალლი და გრძელი ზამთარი“ („سگ و زمستان بلند“), იმავე წელს გამოიცა მოთხრობების კრებული „ბროლის საკიდები“ („آویزهای بلور“).

შაჰრნუმ ფარსიფური იყო ირანის სახელმწიფო რადიოსა და ტელევიზიის ყოველკვირეული გადაცემის „სოფლის ქალები“ („زنان روستایی“) პროდიუსერი. 1974 წლის თებერვალში, სავაქის მიერ ორი ჟურნალისტის, პოეტისა და აქტივისტის, ხოსრო გოლსორხისა და ქერამათოლაჰ დანეშმანის, სასტიკი წამებისა და სიკვდილით დასჯის, ასევე, მწერლების ყოლამჰოსეინ საედის, ჰუმანგ გოლშირის, ფერიდე ლაშაისა და ფარვიზ ზაჰედის დაპატიმრების გამო, მან ტელევიზია დატოვა. ფარსიფური რამდენიმე თვით დააპატიმრეს. მოგვიანებით, ჩინური ენისა და კულტურის შესწავლის მიზნით, იგი საფრანგეთში გაემგზავრა.

საფრანგეთში ყოფნისას, 1977 წელს, მან დაწერა მეორე რომანი „ხის სულის უბრალო და პატარა თავგადასავალი“ („ماجرای ساده و کوچک روح درخت“). რომანი 1999 წელს, ოცი წლის დაგვიანებით, სტოკჰოლმში გამოიცა. წიგნის შეცვლილი ვერსია სახელწოდებით „კაცები ქალების პირისპირ“ („مردان در برابر زنان“), ირანში 2004 წელს გამოქვეყნდა, როგორც თავად მწერალი ამბობს, პროფესიული ეთიკის არმქონე გამომცემლის მიერ (Parsipur, 2004) (Parsipur, 2007).

1979 წელს შაჰრნუმ ფარსიფური ირანში დაბრუნდა. იგი 1981 წლის ზაფხულში დედასთან და ორ ძმასთან ერთად დააპატიმრეს. მწერალი, ყოველგვარი განაჩენისა და ბრალდების გარეშე, როგორც პოლიტპატიმარი, ოთხი წლითა და შვიდი თვით მოხვდა ციხეში. მან ეს შემთხვევა მოგვიანებით გამოცემულ მემუარებში „ციხის მოგონებები“ („خاطرات زندان“, 1996) ზედმიწევნით აღწერა.

1989 წელს შაჰრნუმ ფარსიფურმა გამოსცა რომანი „თუბა და ღამის არსი“ („طوبا و معنای شب“), რომლის წერაც პატიმრობაში ყოფნის პერიოდში დაიწყო. ნაწარმოებმა მწერალს დიდი პოპულარობა მოუტანა მკითხველ საზოგადოებაში. რომანი მრავალათასიანი ტირაჟით არაერთხელ გამოიცა და ითარგმნა გერმანულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე.

ფარსიფურის კიდევ ერთი პატიმრობა 1990 წელს გამოცემულ რომანს „ქალები კაცების გარეშე“ („زنان“ „بدون مردان“) უკავშირდება. რომანის გამოსვლიდან მალევე იგი დააპატიმრეს. ორთვიანი პატიმრობისა და გირაოს გადახდის შემდეგ შაჰრნუმ ფარსიფური პატიმრობიდან გაათავისუფლეს. წიგნი აიკრძალა, ფარსიფურმა კი ირანი დატოვა და ემიგრაციაში ამერიკაში წავიდა. რომანი ითარგმნა ინგლისურ, ესპანურ, იტალიურ, გერმანულ, ფრანგულ, მალაიალამურ ენებზე (Parsipur, 2010) (Parsipur, 2014) (Parsipur, 2015).

შაჰრნუმ ფარსიფურს ეკუთვნის რომანები - „ლურჯი გონება“ („عقل آبی“, 1994), „შივა“ („شیوا“, 1999), „ქარის ფრთებზე“ („بر بال باد نشستن“, 2002), „ასიე ორ სამყაროს შორის“ („آسیه در میان دو دنیا“, 2009), „ცოტაოდენი გაზაფხული“ („کمی بهار“, 2019) და მოთხრობათა კრებულები - „ბროლის საკიდები“ („آویزه“ „های بلور“, 1974), „თავისუფალი გამოცდილება“ („تجربه های آزاد“, 1975), „ჩაის დალევის ეტიკეტი მგლის

საკითხის სიმკვეთრის გამო, შაჰრუნუმ ფარსიფური ირანელი ემიგრანტი მწერლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფიგურად არის მიჩნეული. თუმცა გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქალის ადგილისა და დანიშნულების ძიება, მისი უფლებებისთვის ბრძოლა ფარსიფურის ცხოვრებასა და შემოქმედებაში უფრო ფართო დიაპაზონს მოიცავს, ვიდრე ამას კონკრეტულად ფემინისტური მიდგომა წარმოადგენს.

შაჰრუნუმ ფარსიფურის რომანში „თუბა და ღამის არსი“ („طوبا و معنای شب“) მწერლის ნაწარმოებებიდან ყველაზე მეტად ჩანს ქალის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ის საკითხი, რაც ავტორისთვის ფასეულობას წარმოადგენს. ამავედროულად, რომანი მოიცავს მთელ მეოცე საუკუნეს და მასში ეტაპობრივად

თანდასწრებით“ (”آداب صرف چای در حضور گرگ“, 1993), „სხვადასხვა ცივილიზაციის კაცების ისტორიები“ (”داستان های مردان تمدن های مختلف“, 1993).

შაჰრუნუმ ფარსიფური ინტენსიურად მუშაობდა თარგმანზეც. მის მიერ ინგლისური ენიდან შესრულებულ თარგმანებს შორისაა: პაოლა დელსოსის „ჩინური ჰოროსკოპი“ („طالع بینی چینی“, 1975), შირლი ჯექსონის „ჯადოქრებზე ნადირობა“ („شکار جادوگران“, 1990), რობერტ ქუვერის „დაჩაგრული თანამშრომელი“ („مستخدمه کتک خور“, 2004), ქეი რედფილდ ჯემისონის „მოუსვენარი გონება“ („ذهن بی قرار“, 2004), სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორთა ჯგუფის მიერ მომზადებული „მსოფლიო მითოლოგია“ („اساطیر جهان“, 2003). ბოლო სამი ნათარგმნი წიგნი არასოდეს გამოქვეყნებულა, რადგან ირანის მთავრობა კრძალავს შაჰრუნუმ ფარსიფურის სახელით წიგნების გამოქვეყნებას.

ფრანგული ენიდან შესრულებულ თარგმანებს შორისაა: მაქს კალტენმარკის „ლაო-ძი და დაოიზმის მოძღვრები“ („صخره تانیوس“, 1991), ამინ მაალუფის „ტანისის კლდე“ („تاریخ چین، از جنگ“, 1990), „ჩინეთის ისტორია, ოპიუმის ომებიდან კულტურულ რევოლუციამდე“ 4 ნაწილი („تاریخ چین برای نو جوانان“, 1990), „ჩინეთის ისტორია ყმაწვილთათვის“ („پیراروانشناسی“, 1990), ვუ ჩენიენის „პარაფსიქოლოგია“, სერიიდან „რა ვიცი“ („چه می دانم“, 1990), ვუ ჩენიენის „მოგზაურობა დასავლეთში“ („سیر باختر“, 1995). შაჰრუნუმ ფარსიფური არის არაერთი სტატიის ავტორი.

იგი ასევე ამსტერდამის ირანული რადიოსთვის „ზამანე“ კვირაში სამ ლიტერატურულ გადაცემას უძღვებოდა.

2010 წელს გამოვიდა ფოტოგრაფისა და კინორეჟისორის, შირინ ნეშათის მიერ, შაჰრუნუმ ფარსიფურის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი „ქალები კაცების გარეშე“, რომელშიც ერთ-ერთ როლს თავად მწერალი ასრულებს. ფილმმა 2009 წელს ვენეციის ფესტივალის ვერცხლის ლომი დაიმსახურა (Neshat, 2009) (BBC Persian, 2016).

2010 წლის 30 მაისს შაჰრუნუმ ფარსიფურს მიენიჭა ბრაუნის უნივერსიტეტის (აშშ) საპატიო ხარისხი, იმავე წლის ივლისში კი - რომში, ლიტერატურული პრემია, "Premio Feronia".

ამჟამად მწერალი, როგორც პოლიტიკური დევნილი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს (Parsipur, n.d.).

იკვეთება ქალის საკითხის განვითარება ირანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფონზე.

ნაწარმოები, როგორც თანამედროვე რომანების დიდი ნაწილი, ორპლანია. რომანის ზედა შრე - მისი რეალური მოვლენები საუკუნის ისტორიას - 1906-11 წლების კონსტიტუციურ რევოლუციას, ყაჯართა დინასტიის დამხობას, ფაჰლავების აღზევებასა და ბოლოს, 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის პერიოდის სოციალურ-პოლიტიკურ რყევებს ეხება, ქვედა შრე კი მწერლისეული იდეის სიმბოლურ-მითოლოგიურ გააზრებას წარმოადგენს და მაგიური რეალიზმის თხრობის მანერას ეყრდნობა.

მკვლევრები გაბრიელ გარსია მარკესის რომანის „მარტოობის ასი წელი“ გავლენას ფარსიფურის ამ რომანზე არ უარყოფენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ნაწარმოები ირანული მაგიური რეალიზმის განვითარების გზაზე გადადგმული ერთი დიდი ნაბიჯია. მათი აზრით, რომანს „თუბა და ღამის არსი“, მარკესის რომანთან სიუჟეტური მსგავსების მიუხედავად, ღრმად ირანული შეფერილობა და სურნელი აქვს და მწერალმა პერსონაჟებისა და იმ რეალობის შექმნაში, რასაც ირანულ კულტურაში ფესვი აქვს გადგმული, წარმატებას მიაღწია (Rakovitska-Asgari, K., Hasanklo A., 2016, გვ. 121).

მთელი საუკუნის ისტორიული ვნებათაღელვების ფონზე ვითარდება რომანის მთავარი გმირის, თუბას, უსიხარულო ცხოვრების პერიპეტიები. ამ ერთი კერძო თავგადასავლის მიღმა ჩნდება მრავალი სხვადასხვა ქალის სახე და ბედი. საინტერესოა, რომ რომანში ქალები მთავარ როლს ასრულებენ მე-20 საუკუნის ირანული ტრადიციული საზოგადოების აზროვნებაში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებაში.

რომანში მოქმედების ხანგრძლივი არეალი, მთელი მე-20 საუკუნე და მასში მიმდინარე მოვლენები, განსაკუთრებით გამოკვეთს ყველა იმ ცვლილებას, რაც ამ ხნის განმავლობაში განხორციელდა. ეს ვითარება საშუალებას იძლევა ფემინისტური

კუთხით დავაკვირდეთ მოვლენებს და განვსაზღვროთ, საზოგადოებაში განხორციელებულმა რეფორმებმა და მოვლენებმა რამდენად იმოქმედა ქალის მდგომარეობაზე, რა დარჩა ქალადზე და რა შესრულდა რეალურად, რა მიიღო ქალმა და რამდენად შეიცვალა მისი და საზოგადოების დამოკიდებულება ქალის დანიშნულების, იდენტობისა და უფლებების მიმართ.

ნაწარმოებში ერთ-ერთი მთავარი საკითხია ირანის ტრადიციული პატრიარქალური საზოგადოების შეხვედრა დასავლურ სამყაროსთან. თუბას ახალგაზრდობა კონსტიტუციური რევოლუციის პერიოდს დაემთხვა, რომელმაც, ერთი მხრივ, გარკვეული სიახლეები დანერგა, მეორე მხრივ კი, დაბნეულობა, შიში, ეჭვი და უარყოფითი დამოკიდებულება გააჩინა საზოგადოებაში ყოველგვარი სიახლის მიმართ. თუმცა საზოგადოების ნაწილი აცნობიერებს, რომ ცვლილებები გარდაუვალია და ამას ვერაფერი შეაჩერებს.

მართალია, კონსტიტუციურმა რევოლუციამ და რევოლუციის შედეგად აზვირთებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა ტალღამ ღრმა კვალი დატოვა ირანის სინამდვილეში და სახე უცვალა ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებას, ქალებს შვება მაინც ვერ მოუტანა. ირანელი ქალისთვის ევროპული დეკოლტეები და შლაპები მხოლოდ გარეგნული სატყუარა აღმოჩნდა, რომელთა უკან მაინც ჯიუტად ცოცხლობდა პატრიარქალური სინამდვილე: ქალი კვლავ საზოგადოების არასრულფასოვან წევრად დარჩა - მუდამ მამაკაცის მორჩილ, მასზე დაქვემდებარებულ და უუფლებო არსებად. „ქალის სიცილი მამაკაცის თანდასწრებით კარგი საქციელი არაა“ (Parsipur, 1989, გვ. 95), - ასე მსჯელობენ თუბას ახლობლები.

ოთახში მამაკაცის შემოსვლისას ქალი, თუნდაც სამეფო ჩამომავლობისა იყოს, ვალდებულია, ფეხზე წამოდგეს და ამით გამოხატოს მის მიმართ პატივისცემა. ქალი ქმრის მორჩილი უნდა იყოს, მოვალეა აიტანოს ყველაფერი ქმრისა და ოჯახის გამო.

ქმრის ღალატიც ბუნებრივ მოვლენად აღიქმება, „ისეირნებს და დაბრუნდება“, - ასე ამშვიდებს საზოგადოება ცოლებს.

ქალი ამ საზოგადოებაში ნივთია, რომელსაც, საითაც უნდათ, იქით გადადგამენ. მათ ბედს სხვა ადამიანები წყვეტენ და მათ მაგიერ სხვები ფიქრობენ. რომანის ისტორიულ-რეალისტური შრის მთავარ თემატურ ხაზს სწორედ უსიყვარულოდ გათხოვილი ქალები, ერთგვარ საქონლად ქცეული სილამაზე, ქალის სრული, მორჩილი კუთვნილება ქმრისადმი და მისი ოჯახისადმი წარმოადგენს.

განვითარების შემდეგ ეტაპზე, როცა ქალის მდგომარეობა თითქოს ცოტათი შემსუბუქდა და მას მცირე უფლებები მაინც მიენიჭა, მისი რეალური მდგომარეობა კვლავ ქმრის კაბალაში მყოფი ტუსაღის ყოფაა. მას ისევ ზედმეტ წევრად უწევს ცხოვრება ხშირად სრულიად უცხო კაცთან, რომელთანაც არაფერი აკავშირებს, იგნორირებული და დამცირებული, ცხოვრობს ქმართან და ვერ ეყრება. საკითხავია, ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანებად ქცეული წყვილები რატომ აგრძელებენ ერთად ცხოვრებას, ქმრებისგან დამცირებული და ხშირად პიროვნულად სრულიად უარყოფილი ქალები რატომ არ ეყრებიან მათ. ფარსიფურის დასკვნა ასეთია: პატრიარქალურ ქვეყანაში ამ მოვლენას სხვადასხვა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, მარტოობის შიში, საზოგადოებრივი აზრი, მაგრამ წამყვანი ამ მიზეზთა შორის ფინანსური დამოკიდებულებაა. ეს ყველაფერი კი იწვევს იმ დამამცირებელ მდგომარეობას, რომელსაც საზოგადოებაში ბედს შეგუება ჰქვია (ტალახაძე, 2023, გვ. 194).

თუბაც ერთ-ერთი ასეთი უფლებააყრილი ქალია, რომელსაც სიცოცხლის მიზნად ჭეშმარიტების ძიება დაუსახავს. თუბა ინტუიციით ხვდება, რომ ცხოვრება, ქალის დანიშნულება და როლი არ შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რაც მისთვის მიუჩენიათ, მაგრამ არ იცის, რისკენ ისწრაფვის, არ იცის, რა შეიძლება იყოს მისი დანიშნულება და იწყებს ძიებას. ახალგაზრდობიდან სიბერემდე, რევოლუციური საუკუნის

ქართველებში, ცხოვრების ყველა ეტაპზე სხვადასხვა ადგილას ეძიებს თუბა ჭეშმარიტებას, მაგრამ - ამაოდ.

ოთხ კედელში გამომწვევდელ ცხოვრებას მიჩვეული, სრულიად დაუცველი აღმოჩნდა მწვავე რეალობის წინაშე. ქმრისგან მიტოვებული, პირველად დგამს დამოუკიდებელ ნაბიჯებს და პირისპირ ეჩეხება საზოგადოების გულგრილობასა და გაუტანლობას. მას პირველად უჩნდება პროტესტის გრძნობა არსებული უსამართლობის წინააღმდეგ.

„თუბა მოულოდნელად საზოგადოებაში ერევა... ინტერესმა მეზობლების შიშს სძლია“ (Parsipur, 1989, გვ. 88). ეს იყო თუბას პირველი ნაბიჯი ჭეშმარიტების ძიების გზაზე.

რომანში ჭეშმარიტების ძიება პიროვნების ეგზისტენციალისტურ ძიებას გამოხატავს, რომელიც კონკრეტულად ქალის იდენტობისა და როლის განსაზღვრას უკავშირდება. ფარსიფური ქალის ადგილისა და დანიშნულების ძიების საკითხს საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ფონზე განიხილავს. ცდილობს გააანალიზოს, რა როლი აქვს საზოგადოებას ინდივიდის ბედის განსაზღვრაში. რამდენად დიდია პატრიარქალური ტრადიციებისა და რელიგიური ცრურწმენების ტყვეობაში მყოფი სოციუმის გავლენა ადამიანის ყოფასა და სულზე. რომანში ამ პრობლემის ერთ-ერთ ილუსტრაციად ჩნდება „უკანონოდ“ დაფეხმძიმებული ქალებისა და მათი ჯერ არდაბადებული შვილების შესაძლო ხვედრი. ამ ცრურელიგიურობითა და ყალბი ზნეობრიობით შეპყრობილი საზოგადოების „ღირსეული შვილები“ სირცხვილის ჩამოსარეცხად მათივე მშობელი საზოგადოებისთვის მისაღებ, თუმცა ჰუმანისტური თვალსაზრისით სრულიად მიუღებელ საქციელს სჩადიან და სიცოცხლის უფლებას ართმევენ ყველას, ვინც სხვაგვარად იქცევა და მათ არ ჰგავს (ტალახაძე, 2023, გვ. 195).

ფარსიფურის პერსონაჟებს ერთმანთისგან, ხშირ შემთხვევაში, მთელი თაობა ამორებს, მათი ტრადიციული შეხედულებები კი კვლავ ურყევია, არ იცვლება. მე-20

საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც ევროპული ჩაცმულობა და ცხოვრების წესი თითქოს აღარავის აკვირვებდა, ტრადიციული საზოგადოების სახელით ახალგაზრდა ქალებს განსხვავებული ცხოვრებისთვის სჯიდნენ. სეთარე და მარიამიც ამგვარი შეხედულებების მსხვერპლად იქცნენ. მათთვის არც სააქაოს აღმოჩნდა ადგილი „ზნეობრივ ადამიანებს“ შორის და „უკანონოდ დაფეხმძიმებულები“, ასეთი „უპატიებელი ცოდვის ჩამდენნი“, საიქიოშიც უსაფლავოდ წავიდნენ. ისინი „ღირსეული საზოგადოების“ თვალს მოფარებულ ადგილას, ბერწი ბროწეულის ხის ქვეშ დაიმარხნენ.

„მარიამი იძულებული იყო, საზოგადოებაში ეცხოვრა. ვალდებული იყო, ფეხი აეწყო მისთვის. თუ საზოგადოება მარჯვნივ მიდიოდა, მასაც მარჯვნივ უნდა ევლო. თუ საზოგადოება მარცხნივ მიდიოდა - ისიც მარცხნივ უნდა წასულიყო“ (Parsipur, 1989, გვ. 406).

სოციუმის დაუნდობლობისა და უმეცრების ფონზე მწერალს ამ რომანშიც შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლად საზოგადოების განათლებისა და ცნობიერების ამაღლება ესახება, რადგან ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს სწორედ განათლება თამაშობს. განათლებაა საზოგადოებაში ქალის ღირსეული ადგილის დამკვიდრებისთვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, ერთ-ერთი მთავარი გზა დაუძლეველი ლაბირინთიდან გამოსასვლელად. ამ საკითხზე და, მასთან ერთად, საკუთარ ინტერესებზე ფიქრს ირანელი ქალები ქვეყნის ევროპეიზაციის გზაზე დადგომის შემდეგ იწყებენ, იდენტობის განსაზღვრას და ადგილის დამკვიდრებას ცდილობენ. ქალისთვის კანონით განათლებისა და მუშაობის უფლების მინიჭებამ მის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც შეიტანა ცვლილება. უკვე ჩნდება ქალი მოხელე, რაც ირანელი ქალისთვის აქამდე უცხო სტატუსი იყო.

„მანამდე არავის სმენოდა, რომ ქალს დაწესებულებაში, მამაკაცის ადგილას ემუშავა“ (Parsipur, 1989, გვ. 302).

წინა თაობების ქალისთვის, რომელსაც თუბა განასახიერებს, ასეთ რამეზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო. თუბამ კარგად იცოდა, რომ მამის სურვილს, ქალიშვილისთვის განათლება მიეცა, განხორციელება არ ეწერა. თუმცა ყაჯარული მმართველობის პერიოდისგან განსხვავებით, რეზა ფაჰლავის ევროპულმა რეფორმებმა გარკვეული უფლებები მიანიჭა ქალს. ამ რეფორმებს შორის უმნიშვნელოვანესი, სწორედ, განათლების უფლება იყო. თუბას ძალიან სურდა, საკუთარ ოჯახში, თავის მეუღლესთან შეკრებილი სტუმრების მსგავსად ჩართულიყო ფილოსოფიურ თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საუბრებში, შესძლებოდა საკუთარი აზრისა და დამოკიდებულების გამოხატვა მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით ღიად, საჯაროდ. მასაც სურდა ჰქონოდა საკუთარი თავის რწმენა, მის ევროპულგანათლებამიღებულ მეუღლეს კი არ შერცხვენოდა თუბას გვერდით ხალხში გამოჩენის. განათლების ნაკლებობა თუბაში არასრულფასოვნების კომპლექსს იწვევს, რაც სხვა პრობლემებთან ერთად, საბოლოო ჯამში, მის სულიერ მარტოობაში გადაიზრდება.

დროთა განმავლობაში თუბა პირქუში ხდება, თუმცა მისი შინაგანი სამყაროსა და ფიქრების აღწერისას ჩანს, რომ მასში ისევ ახალგაზრდა, ჭეშმარიტების მაძიებელი გოგონა ცოცხლობს. ხანშიშესული თუბა ჯერ კიდევ სასოებით დაემძვს თავის ნამდვილ დანიშნულებას, მნიშვნელობასა და როლს, თუმცა ამაოდ. საბოლოოდ, იგი თავის შინაგან სამყაროსა და სირთულეებით სავსე რეალურ ცხოვრებას შორის წინააღმდეგობას აცნობიერებს.

„ქალი მიმოდიოდა ეზოში, ფიქრობდა, საბოლოოდ, რა ცოტა და როგორ უმნიშვნელოდ იცხოვრა, როგორ დაატყვევა სხვები ამ უმნიშვნელოობით თავისი ცხოვრების აბლაბუდაში; ფიქრობდა, იქნებ მკვდარი იყო და თავად არ იცოდა. ჭეშმარიტების მნიშვნელობას ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდა, გონებაში მას მხოლოდ ჭეშმარიტების წარმოსახვა ჰქონდა. ჭეშმარიტება ნართში გახვეული და კარადის კუთხეში დამალული აზრი იყო“ (Parsipur, 1989, გვ. 395).

შაჰრნუმ ფარსიფურის „თუბა და ღამის არსი“, მასში დასმული საკითხების გათვალისწინებით, მკითხველის დიდ ყურადღებას იპყრობს. ქალის თვითგამორკვევის, საკუთარი ადგილისა და დანიშნულების ძიების პროცესის აღწერა და ამ პროცესში თავად ქალების ჩართულობის გადმოცემა მწერლის მთავარ სათქმელს წარმოადგენს. ფარსიფურის ნაწარმოების გმირები ჭეშმარიტების მაძიებელი ქალები არიან. ისინი კარგად იაზრებენ, რომ ქვეყანაში საზოგადოებრივ-კულტურული ცვლილებები გარდაუვალია და ისინი ამ ცვლილებებში საკუთარი როლისა და მნიშვნელობის დანახვას ცდილობენ. თითოეული მათგანი აცნობიერებს, რომ ცვლილებებისადმი ტრადიციული პატრიარქალური მიდგომა მხოლოდ და მხოლოდ აზიანებს მათ განვითარებას. გონებაში ღრმად გამჯდარი სტერეოტიპები განათლების მიღების, წინსვლისა და განვითარების შესაძლებლობას უზღუდვს.

6.3. ქალის ტაბუდადებული პირადი ცხოვრება

ყველა ის საკითხი, რაც ქალის უფლებრივ მდგომარეობას და მის ცნობიერებაში მიმდინარე ცვლილებებს ეხება მე-20 საუკუნის განმავლობაში და რაც გაშლილია რომანში „თუბა და ღამის არსი“, ცალკეული თემების სახით შემოდის შაჰრნუმ ფარსიფურის ყველაზე სკანდალურ რომანში „ქალები კაცების გარეშე“ (زنان بدون مردان). ეს გახლავთ რამდენიმე ცალკე სიუჟეტური ხაზის მქონე ამბისგან შეკრული ციკლი, რომელიც ფინალში ერთ დიდ თავგადასავლად ყალიბდება და, ამდენად, თავისუფლად შეგვიძლია, რომანად მივიჩნიოთ. ეს რომანი, გარკვეულწილად, „თუბა და ღამის არსის“ ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება ჩავთვალოთ. ამ ორ ნაწარმოებს შორის ბევრი მსგავსებაა და მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ირანში ფემინისტური ლიტერატურული დისკურსის ჩამოყალიბებაში.

რომანი „ქალები კაცების გარეშე“ ირანში 1990 წელს გამოიცა და სწორედ მის გამოსვლას მოჰყვა მწერლის უკანასკნელი პატიმრობა, შემდეგ კი ემიგრაცია ამერიკაში. საზოგადოებისთვის ტაბუდადებულ თემებზე მსჯელობის გამო,

ნაწარმოების ირანში გამოცემა აიკრძალა. საკუთარი სხეულის შეცნობა, ქალწულობის ინსტიტუტის გაფეტიშება და სიქალწულის დაკარგვის შიში, ქალზე სექსუალური ძალადობა, ქალის სხეულით ვაჭრობა და სხვ. ის აკრძალული თემებია, რომელთაც ფარსიფური ნაწარმოებში ეხება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხილული მწერლებიდან ფარსიფური ერთადერთია, რომელიც ემანსიპაციაში ქალის სხვა უფლებებთან ერთად, სექსუალურ ემანსიპაციასაც გულისხმობს და მასზე გახსნილად და მკვეთრად საუბრობს.

6.3.1. საკუთარი სხეულის ძიებაში

რომანის სათაური „ქალები კაცების გარეშე“ უკვე პრობლემის ფემინისტურ ჭრილში წარმოჩენაზე მიგვანიშნებს. ფარსიფურმა ამ წიგნით სრულიად დაარღვია „ღირსეული და პატივცემული“ ირანული საზოგადოების ყველა ჩარჩო და ისეთ ტაბუირებულ თემას შეეხო, რომ ცხადია, არ ეპატია და ციხეში მოხვდა.

რომანი რამდენიმე ისტორიას აერთიანებს ხუთი განსხვავებული ქალის შესახებ, რომლებიც ირანული საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან. ნაწარმოები წარმოადგენს რეალიზმისა და ფენტეზის ნაზავს, სადაც მწერალი მაგიური რეალიზმის სამწერლო მეთოდის გამოყენებით აღწერს ქალების სრულიად განსხვავებულ ცხოვრებასა და ბედს, რომელიც საბოლოოდ თეირანის მახლობლად, ქარაჯის ბაღში იკვეთება. ყველა ისტორია უკავშირდება 1950-იანი წლების ირანს (1953 წლის სახელმწიფო გადატრიალებისა და პრემიერ-მინისტრ მოჰამად მოსადეყის დამხობის პერიოდს) - სამყაროს, სადაც ქალს უფლებები მხოლოდ კანონმდებლობით ჰქონდა, რეალურად კი არ გააჩნდა. რომანში მოქმედების დრო შეზღუდულია, თუმცა გამოკვეთილია საზოგადოების სხვადასხვა ფენის დამოკიდებულება ქალის სტატუსისადმი.

მაჰდოხთის, ფაეზეს, მუნესის, ზარინქოლაჰისა და ფაროხლაყას ისტორიები ირანში ქალთა მდგომარეობის საერთო სურათს ქმნის. მწერალი აღწერს სამყაროს, რომელიც ქალებისთვის სიცრუითა და ბარიერებითაა სავსე, სადაც მამაკაცები უარყოფით როლს თამაშობენ ქალების ცხოვრებაში და ვერ ახერხებენ მათ გვერდით თანასწორუფლებიან არსებობას. ეს არის სამყარო, სადაც, საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული შეხედულებების მიხედვით, ქალის ერთადერთი ადგილი სახლია, მისი დანიშნულება კი მხოლოდ შვილების გაჩენა, საოჯახო საქმეებსა და ოჯახის წევრებზე ზრუნვაა.

„სახლი ქალს ეკუთვნის, გარესამყარო - კაცს“ (Parsipur, 1990, გვ. 14).

კრებულის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, მაჰდოხთი, („მაჰდოხთი“, „مخدخت“), წესით და რიგით, პროგრესულად მოაზროვნე, თანამედროვე ქალი უნდა იყოს. საშუალო სოციალური კლასის წარმომადგენელ მაჰდოხთს განათლებაც მიუღია და მასწავლებლადაც მუშაობს. თუმცა, რეალურად, კონკრეტული საგნების დასწავლას მისთვის განათლება და წინსვლა ვერ მოუტანია. მაჰდოხთის ცნობიერება კვლავ ტრადიციულ მარწუხებშია და წინა თაობების აზროვნებისგან არაფრით განსხვავდება. მისთვის ქალის პატიოსნება ცალსახად სიქალწულისთან ასოცირდება. წესიერი, კეთილშობილი, შრომისმოყვარე მაჰდოხთისთვის არათუ ქორწინების გარეშე ქალისა და მამაკაცის სექსუალური თანაცხოვრებაა წარმოუდგენელი, არამედ მამაკაცის მიერ კინოთეატრში დაპატიჟებასაც შეურაცხყოფად აღიქვამს.

ფარსიფური წუხს, რომ ის ადამიანი, რომელსაც მომავალი თაობის ბედი აბარია, ისევე ვიწროდ და სავალალოდ აზროვნებს, როგორც მისი გაუნათლებელი და ჩამორჩენილი თანამემამულეები. მისი ცნობიერება ისევ პატრიარქალური ჩარჩოების ტყვეა და, მიუხედავად იმისა, რომ კეთილი და უბოროტო ადამიანია, უნებურად არაჰუმანურ გადაწყვეტილებებს იღებს. იგი აღშფოთებულია იმით, რომ თხუთმეტი წლის გოგონა ნებაყოფლობით ამყარებს სექსუალურ კავშირს ბებერ მეზაღესთან.

მებაღე კი პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით უგზო-უკვლოდ იკარგება.

ამ ამბავში საინტერესო ისაა, რომ განათლებამიღებული მაჰდოხთი ზუსტად ისე აზროვნებს, როგორც საზოგადოების წევრთა უმეტესობა, რომლებიც გოგონას ამტყუნებენ, კაცს კი - არა. საზოგადოებისთვის ქალისა და კაცის უფლებები, მათდამი დამოკიდებულება განსხვავებულია. ის, რაც ეპატიება კაცს, ქალისთვის უპატიებელი საქციელია. მაჰდოხთიც თვლის, რომ გოგონა ოჯახის წევრებისგან სამაგალითოდ დასჯას იმსახურებს, თუმცა არაფერს ამბობს მებაღის დანაშაულზე. როგორც ჩანს, მხოლოდ განათლების მიღება ადამიანთა ცნობიერებაში ბევრს ვერაფერს ცვლის, თუ მას სიბნელისა და უმეცრების საუკუნოვანი პრაქტიკა უმაგრებს ზურგს.

მაჰდოხთის შეზღუდვებით სავსე გონებას არ შესწევს ძალა გაუმკლავდეს არსებულ ყოფას, არ იცის, როგორ უპასუხოს გამოწვევებით სავსე ცხოვრებას. ტრადიციული შეხედულებების მქონე ქალი გაურბის რეალობას და, ვითომდა შეუფერებელი საქციელისგან თავის დასაცავად, ცოდვებით დამძიმებული საზოგადოებისგან განრიდებას გადაწყვეტს. მაჰდოხთის ნატვრას - გახდეს დედა და ჰყავდეს შვილები, ასრულება არ უწერია, რადგან კაცთან სიახლოვის მხოლოდ წარმოდგენაც სირცხვილში აგდებს. პატრიარქალურმა აღზრდამ და ცნობიერებამ კაცთან სიახლოვის უნარი და სურვილი დაუკარგა და დედობის მოსურნე მაჰდოხთი ქარაჯში, საკუთარი სახლის ეზოში, მიწაში ხედ იფლობა „საამაყო სიქალწულისთან“ ერთად და „უცოდველად ნაშობ შვილებს“ - კვირტების სახით - ყოველ გაზაფხულზე უშურველად უწილადებს ყველა მსურველს.

რომანის კიდევ ერთი პერსონაჟი ქალი, ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი ფაეზე („ფაეზე“, "فانزه"), განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება ქალწულობის საკითხს. მისთვის, როგორც ტრადიციული შეხედულებების მქონე საზოგადოების ღირსეული წევრისთვის, ქალწულობა ქალის ყველაზე მთავარი ღირსებაა. ფაეზეს ღრმად სწამს, რომ ეს განსაზღვრავს ქალისა და მისი ოჯახის პატიოსნებასა და საზოგადოების

მხრიდან პატივისცემასაც კი. მას სჯერა, რომ ცხოვრების მთავარი ოცნების ასრულების, პატრიარქალური ტრადიციული შეხედულებების მქონე ამირხანზე დაქორწინების, ერთადერთი შანსი უმანკოების შენარჩუნებაა.

ოცდარვა წლის ასაკში იგებს ფაეზე, რომ თურმე ქალწულობასთან დაკავშირებით უფროსებისგან გაგებული ამბები თავის მოტყუება ყოფილა და სხვა არაფერი. იგი მიღებულ ინფორმაციას თავის ოცდათვრამეტი წლის გაუთხოვარ მეგობარ მუნესს უზიარებს, რომელიც ფაეზეს მსგავსად აღმოაჩენს, რომ სიცოცხლის თითქმის ნახევარი ტყუილში გაატარა. მეგობრები აცნობიერებენ, რომ საკუთარი სხეულის შესახებ არაფერი იციან, ტაბუდადებულ თემებზე მათთან არავის არასდროს უსაუბრია.

პატრიარქალურ საზოგადოებაში გოგონები ბავშვობიდანვე დამკვიდრებული ტრადიციული შეხედულებების ტყვეები არიან. მათ ჯერ კიდევ რვა წლის ასაკში ასწავლიან, რომ თუ გოგონას საქალწულე აპკი დარღვეული აქვს, ღმერთი არასოდეს შეიწყალებს და ამით გოგონებს იმთავითვე უნერგავენ ქალწულობისადმი შიშს, უწესებენ გადაულახავ ბარიერებს, უსპობენ თავისუფლად გადაადგილებისა და თამაშის შესაძლებლობასაც კი.

„სინამდვილეში, რვა წლისას უთხრეს, რომ გოგონას, რომელსაც საქალწულე აპკი არ აქვს, ღმერთი არასოდეს აპატიებს... სინანულით უყურებდა ხეებს და ნატრობდა, რომ ოდესმე რომელიმეზე მაინც ასულიყო, თუმცა ქალწულობის დაკარგვის შიშით არასოდეს ასულა“ (Parsipur, 1990, p. 14).

საკუთარი სხეულის შეცნობა ხდება, ერთი თვით, მუნესის სახლიდან წასვლის მიზეზი („მუნესი“, "مونس"). იგი სახელმძღვანელოებში ამოკითხული ინფორმაციის საშუალებით ცდილობს შეიცნოს საკუთარი სხეული და გაარკვიოს ათწლეულების განმავლობაში ქალწულობასთან დაკავშირებით გონებაში ღრმად გამჯდარი ტყუილ-მართალი. მუნესის ოჯახისთვის მხოლოდ სიქალწულის დარღვევა კი არა, ქალის სახლიდან გაურკვეველი მიზეზით წასვლაც უპატიებელი ცოდვაა. შინ

დაბრუნებულ მუნესს საზოგადოების თვალში ოჯახის შერცხვენის გამო, მოძალადე ძმა, ამირხანი, სასიკვდილოდ იმეტებს, შემდეგ კი სასჯელის შიშით სახლის ეზოში მარხავს. ამ ამბებში ოჯახთან ერთად მუნესის მეგობარი ფაეზეც მონაწილეობს და ამირხანის დასაცავად, მისი გულის მოსაგებად, ჩადენილი დანაშაულის დაფარვაში აქტიურად ერთვება.

„ადამიანო! სირცხვილია. რისთვის ტირი? კარგი, ძმა ხარ, გიყვარს. მოკალი? კარგი გააკეთე, აბა როგორ? გოგონა, რომელიც ერთი თვე დაიკარგება, ესე იგი მკვდარია. გოგომ ასეთები არ უნდა გააკეთოს. ძალიანაც კარგად მოიქეცი. ყოჩაღ, მეც იმავეს გავაკეთებდი. ყოჩაღ, დედის ძუძუ შაქრად შეგერგოს...“ (Parsipur, 1990, გვ. 18)

საბოლოოდ, ტრადიციული პატრიარქალური საზოგადოებრივი აზრის შიშით გამოტანილი განაჩენი მუნესისთვის თვალის ახელის საშუალება ხდება. მწერალი ნაწარმოებში პოსტმოდერნისტული მეთოდის გამოყენებით ახერხებს სიუჟეტის შემობრუნებას და მუნესისთვის სიცოცხლის მეორედ ჩუქების საშუალებით ორმაგ ფინალს გვთავაზობს. ნაწარმოებში ავტორისეული გადაწყვეტა და ფინალის პირველი ვარიანტი, რომელიც ქალების უპირობო მორჩილებას გულისხმობს, რეალურია მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ირანისთვის. ფინალის მეორე ვერსია კი, უფრო მეტად, მწერლის სურვილს გამოხატავს, რომელიც ჯერ არ დამდგარა, მაგრამ უნდა დადგეს.

ავტორი ნოველაში მუნესს ადამიანთა ფიქრების წაკითხვის უნარით აბრუნებს. სიცოცხლეს დაბრუნებულმა ქალმა ზუსტად იცის, რომ ამიერიდან მისი მოტყუება მარტივი აღარ იქნება, მას უკვე აღარაფერი აკვირვებს და ამჯობინებს, მეგობარ ფაეზესთან ერთად გაერიდოს სიცრუით, სიყალბითა და სისასტიკით სავსე საზოგადოებას. ისინი საკუთარი შრომით ლუკმა-პურის საშოვნელად ქარაჯისკენ ერთად მიდიან. საზოგადოებაში, სადაც ქალებისადმი უპატივცემულობა, მათ მიმართ ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა ჩვეულებრივი ამბავია, მუნესისა და ფაეზეს გადაწყვეტილება დიდ სითამამეს გამოხატავს.

საკუთარი თავის, ადგილისა და დანიშნულების ძიების პროცესში, მეგობრების მიერ პირველი დამოუკიდებლად გადადგმული ნაბიჯი ისევ ძალადობით სრულდება, რაც მათსავე ცხოვრებაში მწარე გამოცდილებად რჩება. ახალი ცხოვრების დაწყების იმედით ქარაჯისკენ ფეხით მიმავალ მეგობრებზე სატვირთო მანქანის მძღოლები სექსუალურად ძალადობენ. ისე, თითქოს არაფერი მომხდარა, კაცები აგრძელებენ გზას, შეურაცხყოფილ და დამცირებულ ქალებს კი გზაზე, მტვერსა და ნაგავში ტოვებენ. ქალთა მიმართ ძალადობა ცხოვრების წესად ქცეულა ამ საზოგადოებაში. ადამიანები არად აგდებენ ასეთ ფაქტებს. ქალი მამაკაცის სურვილების ასრულების, მათ შორის, სექსუალური ფანტაზიების დაკმაყოფილების ობიექტია, მისი აზრი გასათვალისწინებელი არ არის.

პატრიარქალური საზოგადოებისთვის არსებობს იდეალური ქალის სტერეოტიპი. ის ახალგაზრდა, ქალწული, მორცხვი, ლამაზი, წყნარი, მოსიყვარულე, მორჩილი და სუფთა უნდა იყოს. ქუჩაში, ჰეჯაბით, მუდამ თავდახრილი უნდა დადიოდეს და სიმორცხვისგან წითლდებოდეს. მათთვის არაფერია იმაზე უფრო უკადრისი, ვიდრე ქალწულობაშელახული ქალის გათხოვება. თუმცა, იმავე დროს, იგივე საზოგადოება მზადაა დამალოს ახალგაზრდა ქალებზე სექსუალური ძალადობისა და უკანონო ფეხმძიმობის ამბები, მათი ჯერ არდაბადებული შვილები სიკვდილისთვის გაიმეტოს, ქალწულობადაკარგული გოგონები კი ქორწილში უგონოდ მთვრალ სიძეებს შეატყუოს. რაც მთავარია, ამ დანაშაულების თანამონაწილეები თავად ქალები (დედები, დები, მეგობრები, ნათესავები) არიან. სწორედ ისინი ამართლებენ ქალებზე ფიზიკურ თუ სექსუალურ ძალადობას და ხელს აფარებენ დამნაშავეებს. მათ ცნობიერებაში საუკუნეების განმავლობაში ჩანერგილი პატრიარქალური ტრადიციების ამოძირკვა ძალიან რთულია, რადგან მათ ასე იციან, ასე ასწავლეს და ცვლილებებისთვის ჯერ მზად არ არიან.

6.3.2. საკუთარი თავის ადამიანად აღქმის პროცესი

უსიყვარულოდ გათხოვილი ქალის, ფაროხლას, ისტორიაა აღწერილი კიდევ ერთ ნოველაში „ქალბატონი ფაროხლასადრ აღდივან გოლჩეჰრე“ (خانم فرخ لقا صدر الديوان "گلچهره"). ქალი ხვდება, რომ საზოგადოებრივი აზრის გავლენით ნამდვილ სიყვარულზე უარის თქმისა და უსიყვარულოდ გათხოვების გამო დიდი შეცდომა დაუშვა. რომ არა პატრიარქალური საზოგადოებრივი აზრის გავლენა, ფაროხლას, იქნებ, დალოდებოდა კიდევ ნამდვილ სიყვარულს. თუმცა, საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული შეხედულების მიხედვით, ლამაზი ქალი უქმროდ ვერ დარჩებოდა.

„ასეთია ცხოვრება. უნდა გავთხოვილიყავი და გავთხოვდი“ (Parsipur, 1990, გვ. 27).

ამიტომაც გათხოვდა და მთელი ცხოვრება სატანჯველად ექცა. სატანჯველია მისი ქმრის ცხოვრებაც, რომელსაც ცოლი უყვარს, თუმცა ქალის ქედმაღლობა მას უხასიათო, უხეშ, გულცივ ქმრად აქცევს.

ფაროხლას არათუ არ უყვარს თავისი ქმარი, ეზიზღება კიდევ და მის სახლიდან გასვლას ყოველდღე მოუთმენლად ელის. პერიოდულად, წარსულის დავიწყებით ცდილობს ქმართან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას. ქმრისგან სიყვარულს, ყურადღებასა და პატივისცემას ელოდება, თუმცა საპასუხოდ დამცირებას, გულგრილობასა და გულისტკენას იღებს. ქმარი მუდმივად ახსენებს ქალს, რომ წლებთან ერთად მისი სილამაზე და მომხიბვლელობა გაქრა, ბავშვები გაიზარდნენ და თავისი ცხოვრება აქვთ, გრძნობები გაცივდა და მენოპაუზიანი ქალი მისთვის საინტერესო აღარ არის.

„ - ასე უნდა იყოს. ალბათ, ამიტომაც აქვს კაცს რამდენიმე ცოლის მოყვანის უფლება. ალბათ, იმიტომ, რომ ლოგინში მენოპაუზიანის ატანა სულ არ მოუწიოს...

- რომ ავდგე და ცოლი მოვიყვანო, ძალიან გაბრაზდები!..“ (Parsipur, 1990, გვ. 30).

ცოლ-ქმარს შორის გაუცხოება და ურთიერთობის არარსებობა კიდევ უფრო ამძაფრებს წყვილის ისედაც გართულებულ თანაცხოვრებას. მეუღლეების კამათი ტრაგიკულად მთავრდება, ფაროხლაყას ქმარი შემოაკვდება.

უნდა აღინიშნოს, რომ აქ ქმრის მკვლელობა მწერლის მიერ შემოტანილი შემთხვევითი ფაქტი სულაც არაა. ქალი, ფაქტობრივად, მოძალადეს კლავს, მასზე ფსიქოლოგიურად მოძალადეს და ამით ახალ, თავისუფალ ცხოვრებას იწყებს. იგი გადაწყვეტს გაეცალოს ადამიანებს, რომლებმაც მიატოვეს და სახლს, რომელიც აღარ უყვარს.

სახლი, რომელსაც ფაროხლაყა ცხოვრების თავიდან დაწყების სიმბოლოდ ყიდულობს, აშკარად, რომანის ყველა პერსონაჟის ახალი ცხოვრების დასაწყისადაც მოიაზრება. ქალი ქარაჯში, ნაკადულის პირას მდებარე ხეხილის ბაღიან პატარა სახლში თავისუფალი ცხოვრების დაწყების, ადამიანებისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარებისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართვის სურვილით, გადასვლას გადაწყვეტს. მისი ახალი სახლი ხდება რომანის თითოეული პერსონაჟისთვის საკუთარი გამოცდილების გააზრების, ცხოვრების მთავარი მიზნისკენ სწრაფვის, ადამიანად ფორმირებისა და ოცნებების ახდენის ადგილი.

საინტერესოა მეძავი ქალის, ზარინქოლაჰის, პერსონაჟი („ზარინქოლაჰი“, "زarin kholah"), რომელიც ბავშვობიდან საროსკოპოში მამაკაცებს ემსახურება. მიუხედავად მხიარული გამომეტყველებისა, ქალი ვეღარ უმკლავდება თავის მდგომარეობას. კაცებს ის მხოლოდ თავიანთი სექსუალური ფანტაზიების დასაკმაყოფილებლად სჭირდებათ, მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე კი არავინ ფიქრობს. დროსთან ერთად, მას მამაკაცების მიმართ ზიზზის გრძნობა უჩნდება და კლიენტებს თავების გარეშე ხედავს. ამ ყოფისადმი გაჩენილი ზიზზი ქალს თვითგადარჩენაში ეხმარება და ცხოვრების შეცვლისკენ უბიძგებს.

ზარინქოლაჰმა იცის, რომ სცოდავს, მისთვის ასეთი ყოფა მიუღებელია და არსებული რეალობიდან თავის დაღწევის გზას ეძებს. იგი ცოდვებისგან გათავისუფლებისა და

საკუთარი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლის საშუალებად საროსკიპოს დატოვებას, გარშემომყოფებისგან განრიდებას და განბანვის რიტუალის ჩატარებას მიიჩნევს.

„ზარინქოლაჰმა აქრამ ჰაფთისგან ორდღიანი დასვენება ითხოვა. ადგა და უბნის აბანოში წავიდა. ჩვეულებრივისგან განსხვავებით, საერთო აბანოში არ შევიდა, რომ ქალებთან არ ესაუბრა და ეხუმრა. ნომერში შევიდა. დალაქი აიყვანა. თავით ფეხამდე დაიბანა. უბრძანა, სამჯერ გაეხეხა. დალაქი ვედარ სუნთქავდა და ზარინქოლაჰს სხეულის ყველა ფორიდან სისხლი სდიოდა. არ ეჯერა, რომ ლოცვისთვის სუფთა იყო...

ფიქრობდა, ისე, როგორც იყო, შიშველს ელოცა. ლოცვა არ იცოდა. გაიფიქრა, რა მოხდა, თუკი დამწუხრებული ალი უდაბნოში თავის გულის დარდს ჭას უზიარებდა, მაშინ ის ალის ლოცვას იტყოდა.

შიშველივე დაემხო აბანოში. ამბობდა:

ალი, ალი, ალი, ალი, ალი, ალი, ალი, ალი, ალი...

ამბობდა და ბრაზი იპყრობდა“ (Parsipur, 1990, გვ. 33).

ზარინქოლაჰს ბრაზი იპყრობს ყველასა და ყველაფრის მიმართ - უმიზნოდ გატარებული დღეების, ცოდვებით დამძიმებული ცხოვრებისა და უსარგებლო არსებობის გამო. იგი აცნობიერებს, რომ ცვლილებები მის ცხოვრებაში მისსავე გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. ამიტომ ქალაქს ტოვებს და ახალი ცხოვრების დაწყების იმედით ქარაჯისკენ მიემგზავრება.

სხვადასხვა სოციალური გარემოს, ინტერესების, განსხვავებული წარსულისა და გამოცდილების მქონე მეგობრები, ერთმანეთის მხარში დგომით, ადამიანური სიბოძის და სიყვარულის გაზიარებით სიცოცხლეს ჩუქნიან მაჰდოხთს. საინტერესოა, რომ სიწმინდის, უმანკოებისა და პატიოსნების მოტრფიალე, მომაკვდავი მაჰდოხთის გადარჩენა მწერალმა, დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულების

მიუხედავად, საზოგადოებისთვის მიუღებელ და უღირს, მეძავ ქალს დააკისრა. ზარინქოლაჰი მის გადასარჩენად შრომანს შობს და ადამიანის რძით კვებავს ნაკადულში ფესვგადგმულ, ზამთრის ყინვისგან დასუსტებულ, ძალაგამოცლილ მაჰდოხოს. საბოლოოდ, ქალი, საკუთარი დანიშნულების აღმოჩენას, ჩადენილი ცოდვებისგან გათავისუფლებას, ადამიანად ფორმირებას ახერხებს, სხვა ადამიანს სიცოცხლეს უნარჩუნებს და საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებსაც ამსხვრევს.

საინტერესოა, რომ ფარსიფურის ამ რომანში ნაწარმოების ხუთი მთავარი ქალი პერსონაჟის ბედი ქარაჯის ბაღში იკვეთება. ისინი კეთილ, შრომისმოყვარე მებაღესთან ერთად განაგრძობენ ცხოვრებას მთავარი მიზნისთვის - გადაარჩინონ მიწაში დაფლული, საზოგადოებრივი აზრის შიშით ოჯახის წევრებისგან მიტოვებული, ყინვისაგან დამზრალი, მომაკვდავი მაჰდოხო და მისი მწვანე, აყვავებული კვირტები, სიკეთის, სიწმინდის, უმანკოებისა და პატიოსნების გასამრავლებლად დედამიწაზე მიმოფანტონ. გარდა ამისა, თითოეული მათგანი ცდილობს იპოვოს საკუთარი როლი, ადგილი და დანიშნულება ტრადიციული პატრიარქალური აზრითა და სტერეოტიპებით დამძიმებულ სამყაროში, რასაც, საბოლოოდ, აღწევენ კიდევ.

ისინი ერთად მიდიან დასახული მიზნისკენ. მათ ზუსტად იციან, რომ საკუთარი თავის შეცნობის, დიდი სურვილის, დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებების, გამბედაობის, თავდაუზოგავი შრომის, ქმედითი ნაბიჯების გადადგმის, დაშვებული შეცდომების გათვალისწინების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთმანეთის დახმარების გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია.

„ეს მოგზაურობის პირველი მწარე გამოცდილებაა. გზად ვფიქრობდი, რომ მილიონობით ადამიანი დაიხრჩო მანამ, სანამ პირველი ადამიანი ცურვას

ისწავლიდა. უცნაური ის არის, რომ ადამიანები ისევ იხრჩობიან“ (Parsipur, 1990, გვ. 43).

გამოწვევებით სავსე ცხოვრებისეულ მოგზაურობაში თითოეული მათგანი აცნობიერებს, რომ ცვლილებების მისაღწევად ყველა უნდა გაერთიანდეს, რომ ქალად ყოფნა სახლის ოთხ კედელში ჯდომას სულაც არ ნიშნავს, რომ მათი მომავალი ცხოვრება მათსავე არჩევანზეა დამოკიდებული. მთავარია, ერთ ადგილას არ გაჩერდნენ, ნაბიჯ-ნაბიჯ იარონ წინ, დაშვებული შეცდომების მიუხედავად, თავიდან სცადონ და არასდროს შეწყვიტონ მოძრაობა. მათ ზუსტად იციან, რომ ეს, განვითარებას, გამოცდილებას, გაძლიერებას, ხსნას, შეზღუდვებისგან გათავისუფლებას მოიტანს.

„რადგან ქალი ვარ, სახლში უნდა დავრჩე, იქნებ პირიქით, ცოტა წინ წავიდე, შემდეგ ერთ სახლში შევიდე, შემდეგ ცოტა წინ წავიდე და მეორე სახლში შევიდე. ასე, კუს მსგავსად შევძლებ მსოფლიო შემოვიარო. დიდი სიამოვნებით ვიღებ თქვენს მოწვევას“ (Parsipur, 1990, გვ. 44).

რომანი „ქალები კაცების გარეშე“, განსხვავებული წარსულის, ინტერესებისა და შეხედულებების მქონე ქალების ერთი საერთო მიზნისთვის გაერთიანების, საკუთარი თავის, ადგილისა და დანიშნულების აღმოჩენის პროცესს აღწერს. ისინი დამოუკიდებლად მიდიან დასახული მიზნისკენ. მათ უკვე იციან, რომ ერთად დგომის, შიშის დაძლევის, ერთმანეთის ნუგეშისცემის, გამხნევების, დახმარებისთვის გაწვდილი ხელის, ცვლილებებისადმი მზაობის, ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინების, თავდაუზოგავი შრომის, სათქმელის საზოგადოებამდე მიტანის, გულწრფელი ადამიანური ურთიერთობების გაზიარების გარეშე მიზნის მიღწევა შეუძლებელია. აცნობიერებენ, რომ ამ ცვლილებებში თითოეული მათგანის, ერთად და ცალ-ცალკე, როლი და მნიშვნელობა განუზომელია.

6.4. ორ სამყაროს შორის

ნოველათა კრებული „ვის მივესალმო?“ ("به کی سلام کنم?") სიმინ დანეშვარმა 1980 წელს გამოაქვეყნა. კრებულში შემავალი ნოველები 1979 წლის ირანის ისლამურ რევოლუციამდეა დაწერილი და შაჰის ირანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას ეხება. მწერლის ადრეული მოთხრობების კრებულისგან („სამოთხესავით ქალაქი“) განსხვავებით, ამ კრებულს უკვე გამოცდილი ავტორის ხელი ეტყობა.

ფემინისტური საკითხის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა კრებულში შემავალი სამი მოთხრობა, ესენია: „მძინარე თვალი“ ("چشم خفته"), „ვის მივესალმო?“ ("به کی سلام کنم?"), „ერთი თავი და ერთი სასთუმალი“ ("یک سر و یک بالین").

ნოველაში „მძინარე თვალი“ ავტორის მიზანი განსხვავების გამოკვეთაა დასავლური და აღმოსავლური სამყაროების დამოკიდებულებებს შორის ქალის ადგილისა და უფლებების მიმართ. ნოველაში წარმოდგენილია ამერიკელი და ირანელი ქალების მონოლოგები, რისი საშუალებითაც მწერალი ამერიკელი და ირანელი ქალების უფლებებისა და მდგომარეობის შესახებ საუბრობს ორ განსხვავებულ სამყაროში. ამ შეპირისპირებით ავტორი ცდილობს, მკითხველს აჩვენოს უფსკრული, რომელიც ამ ორ საზოგადოებაში ქალის უფლებრივ მდგომარეობას ყოფს.

ნოველაში აღწერილია ირანელ წარმატებულ მამაკაცებზე გათხოვილი ამერიკელი და ევროპელი ქალების ყოფა ირანში, საუბარია იმაზე, როგორი პატივისცემით ეპყრობიან, ფინანსურად უზრუნველყოფენ და ანებივრებენ მათ ირანელი ქმრები. უცხოელი ცოლები იფერებენ ქმრების ყურადღებასა და პატივისცემას, ზრუნავენ საკუთარ გარეგნობასა და აღნაგობაზე, საოჯახო საქმეებით თავს არ იღლიან, ირანელ მოახლეებს ქირაობენ, ბევრს მოგზაურობენ და ქმრების შემოსავალს თავიანთი ინტერესების შესაბამისად განკარგავენ.

„დავითვალე, ჩვიდმეტი ირანელი კაცი იყო, ყველას კარგი გარეგნობისა და კარგი აღნაგობის უცხოელი ცოლი ჰყავდა, მსოფლიოს სხვადასხვა ადგილიდან. ირანელ წყვილებთან არ ურთიერთობენ. ამბობენ, რომ ირანელები ველურები, ბინძურები და მატყუარები არიან. ძვირფასო ქალბატონო, თავად რატომ გაჰყევით ირანელს? არავინაა, რომ ჰკითხოს...“ (Daneshvar, 2001, გვ. 91).

ირანელი ქალების ყოფა კი სხვაგვარია, ისინი მათი მორჩილი მოსამსახურეები და დამხმარეები არიან, რამდენიმე დოლარის სანაცვლოდ დღედაღამ შრომობენ, რომ ოჯახი არჩინონ. განათლების არქონა მათ განვითარებისა და წინსვლის საშუალებას უსპობს, უცხო ენის არცოდნა კი - დამქირავებელთან ელემენტარული კომუნიკაციის საშუალებას. მოუწესრიგებლები, დაქანცულები და საკუთარი თავისადმი რწმენადაკარგულები მხოლოდ მოახლეებად აღიქმებიან.

„მე საცოდავს უთოობისგან მაჯა მისივდება, მკლავები ჩამომიცვივდა, დღეში რვა საათს ვმუშაობ, დილის შვიდიდან შუადღის სამამდე, რომ ჩემს შვილს რამდენიმე დოლარი გავუგზავნო. ეს უღმერთოები კარგად იხდიან, სამაგიეროდ, კარგადაც გამუშავენ. თეთრეულს და სამზარეულოს ხელსახოცებსაც კი აუთოებენ“ (Daneshvar, 2001, გვ. 91).

უფლებაყრილი, ბედსშეგუებული ქალის ამბავია აღწერილი ნოველაში „ერთი თავი და ერთი სასთუმალი“. ნაწარმოებში თვალნათლივ იკვეთება ქმართან გაყრის შემთხვევაში ქალის სრული უუფლებობა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში განხორციელებულმა რეფორმამ, გაყრის შემთხვევაში, ბავშვზე მეურვეობის კუთხით დედ-მამის უფლებები გაათანაბრა, რეალურად, ეს ცვლილება ქალთა და ბავშვთა უფლებების გაუმჯობესებაზე არ ასახულა.

ეს არის ნოველა ქალის პიროვნულ ტრაგედიაზე, რომელმაც ქმარ-შვილის უზრუნველყოფისთვის საკუთარი „მე“ დაივიწყა, მზითევში გამოტანებული საკერავი მანქანითა და დიდი შრომით ოჯახი ფეხზე წამოაყენა, შვილთან ურთიერთობის შესაძლებლობა კი ხელიდან გაუშვა. დედა დედინაცვალმა

ჩაანაცვლა, რომელიც ყველანაირად ცდილობს, შვილს დედა დაავიწყოს, ადამიანები კი დაარწმუნოს, რომ ბავშვს დედა გარდაეცვალა.

„ერთ დღეს გოლანბარმა ბავშვს ქვა მისცა და უთხრა: „დედაშენს ესროლე“. ბავშვს გულმა არ უქნა, რომ ესროლა, მაგრამ არც ჩამეხუტა. მიწოდდა მეკოცნა, თავი გასწია. სულ რაღაც ხუთი წლის იყო“ (Daneshvar, 2001, გვ. 204).

დედინაცვალი დედად იქცა, დედა კი - შვილის ქორწილში დაუპატიჟებლად მისულ, შორიდან მომზირალ სტუმრად, რომელსაც ისღა დარჩენია, კეთილი სურვილები დააწიოს ახლად დაქორწინებულ შვილს - „ერთი თავი და ერთი სასთუმალი გქონოდეთ!“ (Daneshvar, 2001, გვ. 205).

ეს ხალხური გამოთქმა, რომლითაც დედა დაქორწინებულ შვილს ლოცავს, მწერლის მთავარი სათქმელიცაა ამ ნოველაში: იქნებ მომავალ თაობებს ექცეთ ეს საუკუნოვანი ნატვრა რეალობად და ოჯახში ერთსულოვნება და სიყვარული გამეფდეს. რაც ბებიებს და დედებს ოცნებად დარჩათ, იქნებ შვილების თაობისთვის მაინც იქცეს ნამდვილ ცხოვრებად.

კრებულის საუკეთესო ნოველაა „ვის მივესალმო?“, რომლის სახელწოდებასაც თავად კრებული ატარებს. ნოველის მთავარი თემა მოხუცი დედის მარტოსულობაა, თუმცა მის მარტოობას საფუძვლად ისევ ქალის უუფლებობის საკითხი უდევს, რადგან სწორედ ქალის უფლებების შელახვამ და არაფრად ჩაგდება აქცია მოხუცი დედა მარტოსულად. მოხუცს შვილთან და შვილიშვილებთან ურთიერთობის საშუალება მოძალადე სიძემ წაართვა და აუკრძალა ერთადერთი ქალიშვილის მონახულება, რადგან კარგად იაზრებს, რომ დედას სიტბოსა და სიყვარულში გაზრდილი შვილის განსაცდელიდან გამოყვანა განუზრახავს. თუმცა პატრიარქალური სინამდვილე მასზე ძლიერია და დედა შვილზე ზრუნვისთვის მარტოობით ისჯება.

ამ ნოველაში ავტორის შეხედულება განათლების საკითხთან მიმართებაშიც ჩანს. მას ირანის პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალის უუფლებობის დამღევსა და

სოციუმში ადგილის დამკვიდრების უმნიშვნელოვანეს გზად მისი განათლება ესახება. ნოველის სულისკვეთებიდან გამომდინარე, მთავარი პერსონაჟის ქალიშვილი უკეთ შეძლებდა ოჯახური და საზოგადოებრივი სირთულეების დაძლევის, დედისთვის და მათი ქალბატონისთვის რომ დაეჯერებინა და კარგი განათლება მიეღო.

„გაუშვი, ისწავლოს, ეცადე, რობაზე თავისი წრიდან გამოათრიო. განა არ იცი, რომ ქალი ტანჯულთა კლასს ეკუთვნის“ (Daneshvar, 2001, გვ. 76).

კრებულში „ვის მივესალმო?“ ირანელი ქალი უკვე დასავლურ ყოფას ეცნობა და პარალელს ავლებს საზოგადოებაში მასსა და დასავლელი ქალების ფუნქციებს, უფლებებს და მათდამი დამოკიდებულებებს შორის. იგი ფიქრს იწყებს და ცდილობს გაარკვიოს, რა ფაქტორები განაპირობებს მათ შორის განსხვავებულობას. ქალი საკუთარი „მე“-ს ძიებაშია და ფიქრობს, როგორ გაარღვიოს მის გარშემო არსებული მოჯადოებული წრე. იაზრებს, რომ მხოლოდ ოჯახისადმი ერთგულ სამსახურს მისთვის ბედნიერება არ მოაქვს. აღმოაჩენს, რომ საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად ბევრი რამ უნდა შეცვალოს, ისწავლოს და გააანალიზოს. აცნობიერებს, რომ რეალურ ცვლილებებს მხოლოდ განათლებული, თავდაჯერებული, საქმიანი, ფინანსურად დამოუკიდებელი ქალი მოიტანს.

ფაბულისა და სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით განსხვავებული ნაწარმოებია სიმინ დანეშვარის რომანი „დაბნეულობის კუნძული“, თუმცა მასშიც ორ სამყაროს შორის „მოხეტიალე“ ქალებზეა საუბარი. ქალებზე, რომლებსაც, გარკვეული პროგრესის მიუხედავად, ადგილი ჯერ კიდევ ვერ უპოვიათ და „დაბნეულობის კუნძულებად“ ქცეულან. რომანი მე-20 საუკუნის სამოცდაათიანი წლების ირანის ამბავს გვიამბობს. ეს არის ისტორია გონიერ, კულტურულ, განათლებულ გოგონაზე, ჰასთი ნურიანიზე, რომელიც მის ოჯახში დატრიალებული ტრაგედიისა და შემდგომ განვითარებული მოვლენების გამო, ბავშვობიდანვე დაბნეული და დაკარგულია თავის გრძნობებში, აღქმებსა და ემოციებში. მისი

დაბნეულობა პერსონაჟის ცნობიერების ხეტიალს გამოხატავს. როგორც კუნძული ეძიებს ნავსაყუდელს, ისე ჰასთიც, ამ დაბნეულობის ფონზე ეძებს თავის კუთვნილ ადგილს გარესამყაროსა და საზოგადოებაში.

ამ პერიოდის ირანში უკვე ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა ამოქმედდა და ქვეყანა დასავლური ცივილიზებული სამყაროს განვითარების გზას დაადგა. ამდენად, განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ აისახა ეს რეფორმები რეალურ ცხოვრებასა და ადამიანების ცნობიერებაში.

ერთი შეხედვით, ოჯახშიც და საზოგადოებაშიც ქალის როლი ბევრად უფრო მრავალმხრივი და დაფასებულია, ვიდრე 20-30 წლის წინათ. ესაა ამბავი განათლებული, უმაღლესდამთავრებული, სახელმწიფო დაწესებულებაში მომუშავე ახალგაზრდა ქალისა, რომელიც, ერთი შეხედვით, თავისუფალი და დამოუკიდებელია საკუთარ სურვილებსა და გადაწყვეტილებებში.

მწერალი ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ფონზე გვიხატავს რომანის მთავარ პერსონაჟს. იგი, ჯერ კიდევ სტუდენტობისას, აქტიურად იყო ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და ამ მიზეზით, სხვა სტუდენტებთან ერთად, ორი თვე საპყრობილეში გაატარა. თავისუფალი, თავდაჯერებული, საქმიანი ქალი, მის გარშემო განვითარებული მოვლენების გამო, პერიოდულად, კვლავ ერთვება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რომანის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ირანი 30 წლის წინათაც სხვა ქვეყანაზე იყო დამოკიდებული და 30 წლის შემდეგაც ასეა. ეგაა მხოლოდ, უცხოურ ექსპანსიაში მონაწილე რუსეთი და ინგლისი („სიავეშის დატირება“) ამერიკამ ჩაანაცვლა. მეგობრების დასახმარებლად წასული ჰასთი აღმოაჩენს, რომ ერთ ქალაქში ორი განსხვავებული რეალობაა. ჰასთისთან ერთად მკითხველიც აცნობიერებს, რომ ქვეყნის დასავლურ გზაზე შედგომა და „პროგრესისკენ სვლა“ თვალში ნაცრის შეყრაა, რადგან კეთილდღეობა და პროგრესი მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილს ეხება. ერთ მხარეს მაღალი სოციალური კლასის წარმომადგენლები დგანან,

რომლებიც ამერიკელებთან ერთად მხიარულებით იქცევენ თავს, მეორე მხარეს კი უკიდურესად გაჭირვებული სოციალური ფენაა, რომელიც ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძვის. საზოგადოებისგან გარიყული მარგინალების ეს ფენა ხელისუფლებას არ სჭირდება, მათზე არავინ ზრუნავს, ეს ადამიანები პიროვნებად ყოფნასაც მოკლებულნი არიან, რამდენადაც პირადობის მოწმობაც კი არ გააჩნიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოებში მთავარ პრობლემად თავად ქალის შინაგანი ძიებებია წამოწეული. საინტერესოა, რომ ამ პერიოდის ირანში ქალი თითქმის აღარ განიცდის გარეგან ზეწოლას. პატრიარქალური საზოგადოებრივი აზრის, დამკვიდრებული ტრადიციული სტერეოტიპული მიდგომების მიუხედავად, იგი თავისუფალია არჩევანში, მან გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღოს. თუმცა ისიც აშკარაა, რომ მიღებული განათლების, საქმიანი და ფინანსურად დამოუკიდებელი ცხოვრების მიუხედავად, ქალმა ვერ მიაღწია შინაგან თავისუფლებას. იგი, საბოლოოდ, თავს ვერ აღწევს მეორეხარისხოვან, გარე ფაქტორებსა და ქვეცნობიერში ღრმად გამჯდარ ტრადიციულ შეხედულებებს, რაც გავლენას ახდენს და განსაზღვრავს კიდევ ქალის ქმედებებსა და მომავალს. ქალი დაბნეულია და უჭირს გადაწყვეტილების მიღება.

ჰასთი, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ მოხუცმა ბებია გაზარდა, განათლება მისცა და ახლა უკვე კულტურის სამინისტროშიც მუშაობს, ცდილობს თავისი, როგორც ქალის, ადგილისა და დანიშნულების გააზრებას ოჯახში, საზოგადოებრივ საქმიანობასა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. ბავშვობიდან, დედის სხვა კაცზე გათხოვების შემდეგ, მუდმივად არჩევანის გაკეთება უწევდა ბებიისა და დედის აზრებს შორის; დედისა და ბებიის მზრუნველი კალთის ქვეშ ცხოვრებასა და მათი გავლენიდან გამოსვლის გადაწყვეტილებას შორის. ჰასთისთვის თავისი დინჯი, დაკვირვებული, ხან კი მეღანქოლიური ხასიათი ბავშვობის ტრავმასთან და კომპლექსებთან ასოცირდება, რომელთა დამღევაზეც სულ მუდამ მუშაობს. მიუხედავად სირთულეებისა, ცდილობს, დედის და ბებიის ჩრდილს თავი

დააღწიოს, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება შეძლოს, ღიმილი ისწავლოს, ბევრი იცინოს და ცხოვრება გაიმარტივოს.

ჰასთის საზოგადოებაში ყოფნა სიამოვნებასაც ანიჭებს და ხატვისთვის საჭირო იდეებითაც ამარაგებს. მისთვის ძველი, ტრადიციული, ყავლგასული შეხედულებები ქალების ფუნქციისა და დანიშნულების შესახებ სულაც არაა მისაღები და საინტერესო. იგი თვლის, რომ ქალები კაცების შიშით ამბობენ უარს საკუთარ ინტერესებსა და ღირებულებებზე, სათანადოდ ვერ აფასებენ თავიანთ შესაძლებლობებს და მიაჩნიათ, რომ მათი ადგილი მამაკაცთა საზოგადოებაში არ არის.

„პატრიარქატის ეპოქიდან ქალების უმეტესობა ჩუმად აყურადებს, თვალთმაქცობს, ითმენს, მორჩილებაშია, რადგან მამაკაცური ქმედითი საზოგადოებისკენ გზა დახშული აქვს“ (Daneshvar, 1999, გვ. 170).

გოგონას დაბნეულობის განცდა და გაორებული შეგრძნებები ზრდასრულობაშიც მიჰყვება. მას არჩევანის გაკეთება სიყვარულშიც უჭირს, ვერ გადაუწყვეტია, ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ მამაკაცს შორის რომელზე შეაჩეროს ყურადღება. ის მუდამ საკუთარი თავის ძიებაშია, უამრავ შეკითხვას შეკითხვითვე პასუხობს და ვერ გაურკვევია, რატომ სურთ მამაკაცებს მისგან მორჩილი ცოლის შექმნა.

მისი სტუდენტობის მეგობარი მორადი, თავისი დემოკრატიული სულისკვეთებისა და თითქოსდა ეროვნული ფასეულობების ერთგულების მიუხედავად, ქორწინების წინააღმდეგია. ამის მთავარ მიზეზად ფინანსურ პრობლემებს ასახელებს და თავს არიდებს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას. მისთვის ქორწინება ტვირთია, რომელიც სიყვარულს აქარვებს და აუფერულებს. იგი თანამედროვედ მოაზროვნე ქალის, ჰასთის თამამ შეთავაზებას, რომ იქორწინონ, უარით პასუხობს. არადა, ჰასთისთვის მოსიყვარულე ოჯახის შექმნა და შვილებზე ზრუნვა ცხოვრების მთავარი სურვილია.

„ჩემი გული შენი სიყვარულითაა სავსე... მაგრამ, ო, ძვირფასო... მოდი, ქორწინებით ნუ გავთელავთ“ (Daneshvar, 1999, გვ. 198).

უცხოეთში განათლებამიღებულ, ფინანსურად შეძლებულ სელიმს კი კულტურული და განათლებული, თუმცა მორჩილი, ოჯახზე მზრუნველი ცოლი სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად იგი ქალისა და კაცის თანასწორობის მომხრეა, პრაქტიკულად, საზოგადოებაში მათი ადგილები გამიჯნული აქვს. სელიმი თვლის, რომ ქალებმა არ უნდა იმუშაონ, რადგან ამით ყურადღებას აკლებენ ოჯახს, შვილებს და მეუღლეს. დასავლური განათლებისა და დემოკრატიული იდეების მიუხედავად, ის ქალებთან და მათ ფუნქციასთან დაკავშირებით კვლავ პატრიარქალური აზროვნების მქონე საზოგადოების შეხედულებების ერთგული რჩება. ფაქტობრივად, მისი დემოკრატიულობა და პროგრესულობა მხოლოდ ფასადია, რომლის მიღმაც კვლავ იგივე პატრიარქალური ცნობიერება მიჩქმალულა.

„არ მინდა, ჩემმა ცოლმა თან სახლში საქმე აკეთოს, თან სამსახურში მუშაობდეს. ბავშვებსაც უპატრონოს და ქმარსაც, გადაიღალოს. აბა, დაფიქრდით, ბავშვების დილით ადრე გაღვიძება და მათი ფეხბურთის ბურთივით მამიდისთვის, დეიდისთვის და ბებიისთვის სროლა, იმისთვის, რომ ქალი სამსახურში წავიდეს, სწორი საქციელია?“ (Daneshvar, 1999, გვ. 40).

სელიმი გამონაკლისი არ გახლავთ. ამ საზოგადოებაში მამაკაცები მზად არ არიან, მიიღონ ქალების ფინანსური დამოუკიდებლობა, საქმიანი მეუღლეებისადმი ნდობა ეკარგებათ და ეჭვიანობენ კიდეც. ამიტომ ურჩევნიათ, ისინი თავიანთი გავლენის ქვეშ ჰყავდეთ და მათი ყოველთვიური ხელფასიც კი საკუთარი შეხედულებისამებრ ხარჯონ. ეს მამაკაცები თითქოს აღარ ჰგვანან თავიანთ წინამორბედებს: არ ძალადობენ, არ უხეშობენ, ქალის ნების წინააღმდეგ ქორწინებას არ გეგმავენ, თუმცა ქალის წინააღმდეგ „კულტურული ექსპანსია“ კვლავ ძალაშია. ისინი თავბრუს ახვევენ ახალგაზრდა, ლამაზ, გამოუცდელ ქალებს, რათა ქორწინების შემდეგ

ცვილის ფიგურების მსგავსად მოათვინიერონ, მორჩილ ცოლებად აქციონ, არჩევანის უფლება წაართვან და თავიან ჭკუაზე ატარონ.

„შემიძლია, ცვილივით დავიმორჩილო...“ (Daneshvar, 1999, გვ. 176) - ამბობს ევროპაში განათლებამიღებული, „პროგრესულად მოაზროვნე“ სელიმი.

აშკარაა, რომ დასავლეთში მიღებული უმაღლესი განათლება საკმარისი არ აღმოჩნდა სელიმის ცნობიერებაში ღრმად გამჯდარი ტრადიციული პატრიარქალური შეხედულებების დასაძლევად. იგი ტრადიციული შეხედულებების გავლენას განიცდის და პატრიარქატის ისეთივე დაღი აზის, როგორც საზოგადოების დიდ ნაწილს.

საბოლოო ჯამში, ჰასთი არჩევანის წინაშე დგება. თუ სურს ოჯახი შექმნას, მსხვერპლზე უნდა წავიდეს. მან ფინანსურად უზრუნველ და დუხჭირ ცხოვრებას, მშვიდ და ბოზოქარ ყოფას, ღალატსა და რწმენას, ხელოვნებასა და სიყვარულს, პირად ინტერესებსა და ოჯახურ მოვალეობებს შორის არჩევანი უნდა გააკეთოს. მისთვის ეს არჩევანი მარტივი არაა და გაორებული ჰასთი ისევ საზოგადოებისთვის ჩვეულ, დამკვიდრებულ და მისაღებ არჩევანს აკეთებს. როგორც ჩანს, ჯერ არც ჰასთის ცნობიერებაა მზად რადიკალური ცვლილებებისთვის. გონებაში ღრმად გამჯდარი ტრადიციული შეხედულება, რომ ქალის მთავარი ფუნქცია ოჯახზე ზრუნვა და შვილების გაჩენაა, ჰასთის მოსვენებას უკარგავს და გადაწყვეტილების თავისუფლად მიღების საშუალებას უსპობს. იგი გადაწყვეტს, რომ პირადი ინტერესები ოჯახურ პასუხისმგებლობებს ანაცვალოს, საყვარელი საქმე ერთფეროვან ყოფას შესწიროს, ბედს და ახალ ცხოვრებას შეეგუოს. ჰასთი არჩევანს მშვიდი და უზრუნველი, მაგრამ ერთფეროვანი ცხოვრების სასარგებლოდ აკეთებს. ის სელიმს მიჰყვება ცოლად (ტალახაძე, 2023, გვ. 136).

დანეშვარის ამ რომანის მიხედვით აშკარაა, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ირანის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებების მიუხედავად, საზოგადოებაში ქალის მიმართ დამოკიდებულება კვლავ იგივეა,

გენდერული თანასწორობა საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირულ გამოვლინებად და ფურცელზე დაწერილ უფლებად დარჩა. პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალს კვლავ თავისი მკვეთრად გამოიჯნული და ტრადიციით მინიჭებული ფუნქციები აქვს, კაცს კი - თავისი. საზოგადოების აზრით, ქალის დანიშნულება კარგი დედობით და მზრუნველი ცოლობით შემოიფარგლება, მამაკაცის ფუნქცია კი ოჯახის უფროსობა და გადაწყვეტილებების მიღებაა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები ირგვლივ ყველაფერს ამჩნევენ, ხედავენ, როგორ ირღვევა ქალების უფლებები მათ გარშემო, ამ საკითხზე დუმილს არჩევენ. ასეთი საზოგადოება, მწერლის შენიშვნით, ცნობილ ქანდაკებას - ბრმა, ყრუ და მუნჯ მაიმუნებს ემსგავსება, რომლებსაც ხელები თვალებზე, ყურებსა და პირზე აუფარებიათ, რომ არაფერი დაინახონ, მოისმინონ და ილაპარაკონ. „ეს ქანდაკება ქალთა მდგომარეობას აღწერს ჩვენს პატარა სამყაროში“ (Daneshvar, 1999, გვ. 75). ხშირ შემთხვევაში, სწორედ საზოგადოებაში მყოფი ბრმა, ყრუ და მუნჯი მენტალობის ადამიანები წყვეტენ ქალების ბედს და არად აგდებენ ქალთა მიმართ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლინებას (ტალახაძე, 2023, გვ. 136).

რომანში „დაბნეულობის კუნძული“ მწერალი აღწერს ირანული საზოგადოების შეხვედრას თანამედროვე დასავლეთთან. სამწუხაროა, რომ ამ შეხვედრამ ირანული საზოგადოება მხოლოდ დასავლური ცივილიზაციის გარეგნულ სიამეებს აზიარა, სიღრმისეული ფასეულობები მხოლოდ ერთეულების ხვედრი გახდა. ირანული საზოგადოების ბურჟუაზიული წრის წარმომადგენლების ცოლების მთავარი საფიქრალი მხოლოდ თავიანთ სხეულზე და გართობაზე ფიქრია. ისინი ხშირად სტუმრობენ საუნებს, სილამაზის სალონებს, იკეთებენ გამაჯანსაღებელ მასაჟებს და მუდმივად დიეტაზე არიან, რომ ბავშვობაში აკრეფილი ზედმეტი კილოგრამები მოიშორონ. იმდროინდელი კილოგრამები, როცა ირანში ამერიკული სილამაზისა და დიეტის ნორმებს ჯერ არ იცნობდნენ. თეორიულად გაევროპელებული თუ გაამერიკელებული საზოგადოება პრაქტიკულად, შინაგანად მაინც პატრიარქალური ტრადიციების ერთგულია. ცნობიერებაში ღრმად გამჯდარი ნორმები ძნელად

ემორჩილება ცვლილებებს. სადედამთილოები სარძლოს აუცილებლად აბანოში ამოწმებენ, მათი უცხოეთში განათლებამიღებული შვილები კი ამას ბუნებრივად აღიქვამენ, რადგან საუკუნოვანი ტრადიციაა, ერთგვარი რიტუალია, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს.

ირანული საზოგადოება ფეხქვეშ ეგება ამერიკელებს და ყველაფერს აკეთებს მათ საამებლად, ყველანაირ კომფორტს უქმნის, რომ ირანში კარგად იგრძნონ თავი. ადამიანები მზად არიან, მათგან პირადი შეურაცხყოფაც აიტანონ, გაუღიმონ, მათთან ერთად გართობა გააგრძელონ, ოღონდ კი გასამრჯელო მიიღონ, დაწინაურდნენ, კომფორტული ცხოვრება შეიქმნან.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ჰასთის დედის, ეშარათის, პერსონაჟი, რომელიც ქმრის გარდაცვალების შემდეგ ფინანსურად უზრუნველყოფილ, უცხოელებთან დაახლოებულ ირანელზე გათხოვდა. მან პირველი ოჯახი მერვე კლასში შექმნა. ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით, გონიერება ჰყოფნის, რომ მეორედ ისეთ კაცზე გათხოვდეს, ვინც შეძლებს მისი სურვილების, ფუფუნების საგნებისადმი სიყვარულისა და ახირებების დაკმაყოფილებას.

ეშარათი კარგად მოერგო ამერიკულ საზოგადოებას, ფეხი აუწყო მათ ცხოვრების წესსა და ტრადიციას. იგი ამერიკელი მაღალჩინოსნების ცოლებთან ერთად აწყოებს წვეულებებს და შეხვედრებს, სადაც თავს იწონებს, კეკლუცობს, ერთობა, ყველაფერს აკეთებს მათი გულის მოსაგებად. სტუმრების ზღვარგადასული გართობა და წვეულებებზე ნარკოტიკული საშუალებების მიღება, რათა, მათივე თქმით, თავიდან დაიზადონ და ყოველდღიურობას ცოტა ხნით მოსწყდნენ, დისკომფორტს სულაც არ უქმნის ტრადიციულ ოჯახში გაზრდილ და ნაცხოვრებ ეშარათს. ის ხომ კარგი ცხოვრების, მხიარულების, ფუფუნების მოყვარული ქალია. იგი ცხოვრებას დღესასწაულად აღიქვამს. მისი და მრავალი მისნაირი ირანელი ქალისთვის

დასავლურ ფასეულობას სწორედ ეს სულიერებისგან დაცლილი ფინანსური კეთილდღეობა წარმოადგენს.

მართალია, პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალს „სახლის პატრონის, ქმრის პატრონის, შვილის პატრონისა და სტუმრის პატრონის“ (Daneshvar, 1999, გვ. 304) როლი აქვს მორგებული, ეშარათი მაინც ჯიუტად ცდილობს, დაეხსნას ტრადიციულ შეხედულებებს და დასავლეთიდან შემოტანილ ახალ ხილს - გენდერულ თანასწორობას გაუგოს გემო. მას ემანსიპაციის არსი თავისებურად გაუგია, საკუთარი სურვილების შესაბამისად, და ცდილობს, ცხოვრებას „მეტი წაჰგლიჯოს“. უფრო მეტიც, ურჩევს ჰასთის, ახლო ურთიერთობა ჰქონდეს უცხოელებთან, გამოვიდეს ტრადიციული შეხედულებების ჩარჩოებიდან და თავს მოდუნების, გართობის უფლება მისცეს. იგი აქტიურადაა ჩართული ჰასთის პირად ცხოვრებაშიც და მისი ფინანსურად შეძლებულ სელიმზე დაოჯახების მომხრეა.

საბოლოოდ, ეშარათს თავისი მცდარი წარმოდგენა ემანსიპაციასა და ემანსიპირებული ქალის უფლება-მოვალეობაზე ცუდად უბრუნდება. მეორე ოჯახიც ენგრევა. მის ცხოვრებაში ხალხმრავალი და ფერადი წვეულებების დრო სრულდება. ეშარათი საწყის მდგომარეობას უბრუნდება და სწორედ ეს პერიოდი ხდება მისთვის ღირებულებების გადაფასებისა და ახალი აზროვნების დაწყების ხანა. რაც მას მნიშვნელოვანი ეგონა, აღმოჩნდა, რომ მოჩვენებითი ფასეულობა ყოფილა. ეს არც ემანსიპაცია იყო, არც ქალის უფლებების დაცვა. მისი უფლებები ისევე იყო შელახული, როგორც ადრე. ქმარს საყვარელი ჰყავდა და ეს ნორმალურ მოვლენად აღიქმებოდა, რადგან ის კაცი იყო. ეშარათის ფლირტმა კი სავალალო შედეგები მოიტანა, რადგან ის ქალია.

„დაბნეულობის კუნძულის“ პერსონაჟების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების ქალი მეტად თავდაჯერებული, თამამი, განათლებული და საქმიანია. იგი ეცნობა დასავლეთის თანამედროვეობას და თავისუფალი, ბედნიერი, ფინანსურად უზრუნველყოფილი ცხოვრებისკენ

ისწრაფის. იგი საკუთარ თავსა და პირად ინტერესებზე ფიქრს იწყებს, თუმცა ქვეცნობიერში დაღეწილი ტრადიციული შეხედულებების მარწუხებს თავს საბოლოოდ მაინც ვერ აღწევს. გაორებული, დაბნეულ, დაკარგულ მდგომარეობაში მყოფს ვერ გაურკვევია, რა გზას დაადგეს, როგორი არჩევანი გააკეთოს. ეს არის გაორება წარსულსა და აწმყოს, დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ეროვნულსა და უცხოურს შორის და ძნელია თქმა, როდის მოხერხდება საბოლოო არჩევანის გაკეთება.

6.5. სტერეოტიპული აზროვნებიდან ცვლილებებისკენ

თანამედროვე სპარსულ პროზაში ერთ-ერთი გამორჩეული მწერალი ქალი ზოია ფირზადია ³⁶. ზოია ფირზადის ნაწარმოებებმა მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია და პოპულარული გახდა როგორც სამშობლოში, ასევე - მის

³⁶ მწერალი და პროზაიკოსი, ზოია ფირზადი, 1952 (1331) წელს დაიბადა აბადანში. იგი ლიტერატურის მოყვარული მკითხველი საზოგადოებისთვის მოთხრობების სამი კრებულითა და ორი რომანით გახდა ცნობილი. მან ერთმანეთის მიყოლებით, 1991, 1997 და 1998 წელს, გამოსცა მოთხრობების სამი კრებული: „როგორც ყოველ საღამოს“ („مثل همه عصرها“), „ხურმის მწკლარტე გემო“ („طعم گس خرمالو“) და „აღდგომამდე ერთი დღე რჩება“ („یک روز مانده به عید پاک“), რომელიც 2002 წელს ერთი სათაურის ქვეშ, „სამი წიგნი“ („سه کتاب“), გააერთიანა. 2001 წელს მწერალმა თავისი პირველი რომანი გამოაქვეყნა, სახელწოდებით „შუქს მე ჩავაქრობ“ („چراغ ها را من خاموش میکنم“), რასაც 2005 წელს ავტორის შემდეგი რომანი, „მევეგლებით“ („عادت می کنیم“), მოჰყვა.

გამოცემისთანავე მისმა ნაწარმოებებმა მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია და პოპულარული გახდა როგორც სამშობლოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. მისი ნაწარმოებების პოპულარობას მოწმობს არაერთი ჯილდო, რომელიც მის წიგნებს მიენიჭა. მოთხრობების კრებულმა, „ხურმის მწკლარტე გემო“, 1997 წელს მოიპოვა ლიტერატურული პრემია „პროზის ოცი წელი“; მოთხრობების კრებული, „აღდგომამდე ერთი დღე რჩება“, 1998 წელს დაჯილდოვდა პრემიით „წლის წიგნი“; რომანმა „შუქს მე ჩავაქრობ“ 2001 წელს მიიღო ოთხი სხვადასხვა ლიტერატურული საზოგადოების პრემია „წლის საუკეთესო რომანი“.

2014 წელს ზოია ფირზადს გადაეცა საფრანგეთის მთავრობის ჯილდო „ხელოვნებისა და ლიტერატურის რაინდი“. მისი შემოქმედება მთლიანად თარგმნილია ფრანგულ ენაზე.

ზოია ფირზადის წიგნები ითარგმნა და მრავალათასიანი ტირაჟით გამოიცა ბერძნულ, ინგლისურ, გერმანულ, ნორვეგიულ, თურქულ, ჩინურ, პოლონურ, სლოვენურ, იაპონურ, იტალიურ, ქართულ და სომხურ ენებზე.

მწერალმა ძაღლები თარგმანშიც მოსინჯა. მის მიერ შესრულებულ თარგმანებს შორისაა ლუის კეროლის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ („آلیس در سرزمین عجایب“) და იაპონური ჰაიკუს კრებული „გომბემოს ხტუნვის ხმა“ („آوای جهیدن غوک“).

ფარგლებს გარეთ. მისი წიგნების თემა, ძირითადად, ქალის ადგილის, დანიშნულებისა და იდენტობის ძიებაა ოჯახსა და საზოგადოებაში. ზოია ფირზადის ნაწარმოებების პოპულარობას ირანსა და დასავლეთის მრავალ ქვეყანაში, პირველ რიგში, სწორედ მათი ფემინისტური მახასიათებლები განაპირობებს.

მწერალი თემის არჩევისას ყურადღებას ისეთ დეტალებზე ამახვილებს, რომლებიც ხშირად ტრივიალურად და უმნიშვნელოდ მიიჩნევა. ვფიქრობთ, ეს არის მისი ფემინისტური პროზის ერთ-ერთი განმასხვავებელი მახასიათებელი და განსაკუთრებული ხიბლი. მისი ისტორიების მთავარი გმირები ქალები არიან თავიანთი ყოველდღიური ცხოვრებით, რუტინით, დარდით და სიხარულით. მათი ნაწილისთვის ასეთი ყოფა ნორმალურად ითვლება და არაფრის შეცვლას აპირებენ. პერსონაჟების მეორე ჯგუფში ის ქალები ერთიანდებიან, რომლებიც შეჰგუებიან თავიანთ ცხოვრებას და მას მოთმინებით იტანენ. გრძნობენ რუტინის გაუსაძლისობას, თუმცა არ იციან, რა გზას ეწიონ და როგორ გაუმკლავდნენ სირთულეებს. ქალ პერსონაჟთა მცირე ნაწილი კი დამოუკიდებელი, თავისუფალი ქალია, რომელიც საკუთარი ცხოვრების შესაცვლელად იბრძვის. მართალია, ისინი უკვე ემანსიპაციის ეპოქის შვილები არიან, მაგრამ, ამის მიუხედავად, საზოგადოებრივი აზრისა და ფსიქიკაში ღრმად გამჯდარი ტრადიციის მარწუხებიდან თავის დაღწევას ვერ ახერხებენ (ტალახაძე, 2023).

ზოია ფირზადის პროზას დამატებით საინტერესო შტრიხს კონფესიური მრავალფეროვნებაც სძენს, რაც, ასევე, სხვა ირანელი მწერალი ქალების შემოქმედებისგან განასხვავებს და გამორჩეულ ადგილს ანიჭებს ამ ავტორის თხზულებებს ³⁷. ნაწარმოებებში მუსლიმურ და ქრისტიანულ ოჯახებსა და საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებია ასახული. მისი პერსონაჟები ორივე ეთნოსისა და რელიგიის წარმომადგენლები არიან, თუმცა, რელიგიური

³⁷ ზოია ფირზადი დედით სომეხია და ისევე კარგად იცნობს სომხურ გრიგორიანულ თემს, როგორც ირანულ მუსლიმურ საზოგადოებას.

განსხვავებულობის მიუხედავად, საზოგადოების დამოკიდებულება ქალის საკითხთან მიმართებით ერთმანეთის მსგავსია, ორივე ეთნოსის წარმომადგენელთა ცნობიერება კი - პატრიარქალური. მათი აზრით, ქალის ადგილი მხოლოდ ოჯახშია, მან ქმარ-შვილს უნდა მიხედოს.

ზოია ფირზადის მოთხრობების კრებული „სამი წიგნი“ ("سه کتاب") არის რეალურ სამყაროში არსებული ქალების ცხოვრების თხრობა და ფემინისტური ტენდენციების განვითარების გზა თანამედროვე ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ გამოცემა სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ მოთხრობათა სამ კრებულს აერთიანებს, მკითხველისთვის ის ერთ მთლიანობად აღიქმება, რომელშიც მწერალი თავის ცხოვრებისეულ დაკვირვებას გვიზიარებს. ეს კრებული საზრუნავით სავსე ქალების მოკლე ისტორიებს აღწერს და ქალთა ყოველდღიური ყოფის საერთო მახასიათებელზე გვიამბობს.

ნაწარმოებები, ერთი შეხედვით, საკმაოდ ჩვეულებრივ ოჯახურ, ყოფით, ბევრი ქალისთვის ნაცნობ, ყოველდღიურ ამბებს ეხება და მათში საკუთარი თავის აღმოჩენის საშუალებას იძლევა. პერსონაჟები, რომელთაც, ხშირ შემთხვევაში, სახელი არ აქვთ, რაც, მათი განუსაზღვრელობის და უკიდურესი მარგინალიზაციის შედეგია (რაც, ასევე, მათ საყოველთაო ხასიათზე მიუთითებს), სხვადასხვა სოციალური კლასის წარმომადგენლები არიან და მარტივი, სადა ენით მოგვითხრობენ საკუთარი ერთფეროვანი ცხოვრების შესახებ.

მწერლის პირველი კრებულის ნოველებში მოქმედება, ძირითადად, სახლის ოთხ კედელში მიმდინარეობს, რადგან ეს არის ქალების ჩვეული ყოფა, მათზე მორგებული ტრადიციული როლი. მათ გარესამყაროსთან მხოლოდ სახლის პატარა სარკმელი, მხედველობის შეზღუდული არეალი აკავშირებთ. საუკუნეების მანძილზე გონებასა და ფსიქიკაში ღრმად გამჯდარი ტრადიციული შეხედულებები ქალებს განვითარებისა და პასიური მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებას არ აძლევს.

ზოია ფირზადის შემოქმედების ამოსავალ წერტილად და მწერლურ პოზიციად ნოველა „კურდღლის ზღაპარი და პამიდორი“ ("قصة خرگوش و گوجه فرنگی") შეიძლება მივიჩნიოთ. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ქალი ორმოში ჩავარდნილ კურდღელზე ზღაპრის დაწერას აპირებს და ყოველდღე ამაზე ფიქრობს, თუმცა ზღაპრის ნაცვლად ყოველ საღამოს, საოჯახო საქმეების დასრულებისას, მეორე დღისთვის საჭირო პროდუქტების სიას წერს. მისი წარმოსახვის გმირი, ორმოში ჩავარდნილი კურდღელი, რომელიც, ცხადია, ოჯახის ტყვედ ქცეული ქალის სიმბოლოა, იქიდან ამოსვლას ვერ ახერხებს. კურდღელი ორმოდან მხოლოდ ცის პატარა ნაგლეჯს ხედავს, საიდანაც დღისით - თავისუფლად მონავარდე ჩიტებს, ღამით კი - მოციმციმე ვარსკვლავებს შორიდან უმზერს. მოთხრობის მთავარ გმირ ქალს კურდღლის გადარჩენა განუზრახავს, თუმცა არ იცის, როგორ. საბრალო კურდღელი, ალბათ, ვერ შეძლებს თავი დააღწიოს ტყვეობას. ალბათ, ქალიც ვერ დაწერს თავის საოცნებო ზღაპარს, რადგან ყოველდღიური საოჯახო საზრუნავი და ტრადიციული ყოფა არ მისცემს ამის საშუალებას.

„ჯერ არ ვიცი, პატარა კურდღელს ღრმა ორმოდან როგორ ამოვიყვან. ხვალ მოვიფიქრებ. რამდენიმე წინადადებას ჩავიწერ, რომ არ დამავიწყდეს... მხოლოდ ორი პამიდორი მაქვს და საკმარისი არაა. ხვალ უნდა ვიყიდო... რაღაცის ჩაწერას ვაპირებდი. რა იყო? ბლოკნოტიდან ქაღალდს ვხევ და ვწერ: „პამიდორი“. ხვალ არ დამავიწყდეს“ (ფირზადი, 2017, გვ. 71).

ამ ნოველით ზოია ფირზადი ღიად ეუბნება მკითხველს, რომ ქალის პრობლემის საწყისი და მთავარი საფუძველი საკუთარი თავის ფსიქოლოგიური დაკაბალება და აზროვნების ტრადიციული ჩარჩოებია. სანამ თავად ქალი არ დარწმუნდება არსებული რეალობის შეცვლის აუცილებლობაში, სანამ საკუთარ ძალებს არ ირწმუნებს, სანამ მიზნად არ დაისახავს რაიმეს შეცვლას და, რაც მთავარია, ამ მიზნის მისაღწევად ქმედით ნაბიჯებს არ გადადგამს, ნებისმიერი რეფორმა და კანონმდებლობა უძლური იქნება, შეცვალოს მისი ცხოვრება.

ქალის მძიმე, რუტინული ყოფა და ყოველდღიურობა ადწერილი ნოველაში „მეზობლები“ ("همسایه ها"). მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ქალი თავისი სახლის ფანჯრიდან გამუდმებით აკვირდება უცნობი მეზობელი ქალის ყოველდღიურობას და ხედავს, რომ ქალების ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი, დღის წესრიგი და არსებობის წესი არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან. მოსაწყენი, უცვლელი და ერთფეროვანი ყოფა, ხშირად, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ღლის და ანადგურებს მათ. სახლის ოთხ კედელს შორის „გამომწყვდეული“ ქალები მორჩილად ირგებენ ტრადიციულ როლს, ურიგდებიან ბედს და ეს მათი პირადი არჩევანია.

„მე ჩემ პირდაპირ მცხოვრებ მეზობელ ქალს არ ვიცნობ, მაგრამ ყოველდღე ჩემი სამზარეულოს ფანჯრიდან მისი სახლის ეზოსა და სამზარეულოში ვხედავ... დილაობით გარეცხილი სარეცხი ეზოში გააქვს და გრძელ თოვზე კიდებს... შემდეგ სამზარეულოში მიდის და სადილს ამზადებს. იმ დროს, სამზარეულოში, მეც სადილს ვამზადებ...

მეზობელი ქალი საღამოს შვილთან ერთად ატარებს. ხან ეთამაშება, ხან ეკამათება და მოსცხებს. ბავშვი ტირის. მეზობელი ქალიც ტირის. ბავშვი რომ მშვიდდება, ქალი მაგიდასთან ჯდება. იდაყვებით მაგიდას ეყრდნობა და თავს ხელებში რგავს... შემდეგ უცბად წამოფრინდება. რამდენიმე წამში ცარიელი კალათით ეზოში გადის. სარეცხს ხსნის და კალათაში აწყობს...

სამზარეულოში ვახშამს ვამზადებ. სამზარეულოში მეზობელი ქალიც ვახშამს ამზადებს... ვახშმის შემდეგ ჭურჭელი სამზარეულოში მიმაქვს. მეზობელი ქალი ვახშმის შემდეგ ჭურჭელს რეცხავს. მე ხვალის სადილზე ვფიქრობ“ (Pirzad, 2002, გვ. 7).

ამ ნოველაში მწერლის თხრობის მანერა და ენა მონოტონური და მარტივია. და ეს არაა შემთხვევითი. ამ ქალების რუტინულ არსებობას, მათი ყოფის მოსაწყენსა და

ტრივიალურ ერთფეროვნებას სწორედ ასეთი ნარატივი გამოხატავს სრულყოფილად და მწერლის პოზიციას უსვამს ხაზს.

ზოია ფირზადის ადრეული ქალი პერსონაჟები უიმედო, პასიური, დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები არიან, რომლებიც ყოველგვარი მიზნისა და მისწრაფების გარეშე ცხოვრობენ; ქალები, რომლებსაც გაცრეცილი სახეები და თვალებში დიდი სევდა აქვთ, რომლებიც, ყოველდღიური საქმისგან გადაღლილები, ღიმილსაც კი ვერ ახერხებენ. მიუხედავად იმისა, რომ გრძნობენ თავიანთი ყოველდღიური ყოფისა და რუტინის სიმძიმეს, ბედსშეგუებულნი, ვერ ახერხებენ რაიმეს შეცვლას, ხშირ შემთხვევაში კი არც იციან, რომ რაიმეს შეცვლა შესაძლებელია.

ზოია ფირზადის პროზა, გარეგნული სიუჟეტური და ენობრივი სიმარტივის მიუხედავად, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. მის პერსონაჟ ქალებში ბევრი მკითხველი საკუთარ ცხოვრებას და მოვლენებისადმი საკუთარ მიმართებას ხედავს. ეს პერსონაჟები რეალური ადამიანები არიან, რომლებიც ჩვენ გვერდით ცხოვრობენ და რომელთაც ყოველდღე ვხვდებით ოჯახებში, დაწესებულებებსა და ქუჩებში. შემდეგი პერიოდის პერსონაჟები უკვე ცდილობენ, გამოვიდნენ ტრადიციული როლიდან, საკუთარი ცხოვრება საკუთარ სურვილებსა და შესაძლებლობებს დაუქვემდებარონ, ცხოვრება გახადონ ისეთი, როგორიც მათ სურთ. ესენი არიან ქალები, რომლებიც ცდილობენ, თავი დააღწიონ პატრიარქალურ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციულ სტერეოტიპებს და მოუთმენლად ელიან ხვალინდელ დღეს, რომელიც რეალურ ცვლილებებს მოიტანს (ტალახაძე, 2023).

მწერლის ნოველა „ლაქები“ ("لاخ") ტრადიციულ ოჯახში გაზრდილ ახალგაზრდა ქალზე მოგვითხრობს, რომელიც დაოჯახებისას მშვიდ და მზრუნველ ურთიერთობას ელის ქმრისგან, თუმცა ასე არ ხდება. მისი ქმარი ცოლისგან ითხოვს ზრუნვას და მორჩილებას, საპასუხოდ კი არაფერს იძლევა. ქალი დიდხანს იტანს

ქმრის მხრიდან ირონიას, საყვედურებს და ღალატსაც კი. ერთხანს ცდილობს, შეეგუოს ბედს: გამუდმებით ასუფთავოს სახლი, რეცხოს ჭურჭელი, ამოიყვანოს ქმრის პერანგზე დარჩენილი ლაქები და ამით ქმრის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახუროს. გულუბრყვილოდ სჯერა, რომ შეძლებს ქმრის რთული ხასიათის შეცვლას. თუმცა ქმარი არად აგდებს ქალის მზრუნველობას, ირონიულად აზუზად იგდებს მის შრომას. პატრიარქალური აზროვნების ტყვეობაში მყოფ ლეილას, რომელიც მუდმივად უმადური ქმრის მომადლიერებას ცდილობს, ხშირად ჩაესმის ყურში ქუჩაში ნაყიდი საოჯახო წიგნის ავტორის, საზოგადოებისთვის პატივცემული ქალბატონის სიტყვები, რომლებიც ერთგვარ სახელმძღვანელოდ და მოწოდებად ჟღერს „იდეალური ქალებისთვის“:

„ქალი ამაოდ ეძებს თავის დანიშნულებას სახლისა და ოჯახის გარეთ, რადგან, თუკი მართლაც მოვალეობის გრძნობით არის აღვსილი, შეუძლია თავისი უდიდესი ეროვნული, ქალური და ადამიანური მოვალეობანი სახლის წმინდათაწმინდა გარემოში აღასრულოს“ (ფირზადი, 2013, გვ. 160). ეს პათეტური მოწოდება ირონიად აღიქმება მოთხოვნაში და მწერალი ამ ირონიას ლეილას, მასთან ერთად კი მრავალი მისნაირი ქალის, გამოსაფხიზლებლად იყენებს.

ლეილა გონს დროულად მოდის. აცნობიერებს, რომ ადამიანების გონებაში ღრმად გამჯდარი ტრადიციული, სტერეოტიპული აზროვნებისა და განწყობის შეცვლა მარტივი არ არის და ასეთი ქმრის გვერდით ბედნიერი ვერასდროს იქნება. გადაწყვეტს, თავი დააღწიოს უმადურ ქმარს და დამოუკიდებლად გააგრძელოს ცხოვრება. საინტერესოა, რომ ლეილა თავის დიასახლისურ ჰობის თუ ხელოვნებას, ამოიყვანოს ნებისმიერი ლაქა, პროფესიულ საქმიანობად აქცევს და შემოსავლის წყაროდაც გაიხდის. იგი მეგობართან ერთად „ლაქების ამოყვანის კურსებს“ აფუძნებს. ლეილა იაზრებს, რომ მის პირად არჩევანსა და მიღებულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული მისივე შინაგანი თავისუფლება, რაც უკეთესობისკენ შეცვლის მის მომავალს.

ქალის როლზე, მის ადგილსა და დანიშნულებაზე საუბარი მოთხრობაში „ბინა“ („آپارتمان“). ნოველა ორი განსხვავებული ქალის ამბავს მოგვითხრობს, რომლებსაც ქალის როლის შესახებ სხვადასხვაგვარი შეხედულებები აქვთ. მეჰნაზი განათლებული, თანამედროვედ მოაზროვნე, წარმატებული, აქტიური ქალია, რომელიც განათლებულ, თუმცა სტერეოტიპული აზროვნების მქონე კაცს მიჰყვება ცოლად. ქალი ქორწინებიდან ძალიან მალე აღმოაჩენს, რომ ის მეუღლისთვის მხოლოდ ქმარზე, სახლსა და წესრიგზე მზრუნველ ქალად და მომავალი შვილების დედად აღიქმება. ქმრის გაუთავებელი საყვედურები, ირონიული დამოკიდებულება, მუდმივი კონტროლი და მისი პიროვნების სრული უგულებელყოფა ფსიქოლოგიურად თრგუნავს მას.

„ისეთი ქალი უნდა მომეყვანა ცოლად, რომელიც ევროპელი ქალების მიბადვის, სამსახურზე გამუდმებული ფიქრისა და ამდაგვარ სისულელეებში წარმატების ნაცვლად ოჯახზე იზრუნებდა“ (ფირზადი, 2007, გვ. 56).

ქმარი ყოველნაირად ცდილობს, უარი ათქმევინოს მეჰნაზს სამსახურზე, საკუთარ ინტერესებზე, პროფესიულ წინსვლაზე და დაარწმუნოს, რომ ქალის ერთადერთი საზრუნავი და დანიშნულება შვილების გაჩენა, ოჯახზე ზრუნვა და ქმრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მორჩილებაა.

მიუხედავად ქმრის არაერთი მცდელობისა, შეცვალოს მეჰნაზის აზროვნება, ქალი საკუთარი შეხედულებების ერთგული რჩება და, ქმრის უსიტყვო მორჩილების მაგიერ, მასთან გაყრას და მამის მიერ ნაჩუქარი ფულით ნაყიდ პატარა ბინაში გადასვლას გადაწყვეტს. გაყრისას კიდევ ერთხელ რწმუნდება, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ქალისთვის განათლებასა და ფინანსურ დამოუკიდებლობას, რომელიც მას განვითარებისა და თავისუფლების შესაძლებლობას აძლევს.

„რა კარგი ვქენი, რომ მუშაობას თავი არ დავანებე!.. მამაჩემს რომ ჩემთვის ფული არ მოეცა?“ (ფირზადი, 2007, გვ. 56)

დამოუკიდებელი, თავდაჯერებული მეჰნაზისგან განსხვავებულია იმავე მოთხოვნის მეორე ქალი პერსონაჟი - სიმინი, რომელიც ტრადიციულ ოჯახსა და გარემოში გაზრდილი ქალია. მას ბავშვობიდან ასწავლიდნენ, რომ ქალის ადგილი მხოლოდ სახლშია, ოჯახისა და შვილების გვერდით, სადაც საჭმლის კეთებით, ტკბილეულის ცხობით, ქარგვით, კერვითა და ლაქების ამოყვანით დაკავდება. ის ბავშვობიდან პატრიარქალური ტრადიციული შეხედულებების მსხვერპლად იქცა, რომლის მიხედვითაც „განათლება კაცმა უნდა მიიღოს“ (ფირზადი, 2007, გვ. 57), ქალისთვის კი ხელსაქმე და მზითვზე ზრუნვა საკმარისია.

მისი ქმრისთვის, რომელიც მეჰნაზის პატრიარქალური ცნობიერების მქონე ქმრის სრული ანტიპოდი, სიმინის ყოველდღიური საზრუნავი და ოჯახისადმი ერთგული სამსახური შეუმჩნეველი რჩება. მას არ ადარდებს ქალის დაუღალავი მცდელობა, პატარა, მყუდრო ბინაში შექმნას მშვიდი, მოწესრიგებული გარემო, იზრუნოს ქმარსა და ქმრის ნათესავებზე. იგი პირდაპირ ეუბნება ცოლს, რომ მისთვის არ აქვს მნიშვნელობა, უზეწრო ლეიბზე დაიძინებს თუ დაქარგულ თეთრეულში. მას ისეთი ცოლი ურჩევნია, რომელსაც სხვა ინტერესებიც ექნება. სიმინი ქმრისგან ელემენტარულ ყურადღებასა და პატივისცემას ელოდება, ცდილობს, მისთვის შესამჩნევი გახდეს, თუმცა ამაოდ. ქმრის დამცინავი, გულცივი დამოკიდებულებით იმედგადაწურულ ქალს ოჯახის შენარჩუნების ერთადერთ გზად შვილის გაჩენა მიაჩნია და ჰგონია, რომ საფუძველშივე დანგრეულ ოჯახს მემკვიდრის გაჩენა გადაარჩენს.

„ნეტავი, ბავშვი გამჩენოდა. ბავშვი რომ მყოლოდა, საქმე აქამდე არ მივიდოდა“ (ფირზადი, 2007, გვ. 57).

სიმინის გონებაში ღრმად გამჯდარი ტრადიციული შეხედულებები ჩარჩოებში აქცევს. ქალი სამომავლო გეგმებსა და საკუთარი თავის განვითარებაზე ფიქრის მაგიერ, თავს იდანაშაულებს და, პატრიარქალური საზოგადოებრივი აზრის შიშით, სადაც გაყრა

ულამაზო და საძრახის მოქმედებად აღიქმება, ისევ აუტანელი, მაგრამ შეჩვეული ცხოვრების ერთადერთ იმედს ეჭიდება.

„ღმერთო, გადააფიქრებინე! ყველას თვალში შევრცხვები!“ (ფირზადი, 2007, გვ. 61).

ამ მშვენიერ მოთხრობაში, რომელიც ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ქალის შესახებ გვიამბობს, ერთი - ტრადიციულ ჩარჩოებში მოქცეული, პასიური, ბედს მინდობილი, მეორე კი - განათლებული, აქტიური, თანამედროვე ქალია. თითოეულ მათგანს უკვე ჩამოყალიბებული აზროვნება აქვს. სიმინის ცნობიერება მყარი, გაქვავებული და სტერეოტიპულია. მას საკუთარი ქალური საწყისი აკმაყოფილებს, კარგად გრძნობს თავს ოჯახზე მზრუნველის როლში და ამიტომ არაფრის შეცვლას არ აპირებს. მეჰნაზი კი დამოუკიდებელი, ემანსიპირებული ქალია, კარგად გააზრებული სამომავლო გეგმებით. ის თავის ცხოვრებას თავად ქმნის და მასში ჩარევის უფლებას არავის აძლევს. ეგაა მხოლოდ, თითოეულმა მათგანმა ცხოვრების შესაცვლელად სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს.

საინტერესოა თავად მწერლის დამოკიდებულება აღნიშნულთან მიმართებით. მწერალი არავის ამტყუნებს და არჩევნის უფლებას თავად პერსონაჟებს უტოვებს, რადგან, ხშირ შემთხვევაში, სწორედ თითოეული ადამიანის პირად არჩევანსა და გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული მისი მომავალი ცხოვრება და პირადი ბედნიერება.

ზოია ფირზადის პროზაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ერთ ვრცელ მოთხრობად შეკრულ სამ თხზულებას, რომელიც იმავე პრობლემას ეხება. ერთი სათაურის ქვეშ „აღდგომამდე ერთი დღე რჩება“ ("یک روز مانده به عید پاک") სამი მოთხრობა ერთიანდება: „ალუბლის კურკები“ ("هسته های آلبالو"), „ნიჟარები“ ("گوش ماهی"), „თეთრი იები“ ("بنفشه های سفید"). მოთხრობების მთავარი გმირი ერთ-ერთი სკოლის დირექტორი, სახელად ედმონდია, რომელიც წარსული მოგონებების გაცოცხლებით თავისი დიდი ოჯახის შესახებ გვიამბობს. ამ მონათხრობში მკითხველი სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი არაერთი ქალის საინტერესო სახეს ხედავს, მათი

ქმედებები და მიღებული გადაწყვეტილებები კი, პრაქტიკულად, დროის ხანგრძლივ მონაკვეთში, თაობათა მანძილზე ქალის უფლებრივი მდგომარეობის ევოლუციას და დღესაც არსებულ პრობლემებს ასახავს.

მოთხრობებში მუსლიმურ და ქრისტიანულ ოჯახებსა და საზოგადოებებში მიმდინარე მოვლენებია ასახული. კონფესიური მრავალფეროვნება ზოია ფირზადის პროზას დამატებით საინტერესო ხასიათს სძენს. მისი ნაწარმოებების გმირები ორივე ეთნოსისა და რელიგიის წარმომადგენლები არიან. ეს სამი მოთხრობა სომხური თემის ცხოვრებასა და ცნობიერებას ეხება ირანულ სინამდვილეში. საინტერესოა, რომ რელიგიური განსხვავებულობის მიუხედავად, საზოგადოების დამოკიდებულება ქალის საკითხთან მიმართებით მსგავსია. მათი აზრით, ქალის ადგილი მხოლოდ ოჯახშია, მან ქმარ-შვილს უნდა მიხედოს.

სამივე მოთხრობა ერთი ოჯახის სხვადასხვა თაობის ცხოვრებას და პრობლემებს ასახავს და ამითაა განსაკუთრებით საინტერესო. შესაძლებელი ხდება შედარება და თვალის მიდევნება, რა შეიცვალა საზოგადოებაში თაობების მანძილზე. ედმონდის ბავშვობამ ტრადიციულ ოჯახში განვლო. მასში ბავშვობის მოგონებები, დედის, მამის, ბებიისა და ნათესავების სახეები ერთმანეთს ენაცვლება და ზრდასრული, განათლებული, კარიერულად შემდგარი ადამიანის პოზიციიდან აფასებს წარსულს. მისი ისტორიების ერთ-ერთი მკაფიო პერსონაჟი მამაა. ქალის საკითხი და მისი განვითარების ეტაპები ორმოცდაათი წლის მანძილზე საზოგადოების და, ხშირ შემთხვევაში, ოჯახის ე.წ. პატრიარქის, მამის, დამოკიდებულებისა და ქცევის ფონზე ვითარდება. იგი ცდილობს, ერთადერთი ვაჟი ტრადიციული შეხედულებების ერთგული გაზარდოს. მამის (და არა მარტო მამის, არამედ მთელი მისი სანათესაოს) აზროვნებაში ქალს და კაცს კონკრეტული ფუნქციები და მოვალეობები აკისრიათ. ცოლს ედმონდის „არასწორი“ აღზრდის გამო მუდმივად საყვედურობს, თვლის, რომ თორმეტი წლის ბიჭის ბავშვური შიში თუ გულჩვილობა დედის აღზრდის მეთოდის ბრალია და ბიჭებს ჭიამაიას სიკვდილით გამოწვეული ცრემლი არ შეშვენით. მამა

შვილს გამუდმებით ჩასჩიჩინებს, რომ „კაცები არ ტირიან“ (ფირზადი, 2013, გვ. 36), რომ მათი საქმე ქალებისგან განსხვავებული და მეტად საგმიროა, რომ მათ სანადიროდ უნდა იარონ და უშიშრები იყვნენ.

ედმონდის მამის, მთელი მისი სანათესაოსა და სოციალური ჯგუფის დამოკიდებულება ბიჭისა და გოგოს აღზრდისა და ფუნქციების თაობაზე ერთგვარი მტკიცებულებაა გენდერული თეორიისა, რომელიც სწორედ ამას ქადაგებს: ამგვარი განაწილება და დაყოფა არაა ბუნებრივი და განპირობებულია გარკვეულ კულტურათა შიგნით არსებული სტერეოტიპული აზროვნებით.

ქალის საკითხის ევოლუცია ამ პერიოდში თაობათა ცვლის ფონზეა წარმოდგენილი. ედმონდის დედა ერთ მხარეს და ბებია-მამიდები - მეორე მხარეს, ედმონდის ცოლი ერთ და ედმონდის თანამშრომელი ქალი - მეორე მხარეს; ედმონდის ქალიშვილი ანუში - ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი და მისი ბედი უკვე საუკუნის ბოლოს.

ქალის მდგომარეობის და ამ მდგომარეობისადმი მიმართების თვალსაზრისით, საინტერესოა თავად ედმონდის დედის პერსონაჟი, რომელიც ე.წ. თეთრი ყვავია ამ საზოგადოებაში და მისი საკუთარ დასაც კი არ ესმის. ქალი გრძნობს თავისი ოჯახური ყოფის სიმძიმეს და ცდილობს, თავი დააღწიოს ქმრისა და მისი ნათესავების გაუთავებელ საყვედურებს, გესლიან და უკმეხ საუბარს. იგი ჯერ კიდევ იმ ეპოქის ქალია, სადაც ოჯახის დანგრევის გადაწყვეტილება მიუღებელია საზოგადოებისთვის, სადაც უფროსი თაობის ქალი წარმომადგენლები დარწმუნებით ამბობენ, რომ „ქალი ქმრის მორჩილი უნდა იყოს“ (ფირზადი, 2013, გვ. 97). საზოგადოება ქალისგან მუდმივ მორჩილებას ელის. მიუხედავად იმისა, ქალი რომელ საზოგადოებას მიეკუთვნება, ქრისტიანულს თუ მუსლიმურს, გონებაში საუკუნეებით გამჯდარი ტრადიციული ადათ-წესები და რელიგიური ფაქტორი, მას სწორედ ამას კარნახობს. პატრიარქალური საზოგადოებისთვის მისი ღირსება მამის, ქმრის და ოჯახის მორჩილებასთან ასოცირდება.

„ღირსეული იმ ქალზე ითქმის, გათხოვებამდე მამის ნება-სურვილს რომ ემორჩილება, ქორწინების წმინდა კავშირის შემდეგ კი - ქმარს. ეს ჩვენი ათასწლოვანი ადათ-წესია“ (ფირზადი, 2013, გვ. 116).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოია ფირზადი ქალის ვინმესადმი მიკუთვნებულობის საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. რასაც ავტორი ინტერვიუში საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის ყოფაზე ამბობს, მის მოთხოვნაში პერსონაჟების ცხოვრების აღწერით გადმოგვცემს.

მიუხედავად საზოგადოებრივი აზრისა, ედმონდის დედა იმ დროისთვის თამამ გადაწყვეტილებას იღებს. რადგან იცის, რომ განქორწინებას ვერ შეძლებს და, რომც შეძლოს, ეს ნაბიჯი უამრავ სირთულეს და დისკომფორტს მოუტანს არა მარტო პირადად მას, არამედ - მის შვილსაც, გარკვეულ კომპრომისზე მიდის. ქმართან არ ცხოვრობს, მაგრამ რჩება მის სახლში, ცალკე ოთახში და ამით ქმრის ტრადიციულ და პატრიარქალურ, ფაქტობრივად კი, ფარისევლურად „ზნეობრივ“ ოჯახს ანგარიშს უწევს. საზოგადოების თვალში ოჯახი შენარჩუნებულია. ცოლ-ქმარი ერთ ჭერქვეშ აგრძელებს ცხოვრებას. ქალის ეს გადაწყვეტილება წარმოუდგენელია მის გარშემო მყოფთათვის და გაუთავებელი განსჯის საგანს წარმოადგენს მთელ ქალაქში. საზოგადოებაში, სადაც ჯერ კიდევ ღრმად ფესვგადგმულია ტრადიციული შეხედულებები, სადაც ქალზე ფიზიკური ძალადობა ჯერ კიდევ ხშირია, სადაც თავად ქალები ამართლებენ მათზე ძალადობას, ედმონდის დედის საქციელი გაკვირვებას და აღშფოთებას იწვევს. ადამიანები ამ საქციელს მისსავე სიჯიუტეს მიაწერენ. ქალისთვის ეს ერთი შეხედვით საკმაოდ პასიური, მაგრამ იმ ეტაპზე და იმ სოციალურ გარემოში საკმაოდ თამამი გადაწყვეტილება უკმაყოფილების დაუფარავად გამოხატვასთან, პიროვნული დამოუკიდებლობისა და შინაგანი სიმშვიდის მოპოვების მცდელობასთან ასოცირდება. ქალი, რომელიც მისი სურვილის გათვალისწინების გარეშე, იძულებით გაათხოვეს, ტრადიციული შეხედულებების გავლენით, შვილთან დაშორების შიშით, წლების განმავლობაში

ითმენს ქმრისა და მისი ოჯახის მხრიდან ღალატს, უხეშ, უდიერ, უპატივცემულო მოპყრობას, წლების შემდეგ თავის თავში აღმოაჩენს ძალას და ბედავს პატრიარქალური საზოგადოების მიერ დაწესებული ტრადიციული ნორმების დარღვევას.

„არ მინდა! თავიდანვე არ მინდოდა, მამაჩემმა მაიძულა! ბავშვი რომ არა, აქამდე წავიდოდი. ბავშვის გამო ვითმენ. კიდეც რომ ხმა ამოიღოთ ჩემს ოთახზე, ქრისტეს ვფიცავ, წავალ!“ (ფირზადი, 2013, გვ. 105)

და იმის შიშით, რომ არ წავიდეს და მისმა წასვლამ მთელი ოჯახი თითოთ საჩვენებელი არ გახადოს, ქმრის სანათესაო უნებურად ეგუება რძლის „მიუღებელ და უკადრის“ გადაწყვეტილებას, ქმარს გამოეყოს და ჰქონდეს საკუთარი ოთახი. მისთვის ახალგაზრდობის წლები ოჯახურ რუტინასა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებაში გაილია. მასში თითქოს ორი განსხვავებული ქალი სახლობს. ერთი ოჯახის გალიაში გამომწყვდეული ქალია, რომელიც პატრიარქალური სანათესაოს მიერ მოზომილ სივრცეში მორჩილად ცხოვრობს. მეორე კი - ოჯახს მიღმა - თავისუფლებისკენ მიდრეკილი, მეამბოხე პიროვნებაა, რომელსაც სიცილი და მხიარულებაც ჰყვარებია და შესძლებია.

„იმ საღამოს დედაჩემიც სულ იცინოდა... მეორე დღეს, სახლში რომ დავბრუნდით, ეზოში დედამ წითელი პომადა ცხვირსახოცით მოიწმინდა“ (ფირზადი, 2013, გვ. 96).

საბოლოოდ ქალი აცნობიერებს, რომ მისი შინაგანი თავისუფლება მისსავე არჩევანზეა დამოკიდებული და საზოგადოებრივი აზრი მხოლოდ აბრკოლებს ამ პროცესს. იაზრებს, რომ ადამიანმა პირადი ცხოვრება თავისი შეხედულებისამებრ უნდა მოაწყოს, რაც არ მოსწონს, შეცვალოს, იბრძოლოს და გათავისუფლდეს ტრადიციული სტერეოტიპული აზროვნებისგან. ედმონდის დედა, თავისი დროისა და სოციალური კვალობაზე, უკვე საკმაოდ ქმედითად გამოხატავს პროტესტს ოჯახისა და საზოგადოების მიერ ქალის დაკაბალების წინააღმდეგ.

საინტერესოა, რომ წლების შემდეგ უკვე საკმაოდ ემანსიპირებული მისი შვილიშვილი, ასევე დგება საზოგადოების მიერ შექმნილი ბარიერების წინაშე, თუმცა გოგონა არ ემორჩილება საზოგადოებრივი აზრის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს და ქალის უფლებებზე საუბრისას მამას ეუბნება: „თქვენში ერთადერთი ნორმალური ადამიანი დედაშენი იყო“ (Pirzad, 2001, გვ. 97).

აღსანიშნავია, რომ მთელი ნათესაობიდან მხოლოდ შვილიშვილმა, უკვე სხვა ეპოქაში და სხვა სოციალურ რეალობაში, შენიშნა ბებიაში დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისკენ სწრაფვის თვისება. მისგან განსხვავებით, საზოგადოებას, ტრადიციულისგან განსხვავებული შეხედულებების გამო, ქალი უცნაური და ახირებული, შესაბამისად, მტყუანი ჰგონია.

ქალის მდგომარეობის ასახვას, მისი ტრადიციული როლიდან თავის დაღწევას ეხება ზოია ფირზადის რომანი „შუქს მე ჩავაქრობ“. რომანში ამბავი გასული საუკუნის შუახანებში ირანის სამხრეთ რეგიონში მდებარე ქალაქ აბადანში, ქრისტიანულ, სომხურ-გრიგორიანულ ოჯახებში ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისთვის ქალის მდგომარეობა შედარებით შეცვლილია და მან სახლის ოთხ კედელს მიღმა გააღწია, კვლავ ტრადიციული შეხედულებებისა და ნორმების მორჩილია. ნაწარმოების მთავარი გმირი - კლარისი - განათლებული, კულტურული, მოაზროვნე ქალია, თუმცა მის ერთადერთ საქმიანობას ოჯახზე ზრუნვა და შვილების აღზრდა წარმოადგენს. თავმდაბალი, უპრეტენზიო, უკონფლიქტო კლარისი თავის თავზე იღებს ოჯახზე ზრუნვის პასუხისმგებლობას, ოჯახის წევრებს ყურადღებით ანებივრებს, მათი სიამოვნებისთვის ზედმეტად იხარჯება და, პრაქტიკულად, მათ მოახლედ იქცევა. ეს არის მისი ე.წ. საოჯახო როლი და ფუნქცია. ოჯახს გარეთ კი, საზოგადოებაში - სხვა ადამიანებისთვის - კლარისი გონიერი, შემოქმედი, საინტერესო ქალია, რომელიც დროგამოშვებით ლიტერატურულ თარგმანებს საბავშვო ჟურნალებში ბეჭდავს, სკოლის დირექტორი კი გამოსაქვეყნებლად მომზადებულ საკუთარ თარგმანებს აკითხებს, რადგან მის აზრს

და გემოვნებას ენდობა. მიუხედავად ამისა, კლარისის კულტურული და განათლებული ქმარი, რომელიც საზოგადოებაში ჰუმანურობითა და კეთილშობილებით გამოირჩევა, მის ამ ღირსებებს არ იმჩნევს და მასთან ურთიერთობას ნაკლებ ყურადღებას უთმობს. ის, ერთი შეხედვით, თანამედროვე კაცია, რომელიც იზიარებს შეხედულებას ქალის უფლებებისა და თავისუფლების შესახებ, პატივს სცემს საზოგადოებრივად აქტიურ თანამშრომელ ქალს - ნუროლაჰს, თუმცა სათანადოდ ვერ აფასებს თავისი მეუღლის შესაძლებლობებს. უფრო სწორად, ეს საკითხი მას ფიქრის და განსჯის საგნად არ მიაჩნია. ისიც ისევე ყოფს მოვალეობებსა და უფლებებს „ქალის და კაცის“ კუთვნილებად, როგორც ამას მისი წინაპრები აკეთებდნენ. მისთვის მთავარი ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფაა და მიაჩნია, რომ ეს საკმარისია მეუღლისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გამოსახატად. ავიწყდება, რომ კლარისი, პირველ რიგში, მისი საყვარელი ქალია, რომელიც მისგან ყურადღებას, დაფასებასა და სიყვარულს მდუმარედ ელის (ტალახაძე, 2023).

მნიშვნელოვანია, რომ ამ მხრივ კლარისის ქმარი გამონაკლისი არაა. მისი პოზიცია მთელი ოჯახის - მათ შორის, ქალების (დედის, დის, ნათესავების) - პოზიციაა, ასეთია მათი ტრადიციული მიმართება. კლარისის ოჯახის წევრები არაფრად აგდებენ მის ინტერესებს, შესაძლებლობებს, ლიტერატურისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს. მათთვის კლარისის შესაძლებლობები და, აქედან გამომდინარე, მისი, როგორც პიროვნების, ღირებულება და მნიშვნელობა მხოლოდ სამზარეულოში ტრიალით, სადილის მომზადებითა და ოჯახში წესრიგის შენარჩუნებით განისაზღვრება. მასში ისინი მხოლოდ დიასახლისს, მზარეულს, მეზადეს ხედავენ. თვლიან, რომ ოჯახზე ზრუნვა, დაუღალავი შრომა, საკუთარ ინტერესებზე უარის თქმა ჩვეულებრივი ამბავია და ამით კლარისი განსაკუთრებულს არაფერს აკეთებს. ქალი დროსთან ერთად აღმოაჩენს, რომ ბავშვებს ჭირვეული და შარიანი ჰგონიათ, აცნობიერებს, რომ პატივისცემას კარგავს და, სამაგიეროდ, ახალ-ახალ პასუხისმგებლობას იძენს. ხვდება, რომ სხვების სიამოვნებაზე ზრუნვისას, მათთვის

სადღესასწაულო სუფრების გაშლისას, ისიც კი ავიწყდება, სუფრის წევრებს საკუთარი თავი მიათვალოს. ამ ყველაფერს მისი ახლობლები იმდენად ბუნებრივად მიიჩნევენ, რომ სუფრასთან მის არყოფნას ვერც კი ამჩნევენ.

„ჩემთვის თეფში არ იყო. სტუმრებისთვის სუფრის გაშლისას, ყოველთვის მაგიწყებოდა ჩემი თავის მითვლა“ (Pirzad, 2001, გვ. 209).

მწერალი სრულიად შეგნებულად და გააზრებულად წერს ამ სიმბოლური დატვირთვის მატარებელ ფრაზას. კლარისი საკუთარი თავის დავიწყებამ უახლოესი ადამიანებისთვისაც უჩინარი და უსახელო გახადა. კლარისს ასეთი ყოფა არ მოსწონს, თუმცა ვერც იმას ხვდება, როგორ შეცვალოს არსებული მოცემულობა. მაგრამ ეს უკმაყოფილება უკვე პირველი ნაბიჯია იმისკენ, რომ ქალი ამოდრავდეს, კითხვები გაუჩნდეს და მათზე პასუხების პოვნას შეეცადოს. იგი საკუთარი თავის მოსმენას და ფაქტების გაანალიზებას იწყებს. აღმოაჩენს, რომ მის გარშემო არსებული გარემო თავად შექმნა თავისივე მოკრძალებულობით, უპრეტენზიოობით, გარშემომყოფებისადმი ზედმეტი ყურადღებით, საკუთარი ინტერესების უგულებელყოფითა და საზოგადოებრივი აზრის გავლენით. იაზრებს, რომ საკუთარი ნებით აღებული ვალდებულებების ზიდვა ძალიან ღლის, ოჯახის წევრები კი ვერ ამჩნევენ. მისი მომღიმარი სახის მიღმა აუხდენელი ოცნებები, სურვილები და შეუსრულებელი გეგმები დგას, რაც ოჯახისა და შვილების კეთილდღეობასა და ყოველდღიურ ფაციფუცს შესწირა. მისი სატკივარი ისაა, რომ ახლობლები დახმარების ნაცვლად უფრო მეტ ტვირთს ჰკიდებენ მხრებზე, რისი ზიდვაც მისთვის შეუძლებელი ხდება (ტალახაძე, 2023).

„უხერხულად ავუხსენი, რომ ამ დღეებში არეული ვარ, სულ სტუმრები მყავს და ბავშვებს ვუვლი, ჰაერი ჩახუთულია, სინესტე მაწუხებს, რაც უფრო იზრდება ბავშვები, მათი პრობლემებიც მატულობს. ამ პრობლემების გაგება და მათ გადაჭრაზე ზრუნვა ძალიან მღლის. ხანდახან მგონია, რომ კარგი დედა არ ვარ და

გარშემომყოფები დახმარების მაგიერ მეტ ტვირთს მკიდებენ მხრებზე“ (Pirzad, 2001, გვ. 192).

კლარისის ცხოვრებაში, მის პიროვნულ შემოხრუნებაში, მნიშვნელოვან და, იქნებ, განმსაზღვრელ როლსაც კი მეზობელი, ემილ სიმონიანი, თამაშობს, რომლის მხრიდან თავაზიანი, ყურადღებიანი, რეალურად თანაბარუფლებიანი მიმართება ქალისადმი მას კიდევ ერთხელ დააფიქრებს თავისი ყოფის ერთფეროვნებასა და სიმძიმეზე. მათი ხშირი საუბრები ლიტერატურაზე, ცხოვრებაზე, სიყვარულსა და პასუხისმგებლობებზე ქალს საკუთარი თავის რწმენას უბრუნებს და შინაგან თავისუფლებას ანიჭებს. კლარისი საკუთარი ტრადიციული სტერეოტიპული ცხოვრების წესის გადაფასებას იწყებს და გადაწყვეტილებას იღებს, რამე შეცვალოს. აცნობიერებს, რომ რეალური ცვლილებები საკუთარი თავის, სურვილების, ინტერესებისა და საყვარელი საქმის აღმოჩენაშია. ცდილობს, თავის თავში იპოვოს ძალა ცხოვრების წესის შესაცვლელად, თავს მოდუნების, ფიქრებთან მარტო დარჩენისა და საოჯახო პასუხისმგებლობების ოჯახის წევრებზე გადანაწილების უფლება მისცეს.

თვითშემეცნების პროცესში კლარისი აღმოაჩენს, რომ მისი მისწრაფება, აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მონაწილეობა მიიღოს ქალთა უფლებებისთვის ბრძოლაში, მათთვის თანასწორი და თავისუფალი გარემოს შექმნის პროცესში, მიუღწეველი სულაც არაა. ეს ცვლილებები კი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ საკუთარი თავისა და ინტერესების გაცნობითა და აღმოჩენით, შინაგანი მზაობითა და თანმიმდევრული, ქმედითი ნაბიჯების გადადგმით მიიღწევა.

ზოია ფირზადის კლარისი და მისი პრობლემები (ისევე, როგორც მწერლის ბევრი სხვა ქალი პერსონაჟისა) უკვე აღარ წარმოადგენს ქალის შეუფარავი და პირდაპირი ჩაგვრისა თუ მისი პიროვნების უგულვებელყოფის ილუსტრაციას. მაგრამ არის საზოგადოებრივ ცნობიერებაში და, აქედან გამომდინარე, ცალკე მამაკაცის და ცალკე

ქალის ფსიქიკაში მყარად ჩანერგილი და ძნელად ამოსაძირკვი სტერეოტიპული დამოკიდებულებების შესანიშნავი მაგალითი (ტალახაძე, 2023).

ზოია ფირზადის ოსტატობა ამ რომანში სწორედ ისაა, რომ ბუნებრივად და დამაჯერებლად გვიხატავს ქალზე ფსიქოლოგიური ზეწოლის სურათებს და გვიჩვენებს, რომ ამ პრობლემაში ხშირად თვითონ ქალია დამნაშავე, რომელიც თავად უწყობს ხელს საკუთარ „ტყვეობას“.

ზოია ფირზადის პერსონაჟი ქალები გულწრფელობით გამოირჩევიან. ისინი იმედიანად იწყებენ პირად ცხოვრებას, თუმცა, რეალობას შეჩეხებულები, სხვადასხვაგვარად იქცევიან. ზოგი ბედს ეგუება და გონებასა და ფსიქიკაში ღრმად გამჯდარ ტრადიციულ შეხედულებებს ვერაფერს უხერხებს, თუმცა ბევრი თავისი უკეთესი მომავლისა და რეალური ცვლილებებისთვის იბრძვის. ისინი ცდილობენ ისწავლონ, იმუშაონ, რომ შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება და გადაწყვეტილებების მიღება. აცნობიერებენ, რომ პატრიარქალური საზოგადოებრივი აზრი და ტრადიციული სტერეოტიპული აზროვნება ხელს უშლის განვითარებაში. ხვდებიან, რომ უკეთესი ხვალისდელი დღე, რომელსაც ასე ელიან, მათი სურვილის, მიღებული გადაწყვეტილების, გამბედაობისა და ცვლილებებისადმი მზაობის გარეშე არ დადგება.

6.6. ემანსიპაცია და ქალის პასუხისმგებლობა

ფემინისტური მოძრაობის გაძლიერებამ, საკუთარი უფლებების აღიარებისა და მოპოვებისთვის ქალების დაუღალავმა ბრძოლამ, ემანსიპაციისკენ სწრაფვამ, მათ ბევრი სიკეთე მოუტანა. ქალებმა რეალურად მოიპოვეს ის უფლებები, რისთვისაც იბრძოდნენ. მე-20 საუკუნის მიწურულისთვის ისინი უკვე ემანსიპირებულნი არიან, რაც გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას, თავისუფალ მოქმედებას, საკუთარი ბედის დამოუკიდებლად განსაზღვრისა და განკარგვის შესაძლებლობას გულისხმობს. ზოია ფირზადის რომანი „შევეგუებით“ ქალთა

ემანსიპაციასა და მათი პატრიარქალური სტერეოტიპული შეხედულებებისგან გათავისუფლებას ეხება. რომანი 2005 წელს გამოიცა და მყისვე დაიმსახურა მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღება. ნაწარმოებში მოვლენები თეირანში, მუსლიმურ საზოგადოებაში ვითარდება. რომანში მწერალი მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლების ცხოვრებას აღწერს ოჯახის სამი თაობის წარმომადგენელი ქალი პერსონაჟის ურთიერთდამოკიდებულების ფონზე.

ნაწარმოების მთავარი გმირი არეზუა, რომელიც თანამედროვე, განათლებული, თავდაჯერებული და კარიერულად შემდგარი ქალია. მართალია, მას ქორწინებაში არ გაუმართლა, დედის გადაწყვეტილებით შექმნილი ოჯახი დაენგრა და უსაქმურ ქმარს გაეყარა, თუმცა მამის დატოვებული ბიზნესის წარმატებულად მართვა შეძლო. მან ერთბაშად დაამსხვრია საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული მიდგომა, რომ ბიზნესს წარმატებულად მხოლოდ კაცები მართავენ და მამის დაფუძნებული უძრავი ქონების სააგენტო, სახელწოდებით „სარამი და ვაჟიშვილი“, საქმიანი ქალის გამჭრიახი გონების წყალობით, შემოსავლიან ბიზნესად აქცია. არეზუმ მამის გარდაცვალების შემდეგ კომპანიასა და ოჯახზე ზრუნვის მთელი ტვირთი საკუთარ თავზე აიღო, თუმცა მისი დაუღალავი შრომა და ოჯახის წევრების სურვილებისა და ახირებების დაკმაყოფილება, დედისა და ქალიშვილის მხრიდან, შეუმჩნეველი რჩება. ამას ორივე ბუნებრივად მიიჩნევს და თვლის, რომ ასეც უნდა ხდებოდეს. არეზუ მათთვის ოჯახში შემომტანი და მარჩენალია, რომელიც ოჯახის წინაშე აღებულ პასუხისმგებლობებს ზედმიწევნით უნდა ასრულებდეს. ისიც თავს არ ზოგავს, როგორც ემანსიპაციის მომხრე და ფემინისტი, სიამოვნებითაც კი ირგებს ძლიერი ქალის როლს. თუმცა გაუაზრებლად და უნებურად ისევ სხვისი სურვილებისა და ახირებების ტყვედ იქცევა. ფაქტობრივად, ქალი, რომელსაც თავი თავისუფალი და დამოუკიდებელი ჰგონია, კვლავ მოძალადეების, თუნდაც - ქალების - ფსიქოლოგიურ და ფინანსურ კაბალაში ექცევა. უახლოესი ადამიანები - დედა და შვილი - იქცევიან მისი ნების სრულუფლებიან ბატონებად. მისი პირადი

ცხოვრება და თავისუფლებაც კი დედისა და ქალიშვილის ეგოისტურ სურვილებს ემორჩილება.

ამ პრობლემის განხილვა ორი თვალსაზრისითაა საინტერესო:

1. მოძალადეები უფრო შორს მიდიან, როცა არეზუ გათხოვებას გადაწყვეტს. იციან, რომ შეუზღუდავი უფლებები აქვთ და მათი ჭირვეულობა აქაც გამოიღებს ნაყოფს. ასეც ხდება, ეტყობა, არეზუ ჯერ არაა მომწიფებული საიმისოდ, რომ საკუთარი პიროვნება ახლობლების სიბრტყეში განიხილოს, მით უფრო, საიმისოდ, რომ საკუთარი სურვილები მათ ჭირვეულობაზე მაღლა დააყენოს.

2. ზოია ფირზადი კიდევ ერთ საინტერესო დაკვირვებას თუ განსჯას სთავაზობს მკითხველს: რამდენად შეიძლება იყოს კეთილისმყოფელი რადიკალური ფემინიზმი ან „ზღვარგადასული ემანსიპაცია“ ?!

დროთა განმავლობაში არეზუ აღმოაჩენს, რომ მხოლოდ და მხოლოდ მარჩენლისა და „შემომტანის“ როლი გაუსაძლისი ყოფილა და საკუთარ ინტერესებსა და პირადი ცხოვრების მოწყობაზე იწყებს ფიქრს. მის ცხოვრებაში ღირსეული მამაკაცის, სოჰრაბ ზარჯუს, გამოჩენის შემდეგ არეზუს სურს, მომავალი მას დაუკავშიროს. თუმცა მისი უახლოესი ადამიანები, დედა, ქალიშვილი და მეგობარი შირინი, ეწინააღმდეგებიან მის სურვილებს. უკმაყოფილების მიზეზი თითოეული მათგანისთვის სხვადასხვაა, მათი გავლენა არეზუზე კი - ძალიან დიდი. არეზუს შინაგანი თავისუფლებისადმი მათი ეგოისტური დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტად მჟღავნდება მათსავე საქციელში. კუდაბზიკა დედას - მაჰმონირს, რომელიც საკეკლუცოდ, ყურადღების ცენტრში ყოფნისთვის მოევლინა ქვეყანას, არ ეთმობა უზრუნველი ცხოვრება, ყურადღება და ფინანსური კეთილდღეობა.

„ზოგიერთები ამქვეყნად იმისთვის მოდიან, რომ „კი, ბატონო“ იძახონ, ზოგიერთები კი იმისთვის, რომ „კი, ბატონო“ ისმინონ. მამაჩემი სულ „კი, ბატონოს“ ამბობდა, დედაჩემს კი „კი, ბატონოს“ გარდა არაფრის გაგონება არ უნდოდა“ (ფირზადი, 2013,

გვ. 294). და ამ ქალს შვილისგანაც მხოლოდ „კი, ბატონოს“ გაგონება სურს და შეუძლია. არეზუ იძულებულია, დედისა და ქალიშვილის მხრიდან მუდმივი კონტროლი, საყვედური, გაუთავებელი კრიტიკა აიტანოს. ზუსტად იცის, რომ, რაც არ უნდა გააკეთოს, როგორც არ უნდა ეცადოს, მათი გულის მოგებას მაინც ვერ შეძლებს. არეზუ ორმაგი სირთულის წინაშე დგება: აცნობიერებს, რომ, რაც უფრო მეტად შეიზღუდავს თავისუფლებას და მეტ ტვირთს აიღებს საკუთარ თავზე, მეტს მოსთხოვენ და უფრო მეტ ტვირთს დააკისრებენ. როდესაც სოჰრაბ ზარჯუმ ცოლობა სთხოვა, არეზუმ იგრძნო, როგორ მონატრებოდა ქალად ყოფნა. რომ არაფერია იმაზე კარგი, როცა დროდადრო შეგიძლია, მოდუნდე და ტვირთის ნაწილი სხვას გადააბარო. მაგრამ ხედავდა, რომ ისე მისჩვეოდა მონობას, მისგან თავს, ალბათ, ვეღარ დაიხსნიდა. მიუხედავად იმისა, რომ არეზუ კარგად იაზრებს თავისი ყოფის სიმძიმის მიზეზს, მაინც მზადაა, სიცოცხლის ბოლომდე მოთმინებით ზიდოს საკუთარი ნებით აღებული პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების მძიმე ტვირთი.

„არეზუმ ზანგ მონას³⁸ თვალი შეავლო და ჩაილაპარაკა: სამყაროს აღსასრულამდე ეგ უშნო ჩირაღდანი მხრით უნდა ატარო. ო, როგორ მესმის შენი!“ (ფირზადი, 2013, გვ. 373) ერთი შეხედვით, აიე და შირინი ურჩევენ არეზუს, იზრუნოს თავის ცხოვრებაში მეგობარი მამაკაცის, ე.წ. „ასპირინის“, არსებობაზე, ვინც გაამხნევებს, ტვირთს შეუმსუბუქებს, მოდუნების საშუალებას მისცემს, გაანებივრებს, თუმცა ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და, როგორც იტყვიან, ორმაგი სტანდარტი. როგორც კი არეზუს ცხოვრებაში მართლაც გაჩნდება სერიოზული ურთიერთობა კულტურული, განათლებული, მზრუნველი სოჰრაბ ზარჯუმს სახით, საკითხისადმი მათი დამოკიდებულება იცვლება. ამ ურთიერთობაში ისინი რეალურ საფრთხეს ხედავენ. მაჰმონირისა და აიეს (დედისა და ქალიშვილის) ფინანსურ კეთილდღეობასა და

³⁸ ქალიშვილის, აიეს, ახირებების დასაკმაყოფილებლად საყიდლებზე წასული არეზუ მაღაზიის ვიტრინაში შავკანიანი მონა ბიჭუნას ქანდაკებას ხედავს, რომელსაც მხარზე ჩირაღდანი ადგას. ამის შემყურე ქალი თავის ყოფას მონის მდგომარეობას ადარებს და თვლის, რომ იგი აღებული პასუხისმგებლობების ტყვეა.

უზრუნველ ცხოვრებას საფრთხე ემუქრება. თანამედროვე ცხოვრების მოტრფიალე აიე უცებ პატრიარქალურად მოაზროვნე გოგოდ იქცევა. გოგონა, რომელიც, ბების მსგავსად, მხოლოდ საკუთარ უფლებებს სცემს პატივს, ყველანაირ პასუხისმგებლობას იცილებს და მხოლოდ თავის სიამოვნებაზე ფიქრობს, დედის პასუხისმგებლობებზე ხმამაღლა, თამამად და ხაზგასმით საუბრობს. დედას მამასთან წლების წინანდელი გაყრის თაობაზეც საყვედურობს და ისეთ პრეტენზიებს უყენებს, რომელთაც თავად არავითარ შემთხვევაში არ შეასრულებდა.

„დედამ ბავშვობა წამართვა... მერე მე რა, რომ დედა მამას ვერ შეეწყო? კეთილი ენება და შეწყობოდა! როცა შვილი შეგვეძინება, უკვე აღარ გვაქვს უფლება, ვიძახოთ: ჩემი ქმარი ასე მოიქცა და ისე არ მოქცეულაო. მართალს ამბობს ბებია. ამ ფემინიზმობანამ ბევრის ცხოვრება წაახდინა“ (ფირზადი, 2013, გვ. 480).

არეზუს მეგობარი შირინისთვის, როგორც ფემინისტი ქალისთვის, რომელიც მიატოვეს და ამის გამო ყველა მამაკაცს ერთი საზომით ზომავს, არეზუს ქორწინება მიუღებელია. ის თვლის, რომ სერიოზული სასიყვარულო ურთიერთობები გილიოტინაზე თავის ნებაყოფლობით დადება, დამოუკიდებლობის დაკარგვა, დათმობებზე წასვლაა, რომ თავის ტკივილისა და დარდების გაქარწყლება „ასპირინითაც“, ანუ დროებითი ურთიერთობებით, ქორწინების გარეშეც შეიძლება. სამივე ქალი ერთად არეზუს გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიდის და მას მოდუნების, საკუთარ თავზე ფიქრის, ბედნიერ ქალად ყოფნის უფლებას ართმევს. მათი მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლა დღითიდღე ძლიერდება. ქალი კი მათთან კამათსა და დავას, წინააღმდეგობის გაწევასა და პაექრობას, რაც მთავარია, მათ გულისტკენასა და წყენას ერიდება და მდუმარედ ეგუება ბედს - საკუთარ ბედნიერებაზე უარს ამბობს.

მიუხედავად სოპრაზ ზარჯუს მცდელობისა, დაარწმუნოს არეზუ, უარი არ თქვას საკუთარ სურვილებზე, იზრუნოს საკუთარი ინტერესების რეალიზებაზე და ცხოვრება თავისივე შეხედულებისამებრ განკარგოს, ქალი ოჯახის წევრების

გავლენის ტყვე რჩება. სოჭრაბის რჩევა, რომ ადრე თუ გვიან მისი ოჯახის წევრები არეზუს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შეეგუებიან, ქალმა საკუთარ თავს მოარგო და გადაწყვიტა, თავად ეთქვა უარი პირად ცხოვრებაზე, წინააღმდეგობის გარეშე თავად შეჰგუებოდა ბედს.

„სოჭრაბს ნათქვამი ჰქონდა, შეეგუებიანო. გაიფიქრა: მაგრამ, სანამ შეეგუებიან, რამდენი ჩხუბი, გულისტკენა და მწარე ნათქვამი მელის? რამდენი ლოლიაობა და კოჭის გორება შესარიგებლად? აიესთვისა და მაჰმონირისთვის რამდენი დათმობა? რამდენი სინდისის ქენჯნა? რომ სოჭრაბთან ვიყო? დაგლეჯილი ნერვებით სოჭრაბთან ცხოვრებას რა გემოს ჩავატან? ალბათ, საბოლოოდ ისევ მასზე ვიყრი ჯავრს. დავუშვათ და, სოჭრაბი ყველაზე რაციონალური, ყველაზე უკეთესი და ყველაზე საყვარელი კაცია მსოფლიოში. რამდენ ხანს გაუძლებს? რამდენ ხანს აიტანს? და მერე?

თვალეზი დახუჭა და დაფიქრდა. იქნებ, მე თვითონ შევეგუო. უნდა შევეგუო“ (ფირზადი, 2013, გვ. 516).

თვალშისაცემია, რომ რომანში ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და ძალადობას სწორედ ქალები ახორციელებენ. „სრულიად განსხვავებული ასაკის, ხასიათისა და მსოფლმხედველობის სამი ქალი: მაჰმონირი, აიე და შირინი არეზუზე განხორციელებული ძალმომრეობის საკითხში ერთსულოვანნი აღმოჩნდებიან, მას ბუნებრივ მოვლენას - ქალურობას და ქალურ სურვილს, ნაკლებად „ვაჟკაცი“ და ცოტა უფრო ბედნიერი იყოს, არ პატიობენ“ (ფირზადი, 2013, გვ. 15).

ისინი არეზუს, გვერდით დგომისა და მხარდაჭერის მაგიერ, ფსიქოლოგიურ წნეხში ამყოფებენ. არეზუზე მათი გავლენა კი იმდენად დიდია, რომ იგი, თითქოს უკვე ემანსიპირებული და საკუთარი ბედის განმკარგავი ქალი, ახლობელი ადამიანების შეხედულებების ზეგავლენას თავს ვერ აღწევს, გარშემომყოფთა მხრიდან იძულებასა და საკუთარ სურვილებს შორისაა მოქცეული.

საინტერესოა, რომ არეზუს მეგობარი შირინი, რომელიც, თეორიულად, თავისი მსოფლმხედველობით არათუ ფემინისტი და ქალთა უფლებადამცველი, არამედ თითქოს ნამდვილი კაცთმოძულეა, ერევა მეგობრის პირად ცხოვრებაში და არწმუნებს, უარი თქვას ქორწინებაზე. თავად კი, კონკრეტულ მომენტში, ფემინისტისთვის სრულიად მიუღებელ და გაუგებარ გადაწყვეტილებას იღებს. შირინის მიმართებას სამყაროსადმი და მთელი თეორიული ფემინიზმისადმი ერთი სატელეფონო ზარი ცვლის. მას ძველი სიყვარული უბრუნდება - დაკარგული შეყვარებული ურეკავს. ბედნიერი შირინი კი, არეზუსგან განსხვავებით, ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვებას არ აპირებს.

როგორც ვხედავთ, ზოია ფირზადის ნაწარმოებებში ქალის როლისა და დანიშნულების წარმოჩენას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისეული ქალი პერსონაჟების ფიქრებისა და ქმედებებისთვის თვალის მიდევნება ზუსტად და დეტალურად აღწერს პატრიარქალური სტერეოტიპული აზროვნებიდან დახსნის ქალთა გულწრფელ, დაუფარავ მცდელობას. მისი სადა, ბუნებრივობით გამორჩეული პერსონაჟები ცდილობენ ირწმუნონ საკუთარი შესაძლებლობების და ნელ-ნელა მიდიან დასახული მიზნისკენ. ტრადიციული, სტერეოტიპული აზროვნებით დამძიმებულ საზოგადოებაში ისინი რთულად იკვლევენ გზას, თუმცა მაინც მიდიან წინ, რადგან ზუსტად იციან, რომ მათი აქტიურობის, ქმედებების, ჩართულობის გარეშე რეალური ცვლილებები არ დადგება.

ფირზადის ბოლო რომანის „შევეგუებით“ ქალი პერსონაჟები ემანსიპირებული ქალები არიან, რომლებიც თავად განკარგავენ საკუთარ ბედს. მათ შეძლეს და აღმოაჩინეს საკუთარი თავი, ინტერესები და სურვილები, დაამსხვრიეს საზოგადოებაში ქალთა მიმართ დამკვიდრებული სტერეოტიპული დამოკიდებულება, მიიღეს კარგი განათლება, შეძლეს ოჯახების ფინანსურად უზრუნველყოფა, იღებენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს, წარმატებით მართავენ კომპანიებს, თუმცა საკუთარი ნებით ალებულ მოვალეობებს და „ვაჟკაცი“

ქალის სტატუსის სიმბიმეს ვეღარ უძლებენ. ერთი შეხედვით ემანსიპირებული, თავდაჯერებული, დამოუკიდებელი ქალები ითრგუნებიან ემანსიპაციის სიმბიმით. ხედავენ, რომ აღებულ მოვალეობებს ქალური საწყისი და ბედნიერება გადააყოლეს, რომ საქმეშიც და პირად ცხოვრებაშიც ზომიერების განცდა დაკარგეს, რომ ბუნების კანონების წინააღმდეგ წასვლა კრაზისთვისაა განწირული. ამიტომ ისინი, უკვე ემანსიპირებულნი, ამჯერად დაკარგული ქალური საწყისისა და ბედნიერების ძიებაში არიან.

თავი 7. ქალის სახის მითოპოეტური გააზრება

ლიტერატურულ ტექსტებში ქალთა რეპრეზენტაციის რევიზიულ წაკითხვას, გადასინჯვასა და ანალიზს ქალ მწერალთა ხელახლა აღმოჩენასა და მათი ნამუშევრების ახლებურად გაგებამდე მივყავართ. ტექსტის ინტერპრეტაციისა და გაგების უნივერსალური თეორია (ჰერმენევტიკა) კი, ქალ ავტორთა გინოკრიტიკული შესწავლის, ახალი რაკურსით გაანალიზების საშუალებას იძლევა.

ამ კუთხით ჩვენი სადისერტაციო გამოკვლევის ობიექტ მწერალთაგან საინტერესოა, შაჰრნუმ ფარსიფურის შემოქმედების განხილვა. მწერალი მისტიკურ-მითოლოგიური სახე-სიმბოლოების შეფარულად გამოყენებითა და მისტიკური პერსონაჟების შემოყვანით ახერხებს ნაწარმოებში საკუთარი სათქმელის გადმოცემას, ქალის მთავარი დანიშნულების აღმოჩენას. ეს კი მის ნამუშევრებს ფილოსოფიურ დატვირთვას სძენს. თხრობის ეს მანერა მწერალმა არაერთ ნაწარმოებში გამოიყენა. სწორედ სიმბოლოების იდეური ქვეტექსტების გაანალიზების შემდეგ ხდება შესაძლებელი მისი ნაწარმოებების ნამდვილი არსის ამოცნობა.

შაჰრნუმ ფარსიფურის მთელი სამწერლო საქმიანობა იქითაა მიმართული, რომ შეიცნოს საკუთარი თავი და არა მარტო საკუთარი თავი, არამედ ქალის არსი საზოგადოდ. მწერლის შემოქმედებაში ნამდვილად ჭარბადაა ფემინისტური ნაკადი, მაგრამ ეს არ არის ფემინიზმი იმ გაგებით, როგორც მას ხშირად თანამედროვე რეალობა განიხილავს ანუ ფემინიზმი საზოგადოებრივ ჭრილში. ფარსიფურის ნაწარმოებებში ეს მოვლენა ბევრად უფრო მრავლისმომცველი და ფართოა, ვიდრე ქალის უფლებები ან მისი საზოგადოებრივი დანიშნულების განსაზღვრა. მწერალი ქალს სიყვარულის, სინათლის, ნაყოფიერების წყაროდ მოიაზრებს. სწორედ ეს კომპონენტი სძენს მის შემოქმედებას განსაკუთრებულ ხიზლს.

ფარსიფურის რომანის, „თუბა და ღამის არსი“, მთავარი გმირის, თუბას (რაც სამოთხის ხეს ნიშნავს), უდიდეს ტკივილად მის მიერ საკუთარი მთავარი

დანიშნულების გაუცნობიერებლობა იქცა. იგი მთელი ცხოვრება უშედეგოდ ეძებს ცხოვრების მთავარ საზრისს. საბოლოოდ, ჭეშმარიტება იქ აღმოჩნდა, სადაც არ უძებნია: ახლობლებთან ურთიერთობაში, ადამიანურ კავშირებში, გაზიარებულ სიტბოსა და სიყვარულში. თუბა აცნობიერებს, რომ ხშირად ყოველდღიურობა, ამქვეყნიური ამაოების რია-რია ქალს ყველაზე მთავარს ართმევს: ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობის სიხარულს, სიტბოს, სიყვარულს - აუცხოებს მათგან. ქალი ცხოვრების მიწურულს აღმოაჩენს, რომ მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანები - შვილები, უცხონი გამხდარან დედისთვის. მათი შეხედულებები, ღირებულებები და ცხოვრებისეული მიზნები სრულიად სხვადასხვად ქცეულა. სიცოცხლის მიწურულსდა ხედავს, რომ შვილებთან სიახლოვის, ურთიერთობის ბედნიერება არასდროს უგრძნია. რომ რაღაც „უფრო დიდის, უფრო ჭეშმარიტის“ პოვნაზე დაფიქრებულს, თვალსა და ხელს შუა შემოეცალა ცხოვრება, შვილების მიმართ გაცემული სიყვარულისა და სიტბოს გარეშე, მარტოობაში. ამ უცხოობის და მარტოობის ტყვეობიდან თუბა მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს პოულობს გამოსავალს. მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ ხსნა აქვე ყოფილა, ოღონდ მისი პოვნა და გაგება იყო საჭირო. გაზიარებული სიყვარული აღმოჩნდა ის ფასეულობა, რომლის მიღწევა თუ მოხელთება წარმოადგენს ქალის არსებობის ჭეშმარიტ არსს (ტალახაძე, 2023, გვ. 196).

ფარსიფური თავის სათქმელს ბროწეული ხის - სიყვარულის სიმბოლოს - შემოტანით ამბაფრებს: „ბროწეულის ხეს ნაყოფი გამოესხა, სავსე იყო ბროწეულებით. ბროწეულები სიმწიფისგან დამსკდარიყვნენ და მათი ხასხასა, წითელი მარცვლები მზის ოქროსფერ სხივებში ბრწყინავდნენ. ქალმა გაიფიქრა: „ჭეშმარიტება სწორედ ესაა“ (Parsipur, 1989, გვ. 490).

მსხმოიარე ბროწეული, უდავოდ, სიყვარულისა და სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოა, მისი ნაყოფი კი - ჭეშმარიტების ზეიმი, რომელსაც თუბა ყველა გამვლელს უზიარებს. მთელი სიცოცხლე ცდილობდა თუბა, ჭეშმარიტების

ძიებისთვის კანონზომიერად დაეკავშირებინა ირგვლივ მიმდინარე მოვლენები, მაგრამ ამაოდ. თურმე ის, რასაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ეძიებდა, გვერდით ჰქონია, მხოლოდ დანახვა იყო საჭირო. გაზიარებული სიკეთე და სიყვარული აღმოჩნდა მისთვის ცხოვრების მთავარი დანიშნულება.

თუბასა და მკითხველის საბოლოოდ ჭეშმარიტებამდე მისაყვანად ფარსიფურს მისტიკური გმირები შემოჰყავს რომანში. ესაა ბატონიშვილი გილი და მისი მეუღლე ლეილა, რომელთა სამყარო ქმნის რომანის მითოპოეტურ შრეს და გამოხატავს კიდევ რომანისა და მისი ავტორის ძირითად სათქმელს. გილის ცხოვრება, ფაქტობრივად, კაცობრიობის განვლილი გზაა, სავსე ომებით და ნგრევით, მტრობით და უკეთურებით, სადაც ადამიანები დამკვიდრებული კანონის თანახმად კლავდნენ თავისსავე მოყვასს.

„იტყოდი, სისხლის სუნი გაფრქვეულიყო და მათ ამ სუნის შესუნთქვა სჭირდებოდათ“ (Parsipur, 1989, გვ. 252).

თუმცა მუდამ, ყველა ეპოქაში, ყველა ადგილას, გრძელ დამეში სინათლის ნაპერწკლად კიაფობდა სიკეთე, სიყვარული, რაც აძლებინებდა და სიცოცხლის ძალას მატებდა ადამიანს. ამ ჭეშმარიტებას ჩასწვდა თუბა ცხოვრების მიწურულს. გვიან შეიცნო მან იმ „ღამის არსი“, რომელსაც მთელი სიცოცხლე ეძებდა.

ლიტერატურათმცოდნე ჰორა იავარი მიიჩნევს, რომ რომანში სიმბოლური პერსონაჟების შემოყვანა და ნაწარმოების თუბას ზეასვლის ჩვენებით დასრულება, რომანის ისტორიულ-რეალისტურ შრეს ზებუნებრივ-მითოლოგიურ პარალელურ შრეს ამატებს, რაც ნაწარმოებს და პერსონაჟების სახეებს სიღრმეს ჰმატებს (Yavari, 2005, გვ. 230).

ნაწარმოების ბოლოს თუბას ამაღლება და სიკვდილი, ისევე, როგორც მისი მისტიკური აღმოჩენა - ბროწეულის მარცვლები, ბუნებას უკავშირდება. ბუნება კი თუბას საწყისი და უსაფრთხო თავშესაფარია. რომანის ბოლო ნაწილი მთლიანად

სიმბოლურია, რომელიც ქალის მოგზაურობას წარმოადგენს საკუთარი თავის შესაცნობად: თუბა დედამიწის წიაღში ადამიანის განვითარების კვალდაკვალ - სხვადასხვა სახით, სხვადასხვა ეპოქაში მოგზაურობს. ნიშანდობლივია, რომ ამ ძირითად სიმბოლოში კვლავ მწერლის ძირითადი სათქმელია გაცხადებული: ამ მოგზაურობაში ჭეშმარიტების მიგნება მხოლოდ სიყვარულის ხის - ბროწეულის ხის ფესვების გავლითაა შესაძლებელი.

სიკეთის, სინათლის, სიყვარულისა და ნაყოფიერების თემას, როგორც სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფარსიფურის სხვა თხზულებებშიც. სიმბოლურია, ფარსიფურის რომანის, „ქალები კაცების გარეშე“, ქალი პერსონაჟების მიერ საკუთარი მთავარი დანიშნულების ძიების პროცესი და სირთულეების მიუხედავად, მათი მუდმივი სვლა ჭეშმარიტების აღმოსაჩენად. ქარაჯის სახლი, სადაც რომანის პერსონაჟების ბედი იკვეთება, თითოეული მათგანის ახალი ცხოვრების დაწყების სიმბოლოა, სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ თავისუფლად აზროვნება, მუდმივი მოძრაობა, განვითარებისკენ სვლა, ერთმანეთის გვერდით დგომა, სიყვარულისა და სიბოძის გაზიარება, რაც არის კიდევ ადამიანის ჭეშმარიტი დანიშნულება.

სწორედ ჰუმანისტური მსოფლმხედველობისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გააზრების საშუალებით ახერხებენ ფარსიფურის ქალი პერსონაჟები ადამიანად ფორმირებასა და საკუთარი თავის აღმოჩენას. შრომანი, რომელსაც მეძავი ქალი, ზარინქოლაჰი შობს, სირთულეების დაძლევისა და ცხოვრების თავიდან დაწყების იმედია, ადამიანის რძით ზამთრის ყინვისგან დაუძლურებული მაჰდოხთის გამოკვება კი - დახმარებისთვის გაწვდილი ხელი, რაც ჰუმანისტური თვალსაზრისით კაცთმოყვარეობას, ადამიანისა და ადამიანური ფასეულობების პატივისცემას გულისხმობს.

რომანში მიწაში ხედ ჩარგული, ზამთრის ყინვისგან გადარჩენილი მაჰდოხთის მიერ გამოსხმული კვირტები ქალის ცხოვრების ჭეშმარიტი არსის გაცნობიერებას, ქალის

მთავარი დანიშნულების გააზრებას წარმოადგენს. მაჰდოხთი, შინაბერა, რომელსაც ამ ცხოვრებაში, პატრიარქალური შეზღუდვებით აღსავსე რეალობაში არ ეღირსა შვილი და სიყვარული, ნაკადულის პირას ხედ ჩანერგილი, ჰპოვებს დედობის სიხარულს, ეზიარება, მთელი სამყაროსთვის ნაყოფიერების მინიჭების ბედნიერებას. ფარსიფური ქალს ნაყოფიერების, სიცოცხლის მარადიულობის, კაცთმოყვარეობის, გაზიარებული სიკეთისა და სიყვარულის სიმბოლოდ მოიაზრებს. სწორედ ესაა ქალის მიერ საკუთარი ადგილის, როლისა და დანიშნულების ძიებაში მთავარი მიგნება, სწორედ ეს შტრიხი სძენს გამოწვევებით სავსე მის ცხოვრებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

დასკვნა

ფემინისტური მოძრაობის დასაწყისიდან ემანსიპაციისთვის ბრძოლაში ქალმა ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. ამ პროცესის განვითარება ქალთა უფლებებისა და თავისუფლების აღიარებასა და გენდერულ თანასწორობას გულისხმობს.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში

- ქალი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი, უფლებააყრილი, დაბეჩავებული და შეურაცხყოფილია. იგი თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრად არ აღიქვამს. მისი ფიზიკური გადარჩენა, ხშირ შემთხვევაში, ოჯახის წევრების, პატრიარქალური საზოგადოებისა და ტრადიციული შეხედულებების გადაწყვეტილებათა დამოკიდებულია.
- შეურაცხყოფილ, უფლებააყრილ, ფინანსურად ქმარზე დამოკიდებულ ქალს, გაყრის შემთხვევაში, არც საზოგადოების და არც სახელმწიფოს მხარდაჭერის იმედი აქვს. საზოგადოების ცნობიერებაში ქალის მიმართ დამკვიდრებული პატრიარქალური, სტერეოტიპული შეხედულებები და ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა მას ცხოვრების დამოუკიდებლად გაგრძელების საშუალებას არ აძლევს. საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ მყოფი სირთულეებს ვერ უმკლავდება, იძულებულია დაემორჩილოს არსებულ წესრიგს.
- ქალი ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს განათლების როლს და მნიშვნელობას საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლის, განსხვავებული აზრის ფორმირებისა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში გამჭადარი ცვლილებებისადმი შიშის დაძლევის პროცესში.

მე-20 საუკუნის შუახანებიდან

- ირანელი ქალი უკვე ცდილობს, ტრადიციისა და სახლის ოთხ კედელს მიღმა გაიხედოს, დაძლიოს შიში ყველასა და ყველაფრის მიმართ. ის ბედავს ფიქრს და თავს აზროვნების უფლებას აძლევს. ტრადიციული შეხედულებების მიუხედავად,

სიცოცხლის ფასად იბრძვის ცვლილებებისთვის, განათლების უფლებისა და არჩევანის თავისუფლებისთვის, მიძინებული საზოგადოების გამოღვიძებისა და სამართლიანობის აღდგენისთვის, ერთვება ქვეყნაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში.

- საკუთარი ადგილის, ინტერესებისა და დანიშნულების ძიებაში მყოფი ქალები აცნობიერებენ, რომ მათი შინაგანი თავისუფლება (მათ შორის, საკუთარი ბედისა და სხეულის განკარგვა, სექსუალური თავისუფლება) მათსავე გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. აანალიზებენ, რომ დასახული მიზნისკენ სვლა ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, განვითარებისთვის საჭირო სივრცის არსებობას და ამ სივრცეში მოძრაობის თავისუფლებას გულისხმობს.
- ქალი საკუთარი „მე“-ს ძიებაშია და ცდილობს, საზოგადოებაში თავის დამკვიდრების გზა იპოვოს. ის უკვე დარწმუნებულია, რომ რეალურ ცვლილებებს მხოლოდ განათლებული და თავდაჯერებული ქალი მოიტანს.

საუკუნეთა მიჯნაზე

- ქალი თითქოს თავისუფალია, მის უფლებებს, გარეგნულად, აღარც საზოგადოება ზღუდავს და აღარც - ოჯახი, მაგრამ სიღრმისეული დაკვირვება იმას მოწმობს, რომ საუკუნოვანი ტრადიციების ტყვეობიდან საბოლოოდ ვერც ქალის ცნობიერება გამოსულა და ვერც საზოგადოება და ამ ფსიქოლოგიური, ხშირად - გაუცნობიერებელი წნეხისგან გაორებული ქალი კვლავ დაბნეულია, კვლავ ვერ გაურკვევია, როგორი არჩევანი გააკეთოს.
- განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე ქალი უკვე ცდილობს, რეალურად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები და აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან ზუსტად იცის, რომ ბევრად მეტი მონდომება და ძალისხმევა სჭირდება ქალთა უფლებების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებამდე მისატანად, მათი უფლებების აღიარებისა და რეალური თავისუფლების მისაღწევად.

თანამედროვე ირანელი მწერალი ქალების მიერ შექმნილი ლიტერატურა სამწერლო ხერხებით, თვითგამოხატვით, დუმილის დარღვევით, ტაბუსთან ბრძოლით, კულტურის მიერ დაწესებული ცენზურის გადალახვით აღწერს ქალის საკითხის ევოლუციას, უუფლებობიდან - ემანსიპაციამდე.

ქალებისა და მათი პრობლემების სააშკარაოზე გამოტანით, პირველმა პროფესიონალმა ირანელმა ქალმა მწერალმა, სიმინ დანეშვარმა, დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა საკუთარ თავს. მისი მრავალფეროვანი შემოქმედება, რომელიც ქალის გონებით ჭვრეტს ქვეყნიერებას და აღწერს მიმართებას საზოგადოებასა და ქალის შინაგან სამყაროს შორის, ქალების უფლებებისთვის ბრძოლას, საზოგადოებაში მათი მდგომარეობის შეზღუდულობაზე დაუფარავად საუბარს ეხება. ირანელი პროზაიკოსი ქალებიდან მან პირველმა გაბედა და დამაჯერებლად დაიწყო ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე საუბარი.

დანეშვარის ადრეული მოთხრობების თემატიკა ჯერ კიდევ იმ სინამდვილეს აღწერს, როდესაც ქალი არც ოჯახის და არც საზოგადოების სრულფასოვან წევრად არ მიიჩნევა. მას ერთადერთი ფუნქცია აქვს: შთამომავლობის გაგრძელება და ოჯახის მორჩილება. მწერალი მოგვიანებით დაწერილ ნაწარმოებებში უკვე ქალის საკითხის განვითარებას აღწერს, ზუსტად ასახავს ქალის ფიზიკური გადარჩენისთვის ბრძოლის, საკუთარი თავის ნაბიჯ-ნაბიჯ აღმოჩენის, ფიქრის გაბედვის, ტრადიციულისგან განსხვავებული აზროვნების თანდათანობითი ფორმირებისა და განვითარების პროცესს. დანეშვარი, ნაწარმოებების პერსონაჟების ფსიქოლოგიური და მენტალური პრობლემების მიზეზების ძიებაში, ცდილობს მკითხველს ამ პრობლემების დაძლევის გზებიც შესთავაზოს. მისი მთავარი მიზანი პატრიარქალური საზოგადოების კულტურული შეზღუდვებისა და ტრადიციული შეხედულებების მარწყხებიდან ქალის გათავისუფლება და მის აზროვნებაში მნიშვნელოვანი და რეალურად აღსრულებული ცვლილებების შეტანაა.

ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძვიან შაჰრნუმ ფარსიფურის ნაწარმოებებში პატრიარქალური საზოგადოებრივი აზრის მსხვერპლი ქალები. ტრადიციული შეხედულებების ტყვეობაში მყოფები პატრიარქალური საზოგადოებისა და ოჯახის წნეხისგან გათავისუფლების გზის ძიებაში არიან.

ფარსიფურმა, თავისი პერსონაჟების ცხოვრების აღწერით, დაარღვია ირანის პატრიარქალურ ცნობიერებაში არსებული ყველა ტაბუ და სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად ქალის სექსუალობაზეც დაძრა სიტყვა. მის ნაწარმოებებში დასმული ეს საკითხი ისეთი დიდი სირცხვილი და სკანდალური აღმოჩნდა ირანული საზოგადოებისთვის, რომ მწერალი ციხეში ჩასვეს. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ იგი იძულებული გახდა, უცხოეთში ეძებნა თავშესაფარი.

ქალთა მრავალფეროვან სახეებს გვთავაზობს ზოია ფირზადი და თავისი პერსონაჟების რუტინული ცხოვრების ყოფით ამბებს მოგვითხრობს. მწერლისეული ნარატივი მიზანმიმართულად მონოტონური, ერთი შეხედვით, მოსაწყენიც კია და ეს ერთფეროვნება, რომელიც ზუსტად შეესაბამება პერსონაჟების ტრივიალურ არსებობას, მნიშვნელოვან სათქმელს ამბობს: ქალი ასეთ ხვედრს არ იმსახურებს და ეს ხვედრი აუცილებლად უნდა შეიცვალოს. თუმცა საკუთარი მონაწილეობის გარეშე, საკუთარი ქმედითი ნაბიჯების გარეშე სასურველი რეალობა არ დადგება.

საინტერესოა, რომ მე-20 საუკუნის მიწურულს ირანელმა ქალებმა თავიანთი მუდმივი აქტიურობით, გულწრფელობით, სათქმელის დაუფარავად გამოხატვით, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენით, განათლებისა და კარიერისკენ სწრაფვით, ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვებით შეძლეს საკუთარი თავის აღმოჩენა და დამკვიდრება, განვითარება და წინსვლა. ზოია ფირზადის ნაწარმოებები სწორედ ამ პროცესის მიმდინარეობას ასახავს: სახლის ოთხ კედელში „გამოკეტილი“ ქალების ფიქრებიდან - ემანსიპირებული ქალების ქმედებებამდე. მისი პერსონაჟები ქალთა გალერეას წარმოადგენენ, დიასახლისებიდან დაწყებული - საქმიანი, თავდაჯერებული ქალებით დამთავრებული. მათი ფიქრები, აღქმები,

შეხედულებები, გადაწყვეტილებები და ქმედებები ზუსტად ასახავს ირანელი ქალის მდგომარეობასა და როლს ოჯახსა და საზოგადოებაში განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ სამივე მწერლის დამოკიდებულება საკითხისადმი დაახლოებით ერთნაირია და მათ შორის განსხვავება არ არის. თუმცა მაინც გვინდა გამოვყოთ ორი კონცეპტუალური საკითხი, რომელიც მხოლოდ ერთ მწერალთან შეგვხვდა.

ზოია ფირზადი საინტერესო ხედვას გვთავაზობს ემანსიპაციის არსზე, რომელიც იქნებ ფემინისტური თვალსაზრისით „დასაგმობიც“ კი იყოს, მაგრამ ცხოვრებისეული ლოგიკის მიერ სრულად გამართლებული და რეალისტური გახლავთ. მის რომანში „შევეგუებით“ მწერლის ცალსახა დასკვნაა, რომ

- ფემინისტური მოძრაობის საბოლოო მიზანი და მრავალი თაობის ქალის სანატრელი მდგომარეობა - სრული ემანსიპაცია მიღწეულია, მაგრამ არც ის არის ბედნიერების გარანტი, თუ თვითმიზნად გადაიქცევა. არსებობს ე.წ. „ზღვარგადასული ემანსიპაცია“, რომელიც თავისი არსით არ არის ბუნებრივი მდგომარეობა. როცა ქალის თანასწორობისთვის აქტიურობა ერთპიროვნულ მმართველობაში გადადის, ის უკვე მარტოობისთვისაა განწირული. ასეთი რეალობა კი, საეჭვოა, სანატრელი ყოფილიყო იმ ქალისთვის, რომელიც უფლებებისთვის ბრძოლას იწყებდა. უკვე ემანსიპირებული, თავდაჯერებული, საქმიანი, კარიერულად შემდგარი ქალი აღებული პასუხისმგებლობების, ვალდებულებებისა და ძლიერი ქალის სტატუსის ტყვე ხდება. იგი იაზრებს, რომ ემანსიპაცია მას ხშირად საკუთარ თავზე ზრუნვის, ბედნიერ ქალად ყოფნის, მოდუნების უფლებას ართმევს. საკუთარი ცხოვრების განმკარგველი დამოუკიდებელი ქალი იქნებ გაუცნობიერებლად, მაგრამ გამუდმებით ეძებს საზოგადოებრივ მოვალეობებში დაკარგულ ქალურ საწყისს და ბედნიერებას. მწერალი თავისი დამოკიდებულებით სრულებით არ ამცრობს ემანსიპირებული ქალის მნიშვნელობას, მაგრამ

უთანაგრძნობს მას და ცდილობს, ამ სიტყვის კარგი და მარადიული გაგებით, ქალურობა შეუნარჩუნოს.

ამ თვალსაზრისს სხვა სახითა და ფორმით ეხმაურება ფემინისტური თეორიის განუხრელი დამცველი შაჰრნუმ ფარსიფური.

- ის ქალს გაიაზრებს, როგორც არსებობის, სინათლის, სიყვარულისა და ნაყოფიერების საწყისს, წერს მის მითოლოგიურ ხატზე, მარადიულ დანიშნულებაზე და ქალს, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ყოფიერების ამოსავლად, ერთგვარ ბატონ-პატრონად მიიჩნევს, რომელიც უკეთეს ხვედრს იმსახურებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბრეგვაძე ბაჩანა, ცხადაძე თამარ, ნოდია გია და სხვ. (2019). შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ბურჯანაძე, მ. (2016). ახალი და უახლესი სპარსული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. დიდევარი, მ. (1986). სიცრუე და ჯადოქრობა. (ზ. შარაშენიძე, მთარგმნ.) თბილისი: მერანი.
4. ებადი, შ. (2023). ოქროს გალია. (ს. ბენიძე, მთარგმნ.) თბილისი: გამომცემლობა ინტელექტი.
5. თარაყი, გ. (2004). სახლი ზეცაში. (თ. შურღაია, მ. ბურჯანაძე, მთარგმნ.) თბილისი: დიოგენე.
6. სანიკიძე გიორგი, ალასანია გიული, გელოვანი ნანი. (2011). ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.- XXIIს-ის დასაწყისი). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. ფირზადი, ზ. (2013). შევეგუებით. (თ. შურღაია, მ. ბურჯანაძე, მთარგმნ.) თბილისი: დიოგენე.
8. Amirshahi, M. (2001). Matn-e Sokhanrany-e Mahshid-e Amirshahi dar Kongere-ye Jahany-e Nevisandegan, Report, Valladolid: kongere-ye jahan-ye nevisandegan.
9. Bamdad, B. (1969). Zan-e Iran az enqelab-e mashrute ta enqelab-e Sefid. Tehran: Ibn Sina
10. Baqeri, N. (2009). Zanan dar Dastan, Qahremanan-e Zan dar Dastanha-ye Zanan-e Dastannevis-e Iran. Tehran: Morvarid.

11. Barre, F. P. (2002). *Three Cartesian Feminist Treatises*. Chicago: University of Chicago Press.
12. Daneshvar, S. (1982). *Shahri Chon Behesht*. Tehran: Entesharat-e Kharazmi.
13. Daneshvar, S. (1990). *Savuushun*. Tehran: Entesharat-e Kharazmi.
14. Daneshvar, S. (1999). *Jazire-ye Sargardani*. Tehran: Entesharat-e Kharazmi.
15. Daneshvar, S. (2001). *Be ki Salam Konam?* Tehran: Entesharat-e Kharazmi.
16. Dehbashi, A. (2004). *Bar Sahele Jazire-ye Sargardani: Jashnname-ye Doctor Simin-e Daneshvar*. Tehran: Entesharat-e Sokhan.
17. Golshiri, H. (1999). *Baq dar Baq (Majmu'e-ye Maqalat)*. Tehran: Nilufar.
18. Lindsey, L. (2015). *Gender Roles*. New York: Routledge.
19. Mahnaz, A. (2004). *Women in Iran from 1800 to the Islamic Republic*. Illinois: University of Illinois Press.
20. Milani, F. (1992). *Veils and Words: The Emerging Voices of Iranian Women Writers*. Syracuse: Syracuse University Press.
21. Milani, F. (2011). *Words, Not Swords: Iranian Women Writers and the Freedom of Movement*. Syracuse: Syracuse University Press.
22. Mill, J. (2005). *The Subjection Of Women*. (A. Cudd, Ed.) Oxford: Blackwell Publishing.
23. Mirabedini, H. (1998). *Sad Sal-e Dastan Nevisy-e Iran; Jeld-e 1-2*. Tehran: Nashr-e Cheshme.
24. Mirabedini, H. (1998). *Sad Sal-e Dastan Nevisy-e Iran; Jeld-e 3*. Tehran: Nashr-e Cheshme.

25. Mirabedini, H. (2004). Sad Sal-e Dastan Nevisy-e Iran; Jeld-e 4. Tehran: Nashr-e Cheshme.
26. Nahid, A. (1981). Zanan-e Iran dar Jonbesh-e Mashrute. Tehran: Ehya.
27. Pahlavi, M. (1956). Mardan-e Khodsakhte. Tehran: Eqbal.
28. Pahlavi, M. (1968). Mamuriat baray-e Vatanam. Tehran: Bongah-e Tarjome va Nashr-e Ketab.
29. Payandeh, H. (2010). Dastan-e Kutah dar Iran; Jeld-e 1. Tehran: Nilufar.
30. Payandeh, H. (2010). Dastan-e Kutah dar Iran; Jeld-e 2;. Tehan: Nilufar.
31. Payandeh, H. (2011). Dastan-e Kutah dar Iran; Jeld-e 3;. Tehan: Nilufar.
32. Paidar, P. (1997). Women and the Political Process in Twentieth-Century Iran. Cambridge: Cambridge University Press.
33. Parsipur, Sh. (1989). Tuba va Ma'na-ye Shab. Tehran: Entesharat-e Asirak.
34. Parsipur, Sh. (2008). Touba and the Meaning of Night. Afterword by Houra Yavari. New York: Feminist Press at the City Univetsity of New York.
35. Parsipur, Sh. (1989). Zanan Bedun-e Mardan. Tehran. Nashr-e Cheshme.
36. Pirzad, Z. (2001). Cheraqha ra Man Khamush Mikonam. Tehran: Nashr-e Markaz.
37. Pirzad, Z. (2002). Se Ketab. Tehran: Nashr-e Markaz.
38. Rakovitska-Asgari, K., Hasanklo A. (2016). Seda-ye Zamane, Jame'eshenasy-e Shakhshiat-e Zan dar Roman-e ba'd az Enqelab. Tehran: Nashr-e Akhtaran.
39. Sanasarian, A. (2005). Jonbesh-e Hoquq-e Zanan dar Iran (Toqian, Oful va Sarkub az 1280 ta Enqelab 57). Tehran: Akhtaran.

40. Stoller, R. (1968). Sex and Gender: The Development of Masculinity and Femininity. New York City: Science House.
41. Suter, C. (2006). Trends In Gender Segregation by Field of Work in Higher Education. Paris, France: OECD.
42. Talattof, K. (2000). Politics of Writing in Iran: A History of Modern Persian Literature. Syracuse: Syracuse University Press.
43. Touba, J. (1987). Cultural Effects on Sex Role Images in Elementary School books in Iran: A Content After the Revolution. International Journal of Sociology and the Family, vol 17, 144.
44. Yavari, H. (2005). Zendegi dar Aine: Goftarhai dar Naqd-e Adabi. Tehran: Nilufar.
45. Комиссаров, Д. (1999). История персидской литературы XIX-XX веков. Москва: Наука.

ელექტრონული წიგნები და სტატიები:

46. საბედაშვილი, თ. (2006). ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

<http://openlibrary.ge/bitstream/123456789/103/1/018%20Kalta%20Uflebebis%20Istoriuli%20Aspeqtbi.pdf>

47. ტალახაძე, მ. (2023). გენდერული დისბალანსი სიმინ დანეშვარის რომანებში. ფილოლოგიური კვლევები. №7. 130-137.

<http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/395/350>

48. ტალახაძე, მ. (2023). ზოია ფირზადის პერსონაჟი იდენტობის ძიებაში. სპეკალი. №17. <https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/17/298>
49. ტალახაძე, მ. (2023). ქალის ადგილისა და დანიშნულების ძიება მაჰრნუმ ფარსიფურის რომანში „თუბა და ღამის არსი“. ფილოლოგიური კვლევები. №6. 191-197. <http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/317/296>
50. Amirshahi, M. (2012, 03 10). Man Dokhtar-e Zamane va Zaban-e Sarzaminam. (P. Modares, Interviewer) Retrieved from <https://bonyadhomayoun.com/?p=7530>
51. AMNESTY INTERNATIONAL. (2013, August 29). Retrieved from Iran still seeks to erase the '1988 prison massacre' from memories, 25 years on:
<https://web.archive.org/web/20210513132540/https://www.amnesty.org/en/latest/news/2013/08/iran-still-seeks-erase-prison-massacre-memories-years/>
52. BBC Persian. (2015, November 8). Retrieved from Majale "Zanan-e Emruz" Raf ' Touqif Shod:
https://www.bbc.com/persian/iran/2015/11/151107_u14_zanan_emrouz_shahla_sherkat
53. BBC Persian. (2008, January 28). Retrieved from Emtiaz-e Mahname-ye Zanan Loqu Shod: https://www.bbc.com/persian/arts/story/2008/01/080128_bd-zanan-close
54. BBC Persian. (2016, May 4). "Zanan Budan-e Mardan" dar Aparat. Retrieved from BBC Persian: https://www.bbc.com/persian/arts/2016/05/160504_aparat_18_2016
55. Beauvoir, S. (2010). The Second Sex. (C. Borde, & S. Malovany-Chevallier, Trans.) New York: Vintage. Retrieved from
<https://archive.org/details/1949SimoneDeBeauvoirTheSecondSex/page/n1/mode/2up?view=theater>

56. Bebel, A. (1910). *Woman and Socialism*. New York: Socialist Literature Co. Retrieved from <https://www.marxists.org/archive/bebel/1879/woman-socialism/index.htm>
57. Britannica. (2000, October 23). Christine de Pisan. Retrieved from <https://www.britannica.com/biography/Christine-de-Pisan>
58. Britannica, T. E. (2023, December 11). Britannica. Retrieved from death of Jina Mahsa Amini: <https://www.britannica.com/biography/death-of-Jina-Mahsa-Amini>
59. Burkett E., Brunell L. (2002, June 21). Feminism. Retrieved from Britannica: <https://www.britannica.com/topic/feminism>
60. Center for Human Rights in Iran. (2022, September 16). Retrieved from Mahsa Amini is Another Victim of the Islamic Republic's War on Women: <https://iranhumanrights.org/2022/09/mahsa-amini-is-another-victim-of-islamic-republics-war-on-women/>
61. Consalvo, M. (2012, April 4). *ENCYCLOPEDIA OF NEW MEDIA*. Retrieved from Cyberfeminism: https://study.sagepub.com/sites/default/files/Ch17_Cyberfeminism.pdf
62. Daneshgah-e Alame Tabatabai. (n.d.). Retrieved from Motale'at-e Zanan: <https://ssd.atu.ac.ir/fa>
63. Daneshgah-e Alzahra. (2023). Retrieved from Tarikhche-ye Pozuheshkade-ye Zanan: <https://wrc.alzahra.ac.ir/page-wrc/fa/15/form/pId16119>
64. Daneshgah-e Tarbiat-e Modares. (n.d.). Retrieved from Women Studies: <https://www.modares.ac.ir/hum/departments/women-studies>
65. Daneshgah-e Tehran (n.d.). Retrieved from Markaz-e Motale'at-e Zanan va Khanevade: <https://cws.ut.ac.ir/introduction>

66. Defenders of Human Rights Center. (n.d.). Retrieved from About the Defenders of Human Rights Center: <https://www.humanrights-ir.org/about-us>
67. Encyclopaedia Iranica. (2012, December 30). Retrieved from Feminist movements: <https://iranicaonline.org/articles/feminist-movements-iii>
68. Esfandiari, H. (2015, October 6). The Iran Primer United states Institute of Peace. Retrieved from The Women's Movement: <https://iranprimer.usip.org/resource/womens-movement>
69. Femea. (2022, August 18). Retrieved from ფემინიზმის მოკლე ისტორია: <https://femea.ge/>
70. Feminism and Women's Rights Movements. (n.d.). Retrieved from COUNCIL OF EUROPE: <https://www.coe.int/en/web/gender-matters/feminism-and-women-s-rights-movements>
71. Foundation For Iranian Studies. (n.d.). Retrieved from Rah-e Neshaneha-ye Jonbesh-e Zanan (Pish az Enqelab): <https://fis-iran.org/fa/women-center/pre-revolution-milestones/>
72. Girgis, M. (1996). Iran Chamber Society. Retrieved from Women in pre-revolutionary, revolutionary and post-revolutionary Iran: https://www.iranchamber.com/society/articles/women_prepost_revolutionary_iran1.php
73. Golkar, S. (2019, January 5). ALJAZEERA. Retrieved from Ebrahim Raisi: The cleric who could end Iranian hopes for change: <https://web.archive.org/web/20210513064743/https://www.aljazeera.com/opinions/2019/1/5/ebrahim-raisi-the-cleric-who-could-end-iranian-hopes-for-change>
74. Iranian Children's Rights Society. (2019). Retrieved from About Us: <https://www.iranianchildren.org/about-us/>

75. Milani, F. (2012, April 18). Words, Not Swords: Iranian Women Writers and the Freedom of Movement. (Jadaliyya, Interviewer) Retrieved from <https://www.jadaliyya.com/Details/25662>
76. Milani, F. (2021, February 13). BBC Persian. Retrieved from Jahani Shodan-e Zanan-e Nevisande-ye Iranitabar; Poli Bar Faraz-e Marzha: <https://www.bbc.com/persian/arts-56054858>
77. Modares, M. (2007). Cultural Improvements in Iran During the Qajar Period and the West-late 18th c. until 1906-07 Constitutional Movement. Retrieved from https://www.iranchamber.com/culture/articles/cultural_improvements_iran_qajar.php
78. OECDiLibrary. (2023). Retrieved from Annex A. International and regional standards on women's rights: <https://www.oecd-ilibrary.org/sites/18e73c7b-en/index.html?itemId=%2Fcontent%2Fcomponent%2F18e73c7b-en&fbclid=IwAR1vE5ob8a3tocZ0qDzJSoaSTtLaQZzc1Q3Kp1CDemFk02hh68lVbHMHBOw>
79. Onion A., Sullivan M., Mullen M., Zapata Ch. (2019, February 28). Feminism. Retrieved from HISTORY: <https://www.history.com/topics/womens-history/feminism-womens-history>
80. Pars Times. (2000, Jule 30). Retrieved from List of Legally Registered Parties in Iran: https://www.parstimes.com/politics/legally_registered_parties.html
81. Parsipur, Sh. (1988). Bara-ye che minevisid?, Donia-ye sokhan, Tehran, No. 17,. <http://www.pedaropesar.com/articles/pedar-article/265-what-do-you-write-for1>

82. Parsipur, Sh. (2004, November 20). Shahrnush Parsipur: mikhaham be Iran bar gardam. (S. Alinejad, Interviewer) Retrieved from https://www.bbc.com/persian/arts/story/2004/11/041120_la-cy-parsipuriv
83. Parsipur, Sh. (2007, January 20). Shahrnush Parsipur. (O. Mehmarian, Interviewer) Retrieved from https://www.bbc.com/persian/seventhday/story/2007/01/070120_bs_parsipur
84. Parsipur, Sh. (2015, November 24). Agar Zan Nabudam. BBC NEWS Parsi. Retrieved from https://www.bbc.com/persian/iran/2015/11/151124_100w_ifiwere_parsipur
85. Parsipur, Sh. (n.d.). Official Website of Iranian Author Shahrnush Parsipur. Retrieved from Biography of Shahrnush Parsipur: <https://www.shahrnushparsipur.com/>
86. Pirzad, Z. (2009, October 30). Zoya Pirzad dar Mosahebe ba Kurie Enternational: Be Donbal-e Kalamat-e Sade va Dorost Hastam. (H. Mostafavi, Interviewer) Retrieved from <http://www.newisandeganema.blogfa.com/category/20>
87. Pooya, R. (n.d.). Retrieved from Radio Pooya: <https://radiopooya.com/>
88. Qahramani Ziba, khadari Zade Ali Akbar, Goljan Mehdi. (2021). Takvin-e Sazmanhay-e Zanan-e Iran dar Asr-e Pahlavi-e Dovvom. Paslname-ye Elmi PoJuheshname-ye Tarikh. Retrieved from https://history.bojnourd.iau.ir/article_684852_fab7db5c158e8a83033b2acb71d0dd27.pdf
89. Qorbani, S. (2022, October 14). BBC NEWS Parsi. Retrieved from Zen, Zian, Azadi: Az Mardi-e Tanha dar Selul-e Enferadi ta Khiabanha-ye Iran: <https://www.bbc.com/persian/articles/cqq6yev5kxwo>

90. Ranjbar Amrani, H. (2021, May 21). Political Studies and Research Institute. Retrieved from Kanun-e Banovan; Peikan-e Siasat-e Hejabsetizi-e Hokumat-e Rezakhan az Zohur ta Oful: <https://psri.ir/?id=8453mwcp>
91. Talattof, K. (1997). Iranian Women's Literature: From Pre-Revolutionary Social Discours to Post-Revolutionary Feminism. *International Journal of Middle East Studies*, 531-558. Retrieved from <https://www.cambridge.org/core/journals/international-journal-of-middle-east-studies/volume/FC4673969F6EC9F7C3B855D2D3809867>
92. TAVAANA. (2016, May 6). Farokhru Parsa; Az Vezarat ta Ekdam. Retrieved from TAVAANA: https://tavaana.org/rrokhroo_parsa/
93. The New York Times. (2008, February 7). Retrieved from Shutting Down Zanan: <https://www.nytimes.com/2008/02/07/opinion/07thu1.html?hp%20Shutting%20Down%20Zanan>
94. UNICEF. (2011). Promoting Gender Equality: An Equity-Focused Approach to Programming. Wayback Machin (Internet Archive), 1-2. Retrieved from https://web.archive.org/web/20171020152744/https://www.unicef.org/gender/files/Overarching_2Pager_Web.pdf
95. United Nations. (2022, September 22). Retrieved from Iran: UN experts demand accountability for death of Mahsa Amini, call for end to violence against women: <https://www.ohchr.org/en/press-releases/2022/09/iran-un-experts-demand-accountability-death-mahsa-amini-call-end-violence>
96. Voice of America. (2008, December 21). Retrieved from Iran Shuts Down Nobel Winner's Rights Group: <https://www.voanews.com/a/a-13-2008-12-21-voa14/339389.html>
97. Woolfrey, J. (n.d.). Internet Encyclopedia of Philosophy. Olympe de Gouges (1748—1793). Pennsylvania, U.S.A. Retrieved from <https://iep.utm.edu/gouges/>

98. Zarin Panah, S. (2007, March 8). BBC Persian. Retrieved from Nevisandegan-e Zan-e Irani dar Kharej az Iran: https://www.bbc.com/persian/arts/story/2007/03/070308_s-iranian-authors
99. Айвазова, С. (1998). Феминистская традиция в России. Москва: РИК Русанова.
[https://a-z.ru/women/texts/aivazova3r.htm#:"\)](https://a-z.ru/women/texts/aivazova3r.htm#:)
100. Библиофонд. (2009,1213). Феминистская теория:
<https://www.bibliofond.ru/view.aspx?id=481067>
101. Водопьянова, Е. (2000). Европейский феминизм: идеи и движение. CYBERLENINKA: <https://cyberleninka.ru/article/n/evropeyskiy-feminizm-idei-i-dvizhenie>
102. Мезенцева, А. (2015). Женская литература как феномен: генезис и эволюция.
<https://studylib.ru/doc/594449/zhenskaya-literatura-kak-fenomen--genezis-i-e-volyuciya>
103. Норузи, М. (2011). Женская проза в современной персидской литературе: имена и тенденции. <https://naukarus.com/zhenskaya-proza-v-sovremennoy-literatura-persidskoy-literature-imena-i-tendentsii>
104. Пушкарева, Н. (n.d.). Феминизм. Энциклопедия Кругосвет.
<https://www.krugosvet.ru/enc/istoriya/FEMINIZM.html>
105. Пушкарева, Н. (2007). Гендерные Исследования. Энциклопедия Кругосвет
Универсальная научно-популярная энциклопедия, 1.
https://www.krugosvet.ru/enc/gumanitarnye_nauki/sociologiya/GENDERNIE_ISSLEDOVANIYA.html

პერიოდული გამოცემები:

106. ალ-ე აჰმადი, ჯ. (2016). მხიარული დღესასწაული. (თ. ლეკვეიშვილი, მთარგმნ.) არმაღანი.
107. ბურჯანაძე, მ. (2019). ირაჯ მირზას "ზოჰრე და მანუჩეჰრი" - კდემისა და ვნების გაბაასება. აღმოსავლეთმცოდნეობა №8, 221.
108. ფირზადი, ზ. (2007). ბინა. ჩვენი მწერლობა, 52-62.
109. ფირზადი, ზ. (2017). კურდღლის ზღაპარი და პამიდორი. არმაღანი №3.
110. Aghajanian, A. (1991). The Impact of Development on the Status of Women: A District Level Analysis in Iran. Journal of Developing Societies №7, 295.
111. Barahani, R. (1991). She'r, Namowzun va Bohranzade, №55-56. Adine.
112. Talattof, K. (2004). Breaking Taboos in Iranian Women's Literature. World Literature Today. Retrieved from <https://www.thefreelibrary.com>
113. Talattof, K. (2004). Touba and the Meaning of the Nighr, Shahrnush Parsipur. World Literature today. 78 (3/4). Retrieved from <https://www.jstor.org/stable/40158497>
114. Ramazani, N. (1993). Women in Iran: The Revolutionary Ebb and Flow. Middle East №47, 413.

სადისერტაციო ნაშრომები:

115. ბუსკივაძე, მ. (2013). ფემინიზმი თურქეთში და ქალი ავტორების საკითხისათვის თურქულ ლიტერატურაში. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<file:///C:/Users/MYCOMPUTER/Desktop/%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%A3%20%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A%E1%83%9>

116. მეტრეველი, მ. (2005). ქალის სახე მ. კარაღაცისის შემოქმედებაში. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/160171/1/Disertacia.pdf>

ლექსიკონები:

117. მერკვილაძე, ი. (2003). გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი. თბილისი: კავკასიური სახლი.

<http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/dictiona/document/HASH01d947b7e326293183c853c8.jsessionid=3B55D9FDED0BBB8D31A011E82B62CD4F?ed=1>

118. რეხვიაშვილი, ა. (2016). CSS ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში.

<http://dictionary.css.ge/content/third-wave-feminism>

119. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. (2004). თბილისი: ლოგოს პრესი. http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/Leqsikoni_01.pdf

120. Трофимова Е., Словарь гендерных терминов, 2002.

<http://www.owl.ru/gender/071.htm>

აუდიო და ვიდეომასალები:

121. ასათიანი, ს. (2021, ივნისი 7). სიმონ დე ბოვუარი: ინტელექტუალი ქალის ისტორია. რადიო თავისუფლება.

<https://www.radiotavisupleba.ge/a/31293269.html?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR0WW61Yre81TLhdVG->

[bXv2GG28zWiviGJqFyNgMVpaFosPqZGPPoJCfU_aem_ATzC4ssIexlncrhSqC60hFdcHe-qT-5rPcgDKvLpluGl2vt9PNsJxYK73f4352QBR1Zq8pljQi974T0Rmu8b7L_O](https://www.radiotavisupleba.ge/a/31293269.html?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR0bXv2GG28zWiviGJqFyNgMVpaFosPqZGPPoJCfU_aem_ATzC4ssIexlncrhSqC60hFdcHe-qT-5rPcgDKvLpluGl2vt9PNsJxYK73f4352QBR1Zq8pljQi974T0Rmu8b7L_O)

122. Neshat, Sh. (Director). (2009). Women Without Men [Motion Picture]. Retrieved from <https://www.amazon.com/Women-Without-Men-English-Subtitled/dp/B00C48H3HO>

123. Parsipur, Sh. (2010, Jule 6). Goptogu-ye Seda-ye Amrica ba Shahrnush Parsipur. (T. Darband, Interviewer) VOA Parsi. Retrieved from

<https://www.youtube.com/watch?v=VI7z9AvHJR8>

124. Parsipur, Sh. (2014, January 16). Tamasha: Gohtogu ba Shahrnush Parsipur. BBC Persian. Retrieved from <https://www.youtube.com/watch?v=NYFK07nPSCA>

125. Solju, H. (Director). (2013). Simin, Saken-e Jazire-ye Sargardani [Motion Picture]. Retrieved from https://www.youtube.com/watch?v=uPy5_O-44VQ&t=1380s